სერგეი მესხი

წერილები აჭარაზე
1875-1882

შეადგინა, კომენტარები, შესიშვნები და საძიებლები
დაურთო რამაზ სურმანიძემ



გამომცემლობა „ალიონი"
ბათუმი – 2000

კიდევ ერთი მამულიშვილური საქმე გააკეთა ბატონმა რამაზ სურმანიძემ დიდი რუდუნებითა და სიყვარულით მისხალ-მისხალ შეკრიბა ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები და 1878 წლის ისტორიული მოვლენების ამსახველი ფურცლები გადაგვიშალა. უსაზღვრო იყო აჭარის დედა-სამშობლოსთან შეერთების სიხარული ყოველი ქართველისათვის, განსაკუთრებით მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის.


წიგნის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ იგი ამ მოვლენების თვითმხილველის, მისი უშუალო მონაწილის დიდი ქართველი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის სერგეი მესხის მიერაა დაწერილი. კითხულობთ გაზეთ „დროების" ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს და გული სიამაყით გეევსება. მართლაც რა შესანიშნავი წინაპრები გვყავდა!

მერედა როგორ ესადაგება სერგეი მესხის იდეები და დასკვნები საქართველოს დღევანდელობას, რომელიც ასე ნათლადაა წარმოდგენილი ბატონ რამაზ სურმანიძისეულ მიმოხილვაში.

რედაქტორი **იოსებ ხიმშიაშვილი**

© გამომცემლობა „ალიონი" – 2000

ISBN 99928-43-23-3



„ აჭარლებს ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საშოკალო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია. ერთი ბედისა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი შეფენები გვყოლია, ერთი მშართველობა და ერთი ენა სარწმუნოება.

ჩვენ გვერდით, აქვე მთების გადაღმა ორას ათასამდი ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენს ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ, ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან.

ახალს ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათზედ! ისინი ჩვენ ძმებად გვთვლიან და ჩვენ კი იმათ ოსმალოებად ვრაცხავთ, არ ვიცნობთ, არ გვისდა გაგვიცნოთ.

ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდი მადლობით მიიღებს ყოველს, მცირეც არის, ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ სამუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს“.

წინათქმა

თერგდალეულთა თაობის სახელოვანი წარმომადგენლის, ეროვნულ განთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მედროშე ნიჭიერი და ხელხვაიანი ჟურნალისტის და ქართული ჟურნალისტი ის უაქტობრიეი ფუძემდებლის, რადიკალურად მოაზროვნე შორსმჭვრე ტელი პუბლიცისტის სერგეი მესხის შემოქმედებას მეტნაკლება იცნობს ქართველი მკითხველი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყ სში მისი თხზულებების ორტომეულის გამოცემა განიზრახა სამსო ფირცხალავამ, მაგრამ მხოლოდ პირველი ტომის გამოქვეყნება (19(წ.) შეძლო.

მომდევნო წლებში ამ საჭირო საქმეს აღარავინ დაუბრუნდა ე სერგეი მესხის, ამ გულმხურვალე პატრიოტის ცხოვრება-მოღვაწეობა ჩრდილში მოექცა. 60 წლის შემდეგ ეს საპატიო მისია იკისრ დოცენტმა იოსებ ბოცვაძემ, რომელმაც 1962-1964 წლებში წინასიტყ აობით, შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსცა. სერგეი მესხ თხზულებათა სამი ტომი, რომლებშიც შეიტანა პუბლიცისტის ყველ წერილი, მათ შორის ხელმოუწერელი და ფსევდონიმები გამოქვეყნებულიც.

პირველ ტომში შეტანილია 1868-1874 წლებში გამოქვეყნებულ 134 წერილი, მეორეში 1875-1878 წწ. – 196, ხოლო მესამეში 187 1883 წწ. 169 წერილი.

უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ეს გამოცემა სრულყოფილა მიმაჩნია. ამიტომ ჩემი თემისათვის საინტერესო წერილები სწორე აქედან შევკრიბე. ტომებში შეტანილ წერილებს აქვს ცალ ნუმერაცია, მათი საერთო რაოდენობა 499-ს აღწევს. აქედან უშუალო აჭარაზე მიძღვნილია 42 წერილი, რომლებსაც ჩვენი ნუმერაც დავუსვით. ავტორის სტილი ყველგან დაცულია.

აჭარის უცხოთაგან ვამოხსნისა და მხარის კულტურულ წინსვლაში მრავალ ქართველ მეცნიერს, მწერალს, სამხედრო და საერო მოღვაწეს მიუძღვის წვლილი. ესენი იყვნენ ილიას იდეებით აღჭურვილი პატრიოტები: ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი; მოგვიანებით დავით კლდიაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია და სხვები. მათი ღვაწლი მეტნაკლებად ცნობილი და დაფასებულია, სერგეი მესხის დიდი ამაგი კი მისი თხზულებების სამტომეულის ვაჟოცემით განისაზღვრა, რომელიც მხოლოდ მკითხველთა გარკვეული წრისთვისაა ხელმისაწვდომი.



ილია ჭავჭავაძე



დიმიტრი ბაქრაძე



ივანე კერესელიძე

აჭარის მიმართ პირადად მის დიდ დამსახურებაზე ჯერჯერობით სერიოზულად არავის უმუშავია და ზოგჯერ ეპიზოდურად თუ გავიხსენებთ ხოლმე.

ამიტომაც ვცანით მიზანშეწონილად ამ წერილების გამოყოფა, განხილვა, კომენტარებითა და სამეცნიერო აპარატურით ცალკე გამოცემა. ეს აუცილებელია იმის გამოც, რომ სერგეი მესხის მოღვაწეობა გაზეთ „დროებაში" დაემთხვა იმ პერიოდს, როცა აჭარა ოსმალთა მფლობელობაში იყო და მის მაშინდელ მდგომარეობას, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველ მოღვაწეთაგან არავინ შეხებია; გარდა ამისა:

– სერგეი მესხი იყო რედაქტორი, რომელმაც ჯერ კიდევ ოსმალობის დროს, 1875-76 წწ. პირველმა დაუთმო თავისი გაზეთის გვერდები ამ კუთხის პატრიოტების წერილებს;

– სერგეი მესხი არის მომსწრე და მონაწილე იმ ისტორიული მოვლენებისა, რომლებიც წინ უსწრებდა აჭარის გათავისუფლების გეგმების შედგენას და საბოლოოდ მხარის უცხოელთაგან გამოხსნას, იგი განმათავისუფლებელ ჯარს პირადად შემოჰყვა ბათუმში;

– სერგეი მესხი არის ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც, ვითარცა თვითმხილველი, ესწრებოდა მრავალ ისტორიულ შეხვედრას, სტენოგრაფიულად იწერდა მომხდარ მოვლენებს და ცნობილ პიროვნებათა სიტყვებს;

– სერგეი მესხი პირადად შეხვდა და ნაცნობობა ჰქონდა აჭარის გათავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტებთან შერიფ და ნური ხიმშიაშვილებთან, ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეებთან, თავდგირიძეებთან, ხასან სურმანიძესთან და სხვებთან;

– სერგეი მესხი არის 1878 წლის 20 ნოემბრის ბანკეტის მონაწილე, რომელმაც შემოგვინახა ამ ნადიმის მომზადების, ჩატარების და გამომსვლელთა სიტყვების უნიკალური სტენოგრაფიული ჩანაწერები, რაც სხვა ავტორებთან არ გვხვდება;

– სერგეი მესხი არის ის პიროვნება, რომელმაც პირველმა თავის რედაქციაში დაიწყო შემოწირულობათა შეგროვება და თავისი ხელით ჩამოუტანა ფული დამშეულ ქობულეთელებს;

– სერგეი მესხი ილიას დავალებით აქტიურად მონაწილეობდა ახლადშემოერთებულ მხარეში სკოლების გახსნისათვის, რადგანაც მოსახლეობაში განათლების შეტანა მიაჩნდა ერონული გამოღვიძებისა და მხარის აღორძინება-განვითარების ერთ-ერთ მთავარ იარაღად;

– სერგეი მესხი გვევლინება ღრმად ერუდირებულ, ალღოიან, გონებამახვილ და ობიექტურ ჟურნალისტად, რომლის შორსმჭვრეტელური ვარაუდები არა უბრალოდ გასცდა იმდროინდელ ვითარებას, არამედ დღესაც, 120 წლის შემდეგ აქტუალურ და შემეცნებით მაგალითად იქცა.

ყოველივე ზემოთქმულში მკითხველი თავად დარწმუნდება, როცა სერგეი მესხის წერილებს გაეცნობა.

ბიოგრაფიული ცნობა: სერგეი სიმონის ძე მესხი დაიბადა 1845 წლის 12 ოქტომბერს (ძვ.სტ.) იმერეთის სოფელ რიონში (ახლანდელი წყალტუბოს რ.) დაბალი ჩინის მოხელის, ღარიბი აზნაურის სიმონ მესხისა და მაგდალინა მარკანიშვილის ოჯახში. მათ 13 შვილი შეეძინათ, რომელთაგან უმრავლესობა პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილ, ეროვნული თვითმყოფადობისათვის მებრძოლ მამულიშვილებად მოგვევლინენ: სერგეი (1845-1883), დიდი მოღვაწე, პუბლიცისტი და ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; ივანე (1849-1931), მუნიციპალური და საზოგადო მოღვაწე, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის დამაარსებელი (1888 წ.) და უცვლელი მდივანი (1917 წ-მდე); კოტე (1857-1914), ცნობილი მსახიობი; დავითი (1860-1943) პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი; ეფემია (1862-1941) მსახიობი, აგრეთვე ანა, ნინო, გიორგი და ნესტორი. 1856-1863 წწ სერგეი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.



იეანე მესხი

სტუდენტობის დროს სერგეი მესხი აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა და კავკასიელთა არალეგალური წრეების საქმიანობაში. იყო ამ წრეების ხელმძღვანელი, კომიტეტის წევრი. პეტერბურგში ს.მესხის მსოფლმხედველობა რუს დემოკრატთა იდეებით ჩამოყალიბდა.

1867 წელს ს.მესხი ქუთაისს დაბრუნდა, სადაც დანიშნეს სახელმწიფო ქონებათა გამგებლობის მდივნად. 1868 წელს ის ახლად დაარსებულ გაზეთ „დროების" რედაქტორად მიიწვიეს, რაც ახალგაზრდა მოღვაწისათვის იყო ჭეშმარიტი გამოცდა – დარჩებოდა ჩინოვნიკის მაღალ თანამდებობაზე და კარგ ანაზღაურებაზე, თუ გადავიდოდა რედაქტორის მძიმე, დაუფასებელ, სარისკო

და მთავრობის მხრიდან ყოველდღიური თვალთვალის ქვეშ მყოფ და შედარებით დაბალ ანაზღაურებად. მაგრამ საკუთარი ერისა და მამულისათვის სარეპლობისმომტან თანამდებობაზე. სერგეი მესხმა მეორე გზა აირჩია და მალე გაზეთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების კერად გადააქცია. მისი პირადი ინიციატივით გაზეთი ინფორმაციებს ღებულობდა რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან, სისტემატიურად აშუქებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. ს.მესხი, არ ღალატობდა ქართველი სამოციანელების ტრადიციებს და ყოველმხრივ ცდილობდა გაზეთი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა, ამავე დროს თავგამოდებით იცავდა რეალიზმს, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ძირითად და სასარგებლო მეთოდს.

1873-1874 წწ ს.მესხი საფრანგეთში იყო. აქ ის ეცნობოდა ფრანგულ პრესას, ლიტერატურას, პროგრესულ მოღვაწეებს, აქვე შეხვედრები ჰქონდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფთან, მათ შორის ეკატერინე გრიგოლის ასულ მელიქიშვილთან (1854-1928 წწ.), რომელთანაც სამშობლოში დაბრუნებისთანავე იქორწინა. კეკე მისი ცხოვრებისა და საქმიანობის მუდმივი თანამგზავრი გახდა.



ეკატერინე მელიქიშვილი

სერგეი მესხი „ახალი ახალგაზრდობის“ ლიტერატურული ჯგუფის წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის გამართულ ბრძოლაში.

ს.მესხის წერილებში განხილული იყო ქართული ლიტერატურის თანამედროვინდელი მდგომარეობა, ავტორი ეხებოდა კრიტიკის თეორიასა და პრაქტიკას, ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურულ ენას, თეატრსა და დრამატურგიას. მან ვრცელი წერილები

მიუძღვნა გ.ერისთავის, რ.ერისთავის, ი.ჭავჭავაძის, ა.ფურცელაძის, ა.წერეთლის, გ.ვოლსკის, გ.სუნდუკიანის და სხვათა შემოქმედებას, თარგმნა ვ.ჰიუგოს, ა.დოდეს და სხვათა ნაწარმოებები. ს.მესხის კალ-



ზაქარია ჭიჭინაძე



ანტონ ფურცელაძე

ამს ეკუთვნის ორიგინალური მოთხრობა „ორი სიყვარული“ და პიესა „ხუმრობა“.

ს.მესხის პუბლიცისტიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფიული წერილები შორეული მომავლის შემოქმედებაა. კითხულობ ამ შორსმჭვრეტელურ წერილებსა და გეჩვენება, რომ ისინი დღეს, ჩვენს თვალწინ დაიწერა, იმდენად შთამაგონებელი და ჭკუის მასწავლებელია ჩვენი თაობისათვის.

ს.მესხმა „დროების“ რედაქტორად შეუცვლელად იმუშავა 14 წელი, მაგრამ მის ორგანიზმს მალე დააჩნდა დაძაბული შრომის მძიმე კვალი, რის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა საყვარელი საქმე. გულით დაავადებულს, გაუჩნდა საბედისწერო გართულება – ანევრიზმა და 1883 წლის 21 ივლისს (ძვ.სტ.), აბასთუმანში ყოფნისას, მეუღლისა და ძმის, დავითის თვალწინ მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალეს მშობლიურ სოფელ რიონში.

მოამაგე მოყვრისათვის...



გიორგი ყაზბეგი

ქართველ მოღაწეთაგან სერგეი მესხი ერთერთი გამონაკლისი იყო, რომელიც თავისი სტატიებით ჯერ კიდევ უცხოელთა ხელში მყოფ „ოსმალოს საქართველოს“ შეეხო. ამის საფუძველი 1875 წელს მას მისცა მიტაცებულ პროვინციებში გიორგი ყაზბეგის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა (Три месяца в Турецкой Грузии. Тифлис. 1875 г.) გამოქვეყნებამ, რომელიც ს.მესხმა მოკლე რეცენზიით მიმოიხილა. ამის შემდეგ, 8 წლის განმავლობაში სერგეი მესხის წერილები ისეთი შინაარსობრივი თანმიმდევრობით იწერება, რომ მთლიანობაში ერთი დიდი ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომაც მე ამ თანმიმდევრობას მივყვები.

პირველივე წერილში ავტორი ეხება მოსახლეობის რიცხობრივ შემადგენლობას, ძალმომრეობით სარწმუნოების შეცვლას და სიხარულით აცხადებს, რომ „ჯვრის მეტი იმათ არა შეუცვლიათ რა, და ისიც მხოლოდ ძალდატანებითა და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს. სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრება ისევ ძველი, ქართველური აქვთ“ (გაზ. „დროება“, №76, 6 ივლისი 1875 წ.).

ამავე სტატიაში სერგეი მესხი გულისტკივილით ამბობს, რომ ქართულ ლიტერატურაში სამუსლიმანო საქართველოზე არაფერი თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეების მცხოვრებნი ძმებად გვთლიან, ჩვენ კი ოსმალოებს ვეძახითო, ამიტომ ის პირდება ყველას, რომ „დიდის მადლობით მიიღებს ყოველს, მცირეც არის, ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში". გაზეთს კერძოპირობით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს" (იქვე)

ნათქვამს შედეგიც მალე მოჰყვა. აჭარაში ოსმალთა მფლობელობის დროს, 1875-1876 წლებში „დროებაში" გამოჩნდა პატრიოტული იდეებით გამსჭვალული წერილები, ლექსები და ინფორმაციები, რომელთა ავტორები იყვნენ აჭარისა და ლაზეთის მოწინავე ადამიანები: ისმაილ თამაზაშვილი, მუხამედ ირემაძე, ახმედ კაიკაციშვილი, გულო კაიკაციშვილი, ასლან მესხიძე,ოსმან მაშულაძე, ყადირ ჟორდანია, მემედ შაეიშვილი და სხვა.



გულო კაიკაციშვილი

როგორც ცნობილია 1875 წელს ოსმალეთი უსამართლო ომს აწარმოებდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში. აგრესორ ქვეყანაში გამოცხადდა საყოველთაო გაწვევა, რაც ბუნებრივია, აჭარასაც შეეხო. როგორც ს.მესხის ერთ-ერთი სტატიიდან ირკვევა, მიუხედავად დიდი მუქარა-რეპრესიებისა, ქობულეთის მოსახლეობამ უარი განაცხადა ჯარში წასვლაზე და ამით პირდაპირ თუ არაპირდაპირ სოლიდარობა გამოუცხადა სლავ ხალხს. სტატიის ავტორი იწონებს ქობულეთელთა წინააღმდეგობას და ქართველ საზოგადოებას დახმარებისაკენ მოუწოდებს: „თუ უსამართლობისაგან დაჩაგრულ და მოთმინებიდან გამოსულ ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ" („დროება", №106, 7 სექტემბერი, 1875 წ.).

ბალკანეთში საომარი მოქმედებების შემდეგ სულ უფრო გახშირდა ხმები ამ ომში რუსეთის ჩარევაზე, რაც ქართველ მოღვაწეებს დაკარგული მიწებისა და მოძმეების დაბრუნების დიდ იმედებს უსახავდა. მათ შორის იყო სერგეი მესხიც, რომელიც ამავე დროს სწორად აანალიზებდა ევროპის ქვეყნების განწყობილებას ოსმალეთთან მიმართებაში. მან კარგად იცოდა, რომ ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთს არ უნდოდათ ოსმალეთს დაეკარგა დაპყრობილი მიწები. რუსეთი კი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა სლავიანური მიწები ოსმალოს დამოკიდებულებისაგან გაეთავისულებინა („დროება“, №102, 24 სექტემბერი, 1876 წ.).

რუსეთის ხელისუფლება კარგად გრძნობდა, რომ ამ ომში წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის ორიენტაციაზე, ამიტომ აუცილებლად ჩათვალა არმიასთან ერთად საომარ მოქმედებაში მონაწილეობა მიეღო ქართულ მილიციასაც, რომლის ნაწილი გავიდოდა ბრძოლის ველზე, ხოლო ნაწილი დარჩებოდა ადგილებზე წესრიგის დასამყარებლად. „როგორ მოიქცევიან ისინი, რა კაცობასა და ვაჟკაცობას გამოიჩენენ, ეს იმათ ქართველობაზე, იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული“-ო, ამბობს ს.მესხი. როგორც საომარი მოქმედებების უამრავი მაგალითი გვაუწყებს, ქართულმა მილიციამ ჭეშმარიტი გმირობა გამოავლინა და ღირსეული წვლილი შეიტანა უცხოელთაგან მიტაცებული ქართული მიწების გამოხსნაში.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ ომის წინა პერიოდის მაგალითზე ს.მესხი გვაწვდის საოცრად ღრმად გათვლილ მოსაზრებებს, რომლებიც დღევანდელი საქართველოსათვის ჭეშმარიტ სახელმძღვანელო ლოზუნგად გაისმის. იგი თვლის, რომ სანამ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა კაცურად ვერ გადაუწყვეტიათ, მანამდე ომიანობა არ მოისპობა. მხეცურ ძალას მხეცურადვე უნდა გაუსწორდე, დაჩაგრული, უმწეო ადამიანები დიდი ხნის ძმობას და მეგობრობას ქადაგებენ, მაგრამ აქედან არ-

აყვრი გაძოვიდა. ძლიერი თავისას არ იშლის, ძალადობას თავს არ ანებებს. ამიტომ სანამ ეს ასეა, „ვანამ კაცს ლეჩაქი არ უნდა ეხუროს, მანამ ყოველი სალხი სამხედრო საქმეებში უნდა ვარჯიშობდეს და ყოველთვის მზად უნდა იყვეს, რომ მოიხტომს, მტერს, მოწინააღმდეგეს დაუსვლეს და პასუხი გასცეს" (გაზ. „ცნობა". №125, 19 ნოემბერი, №128, 26 ნოემბერი 1876 წ.). ძალიან რარიგ საჭირო შეგონებაა დღევანდელი საქართველოსათვის.

სერგი მესხის ერთ-ერთი წერილი, „ბრძოლის ასპარეზი", რომელიც 1877 წელს დაიწერა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ს.მესხის არქივში ინახება (საბ. №12) და შეტანილია მისივე თხზულებების მე-2 ტომში. ერთჯერ კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს გრიგოლ გურიელისა და გიორგი ყაზბეგის სამუსლიმანო საქართველოში მოგზაურობის ძიზანს. ავტორს კარგად ესმის, რომ დაკარგული ქართული მიწების დაბრუნებას რუსეთი ვერ შეძლებს თუ ადგილობრივი მცხოვრებლები მისი მოწინააღმდეგენი იქნებიან და მხარს არ დაუჭერენ. თუ ამას არ გააკეთებენ გაჩერდნენ და ნურცერთ მხარეს ნუ დადგებიან. ჩვენთვის ესეც სასარგებლო იქნებაო. შემდეგ ს.მესხი გიორგი ყაზბეგის მიერ შედგენილ სტრატეგიას ეხება, მხარს უჭერს მას და ამბობს, რომ აუცილებელია ომის დაწყებისთანავე ბათუმი დავიკავოთ, რათა მოწინააღმდეგეს წავართვათ კავკასიაში შემოსასვლელი კარი და ყარსის გზებიო. ბათუმის ხელში ჩასაგდებად კი ჯერ კინტრიშის მინდორი და ციხისძირის სიმაგრეები ჩავიგდოთ ხელშიო. ამისათვის რუსეთის ჯარი არ გამოდგება, რადგან ადგილობრივ ჰავას ვერ შეეგუება, ამიტომ აუცილებელია გურიის, იმერეთის და სამეგრელოს მცხოვრებთაგან მილიციის რაზმების შედგენა და, რაც მთავარია, ადგილობრივი მუსულმანი ქართველების მხარდაჭერაო (ს.მესხი. თხზულებანი. ტ.2. თბილისი, 1963. გვ. 313-317).

* * *



დავით ყიფიანი

1877 წლის აგვისტოში ს.მესხი ფრონტის ხაზზეა თავის სამ თანამგ-ზავრთან ერთად. ესენი იყვნენ: „მაღალი და სქელი ნოტარიუსი, დაბალი და ჩარგვალებული გამომძიებელი სუდისა, გაგრძელებულ-გაწვრილებული გამომცემელი გაზეთისა...“ სამწუხაროდ მათ გვარებს ავტორი არ გვაცნობს. მაგრამ ჩვენი აზრით ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ გაზეთის გამომცემელი უნდა იყოს სტეფანე მელიქიშვილი.. ხოლო მეორე თბილისის მაშინდელი ნოტარიუსი დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი. ისინი ჯერ ოზურგეთში ეწვიენენ გრიგოლ გურიელს, სადაც მათ შეუერთდათ ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი. სწორედ მისი მონაყოლით აღწერს „უბრალო მოკვდავი ტურისტი და დამკვირვებელი“, სამხედრო მეცნიერებაში გაუთვითცნობიერებელი სერგეი მესხი სამხედრო ბანაკებს, იმათ პოზიციებს, ჯარების განაწილებას, ლოჟმენტებს, ტრანშეებსა და ა.შ. ყოველივე ეს განლაგებულ იყო მუხაესტატეში, სადაც მზადდებოდა იერიში პირველ რიგში ციხისძირის დასალაშქრავად. ეს უკანასკნელი კი ყველაზე რთულ პოზიციად ითვლებოდა. მით უმეტეს, რომ იქვე სუცუბანში ოსმალეთის ჯარი იდგა და საკმაოდ კარგი პოზიცია ეკავა.

ფრონტის წინა ხაზზე სერგეი მესხი შეხვდა მრავალ ქართველ და რუს ოფიცერსა და მხედართმთავარს. ზოგიერთი მათგანის გვარს ასახელებს. ზოგს კი მისი საქმიანობითაც ახასიათებს. მათ შორის არიან გენერლები: ალხაზიშვილი, დანიბეგაშვილი, კონსტანტინე კომაროვი, ოკლობჟიო, სვიატოპოლკ-მირსკი, შელმატოვი (ალბათ შელემეტიევი) და სხვ.

სხვათაშორის გენერალი ოკლობჟიო იმ სარდალთაგანია, რომელიც ოფიცრებსა და მებრძოლებს მოუწოდებდა: „დე, გახსოვდეთ,



კონსტანტინე კომაროვი

რომ ჩვენს წინ გაშლილია ძველი ქრისტიანული საქართველოს მინდვრები და მთები, რომლის მოსახლეობა წარმოშობით და ენით ეკუთვნის იმ საერთო ოჯახს, რომელთა ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად საერთო საქმისათვის ჩვენს რიგებში დგას" (საქ. ცენტრ. სამხ. ისტ. არქ ფ. 485, ს. 2653, ფურც. 77).

სერგეი მესხის მიერ მოხსენებული გენერალი კომაროვი კონსტანტინე პესარიონის ძე არტაანის რაზმის უფროსი იყო. ომის დამთავრების შემდეგ ბათუმის ოლქის ვენერალ გუბერნატორი გახდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ ომში მონაწილეობდა მეორე კომაროვი (პირველის ძმა) ალექსანდრე, გენერალ-ლეიტენანტი, რომელმაც 1878 წლის 6 იანვარს შეცვალა ქობულეთის რაზმის უფროსი გენერალი დანიბეგაშვილი. მის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გიორგი წერეთელი: გენერალი კომაროვი გურულებსა და ქართულ რაზმებს ქართულად მიმართავდა. ეს მათთვის, ჩანს, სასიამოვნო იყო. გენერალ კომაროვს მეუღლედ სომხის ქალი ჰყავდა და სომხურიც ისევე იცოდა, როგორც ქართული" (პუბლიცისტიკა, თბ. 1973. გვ. 83). 1878 წ. ზაფხულში ალ.კომაროვი მაჭახელში ყოფილა და დავით წერეთელს შეხვედრია (ჟურნ. „იერია", №47, 1878 წ.)

მომდევნო პერიოდშიც ს.მესხი არაერთხელ ეხება რუსეთ-თურქეთის ომის პერიპეტიებს, მაგრამ ჩვენ ამაზე აღარ შევჩერდებით. მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელშიც აშკარად ჩანს მისი დიდი გამჭრიახობა, დაკვირვებულობა და ალღო. მისი აზრით, ამ ომის მთავარი შედეგი ის იქნება, რომ რუსეთი გააძლიერებს თავის გავლენას ევროპაზე, უფლებას მოიპოვებს შავ ზღვაზე იყოლიოს ფლოტი, დაიბრუნებს მიწებს ბათუმიდან ყარსამდე, რაც მთავარია,

ბალკანეთის ქვეყნები უფრო მეტ თავისუფლებას მოიპოვებენ, რითაც რუსეთი ამ ქვეყნებზე განსაკუთრებით გააძლიერებს თავის გავლენასო. როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაგვარწმუნა, ს.მესხის ყველა ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. განსაკუთრებული დავა გამოიწვია ბათუმმა; ვის დარჩებოდა ეს შესანიშნავი ნავსადგური, ოსმალეთს თუ რუსეთს? იყო მესამე გზაც – ბათუმი გამოცხადებულიყო პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ ნავსადგურად.

დიდ სახელმწიფოთა ამ გაწევ-გამოწევის ფონზე აღარავის ეცალა მოეკითხა, რა ხდებოდა ომის შემდგომ პერიოდში სამუსლიმანო საქართველოში, როგორი იყო ხალხის განწყობილება და რას სჩადიოდნენ აქაური მმართველები.

რუსები არ ისვენებდნენ, რადგანაც შერიფ ხიმშიაშვილის მიმხრობის ან რაღაც ხრიკებით გავლენის ქვეშ მოქცევის გარეშე აჭარის შემოერთება შეუძლებელი გახდა. ამოქმედდა მზაკვრობა, ვერაგული დიპლომატია. 1876 წლის ერთ მრუმე ღამეს სხალთაში შერიფის უსაყვარლესი შვილი მურთაზ-ბეგი მძინარე მოკლეს. იმავ დღეს ხმა გაავრცელეს, რომ ეს საშინელება თვით მამამ ჩაიდინაო. იმავე წლის ივნისში შერიფი ოსმალებმა დაატუსაღეს და არზრუმის ციხეში ჩასვეს.

დაპატიმრებულ და სახელგატეხილ შერიფს რუსები გამოესარჩლნენ. რუსეთის კონსული არზრუმში თავის ელჩს კონსტანტინეპოლში წერდა: „თქვენთვის უდაოდ ცნობილია ის უდიდესი და უსაზღვრო ზეგავლენა, რომლითაც შერიფ-ბეგი სარგებლობს აჭარაში და ჭანეთში... გარდუვალი აუცილებლობაა მივიმხროთ შერიფ-ბეგი... რათა მხოლოდ ჩვენში ხედავდეს ერთერთ ძლიერ და თავის ღირსეულ დასაყრდენს... შერიფ-ბეგმა შეიძლება ჩვენ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს“

და შემდეგ: „თქვენ მე მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, იმოქმედოთ საიდუმლოდ... იმ შემთხვევაში, თუ საქმე შერიფ-ბეგის და ჩვენთვის არახელსაყრელად დამთავრდება, ხელი შეუწყვეთ მის გაქცევას თბილისში“ ასეც მოხდა. შერიფი საიდუმლოდ თბილისში ჩავიდა და პირველად ნახა დედაქალაქი (დაწვრილებით იხ. რ.სურმანიძე „1876 წლის მკვლელობა სხალთაში“. „ლიტერატურული აჭარა“, №6, 1998. გვ. 78-89).

მოწინავე ქართველ მამულიშვილთა პირდაპირმა კონტაქტებმა შედეგი ვამოიღო და აჭარის მმართველი შერიფ ხიმშიაშვილი იმთავითვე დადგა ქართულ ორიენტაციაზე. თავის სამფლობელოში მას მომხრეებიც ჰყავდა, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგეებიც, რომელთაც მიაჩნდათ, რომ რუსეთის შემოსვლა მათ დიდ უბედურებას, რჯულის შელახვას, სინდისის შეურაცხყოფას, სიღატაკეს და სისასტიკეს უქადდა. ასეთი განწყობილება საერთო ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. აჭარის მოსახლეობა სხვადასხვა ჯურის მრჩეველ-ავიტატორთა გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც საშიში სახე მიიღო. დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რომელიც პირველ რიგში წინამძღოლთა წინააღმდეგ იყო მიმართული. აჭარაში დაბრუნებული შერიფ ხიმშიაშვილი დიდხანს ეწეოდა ორმაგ თამაშს, ცდილობდა ოსმალეთის ხელისუფლება და საკუთარი ხალხი დაერწმუნებინა რუსეთისადმი სიძულვილში, სინამდვილეში რუსეთის მხედრობას საიდუმლოდ აცნობებდა თავის მზადყოფნას უსისხლოდ დაეთმო აჭარა. ბოლოსდაბოლოს ოსმალეთის ხელისუფლება გონს მოეგო, ხალხმაც ეჭვი მიიტანა შერიფ-ბეგზე, ამიტომ ის იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი სამფლობელო და ჯერ ახალციხეში, ხოლო შემდეგ თბილისში გახიზნულიყო.

თბილისში სტუმრის მიმართ ყველა დიდ ინტერესს იჩენდა, გამონაკლისი არც სერგეი მესხი იყო. მისთვის ცნობილი გახდა, რომ შერიფ ხიმშიაშვილი და მიხეილ მეფისაშვილი – არტაანის მაზრის მმართველი, ოჯახში მიიწვია სტეფანე მელიქიშვილმა. ეს უკანასკნელი სერეგი მესხის ცოლის ეკატერინეს ძმა იყო და წამყვანი ქართული გაზეთის „დროების“ მთავარი რედაქტორი ამ ხელსაყრელ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ვფიქრობ უინტერესო არ იქნება მკითხველმა გაიგოს, რატომ მაინცდამაინც სტეფანე მელიქიშვილის ოჯახში მოხვდა აჭარის მაშინდელი მმართველი: როგორც ცნობილია მელიქიშვილების ერთი შტო წარმოშობით აჭარის სოფელ ჟანივრიდან იყო. სარწმუნოების შეცვლის (1730 წ.), თუ შავი ჭირის დიდი ეპ-

იდემიის (1810 წ.) დროს ამ გვარის წარმომადგენელთა ნაწილი აჭარას ვაეცალა და ახალციხე-ადიგენში დასახლდა. აქ მათ მიიღეს კათოლიკური სარწმუნოება, ხოლო გასული საუკუნის 40-იან წლებში თბილისში გადასახლდნენ. სწორედ ამ მელიქიშვილთა წარმომადგენელი იყო სტეფანე. დიდი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსის პეტრე მელიქიშვილის უფროსი ძმა. გამორიცხული არაა, რომ ამ გვარის წარმომადგენლებს ძველი კავშირები ჰქონოდათ აჭარელ ხიმშიაშვილებთან.



სტეფანე მელიქიშვილი

სხვათაშორის, სტეფანე მელიქიშვილს მეგობრულ წრეში მელიქ-აღასაც უწოდებდნენ, რაც გრ.ორბელიანმა თავის პოლემიკურ ლექსშიც შეიტანა: „მესხი, მეველე, მელიქ-აღები“, ხოლო თვით სერგეი მესხს აჭარაში სერგი-ბეგად მოიხსენიებდნენ: „სამოწყალო ფულები მოგვიტანა სერგი-ბეგმა“, „ამისთანა სახე ქონდა სერგი-ბეგს, ტყუილი არ უნდა იცოდეს“ (ახმედაღა კაიკაციშვილი. „დროება“, 17.06.1879 წ.). ვფიქრობთ ასეთი წოდებებით ამ პიროვნებების მოხსენიება ერთგვარად მიგვანიშნებს მათს ახლო (ნათესაურ) კავშირზე სამუსლიმანო საქართველოსთან, კერძოდ აჭარასთან. სხვა ქართველ მოღვაწეთა მიმართ ასეთი რამ არსად შეგვხვედრია. სხვათაშორის, თავად სერგეი თავის ახალ ზედწოდებას უცვლელად ბეჭდავს თავის გაზეთში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თვითონაც მხარს უჭერს ძველ აჭარლებთან მოყვრობასა და ახლობლობას.

ამ შეხვედრამ შერიფ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიიდან მრავალი საინტერესო მომენტი შემოგვინახა, რაც სხვა ავტორების ჩანაწერებში არ არის. სერგეი მესხი დაწვრილებით აღწერს შერიფბეგის გარეგნობას, მიხვრა-მოხვრას, საუბრის ხასიათს და აღნ-

იშნავს, რომ პირველი შეხედვისთანავე ეტყობა, რომ ეს არის „დიდი კაცი“: გადაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თეთრი კანი, ნაზი ხელები, დინჯი დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი. ავტორის თქმით, სტუმარს ქართულად ემოსა და წმინდა ქართულით მეტყველებდა. საყურადღებოა, რომ შერიფს და მიხეილ მეფისაშვილს თურმე ერთი ძიძის ძუძუ უწოვიათ, ამიტომ არაა გასაკვირი მათი ასეთი სიახლოვე და ისიც, რომ „შერიფ-ბეგის ჩვენკენ მომხრობა, უეჭველია იმას (მიხეილ მეფისაშვილს, რ.ს.) მიეწერებაო“ (გაზ. „დროება“, №126, 27 იუნისი, 1878 წ.).

როგორც ჩანს, შერიფ-ბეგის საუბარი ს.მესხს სტენოგრაფიულად ჩაუწერია და ასევე უცვლელად გამოუქვეყნებია თავის გაზეთში. აქ დასურათებულია აჭარის მოსახლეობის იმდროინდელი მდგომარეობა, მათი განწყობილება, ეკონომიკური შესაძლებლობები, აღებ-მიცემობა, განათლების საკალალო დონე, ქართული ენის დაცვა და ა.შ. მთავარი, რაც სერგეი მესხს აინტერესებდა, ეს იყო, მოისურვებდა თუ არა აჭარის მოსახლეობა საქართველოს მხარეზე დადგომას. სწორედ ამ კითხვით მიმართა მან შერიფ-ბეგს.

– რატომ არა, ბატონო; თუ ბრძანება იქნება, იგინი როგორ გაბედავენ წინააღმდეგობას – იყო პასუხი. თუმცა სტუმარს აქვე აღუნიშნავს, როგორ დაესხნენ სხალთას, როგორ გადაუწვეს სახლ-კარი, ბოლო მომენტამდე როგორ „აღორებდა“ (ატყუებდა) დევრიშ-ფაშას და ბოლოს როგორ გახიზნა ცოლ-შვილი არტაანში, თავად კი თბილისს მოაშურა.

სწორედ ამ სადილზე გაიჟღერა შერიფ ხიმშიაშვილის პირველმა თხოვნამ ქართველი საზოგადოებისადმი, რომელიც შემდეგ სამოქმედო ლოზუგად იქცა: „კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული... განათლებაი ეჭირება, ბატონო იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურად დატოვოთ?!“ (იქვე).

მალე ოსმალეთმა ბათუმი მართლაც დაუთმო რუსეთს, მაგრამ იმ პირობით, რომ იქნებოდა თავისუფალი ნავსადგური. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს უფლება არ ჰქონდა ქალაქი გაემაგრებინა ციხეებით და აქ ჰყოლოდა მუდმივი ფლოტი. ეს იდეა ინგლისელებისაგან მოდიოდა და ამიტომ მოსალოდნელიც იყო რომ ასეთი პორტით ყველაზე მეტად სწორედ ისინი ისარგებლებდნენ, რადგანაც ფლობდნენ მდიდარ ფლოტს, გაჩაღებული ჰქონდათ საზღვაო ვაჭრობა და ა.შ.

ამგვარად სან-სტეფანოს ზავის თანახმად თითქოს ქართველთა საუკუნეობრივი ოცნებაც აღსრულდა, მაგრამ ს.მეხის თქმით, ახლა იყო საჭირო დიდი სიფრთხილე, წინდახედული მოქმედება და გამჭრიახობა, რომ ამ ახლად შემოერთებულ მხარეებში გამგებლებად დაენიშნათ ისეთი პიროვნებები, რომლებმაც „არათუ ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, არამედ თვით ცრუმორწმუნეობაც კი მიიღონ მხედველობაში და შეიწყნარონ“ („დროება“, №132, 5 ივლისი, 1878 წ.).

ახლადგაცნობილ მოძმეებთან ურთიერთობის განმტკიცების მრავალი საშუალება არსებობსო, ამბობს სერგეი მესხი: ხშირი მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მაგრამ მთავარ საშუალებად ის თვლის მაჰმადიან ქართველებში წერა-კითხვის გავრცელებას, რაც შეიძლება ბევრი ქართული სკოლის გახსნას. ამისათვის კი აუცილებელია საკმაო რაოდენობის მასწავლებლების მომზადებაო და მიუთითებს იმ სასწავლებლებზე, კერძოდ ალექსანდროვის ინსტიტუტზე და გორის სასულიერო სემინარიაზე, რომლებმაც აჭარისათვის საგანგებოდ უნდა მოამზადონ ქართველი მასწავლებლებიო.

სერგეი მესხი ერთ-ერთ ძირითად საკითხად სახელმძღვანელოებსაც ასახელებს და თვლის, რომ უკვე არსებული სახელმძღვანელოები საკმარისი არ არის და საჭირო იქნება ზოგიერთი წიგნის ახლად გამოცემა, კერძოდ საქართველოს პატარა ისტორიის, არითმეტიკის, გეოგრაფიის და ა.შ.

ამ სტატიაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სარწმუნოებას. აკეთებს შორსმჭვრეტელურ დასკვნებს, რომელიც

დღეს, ჩვენს დროშიც ძალაში რჩება, კერძოდ შეახსენებს საზოგადოებას, რომ ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ მათს გაქრისტიანებას, თორემ თავიდანვე განზე დაგვიწყებენ ყურებასო. „სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი... არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ თავისთავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობას და ერთობას“ („დროება“, №146 21 იულისი, №147, 22 იულისი, 1878 წ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისი დაინტერესებული იყო ბათუმი ოსმალეთს დარჩენოდა, რადგან ამით უფრო მეტ სარგებელს მოელოდა. ეს ასე არ მოხდა. ბათუმი რუსეთს გადაეცა, მართალია, პორტო-ფრანკოს სტატუსით, მაგრამ ინგლისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს სტატუსი დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ქალაქ-პორტს მალე რუსეთი მთლიანად დაეუფლებოდა. ამიტომ ინგლისის ემისრები ადგილობრივ ფანატიკოს მუსულმანებთან ერთად ცდილობდნენ ხალხის ჩაგონებას, რათა მათ წინააღმდეგობა გაეწიათ და რუსები ბათუმში არ შემოეშვათ. ასეთი მზაკვრული გადაწყვეტილება საერთო ქართულ საქმეს კარგს არაფერს უქადდა, მოსალოდნელი იყო ბათუმის ოლქი კვლავ ოსმალთა ხელში დარჩენილიყო. ამ საშიშ ვითარებას მწვავედ ეხმაურება სერგეი მესხი; მისი აზრით ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად „უპირველესი და საუკეთესო საშუალება ის არის, რომ ბათუმში შემავალ რუსის ჯარებმა თავისი მოქმედებით, თავისი კეთილშობილურის ქცევით დაუმტკიცონ ხალხს, რომ ისინი (რუსობის წარმომადგენელნი) მართლა მტრებად, მართლა ქვეყნის ასაკლებად და ხალხის გასაჟლეტად კი არ მოდიან, როგორც მოლები და სხვები უქადაგებდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, არამედ მოდიან როგორც თანამოძმენი, როგორც მეგობრები“ („დროება“, №164, 13 აგვისტო, 1878 წ.).

ამის ერთ-ერთ პირობად ავტორი საჭიროდ თვლის ჯარის წინამძღოლებად ამორჩეულ იქნან ისეთი ქართველი მამულიშვილები,

რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა კარგ კაცებად თვლის, ასეთებს კი მიაკუთვნებს გრიგოლ გურიელს, მიხეილ მეფისაშვილსა და სხვებს.

ეს ნაწილობრივ ასეც მომხდარა. გრიგოლ გურიელისათვის დაუვალებიათ ოსმალოს ხელისუფლებისაგან ქონების, თოფ-იარაღის, არქივის ჩაბარება: „სადაც კი თავადი გრ.გურიელი გამოჩნდა, იქ ხალხი სიტყვაამოუღებლად დამორჩილდა და ერთსაც არ განუზრახავს წინააღმდეგობაო“ („დროება“ №171, 24 აგვისტო, 1878 წ.). ამავე წერილში ს.მესხი ერთ მეტად საინტერესო ამბავს გვაუწყებს, რომელზეც დღემდე მკვლევარებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. როცა ინგლისი დარწმუნდა, რომ ბათუმი საბოლოოდ რუსეთს დარჩებოდა, კეთილგონიერება გამოიჩინა. ამაზე მეტყველებს ბარათი, რომელიც ტრაპიზონში ინგლისის კონსულს ბათუმელი კათოლიკე მღვდლისათვის გამოუგზავნია; ამ ბარათში მოკლედ ეწერა, რომ რაკი ბერლინის კონგრესმა გადაწყვიტა, ძალაუნებურად რუსეთს უნდა დაემორჩილოთ, ინგლისის შემწეობის იმედი ნუ გექნებათო. ეს წერილი დევრიშ-ფაშის ხელში მოხვედრილა, რომელსაც ქობულეთისა და ბათუმის მოწინავე პირებისათვის გაუცვნია. სწორედ ამას დაუშოშმინებია რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი (იქვე).

21 აგვისტოს ს.მესხი ბათუმისაკენ გამოემართა. მეორე დღესვე ოზურგეთს მოაღწია „ჩვენებური ტროიკით სამაგელ გზაზე დამტვრეულ-დაჟეჟილმა და დამჟღლეულმა“. ის თან გაჰყვა ჯარის ნაწილებს, რომლებიც ზედიზედ იკავებდნენ ხუცუბანს, ციხისძირს, ჩაქვსა და სხვა სოფლებს. ხმა დაირხა თითქოს ამ გზაზე 10000-მდე შეიარაღებული ლაზები და აჭარლები პირებენ გამოსვლასო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. მართალია მათი რიცხვი ამაზე მეტიც იყო, მაგრამ გრიგოლ გურიელის, ხუსეინ ბეჟანიძის და აჭარის მოწინავე სასულიერო პირების აგიტაციამ გაჭრა, ხალხმა იარაღი ჩააბარა და ბედს შეურიგდა. ჯარებმა ისე გაიარეს მთელი გზა, რომ ერთი თოფიც არ გავარდნილა.

1878 წლის 25 აგვისტოს, „სწორედ შუადღეს, ღენ.ადიუტ. თ.სვიატოპოლკ-მირსკი და მასთან დიდი ამალა და ჩაჩი პოლკი რუსის და ჩვენებური ჯარი და თქვენი ძორჩილი მონაც შეველით ბათუმში" – წერს სერგეი მესხი ერთ-ერთ თავის წერილში. საყურადღებოა, რომ საქართველოსათვის ამ ერთობ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მემატიანეებად ორი ქართველი თერგდალეული კორესპონდენტი გვეელინებიან: სერგეი მესხი და გიორგი წერეთელი.



გიორგი წერეთელი

სანამ უშუალოდ ბათუმში შესვლაზე გვიამბობდეს, ს.მესხი აღწერს გზას შუხაესტატედან ბათუმამდე, ქობულეთს, ხუცუბანს, ციხისძირს, უფრო ვრცლად ქობულეთზე ჩერდება, სადაც, მისი თქმით, ორიათასამდე მცხოვრებია (საკუთრივ ქალაქში). ოვით მაზრიდან უკვე 1500-მდე სული ოსმალეთში გადასახლდაო, ამბობს ავტორი. როგორც სჩანს, ეს არის ქობულეთიდან აყრილთა პირველი ნაკადი, რომელიც ადვილად წამოეგო გავრცელებულ ჭორებს და რუსული მმართველობის შემოღებამდე, ნაჩქარევად მიატოვა მშობლიური მიწა. როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, ამ საქმეში მოძალადეებმაც იმარჯვეს.

ს.მესხი აღწერს ქობულეთის დუქნებს, სადაც იყიდებოდა ჩითეულობა, საჭმელ-სასმელი, ხილი, აქაურებზე კი არ იშურებს კეთილ სიტყვებს: „ხალხი მშვენიერი, საამო დასანახავია, კარგათ მოყვანილები, ცოცხალთვალებიანი – ცეცხლი გადმოდისთო, მსწრაფი, მარჯვე: ცხენზე ისე თამამად ზის თითქო დედა-მიწაზედ დადისო" („დროება", №175, 31 აგვისტო. 1878 წ.).

24 აგვისტო ს.მესხს ჩაქვში გაუთევია, სადაც მას უმასპინძლა იქაურმა ბეგმა ხუსეინ ბეჟანიძემ. ჩვენი კორესპონდენტი აღწერს ჩაქვის ისტორიას და აღნიშნავს, რომ ხუსეინ-ბეგი თავის კაზაში ძალზე გავლენიანი კაცია, აქაურები ყველაფერს მას ეკითხებიან

და რჩევა-დარიგებას ღებულობდა. უკლერებენ კიდეც. სწორედ ძისი რჩევით მრავალმა ჩაქველმა უარი თქვა ბუსაკირობაზედ. ხუსეინპეკი ჩინებული მექართულეა. მის ოჯახში ქველად იცის ქართული წერა-კითხვა. მის სამყოფებელოში ხალხი თესავს სიმინდს, ლობიოს, ბრინჯს. ყოველწლიურად მარტო ბრინჯის გაყიდვით ხუსეინ-ბეგს 3000 მანეთი შემოსავალი აქვს. საინტერესოა, რომ ჩაქვის მფლობელს კარგი ვენახი და ხილის ბაღებიც ჰქონია. მისი ღვინო და ხილი მთელს ოსმალოს საქართველოში განთქმულიაო.

როცა ვეხებით ხუსეინ ბეჟანიძის პიროვნებას, არ შეიძლება არ გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს სწორედ ის ხუსეინი (გიორგაძე) უნდა იყოს, რომელსაც აკაკი წერეთელი უკვე კიდევ ომის დაწყებამდე 1875-76 წლებში იცნობდა, სწორედ იხევე ახასიათებდა მას, როგორც ამას ს.მესხი აკეთებს და თავის მეკავშირედ თელიდა. ჩვენი აზრით გვარი გიორგაძე დიდ პოეტს კონსპირაციისათვის დასჭირდა, ან ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ხუსეინის სამფლობელოს ერთ სოფელს გორგაძეებს ეძახდნენ და შესაძლოა აკაკიმაც ამიტომ „მოუნახა" ბეჟანოლლის ასეთი ქართული გვარი (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენი „დაუწერელი ხანები". ბათუმი. 1969 წ. გვ.10-13).

* * *

ვაგრძელებთ გზას სერგეი მესხთან ერთად ბათუმისაკენ. ქალაქის შესასვლელში სამხედროთა რაზმებს შეხვედრიან ბათუმის დეპუტატები, სასულიერო პირები (მუსულმანები, სომეხ-გრიგორიანები, ბერძენი მღვდლები) და პურ-მარილი მთურთმევიათ. ხხვათაშორის ამ შეხვედრის დროს გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის კარგად მოფიქრებული, ხალხის დამაწყნარებელი სიტყვა წარმოუთქვამს: „ეს ქვეყანა რუსეთის იმპერატორს დარჩა, მაგრამ თქვენ ნურც იქვეში სარწმუნოების შევიწროებისა. ნურც თქვენი ოჯახის შეურაცხყოფისა და ნურც სხვა უსამართლობის მოკენების

ნუ შეგეშინდებათო“ („დროება“, №176, 1 სექტემბერი, 1878 წ.). ბუნებრივია ეს სიტყვები უპირველესად ქართველ მუსულმანებს შეეხებოდა, რომლებიც მშობლიური ადგილებიდან გაუთვითცნობიერებლად იყრებოდნენ და ოსმალეთისაკენ მიემართებოდნენ.

სერვეი მესხი საკმაოდ ვრცლად აღწერს ბათუმში არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული რუსული მმართველობა, საკმიანმა ხალხმა თადარიგი დაიჭირა და ბათუმს ადრევე მოაშურა. ავტორის თქმით, ქალაქში უჩვეულო მოძრაობაა, არა მარტო იმიტომ რომ ოსმალები აქაურობას ტოვებენ, არამედ უფრო იმიტომ, რომ „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ გურიიდამ, სამეგრელოდამ, იმერეთიდამ და ტრაპიზონიდამ. სულ ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას, დარბიან, დაცმაცურობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ, დილიდან საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ჰყიდულობენ, „საქმეს“ ეძებენ“ („დროება“, №177, 2 სექტემბერი, 1878 წ.).

ასე დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება შავი ზღვის სანაპირო საპორტო ქალაქისა, რომელიც იმ დროისათვის ჭაობებით იყო დაფარული და, ს.მესხის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წმინდა აღმოსავლური, აზიური ქალაქია. ბაზარი, ქუჩების სიბინძურე, შენობის არქიტექტურა, ხალხის ცხოვრება, – ყველაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგაგონებთ“. მიუხედავად ამისა საქმიან ხალხს კარგად ესმოდა ბათუმის, როგორც საზღვაო პორტის მომავალი და არამარტო ქალაქში, არამედ ახლომახლო სოფლებშიც გაფაციცებით მამულებს ყიდულობდნენ. აქ. ს.მესხი კიდევ უფრო ამძაფრებს თავის ნათქვამს: „როგორც მგლები მძოვრს, ისე დაესია იმერეთიდამ, გურიიდამ, სამეგრელოდამ და ტრაპიზონიდამ ჩამოსული ხალხი“ („დროება“, №178, 3 სექტემბერი, 1878 წ.). ჩვენი აზრით, ეს დადებითი მოვლენა იყო, რადგანაც ქართველებზე ადრე თბილისიდან და კავკასიის სხვა ქალაქებიდან ბათუმში მიწების შესაძენად დაიძრა არაქართველი მოსახლეობა (ძირითადად სომხები და ბერძნები), ამიტომ პირველ რიგში საჭირო იყო რომ-

ორმე ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრება, ან თუ ისინი აიყრებოდნენ, მათ ადგილას კვლავ ქართული ელემენტი დამკვიდრებულიყო.

ხუსეინ ბეჟანიძის გარდა ს.მესხმა ბათუმში გაიცნო მისი ძმისშვილი ხასან ბეჟანიძე. აგრეთვე ქობულეთელი თავადი ოსმან-ფაშა თავდგირიძე. ისინი არ მალავდნენ, რომ ოსმალეთის ერთგული მსახურები იყვნენ, მაგრამ ამბობდნენ ჩვენს ერთგულებას რუსეთის ადმინისტრაციასაც დავუმტკიცებთო. ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეების „ღალატზე", რომელიც დღესაც ბატონობს ისტორიულ ლიტერატურაში, სერგეი მესხს განსხვავებული აზრი აქვს: „ყველა ამ ჯარების უფროსობა მინდობილი ჰქონდა ჯერ ალი-ფაშა თავდგირიძეს, მაგრამ მალე დევრიშ-ფაშამ, როგორც თვითონ ამბობს, ორგულობა რუსეთის მიმხრობა შესწამა ამას, ჩამოართვა სარდლობა, დაიჭირა და ისე გაგზავნა ტრაპიზონში" (იქვე). ასეთივე ბედი ეწია ოსმან-ფაშასაც. გავრცელებულ ლექსში, „ალი-ფაშამ გვიღალატაო", რაღაც შეუსაბამობა სჩანს, მით უმეტეს იქვე ნათქვამია, რომ „მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში". ამგვარად ფაშამ მათ კი არ უღალატა არამედ რუსებს მიემხრო, ე.ი. ოსმალებს უღალატა, რის გამოც ის ძალადობით, „ბაწრით ჩაათრიეს გემში" და ასე გაგზავნეს ტრაპიზონში; ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს ს.მესხის ჩანაწერებში და ხალხურ ლექსში.

სერგეი მესხი ერთადერთია ქართულ პუბლიცისტიკაში, ვინც დაგვიტოვა ოსმან-ფაშა თავდგირიძის გარეგანი აღწერილობა: „ოსმან-ფაშა 40-50 წლის კაცი იქნება. მკრთალ, ყვითელ ფერზედ, მოწყენილ, დაფიქრებულ პირსახეზედ ატყვია, რომ იმას ბევრი დარდი და მწუხარება გამოუვლია. სხვებრ სახე: გადაშლილი შუბლი, შავი რგვალი თვალები, ცოტათი მსხვილი ცხვირი, წმინდა ტუჩები, მოგრძო ნიკაპი და სხვ., ყველაფერი ნამდვილ ქართველს მოგაგონებს. ქართულს ისე კარგად და თავისუფლად ლაპარაკობს, როგორც ყველა ქართველი" (იქვე). თუ გავითვალისწინებთ იმ

გარემოებას, რომ ოსმან-ფაშა თავდგირიძეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში თავისი ადგილი უკავია, ბუნებრივია მისი პიროვნების ასე დაწვრილებით აღწერილობაც შესაბამისი სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანია.

სერგეი მესხი ბათუმში მოწმე გახდა არტაანის რაზმის ჩამოსვლისა, რომელსაც გენერალი კ. კომაროვი მეთაუროობდა. საყურადღებოა, რომ ამ რაზმს ჩამოჰყოლია რამდენიმე ბეგი და დეპუტატები ართვინიდან, მაჭახლიდან, შაშეთიდან და აჭარიდან. მათ შორის ავტორი სავანგებოდ ასახელებს „შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ძმისწულს ნურიდ-ბეგს". აქვე შევნიშნავთ, რომ მისი ნამდვილი სახელია ნური-ბეგი; ამასთან იგი შერიფ-ბეგის ღვიძლი ბიძაშვილია და არა ძმისწული.

ბათუმში რუსეთის არმიის შემოსვლის პირველი დღეებიდანვე სამხედრო გუბერნატორად გენერალ-მაიორი კ. კომაროვი დაუნიშნავთ, მაზრის უფროსად სამოქალაქო საკითხებში გენერალ-მაიორი გრიგოლ გურიელი, ხოლო ქალაქ ბათუმის პოლიცმეისტერად მაიორი დურმიშხან ჟურული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმის გათავისუფლებისთანავე დაწყებულა ახლო-მახლო სოფლების მიწების გამალებული ყიდვა-გაყიდვა. ამან მიწის ფასის აწევაც გამოიწვია. ზოგი სარგებლობდა საერთო არეულობით და სხვის მიწასაც კი ჰყიდდა. სხვათაშორის ს.მესხთან ერთი გლეხი მისულა და უთქვამს, მივდივარო და რუსულ ას მანეთად ათას არშინ მიწას მოგყიდიო. მიწების ყიდვა-გაყიდვას ისეთი მახინჯი სახე მიუღია, რომ გენერალ კ. კომაროვს გამოუცია განკარგულება, რომლის მიხედვით იკრძალებოდა მიწის გაყიდვა ტრაპიზონიდან სათანადო საბუთების მიღების გარეშე (ეს საბუთები ბათუმიდან წასვლისას ოსმალო მოხელეებმა ტრაპიზონში გადაიტანეს).

* * *

თავის ჩანაწერებში სერგეი მესხი გვეუბნება ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლების (მუჰაჯირობის) თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ. ამ დროს ის გამოდიოდა არა მარტო სუფთა ეროვნული მოსაზრებებიდან, არამედ თვით რუსეთის ინტერესებიდანაც: „თვით რუსეთისათვის მავნებელია ამათი გადასვლა ოსმალეთში. პირველად იმიტომ, რომ ამათგან დატოვებული ადგილების დასახლება-კოლონიზაცია, როგორც აბხაზეთისა, და, საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირების მაგალითმა არაერთხელ დაგვიმტკიცა, შეუძლებელია, რადგან უცხო ხალხი ამ ადგილებში ვერა სძლებს. ესენი კი, უეჭველია, დღეის შემდეგ იქნებოდნენ საუკეთესო დამცველები შავი ზღვის ნაპირებისა: მეორეთ იმიტომ, რომ ცარიელი, უდაბნო ადგილები საზოგადოთ მთელს რუსეთში, უიმისოთაც ბლომათაა და ამ მხრისაც კიდევ გაუდაბნოება, დაცლა ხალხისაგან, უეჭველია, საზარალო იქნება მთელის სახელმწიფოსათვის, რადგან ამ სახელმწიფოს მოაკლდება მუშახელი, მიწაწყლის შემმუშავებლები და პატრონები“ („დროება“, №185, 14 სექტემბერი, 1878 წ.).

გარდა ამისა სერგეი მესხი საზოგადოებისაგან მოითხოვს აუხსნას მოსახლეობას, რომ ოჯახის, მამა-პაპისაგან დატოვებული სახლ-კარის მიტოვება დამღუპველი იქნება მათთვის; ისინი უცხო ადგილას ვერ ააწყობენ ცხოვრებას. აქ კი მათ რწმენას, ცოლ-შვილს, სახლ-კარსა და ქონებას არავინ შეეხება. საჭიროა ჩვენი სამართლიანობით, პატიოსნებით დაუმტკიცოთ ამ ხალხს, რომ ჩვენ მათ მოვეპყრობით როგორც ძმას და არა როგორც დაპყრობილ, ძალით აღებულ ხალხს და ა.შ.

სერგეი მესხის შინაარსიან ჟურნალისტურ-საქმიანობაში ერთერთ თვალმარგალიტად ითვლება მისი სტენოგრაფიულ-ინფორმაციული წერილი „სადილი ახლად შემოერთებულ ქართველებისათვის“, რომელიც „დროების“, 1878 წლის 23 ნოემბრის №239-ში დაიბეჭდა. ეს წერილი მიეძღვნა ისტორიულ ბანკეტს,

რომელიც დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გაიმართა თბილისში, კონსტანტინე მუხრან-ბატონის სასახლეში, ახლადშემოერთებული სამუსლიმანო საქართველოდან მოპატიჟებული დეპუტაციის პატივსაცემად.

მასპინძელთაგან ბანკეტს 90-მდე კაცი ესწრებოდა. მათ შორის გრ.ორბელიანი, კ.მამაცაშვილი, ი.ანდრონიკაშვილი, დ.ჯორჯაძე, დ.ფურცელაძე. გ.სუმბათაშვილი, ა.საგინაშვილი, ი.თუმანიშვილი, კობიაშვილი, ა.ტერ-გუკასოვი და სხვ. აჭარის დეპუტაცია კი 16 კაცისაგან შედგებოდა: ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე, ჰასან-ბეგ ბეჟანიძე, მუფთი ხასან-ეფენდი სურმანიძე, ართვინის დეპუტატები, მღვდლები და სხვ. დეპუტაციას შეუერთდა თბილისში მყოფი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

როგორც ვხედავთ სერგეი მესხი დეპუტაციის მხოლოდ 6 წევრს ასახელებს, დანარჩენი 10-ის გვარს მის ჩანაწერებში ვერ მივაკვლიეთ. ბუნებრივია მკითხველს დააინტერესებს ვინ იყვნენ დეპუტაციის დანარჩენი წევრები. ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორთან ბ-ნ ნოდარ ცეცხლაძესთან ერთად შევაჯერეთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ავტორის (ს.მესხი, ხ.ახვლედიანი, მ.ვარშანიძე, თ.კომახიძე, გ.შარაძე და სხვ.) მონაცემები, რის შედეგად ეს სია თხუთმეტამდე გაიზარდა: ხიმშიაშვილი შერიფ, ხიმშიაშვილი ნური, აბაშიძე ხუსეინ, აბაშიძე იბრაიმ, ბეჟანიძე ხუსეინ, ბეჟანიძე ხასან, ხალვაში ახმედ, ოსმან-აღა მაკრიალელი (მამულაძე), სურმანიძე ხასან, სული-ბეგ ზადე მაჭახლელი (წულუკიძე), ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე (არტანუჯელი), მუფთი ეფენდი-ზადე, პეტრო ხარლამპოვი (ბერძნული ეკლესიის მღვდელი), ტერ-გრიგორ პუჩინიანი (სომეხ კათოლიკეთა მღვდელი). სამწუხაროდ ვერ შევძელით მე-16 დეპუტატის გვარის დადგენა, რასაც იმედია მომავალი მკვლევარები შეავსებენ. დავუბრუნდეთ ისტორიულ ნადიმს.

პირველი სიტყვა გრიგოლ ორბელიანს წარმოუთქვამს, შემდეგ კი ამას ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძის საპასუხო სიტყვა მოჰყოლია. სუფრასთან ვრცელი სიტყვებით გამოსულან ალ.ზუბალაშვილი, დ.ყიფი-

ანი და ა.წერეთელი. ს.მესხს თავის წერილში მოტანილი აქვს ყველა გამოსვლის ტექსტი, რომელთა მთლიანად გამეორება აქ არ ხერხდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართველ მოღვაწეთა ეს სიტყვები ქართული მჭერმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების მარგალიტებია. ს.მესხი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბანკეტს თბილისში არ ყოფნის გამო ვერ დაესწრო ი.ჭავჭავაძე, აგრეთვე გრ.გურიელი. სუფრაზე ასევე საგანგებოდ გამოუცხადებიათ დ.ბაქრაძის, ა.წერეთლის, გ.ყაზბეგის გვარები, რომელთაც პირველად გააცნეს საზოგადოებას სამუსლიმანო საქართველო და მისი მკვიდრნი.

სერგეი მესხის მთავარი საზრუნავი ახლადშემოერთებულ მხარეებში ახალი კანონების დამკვიდრება და ახალი ჩინოვნიკები იყვნენ. მას კარგად ესმოდა, რომ მალე დაიწყებოდა მოსახლეობისათვის სრულიად უცხო რუსული კანონების შემოღება, რასაც ხალხი ვერ შეეგუებოდა. ამიტომ აუცილებლად თვლიდა ძველი კანონებისა და ადათ-წესებისათვისაც გაეწიათ ანგარიში. ამისათვის კი საჭირო იყო გამგებლებად დაენიშნათ ისეთი პირები, რომლებიც სწორედ ასე მოიქცეოდნენ: „უპირველესი ადგილი ახლადშემოერთებულ მხარის გამგეობაში კარგი კაცების, პატიოსანი მოხელეების დანიშვნას ეკუთვნის და არა მაინცა-და-მაინც კარგათ შედგენილ კანონების გამოცემას“-ო, სამართლიანად შენიშნავდა ს.მესხი და ამ მოხელეებს მომეტებული სიფრთხილისა და წინდახედულებისაკენ მოუწოდებდა („დროება“, №253, 10 დეკემბერი, 1878 წ.).


როგორც მოსალოდნელი იყო ეს მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. რამდენიმე ჭეშმარიტი მამულიშვილის (გრ.გურიელი, მ.მეფისაშვილი, დ.ყურული, ნ.ხიმშიაშვილი) თანამდებობაზე დანიშვნამ საქმეს ვერ უშველა. ერთი თვის შემდეგ ს.მესხი იძულებულია აღნიშნოს, რომ ბათუმის მაზრაში რიგით თანამდებობებზე დაინიშნენ ჩინოვნიკები, რომლებიც სხვა სამსახურიდან დათხოვნილი ან გამოგდებული არიან უკანონო მოქმედებებისა და უნიჭოებისათვის, ამიტომ მათ ამ ახალგათავისუფლებულ მხარეშიც შემოიტანეს უსამართლობა, მომხვეჭელობა და სხვა სიმახინჯეები. ავტორი მდგომარეობიდან გამოსავალს

ხედავს მხოლოდ იმაში, რომ საქართველოს სხვა მხარეებიდან ბათუმის მაზრაში სამუშაოდ ჩავიდნენ პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახი, მამულის მოყვარული ადამიანები და თავისი ერთადერთი იარაღით, გაზეთ „დროებით“ ქართველ ახალგაზრდობას მოუწოდებს: „წადით ბათუმში, იმსახურეთ იქ, დაიჭირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ კი ხალხთან თქვენ იქონიეთ საქმე და არა იმ პირებმა, რომელთაც ყველგან თავიანთი ბოროტი სული და ბოროტი საქმე დააქვთ. იქონიეთ ხალხთან საქმე და, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით, გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალით შეგვხედავენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებსა და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას“ („დროება“, №14, 19 იანვარი 1879 წ.).

მშობლიური მიწებიდან აყრა-გადასახლების მეორე სერიოზულ მიზეზად ს.მესხს მიაჩნია საშინელი გაჭირვება, რომელიც ომის წინა და მომდევნო პერიოდთან იყო დაკავშირებული. ამ დროს ხალხს მიწაზე არ უმუშავია, არ უხნავს, არ უთესავს: „მთელი ეს მხარე ჯარებითა და ამათი ცხენებით არის გადაჯირვალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე დარჩა“ („დროება“, №32, 13 თებერვალი, 1878 წ.). განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა კინტრიშის (ქობულეთის) მაზრაში, სადაც ხალხი თითქმის ათას სულამდის, შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიანო, იტყობინებოდა გაზეთი და კვლავ გაისმოდა მუდარანარევი მოწოდება ქართველი საზოგადოებისადმი: „რითაც შეგვეძლება დავეხმაროთ ჩვენს ახლადშემოერთებულ მოძმეებს, გაჭირვებას სულგრძელება უნდა. ნუ დავიზოგავთ თითო-ოროლ მანეთს, თითო-ოროლ თუმანს, ძველ ტანისამოსს, ხორაგს... თუ ჩვენთან მეზობლობით, ჩვენი ძმობით, ამ ხალხმა თავიდანვე გაჭირვებაში არავითარი შემწეობა არ მიიღო ჩვენგან უეჭველია გადასახლდებიან...“ (იქვე). გაზეთი მიუთითებდა თავის მისამართს, სადაც უნდა გამოეგზავნათ შესაწირავი.

მესამე მთავარ მიზეზად ს.მესხი ასახელებს ახლად დაწესებული საბაჟოს მოხელეების თვითნებობას და ანგარებას. გაჭი-

რვებით ილაპკაწყვეტილი გლეხი თუ რაიმეს გასაყიდად ჩამოიტანდა, ბაჟს ახდევინებდნენ, უბრალო ქსოვილს თუ იყიდდა, სოფელში წასაღებად აუცილებელი იყო ბეჭდით დამოწმება. ამ „დამოწმებაში“ კი იმდენს ახდევინებდნენ, რომ არც მისი ნავაჭრი და არც ამ ქსოვილის ფასი აღარ ჰყოფნიდა. ხალხი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა; ისინი „წვრილი ჩინოვნიკებისა და დამოუნისაგან ისე შევიწროებული არიან, რომ, თუ შემდეგშიაც ასე წავიდა საქმე, ეს ხალხი იძულებული იქნება, რომ გადასახლდეს ოსმალეთში“ („დროება“, №40, 23 თებერვალი, 1879 წ.).



ბათუმის საბაჟო

ამასობაში „დროების“ რედაქციაში შემოვიდა გაჭირვებაში მყოფი ქობულეთელებისათვის შემოწირული 1538 მანეთი. საჭირო იყო ამ ფულის განაწილება ისე, რომ ვინმეს ხელი არ მოეთბო და თითოეული კაპიკი მის პატრონს მისვლოდა. სერგეი მესხი თავად გაემგზავრა ფულის დასარიგებლად. იგი ჯერ ბათუმის ოლქის

მაღალ ჩინოსნებს ეახლა, მიიღო მათგან რჩევა, შემდეგ კი ქობულეთში ჩავიდა. აქ უბნის უფროსის ბრძანებით რვა სოფლის: აჭყვისთავის, ალამბრის, ლეღვას, ხუცუბნის, კვირიკეს, ქობულეთის, სამების და ქაქუთის მამასახლისებმა წარმოადგინეს თავიანთი სოფლის ყველაზე მეტად გაჭირვებული ოჯახების, უპირატესად ობლების სია, შემდეგ ისინი მოიწვიეს და მეჯლისის თანდასწრებით გადასცეს კუთვნილი ფული. ამ დახმარებამ 191 ოჯახის 645 სული მოიცვა. თითო სულმა 2-3 მანეთი, ზოგმა ოჯახმა 15-20 მანეთი მიიღო.

სამწუხაროდ ეს კაცთმოყვარული აქცია წვეთი იყო მუჰაჯირობის იმ უკიდეგანო ოკეანეში, რამაც მთელი სამუსლიმანო საქართველო მოიცვა. შემოწირულებების დარიგებიდან თვენახევრის შემდეგ „დროების“ რედაქციამ ბათუმიდან მიიღო ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში აქაური მცხოვრებლები ორი ხომალდით წავიდნენო, მათ წაიღეს არამარტო მთელი ქონება, არამედ თან წაიყვანეს შინაური ცხოველებიო. ს.მესხი კვლავ ასახელებს გადასახლების მთავარ მიზეზებს (ანგარებიანი ჩინოვნიკები, გადასახადები, მუჰაჯირობის ქადაგება, რისთვისაც ოსმალეთში სპეციალური ბროშურაც კი გამოუშვიათ და სხვ.) და კვლავ მოუწოდებს ხელისუფლებას ჩინოვნიკებად შეარჩიოს ისეთი პირები, ვინც კარგად იცის ხალხის ზნე, ხასიათი და ჩვეულება. ამის მაგალითად კი ასახელებს მიხეილ მეფისაშვილს („დროება“, №118, 7 ივნისი, 1879 წ.).

რუსეთის მთავრობის განკარგულებით ოსმალეთში გადასახლებულებს უფლება ჰქონდათ სამი წლის განვლამდე უკან დაბრუნებულიყვნენ. სერგეი მესხი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას და ადგილობრივ მმართველებს თხოვს დაბრუნებულები აღტაცებითა და სიამოვნებით მიიღონ, დაუბრუნონ მათ მამული და სახლ-კარი. ამაში პუბლიცისტი ორ დიდ სარგებელს ხედავს: ჯერერთი, თანამოძმეები დაგვიბრუნდებიან და ქართული სოფლები არ გავერანდება. მეორეც, დაბრუნებულები საუკეთესო მქადაგებლები იქნებიან იმათთვის, ვინც ჯერ არ წასულა, მაგრამ ორჭოფობს და შესაძლოა მალე კიდეც წავიდეს.

მომდევნო წერილებში ს.მესხი კვლავ უბრუნდება ახლად-შემოერთებულ მხარეებში დანიშნული ჩინოვნიკების თავხედობასა და ძალმომრეობას. ერთ-ერთი წერილით ის გვაცნობს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ტელეგრამას, რომელიც ეხება არტაანის მაზრის უფროსის რაზდერიშინის თვითნებობას, რომელმაც დაატატიმრა ვაჭარი სურინოვი, ჯერ საჯაროდ გაროზგა, შემდეგ სატუსალოში ჩააგდო. ამ დროს პატიმარი ავად ყოფილა, თავგასულ მაზრის უფროსს მასთან ექიმიც კი არ შეუშვია. სურინოვი ცნობილი ვაჭარი იყო, ამიტომ მის მიმართ გამოჩენილი უკანონობის გამო ხმა აიმაღლა კავკასიის ოფიციოზმა, გაზეთმა „კავკაზმა“. „თუ ამისთანა კაცს მოეპყრო ასე უფ. რაზდერიშინი... რას უნდა მოელოდეს ადგილობრივი, უბრალო, სოფლის ყრუ ხალხი, რომელსაც არც გაზეთებში ტელეგრამების გამოგზავნა შეუძლია და ვერც ჩივილს გაბედავს „ნაჩალნიკზე“? სავსებით ბუნებრივ კითხვას სვამს ავტორი და კვლავ შეახსენებს ჩინოვნიკებს, რომ „ხალხის გულის მოგება როზგითა, საპყრობილითა და ხიშტებით როდი შეიძლება, არამედ მხოლოდ ლმობიერობითა, პატიოსნებითა და კეთილგონიერებითა“ („დროება“, №197, 23 სექტემბერი, 1879 წ.).

ამის შემდეგ ს. მესხი არაერთხელ ეხება მუჰაჯირობის მიზეზებს, მწვავედ აკრიტიკებს იმათ, ვისაც ამ საქმეში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ედებოდათ ბრალი, კვლავ და კვლავ მოუწოდებს ქართველ მამულიშვილებს ნუ იქნებიან გულხელდაკრეფილები, გავიდნენ სამუსლიმანო საქართველოში და აგრძნობინონ დაბრუნებულ ძმებს, რომ ისინი მათი ჭეშმარიტი სისხლი და ხორცი, გვერდში მდგომნი და ჭირ-ვარამის გამზიარებელნი არიან; გულცივად ნუ შეხედავთ საშინელ სურათს თუ წასვლისას როგორ ჰკოცნიან ესენი „დედამიწას, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიან. ბევრი, ძალიან ბევრი გზაზე ეყრება, იქაც უკეთესი ბედი არ მოელის, იქაც შიმშილი ხვდება, უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც



ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი და ელენეფიანი

ჰხარებდნენ, მოტყუებულნი რჩებიან და აძნაირად, რამდენიმე ზეის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალისა და წვალების შემდეგ. ზოგიერთები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებიან, მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცება" („დროება", №40, 24 თებერვალი, 1881 წ.).

* * *

ხალხის მშობლიურ ადგილებში დამაგრების ერთ საშუალებად ს. მესხს განათლების შეტანა მიაჩნია, იგი განიხილავს „დროებაში" დაბეჭდილ ეკატერინე გაბაშვილის წერილს, რომელშიც გამოთქმულია სურვილი, რომ საქართველოს ქალაქებში, მათ შორის ბათუმშიც საქალ-ვაჟო სკოლები გაიხსნას.

როგორც ცნობილია 1881 წლის მარტში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში გახსნა ასეთი სკოლა, რომლის ძირითადი მიზანი იყო მოეზიდა მაჰმადიან ქართველთა შვილები. დასაწყისში თითქოს ეს მიზანი შესრულდა, სკოლაში 11 მაჰმადიანი ბავშვი იყო, მათ შორის ერთი გოგონა, მაგრამ მომდევნო თვეებში სხვადასხვა მიზეზებით მოსწავლეთა რიცხვი ძალზე შემცირდა და ისეთი დრო ყოფილა, როცა სკოლაში არცერთი მაჰმადიანი აღარ დადიოდა. ამ მდგომარეობამ წერა-კითხვის საზოგადოებაში სერიოზული განსჯა გამოიწვია. გამოჩნ-

ღნენ ისეთებიც, რომელნიც ამბობდნენ, რომ ბათუმის სკოლა თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს, დაეხუროთ და სხვაგან გაეხსნათო. საზოგადოების კრება ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა, სკოლა არათუ დახუროთ, არამედ ერთი ასეთი სკოლა შაშეთშიც გაეხსნათო, რომლის თაობაზე ილია ჭავჭავაძის იქაური მეცენატი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი ოხოვდა. სკოლის დახურვის წინააღმდეგ გამოსულან ბათუმის წარჩინებული პირები, ამისათვის მათ 1882 წლის 30 დეკემბერს იბრაიმ-ბეგ აბაშიძის თაოსნობით საგანგებო მეჯლისი მოუწვეიათ და დაუდგენიათ, რომ ბათუმის სკოლაში აუცილებლად მიაბარებდნენ თაეიანთ შვილებს, სკოლისათვის უკვე შეარჩიეს მაჰმადიანური საღვთო სჯულის მასწავლებელი მაჭახლელი სულეიმან-ეფენდი მეჰმედ-ზადე, რომელსაც სასურველია ხელფასი 20 მანეთამდე ჰქონდესო და ა.შ. ამ განჩინებას, რომელსაც თან ერთვოდა სკოლის გამგის მოსე ნათაძის წერილი, ხელს აწერდა 25 კაცი. მათ შორის არიან: იბრაიმ აბაშიძე, დურსუნ აბაშიძე, მოლა ხუსეინ აბაშიძე, შაინ ბოლქვაძე, ხასან ქიქავა, სასან ბაკურიძე, დურსუნ ბიბინ-ზადე, ხუსეინ ბაკურიძე, მერჯან მარშანია, რეჯებ შაშიკ-ზადე და სხვ. ს.მესხი ამ დოკუმენტს არა უბრალოდ უჭერდა მხარს, არამედ იგი მთლიანად გამოაქვეყნა თავის გაზეთში (№242, 20 ნოემბერი 1882 წ.). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ყურად უღია ბათუმელთა მოთხოვნა და გადაუწყვეტია საზოგადოების ერთ-ერთი წევრი სპეციალურად გაეგზავნა აჭარა-შავშეთში სკოლების საკითხის შესასწავლად და მოსაგვარებლად. არჩევანი სერგეი მესხზე შეჩერდა. მან ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ყიფშიძის ხელმოწერით სპეციალური მიმართვაც კი მიიღო, რომელშიც ეწერა: „მოწყალეო ხელმწიფევ, სერგეი სიმონის ძევ! მმართველობა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა გთხოვთ თქვენ წაბრძანდეთ ქ.ბათუმში, შეიტყოთ ადგილობრივი გარემოება და ვითარება სკოლისა და სასკოლო სახლის აშენებისა და ადგილის შეძენის შესახებ და ეს ყოველივე ცნობანი დაწვრილებით შეატყობინოთ მმართველობას...

ამასთან მმართველობა გთხოვთ თქვენ, თუ შესაძლოდ დაინახოთ, შავშეთშიაც ახვიდეთ და სახალხო სკოლის გახსნის თაობაზედ შეჰკრიბოთ საჭირო ცნობები.

მმართველობას დიდი იმადი აქვს, რომ თქვენის გამოცდილებით ყოველსავე ღონისძიებას იხმართ საზოგადოების მმართველობის მინდობილობის აღსასრულებლად და ჩვენს თანამოძმე მაჰმადიან მცხოვრებთათვის და მათ შვილების აღსაზრდელად და გასანათლებლად თქვენს მეცადინეობას არ დაიშურებთ...“

მიმართვიდან ეს ოდნავ შემოკლებული, მაგრამ საკმაოდ ვრცელი ციტატა მოვიტანეთ იმისათვის, რომ გვეჩვენებინა დიდი ილია და მისი თანამებრძოლნი თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ახლად განთავისუფლებულ მხარეებში განათლების შეტანას, ამ კუთხეების აღორძინებას და კულტურულ დაწინაურებას.

სერგეი მესხს, ამ გულმხურვალე პატრიოტს, არც სჭირდებოდა ბევრის თქმა, თუმცა ეს წერილი მისთვის აუცილებელი იყო, რადგანაც ის აძლევდა რწმუნებას მიემართა ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის „საზოგადოების მმართველობის სახელით დახმარებისა და შემწეობისათვის“ (ცსსა, ფ. 481, აღ. 1, ს.26, ფურც. 122).

ამ დავალების შესასრულებლად ს.მესხი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ბათუმში, იქ დაჰყო ათი დღე და მიღებული შფაბეჭდილებების შესახებ ანგარიში წარუდგინა საზოგადოების მმართველობას, რომელშიც კერძოდ ნათქვამია, რომ ბათუმში ჩასვლისთანავე მოსე ნათაძის მეშვეობით მან გაიცნო ყველა ბათუმელი გავლენიანი პირი, პირველ რიგში ისინი, ვინც იძლეოდა პირობას რომ სკოლისათვის მიცემდნენ ადგილს, ააგებდნენ შენობას და სკოლაში მიაბარებდნენ შვილებს. სტუმარი მალე დარწმუნდა, რომ ისინი „მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მზათ იყვნენ აესრულებინათ თავიანთი სიტყვა და დაპირება“ (იქვე, ფურც. 175,176). და შემდეგ: „საჭიროდ ვრაცხ მოვახსენო საზოგადოებას (იგულისხმება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

რ.ს.), რომ ამ საქმეში დიდი შემწეობა აღმომიჩინა ოთხმა ბათუმის უფრო გაევლენიანმა პირმა: იბრაიმ-ბეგ აბაშიძემ, შაინ-ეფენდი ბოლქვაძემ, ჰუსეინ-ეფენდიმ და მარჯან-აღამ". *

გამოირკვა, რომ ადრე ბათუმელებს ზღვის პირას ჰქონდათ მუსულმანური სასწავლებელი, რომელიც რუსეთის ადმინისტრაციამ დაშალა და ამ ადგილას საბაჟო ააშენა. ახლა ბათუმელი ბეგები თხოულობდნენ ან ამ ადგილის საფასური, ათიათასი მანეთი, ან სამეგიერო მიწა მოგვცენო. თუ ადგილის საფასურს, სიძვირის გამო, არ გადაგვიხდიან, ამიტომ მოგვცენ სხვა ფართობი, რასაც ჩვენს ქართულ სკოლას დავუთმობთო. ს.მესხმა მათ გუბერნატორის სახელზე შეადგენინა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა 47 კაცი და ვიცე გუბერნატორის ნიკო ერისთავის ხელით წარუდგინეს მთავრობას. იმის გამო, რომ თავად გუბერნატორი სმეკალოვი იმ დროს პეტერბურგში იყო, ნ.ერისთავმა დამოუკიდებლად ვერ გადაწყვიტა სამაგიერო მიწის გამოყოფა, ამიტომ ს.მესხმა საზოგადოებას წინადადება მისცა სმეკალოვის ჩამოსვლისთანავე გაეგზანათ წარმომადგენელი, რომელიც სკოლისათვის გამოყოფილ ადგილს ჩაიბარებდა. თვით ბათუმელი ბეგები ირწმუნებოდნენ, რომ ხუთიათასმანეთიანი ადგილიც რომ მოგვცენ, თანახმა ვიქნებითო; ორიათასად ადგილს ვიყიდით, ხოლო დანარჩენი სამიათასით სკოლის აშენებას შევუდგებითო, ხე-ტყის მასალას ჩვენ შევწირავთო. გარდა ახალი სკოლის საკითხების მოგვარებისა. ს.მესხი ათი დღის განმავლობაში ყოველდღე ესწრებოდა მოსე ნათაძის გაკვეთილებს, რამაც სტუმარს სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვა: „ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის შკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიც ისე კეთილსინდისიერად წაიყვანა საქმე, როგორც დღემდინ მიჰყავს" (იქვე). მოსე ნათაძის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ღირსებად და სასიკეთო თვისებად ს.მესხს მიაჩნია ის, რომ მასწავლებელს კეთილი განწყობა აქვს, შეთვისებია და დაახლოებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს.

---

* დრ. №270, 20 დეკემბერი, 1882 წ. ეს წერილი არ არის შეტანილი ი.ბოცვაძის მიერ შედგენილ სამტომეულში. რ.ს..

თავის მხრივ ს.მესხსაც მჭიდრო კონტაქტი დაუმყარებია ქალაქის ერთ-ერთ დეპუტატთან, მისი მეშვეობით დანარჩენ სამ დეპუტატთან, რომლებიც შეპირებიან, რომ თუ საზოგადოება ოფიციალურად მოგვმართავს, ყოველწლიურად შევეცდებით სკოლას 500 მანეთის შემწეობა აღმოვუჩინოთო. ეს ბათუმის სკოლისათვის დიდი დახმარება იყო.

ამგვარად ს.მესხის ბათუმში მიულინება ძალზე შედეგიანი აღმოჩნდა, თუმცა თავად უკმაყოფილო იყო იმით, რომ დრო აღარ დარჩა, შავშეთში ვერარ მოასწრო წასვლა და ვერ შეასრულა საზოგადოების მეორე დავალება.

* * *

ძალზე საინტერესოა ს.მესხის თვალით დანახული ბათუმი, რომელსაც მან სპეციალური წერილი, „ბათუმი და ბათუმელები" მიუძღვნა. იგი ბათუმური შთაბეჭდილებების ერთგვარ შენაჯამს, ანგარიშგებას წარმოადგენს. წერილში სერგეი მესხი იგონებს იმ დროს, როცა რუსეთის ჯართან ერთად შემოვიდა ბათუმში და პირველად ნახა ეს ქალაქი, მეორედ კი ერთი წლის შემდეგ, 1879 წელს ჩამოსულა. პირველი ჩამოსვლის დროს იმდენად დიდი იყო არეულობა, რომ საფუძვლიანად ვერ დაათვალიერა, თუმცა მის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია პატარა და უშნო ქალაქი, სადაც ორ-სამ რიგიან სახლს ვერ ნახავდი; ტალახიანი, ოღრო-ჩოღრო, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და ა.შ.

მეორეჯერ ჩამოსვლისას (როცა ქობულეთელებისათვის დახმარების ფული ჩამოიტანა), სერგეი მესხის ყურადღება მიიქცია ხალხის ჩივილმა ომიანობის გამო, შიმშილმა, გაჭირვებამ და ამით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ. გარდა ამისა ქალაქში გამოჩენილმა უცხო პირებმა, რომლებიც „ახლადდაპყრობილ ქვეყანაში ხელის მოთბობას, ჯიბის გავსებას ლამობდნენ და მეძებარ ძაღლებივით იშვერდნენ ხან იქით და ხან აქეთ ცხვირს – „საიდამ მოდის ფულის სუნიო" („დროება", №258, 10 დეკემბერი, 1882 წ.).

მესამე და უკანასკნელი ჩამოსვლის შემდეგ სტუმარი დარწმუნდა, რომ პირველსა და ახლანდელ ბათუმს შორის დიდი განსხვავებაა. უკვე მომრავლებულია ორ-სამ-ოთხ სართულიანი ქვითკირის სახლები, სასტუმროები, შემცირებულია უწმინდური ყავახანები; ქუჩებში აქა-იქ ფარნებიც ანთია, მაღაზიებში ყველაფერი იშოვება, აშენებენ ქალაქის ბაღს, აშრობენ ტბებსა და ჭაობებს, გამოჰყავთ სასმელი წყალი. გაჰყავთ რკინიგზა. აფართოებენ ნავსადგურსა და ა.შ. „ვისაც ადრე ოსმალოს ხელში უნახავს ბათუმი და ახლაც ჰხედავს, ყველა დარწმუნებით იტყვის, რომ ამ ქალაქს დიდი მომავალი აქვს, კარგი ბედი მოელისო“, რეალურად წინასწარმეტყველებს ჟურნალისტი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ს.მესხს დიდად აწუხებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. ისინი კვლავ გამოთქვამდნენ დაუფარავ უკმაყოფილებას ახალი ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც დღითიდღე მდიდრდებოდნენ, იშენებდნენ ახალ სასახლეებს, იძენდნენ მიწებს და აწყობდნენ თავიანთ ცხოვრებას. განსაკუთრებულ უსიამოვნებას იწვევდა ადგილ-მამულის კუთვნილების საქმე. მართალია ამ დახლართულ მდგომარეობიდან გამოსვლაში მოსახლეობას ეხმარებოდა ბევრი კეთილსინდისიერი ქართველი ჩინოვნიკი, ადგილობრივი მოსამართლეც, მაგრამ საქმე ხშირად ფულიანი კაცის სასარგებლოდ წყდებოდა, რაც აძლიერებდა უკმაყოფილებას და მუჰაჯირობის მიზეზი ხდებოდა.

ს.მესხი ვრცლად ეხება და გულწრფელი, ჭეშმარიტი პატრიოტის გრძნობებს გამოხატავს, როცა ბათუმელთა ხასიათს ეხება: „ბათუმის მაზრის ადგილობრივი ხალხი თითქმის არაფრით არ განირჩევა ნამდვილი ქართველებისაგან. იგივე გულ-უხვობა და გულღიობა, იგივე მხნეობა და სიმარჯვე, იგივე პურმარილიანობა და სტუმართმოყვარეობა, საუბედუროდ, იგივე მცონარეობა და ხანდისხან სიზარმაცეც, განსაკუთრებით კეთილშობილებში. ზოგიერთები თითქმის მთელ დღეებს ყავახანებში აღამებენ... მტკიცედ დაცვა მაჰმადის რჯულისა, ქალების ჩაკეტვა და ეს ყავახანური ცხოვრების სიყვარული – ეს სამი ცვლილება შევნიშნე მე

ამათში... რომელიც ოსმალოს მფლობელობას მოუხდენია. ყველა დანარჩენის მხრით ესენი ახლაც ისეთი ნამდვილი ქართველები, გულით და სულით ივერნი დარჩენილან...“ (იქვე).

ეს იყო კეთილგონიერი მწერლისა და ჟურნალისტის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც დიდი ხნის ნანატრ მიწა-წყალსა და იქაურ მოსახლეობას მიუძღვნა. მას, როგორც გაზეთის ხელმოკლე რედაქტორს, არ შეეძლო რაიმე დიდი მატერიალური დახმარება გაეწია შეჭირვებული ხალხისათვის, მაგრამ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენადაც შეეძლო კეთილი სამსახური და ერთგულება არ მოუკლია ჩვენი ქვეყნისათვის და მისი მრავალჭირნახული კუთხის, აჭარისათვის.

ს.მესხის ბოლო საგაზეთო გამოსვლა, „ჩემს მკითხველს“, ერთგვარი აღსარებაცაა და იგი ერთნაირად ეფინება საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს, ამიტომ ამ ჩვენს წერილსაც დავამთავრებთ მისი ერთ-ერთი იმ გამონათქვამით, რომელიც ზუსტად გამოხატავს პიროვნებას, ახასიათებს მამულისათვის თავდადებულ კაცს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერის და მშობელი მიწის სიყვარულს, მის კეთილდღეობას შესწირა: „ერთგული ვიყავი იმ დიდ საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტგანზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არ გარდამიხვევია იმ გზიდან, რომელიც მე, ჩემის სინდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა“ („დროება“, №85, 8 მაისი, 1883 წ.). ასეთი სიტყვებით საკუთარ ერზე მიმართვის უფლება მხოლოდ სერგეი მესხისთანა გულმხურვალე მამულიშვილებს ჰქონდათ.

რაფაელ სურმანიძე

19 ნოემბერი 1999 წ.

I. ოსმალოს საქართველო

რამდენიმე მაზრა, – როგორც ამბობენ, თითქმის ორასი ათასი შთამომავლობით ქართველი – დღეს თავის დედა-ქვეყანას მოწყვეტილია და ოსმალოს ექვემდებარება.

აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან. დღეს, სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ოსმალოს პროვინციებათ შექმნილან.

საუკუნოებს გაუელია, რაც ეს ქვეყნები ოსმალოს დაუპყრია, რაც ოსმალო ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა.

მაგრამ, დახეთ ქართველი ტომის სიმტკიცეს, – რჯულის მეტი იმათ არა შეუცვლიათ რა, და ისიც მხოლოდ ძალ-დატანებითა და სხვა-და-სხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს.

სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრება ისევ ძველი, ქართველური აქვთ.

ავტორი ბროშურისა "Три месяца в Турецкой Грузии" რომელმანც 1874 წ. რამდენიმე ნაწილი ოსმალოს საქართველოსი მოიარა და ბევრი საინტერესო ცნობანი გადმოგვცა იქაურს ქართველებზე, თავის აღწერაში ერთს ალაგს ამბობს: „...აჭარლებმა იციან თამარ დედოფლის სახელი. ყველგან გაიგონებთ აქ, რომ ჩვენ ერთ დროს ქრისტიანები ვიყავითო; რომ მთებს იქით ცხოვრობენ ჩვენი მოძმე და ნათესავი ხალხი – ქართველებიო. იმათს ნაამბობში ისმის სინანული, რომ ერთ დროს ძლიერნი, ახლა ასე დაცემულნი ვართო... მომავალში რაღასიც იმედი აქვთ".

შავშეთის მცხოვრებლებზე ასევე ავტორი ამბობს: „შავშეთში დიდმა და პატარამ იცის, რომ იმათი ქვეყანა ძალით მოგლეჯილია საქართველოზე. რომ იმათი წინაპარნი ქრისტიანნი იყვნენ".

ამასვე ამბობს ლაზისტანის ქართველობაზედაც ერთი სიტყვით. მთელი ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვს, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი; ხალხი თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართულ ეკლესიების ნანგრევებში და შესაწირავი მიაქვთ. იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთი ბედისა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი მეფეები გვყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება.

ეს ყველა იმათ ახსოვთ, იმათ იციან. მაგრამ ჩვენ? ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე, მთებს გადაღმა ორას ათასამდი ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ, ჩვენ შორის განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან?

ან თუ ახსოვს ვისმეს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენ შორის ისტორიულ ვითარებათა წყალობით გაწყვეტილი კავშირი და იმათი მდგომარეობა გაეცნო, და აგრეთვე ჩვენი თავიც გაეცნო ჩვენი მოძმეებისათვის.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან. ახალს ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათზედ! ისინი ჩვენ ძმებად გვთვლიან და ჩვენ კი იმათ ოსმალოებათ ვრაცხთ, არ ვიცნობთ, არ გვინდა გავიცნოთ!

ზნეობრივი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა და ანგარიში მოითხოვს, რომ ჩვენ ისე ძმურათ უყურებდეთ იმათ, როგორც ისინი ჩვენ გვიყურებენ.

იმედია, არავინ არ ჩამოგვართმევს ურიგოთ და უადგილოთ „დროების“ რედაქციის ნატვრასა, რომ მოისპოს ეს განკერძოება ჩვენსა და ოსმალოს ქართველებს შუა, რომ ძმებმა ერთმანეთი დაახლოვებით გავიცნოთ.

ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს, მცირეც არის, ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს.

ოსმალოს საქართველო – დაიბეჭდა ავტორის ხელმოწერით „დროებაში“ (1875 წ., 67 VII. №76). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების I ტომში (გვ. 282-285). ი.ბოცვაძე, II ტ. გვ. 91-92.

2. ჩვენი მოვალეობა

ქვემოთ „დღიურში წაიკითხავთ ოსმალოს საქართველოდამ მოსულს ამბებს, რომლიდამაც დაინახავთ, რომ ოსმალოს სასტიკი მმართველობისაგან დაწიოკებული და შევიწროვებული ქართველები სრულიათაც არ ფიქრობენ დამშვიდებასა და დამორჩილებას.

მოძრაობა ქობულეთიდამ ლაზისტანში და აჭარაში ერცელდებაო, – გვატყობინებენ.

ვინც გაზეთებს მაინც თვალ-ყურს ადევნებს, იმან იცის, თუ როგორ ეპყრობა ოსმალეთი თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებსა.

ჯერ მშვიდობიანობის დროსაც ოსმალოს მმართველობის მოხელეები: ფაშები, მუდირები და უბრალო წვრილი ჩინოვნიკებიც კი ყოველ ხარჯს ერთი-ორათ ახდევინებენ, ადამიანათ არ სთვლიან, ყოველს შემთხვევაში ავიწროებენ ქრისტიანებს, მაჰმადიანებთან მუდამ ისინი არიან დამნაშავე. ვაი იმ ქრისტიანს, ვინც მდიდარია, ვაი და უი იმას, ვინც მაჰმადიანის შეგინებას, შეურაცხყოფას გაბედავს!

ეს მშვიდობიანობის დროს. ახლა აჯანყების დროს რაღა უნდა იყოს!

ნახეთ ჰერცოგოვინას და ბოსნიის მდგომარეობა და მაშინ გაიგებთ. სარწმუნო პირები იწერებიან ამ ქვეყნებიდამ, რომ საცა კი

აჯანყებული ქრისტიანი ჩაუვარდა ხელში ოსმალოს ჯარს, შებრალებას ადგილი არ ქონდაო; ტყვეები იმათ არ იციანო; დატუსაღებულებს განუკითხავათ თავს ჰკვეთენო; დამორჩილებულ სოფლებში და ქალაქებში დავარდნილ მოხუცებულებსა და ძუძუმწოვარ ბავშვებს, რომელთაც გაქცევა არ შეეძლოთ, ბევრს არ ალაპარაკებენ, შეუბრალებლათ, თითქო წიწილები იყვნენ, მიჟლეტ-მოჟლეტენ, დასჩეხენ ხრმლითა და დაჰყრიანო; მთელ სოფლებს ცეცხლს უკიდებენო.

მარტო ბოსნიიდამ 30000 კაცი და ქალი გაქცევია ამ საშინელ მომავალს. „დროების“ მე-101 ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენციიდამ შეიტყობდით, რომ ოსმალოს მოხელეები ჩვენ მეზობლათაც ამავე სისტემით მოქმედებენ.

„ როცა ფაშას მოახსენეს, რომ ქობულეთელები ჰერცოგოვინაში წასვლას არ აპირებენო, გახელებულმა ფიცხელი ბრძანება მისწერა კაიმაკებს და მუდირებს (უეზდის უფროსებს), რომ ძალით გამოიყვანეთ ხალხიო და ვინც წინააღმდეგობა იხმაროსო, ოჯახი და სახლ-კარი დაუწვით და მათი ცოლ-შვილი დაატუსაღეთო“.

რა არის ჩვენი მოვალეობა ამ შემთხვევაში? რას უნდა ვშვრებოდეთ ჩვენ, როცა ჩვენ მოძმეებს სწვენ, დაგვენ, როცა იმათ შვილებს წიწილებივით სრესენ, როცა იმათ ცოლებს აუპატიურებენ?

იმას უნდა ვშვრებოდეთ, ისე უნდა ვიქცეოდეთ, როგორც ადამიანური, კაცთ-მოყვარული გრძნობა მოითხოვს. როგორც იქცევიან ახლა ჰერცოგოვინელებისა და ბოსნიელებისათვის იმათი თანამოძმე სლავიანები და არა თუ მარტო სლავიანები, ყველა უცხო ხალხებიცა, ვისაც კი კაცური გრძნობა, სიყვარული და გული უჩუჩუნებს სხეულში!

თუ უსამართლობისაგან დაჩაგრულ და მოთმინებიდამ გამოსულ ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია, ზნეობით დავეხმაროთ, დავეხმაროთ ისე მაინც, რაგორც ევროპიელები, როგორც საზოგადოდ სლავიანები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს.

ამ უთანასწორო თავ-გადადებულ ბრძოლაში ყოველი ჩვენგან გაგზავნილი ლუკმა პური, ყოველი უბრალოც არის ნაჭერი ტანთსაცმელისა, ყოველი ყურუში ძვირფასი იქნება არა თუ თავის თავათ, არამედ როგორც ზნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძნობისა, ჩვენი ძმობისა.

და ეს დახმარება არავის საწინააღმდეგო არ იქნება, რადგან ვერავინ ვერავითარ პოლიტიკურ მნიშვნელობას ვერ მიაწერს; ეს იქნება მხოლოდ აღსრულება ქრისტეს მცნებისა, ეს იქნება მხოლოდ მცირედი დაკმაყოფილება კაცთ-მოყვარული გრძნობის მოთხოვნილებისა.

ჩვენი მოვალეობა – დაიბეჭდა ავტორის ხელმოწერით „დროებაში“ (1875 წ., 7. IX. №106). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების I ტომში (გვ. 298-300). ი.ბოცვაძე, II ტ. გვ. 125-127.

3. იქნება ომი თუ არა?

კაცს ვერ შეხვდებით ამჟამად ქალაქში, რომ ეს კითხვა არ მოგცეთ: „იქნება ომი თუ არა?“

ყოველი მხრით ესმის დიდი მზადება საომრად, გაზეთებში ცხარე, მხედრულ სტატიებს ჰკითხულობენ და ყველა ამისაგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ომი იქნებაო, ე.ი. ისეთი ომი, რომელშიაც რუსეთი გაერევაო.

ჩვენ რომ გვკითხოთ – დაბეჯითებით და დარწმუნებული პასუხის მიცემა ამ კითხვაზე არ შეგვიძლიან, და არა თუ ჩვენ, არავის არ შეუძლიან ესეთ ნაირად დახლართული დიპლომატიის გზები გამოიკვლიოს და სთქვას: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ომი იქნებაო, ან არ იქნებაო.

ახლანდელი ომის საქმე როგორღაც თანდათან იზრდება: ჯერ ჰერცოგოვინაში დაიწყო არეულობა, მერე ჰერცოგოვინის თავ-

ისუფლების მაძიებლებს ბოსნიელები დაეხმარნენ, ცოტა ხანს შემდეგ ამათ ხელი მოუმართეს ბოლგარიელებმა და ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ამათ გარდა, სერბიამ და ჩერნოგორიამ გამოუცხადა ოსმალეთს ომი.

ასე რომ, როგორც ერთმა მახვილმა ქართველმა მწერალმა სთქვა, ეს ბრძოლა სწორეთ ჩვენებურ მუშტი-კრივსა ჰგავს: ჯერ რვა-ცხრა წლის პატარა ბიჭები გამოვლენ ასპარეზზე და ერთმანეთს პატარა მუშტების თავაზს დაუწყებენ, მერე პატარა ბიჭებს დიდები, თხუთმეტ-თექვსმეტის წლისანი წაესარჩლებიან და ბოლოს ნამდვილი მოკრივეები ჩაერევიან.

ამჟამად ბრძოლის ველზე მხოლოდ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ასაკოვანნი იბრძვიან; საქმე იმაშია ახლა: ჩაერევიან დიდები, თუ, როგორც აგრეთვე ჩვენებურს მუშტი-კრივში მოხდება ხოლმე, გაჩდებიან „მშვიდობიანობის დამცველნი", ძალისა და უფლების წარმომადგენელნი პირნი, რომელნიც ეტყვიან ამ მცირე წლოვან მებრძოლთ: „კარგი, გეყოფათ, ჩააგეთ ხმალიო!"

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იყო მოხსენებული, ევროპის უმთავრესი სახელმწიფონი სამ ბანაკად არიან ამ ჟამად გაყოფილნი:

ინგლისსა და ავსტრო-ვენგრიას არამცა-და არამც არ უნდათ, რომ ოსმალოს ერთი ნაჭერი მიწა რა არის ჩამოერთვას და ან დაეკარგოს ის უფლება, რომელიც იმას სლავიანურ ხალხებზედა აქვს.

რუსეთის მმართველობა და ხალხი კი, რაც ამ „დაიარაღებულ მშვიდობიანობას" შეეფერება, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ სლავიანური მიწები ოსმალოს დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლოს.

საფრანგეთი, გერმანია და იტალია ჯერ-ჯერობით განზე დგანან, რადგან ეს საქმე პირ-და-პირ იმათ ინტერესებს მაგდენად არ შეეხება; მაგრამ, თუ ვინიცობაა ინგლისი და რუსეთი ჩაერიონენ ბრძოლაში, მაშინ გამოაჭყეტენ თვალს, სეირის ყურებას უჭველია, თავს დაანებებენ და ვისაც როგორ მოუხდება, იმ მეომარ

მხარეს მიეკედლება. ამბობენ, რომ რუსეთსა და გერმანიას შუა პირობა არისო; თუ ეს მართალია, საფრანგეთი მეორე მხრით, ინგლისისაკენ გადავა, თუ კი ჩაერია ომში.

ამ ნაირად, ყველა სახელმწიფოები მტკიცედ დგანან თავის სიტყვაზე და თავიანთ სურვილის ასრულებაზე. ყველა ერთი მეორეს ებღვირება, ყველას უნდა თავის ნებაზე გადაწყვიტოს ეს საქმე.

ყველა თითქოს საომრად ემზადება, მაგრამ უბედურება თუ ბედნიერება ეს არის, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არის ჯერ საომრად მომზადებული: ზოგს ჯარი არა ჰყავს რიგიანად გავარჯიშებული, ზოგს ახალი სისტემის თოფ-იარაღი არა აქვს, ზოგს ფულები აკლია და ზოგს კი ყველა ერთად.

აქედამ წარმოსდგება ის, რომ, თუმცა ყველას ჰსურს თავისი გაიტანოს ამ დიპლომატიურ ბრძოლაში, თუმცა ყველა ყოყოჩობს და საომრად ემზადება, მაგრამ ამასთანავე ყველასივე გულითადი წადილი ის არის, რომ ბრძოლა როგორმე თავიდამ აიცილოს და „აღმოსავლეთის კითხვა“ მშვიდობიანად, სისხლის დაუღვრელად გაათავოს. ისიც კი შეიძლება, რომ ამ საზოგადო მოუმზადებლობამ გაამხნევოს რომელიმე სახელმწიფო და აფიქრებინოს: „როგორც მე არა ვარ საბრძოლველად მომზადებული, ისე არც ჩემი მოწინააღმდეგე არის. მაშ, რისი უნდა მეშინოდეს?“ შეიძლება ვამბობთ, ასე იფიქრონ და დაიმკლავონ ხელები.

ეს უკანასკნელი მოვლენა (საზოგადო ომის დაწყება) მით უფრო მოსალოდნელია ახლა, რომ დამარცხებული სერბია ისეთის პირობებით თხოულობს მორიგებასა და ბრძოლის გათავებას, როგორც გამარჯვებულ სახელმწიფოს შეეფერება, და გამარჯვებულ ოსმალოს კი ისეთს პირობებზე დათანხმებას ეუბნებიან, როგორზედაც მხოლოთ დამარცხებულს შეუძლიან.

ყოველ შემთხვევაში, საქმე ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ამ მდგომარეობაში დიდ ხანს გაჩერება არ შეუძლიან: ან ომი, ან არა, ამ ორში ერთი-და-ერთი უეჭველად მალე უნდა გადაწყდეს.

იქნება ომი თუ არა? – დაიბეჭდა ავტორის ხელმოწერით „დროებაში“ (1876 წ., 24. IX. №102). ი.ბოცვაძე, II ტ. გვ. 251-253.

თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არა არის რა, მაგრამ კაცს ვერ ნახავთ ამ ჟამად ჩვენში, რომ ამ მოკლე დროში ომიანობის დაწყებას არ მოელოდეს; და როგორც ამისთანა დროს შეეფერება, ყველა რაღაც უჩვეულებრივო ფაცა-ფუცში და მღელვარებაშია.

თუმცა ჯერ თვით დიპლომატებმაც არა იციან რა, რადგან ყველაფერი იმ კონფერენციაზედ არის დამოკიდებული, რომელიც სტამბოლს უნდა შეიკრიბოს და რომლის გადაწყვეტილების მიღებით რუსეთმა და ოსმალეთმა, ძალიან ადვილათ შეიძლება, ომიანობა თავიდამ აიცილონ; მაგრამ ჩვენი ხალხი მზადებას ჰხედავს და ამის გამო დარწმუნებულია, რომ ომიანობა უეჭველად იქნებაო, და თავის თადარიგს იჭერს და ემზადება.

როცა მტერს მოელი, რასაკვირველია, რიგია, რომ იმის ღირსეულად დასახვედრად და თავის არსებობის დასაცველათ მზად იყო. მაგრამ, ვამბობთ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის: იქნება ომი თუ არა? ზოგიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ ეს მზადება სულ იმისთვის არისო, რომ მოწინააღმდეგეთ ერთმანეთი დააშინონ – რაო და ხო ხედავ, რომ ბრძოლისათვის მზად ვარო, და ამგვარის ხერხის შემწეობით სტამბოლის კონფერენციაზე თავისი გაიტანონო.

რაც უნდა იყოს, ჩვენ გვამზადებენ ომისათვის. ყველამ ვიცით, თუ როგორი მზადებაა რუსეთში; შევიტყვეთ აგრეთვე ის მკვიდრი სიტყვა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უთხრა მოსკოვის საზოგადოებას; წავიკითხეთ რუსეთის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრის კანცლერის თ.გარჩაკოვის ცირკულიარი რუსეთისავე დიპლომატურ აგენტებთან, რომელშიცა ის იწერება, რომ რუსეთს მშვიდობიანობა ჰსურსო; მაგრამ ისეთი მშვიდობიანობა, რომ იმის სახელი, პატივი და მოთხოვნილებანი შეწყნარებული და დაცული იქნენო.

ამას გარდა, აქ, ჩვენს ქალაქში ამ ჟამად შეკრებილნი არიან კავკასიის უწარჩინებულესი ღენერლები და გუბერნიის მარშლები და მოლაპარაკება აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა შემოიყვანონ

მილიცია, როგორი წესები, რა გვარი იარალი უნდა იყოს იმათში და რა შემწეობის მიცემა შეუძლია ამ მილიციას ომიანობის დროს.

ეს უკანასკნელი საგანი ახლა ყველაზე უფრო საყურადღებოა ჩვენთვის. საყურადღებოა იმიტომ, რომ აქაურმა სამხედრო რჩევამ გადაწყვიტა, რომ მილიცია უეჭველად უნდა მოიკრიბოს და დაიარაღდესო; ზოგი ნაწილი ამ მილიციისა ბრძოლის ველზე უნდა გავიდესო და ზოგი კი ადგილობრივ უნდა დარჩეს ყარაულათაო.

მილიციას, უეჭველია, თოფებს დაურიგებენ და სამხედრო ხელობის სწავლებას დაუწყებენ...

შემდეგ როგორ მოიქცევიან ისინი, რა კაცობასა და ვაჟკაცობას გამოიჩენენ, ეს იმათ ქართველობაზე, იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული. ამ თავითვე ჩვენ მხოლოთ ერთის თქმა შეგვიძლიან, რომ ქართველი ქართველობას, თავის სამშობლოს სიკეთესა და სარგებლობას არ დაივიწყებს ამ საზოგადო შეტაკებისა და გაჭირვების დროს.

ომის მოლოდინი – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში“ (1876 წ., 12. XI. №122). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების I ტომში (გვ. 430-431). ი. ბოცვაძე, ტ. II. გვ. 265-266.

5. ბრძოლის ასპარეზი

ჩვენი, ქართველების უმთავრესი ყურადღება ამ ბრძოლის დროს უნებლიეთ ოსმალეთის საქართველოზედ არის მიქცეული. რასაკვირველია, ჩვენთვისაც საყურადღებო და საინტერესოა, თუ როგორ მიდის და როგორ გათავდება ბრძოლა დუნაის ნაპირებზე და ყარსისაკენ; მაგრამ ყველაზე უფრო გურიაში და ომალეთის საქართველოს სამზღვარზე ომიანობის საქმე შეგვეხება; ეს ბრძოლა უფრო ახლოს არის ჩვენ წინ, ეს უფრო საგრძნობელია

ჩვენთვის, ამას უფრო კარგათ ვხედავთ, რადგან ჩვენ ცხვირწინ ხდება.

თუმცა ეს ასეა, თუმცა ბრძოლა ჩვენ თვალწინ ხდება, მაგრამ, როგორც ხშირად, რაც უფრო ახლოა, იმას უფრო ნაკლებათ ვიცნობთ ჩვენ. ჩვენ არ ვიცით, სად, რა ადგილებში მოხდება ბრძოლა რა ძალა აქვს აქ რუსეთის მოწინააღმდეგეს, რა სიმაგრეები ბუნებითი და ხელოვნებითი, რისი იმედი უნდა ჰქონდეს აქ რუსეთის ჯარს და რა უნდა აშინებდეს.

აი, ყველა ამეების დაახლოებით გასაცნობათ ჩვენ ცოტაც არის დაგვეხმარება ის წიგნი, რომელიც შარშან ღენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკმა უფ. გ.ნ. ყაზბეგმა გამოსცა თფილისში რუსულ ენაზედ. ამ წიგნს ჰქვიან სახელად: „სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული მიმოხილვა ლაზისტანის სანჯახისა“.

ყურადღებაში მისაღებია ის მსჯელობანი და მოსაზრებანი, რომელიც მოჰყავს უფ. ყაზბეგს იმ სამხედრო დანიშნულებაზე, რომელიც აქვს რიონის მხარეს და ოსმალეთის საქართველოს ომიანობის დროს. ყურადღებაში მისაღებია მით უფრო, რომ უფ. ყაზბეგი სამხედრო საქმეების კარგ მცოდნე აფიცრად ითვლება და ახლა ის თვითონ ამ ალაგებში მეომარ ჯარის შტაბის უფროსია და, უეჭველია, რომ ბრძოლასაც თავის აქ მოყვანილ მოსაზრებებისდაგვარად წაიყვანს.

უმთავრესი ჰაზრი უფ. ყაზბეგისა ის არის, რომ ბათუმისა და საზოგადოთ ოსმალოს საქართველოს დაჭრობა რუსეთის ჯარს არას გზით არ შეუძლია, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები, ოსმალოს ქართველები, ომიანობის დროს ჩვენი მოწინააღმდეგენი

---

* "Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака". Сост. генеральн. шт. подполк. Казбеком, Тифлисъ, 1876 г.

იქნებიანო. იმათ ან პირ-და-პირ ჩვენი მხარე უნდა დაიჭირონ და ან უნდა გაჩერდნენ თავისთვის, არც ჩვენი მხარე დაიჭირონ და არც ოსმალოს მოეხმარონ. თუ ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვენ წინააღმდეგ იქნებიან, კიდეც რომ გავიმარჯვოთ, კიდეც რომ ავიღოთ ბათუმი, მაინც ვერ გავმაგრდებით, იძულებული ვიქნებით მალე მივატოვოთო.

ამის გამო უფ. ყაზბეგი ამბობდა, რომ ჩვენ ახლა, მშვიდობიანობის დროს, უნდა ვცდილობდეთო, რომ ყოველის მხრით მოვიმხროთ ჩვენსკენ ოსმალეთის ქართველები, უნდა ვცდილობდეთ გავიცნოთ ისინი, მოვიგოთ იმათი გული, დავიმსახუროთ იმათი თანაგრძნობა და სიყვარული და მაშინ, მხოლოდ მაშინ დაიჭერენ ისინი ოსმალეთთან ბრძოლის დროს ჩვენს მხარეს და ჩვენც იმედი მოგვეცემა გამარჯვებისა.

აქ, შავი ზღვის ნაპირებზე, უფ. ყაზბეგის ჰაზრით ოსმალები ბევრათ უკეთესს სტრატეგიულს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინემ რუსები. ჩვენ არ შეგვიძლიან ზღვა წავართვათ იმათ, რადგან ფლოტი არ გვაქვს და დიდ ხანსაც არ გვექნება შავ ზღვაზე იმისთანა ფლოტი, რომ ოსმალეთთან ბრძოლა შეგვეძლოს.

ათი დღის განმავლობაში, ომის გამოცხადების შემდეგ, ოსმალეთს შეუძლია 50000 კაცი გამოიყვანოს ბათუმში და ხომალდებით მოიტანოს უკანასკნელი 150-200 ზარბაზანი. შეუძლია ერთი ნაწილი ამ ჯარისა სოფ. ბაცში* გაგზავნოს, მეორე ნაწილი — არდაგანში, ანუ ყარსში, მესამე ციხის-ძირში და სხვ. და თუ თავიდამვე მომზადებული არ ვიქნებით, თუ თავიდამვე არ გავმაგრდით ზღვის ნაპირებზე, ოსმალოს ჯარს ერთის მხრით ოზურგეთის აღებას არაფერი არ დაუშლის და მეორეს მხრით, სადმე რიონის მახლობლად გამოვა ზღვის ნაპირზე და პირდაპირ ქუთაისისაკენ გამოსწევს და სურამის ქედამდინ დაიპყრობს იმერეთს.

რასაკვირველია, იაფად არ დაუჯდებათ ოსმალოებს ყველა ამის მოხდენა, მაგრამ შესაძლებელია, რომ ასე გათავდეს საქმე, თუ ჩვ-

---

* სოფელი ბაცა (ზემო და ქვემო) ნიგალის ხეობაში (რ.ს.)

ენი სამხედრო მმართველობა წინდახედვით და ფრთხილად არ მოიქცა.

ჩვენი განზრახვა თავიდამვე, ომის დაწყებისთანავე, უნდა იყოს პირველად ის, რომ ბათუმი დავიჭიროთ და მეორედ ის, რომ წავართვათ ბათუმიდამ კავკასიაში შემოსასვლელი და ყარსის გზები.

ბათუმის წართმევას დიდი მნიშვნელობა ექნება ომიანობის დროს. თუ ბათუმი ჩვენს ხელში იქნება, მაშინ ოსმალებს შავს ზღვაზე თითქმის სრულებით შეკრული ექნება გზები; იმას ვეღარ შეუძლიან მაშინ, რომ თავის ქვეყნიდამ ჯარი გამოიყვანოს იქ ჩვენსკენ გამოსაგზავნად. ოსმალოები მაშინ იძულებული იქნებიან, რომ სადმე სხვა ალაგას გამოიყვანონ ზღვის ნაპირზე. თავის ჯარები და ეს იმათთვის ხომ ძნელი და მოუხერხებელი იქნება.

გურიიდამ ბათუმზე მისასვლელი მხოლოთ ერთი გზა არის, ისიც ზღვის ნაპირით. ამ გზის დასაჭერად აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ ჯერ კინტრიშის მინდორი და ციხის-ძირის სიმაგრე ჩავიგდოთ ხელში. ამის შესრულება ჩვენ, როგორც ზემოთ ვსთქვით, მხოლოთ მაშინ შეგვიძლიან, როდესაც ადგილობრივი მცხოვრებლები არ გვეწინააღმდეგებიან.

ამას გარდა, ახალციხიდამ არის კიდევ ბათუმისაკენ ორი გზა. ერთი აჭარის მთებით, მდინარე აჭარის დაყოლებით და მეორეც შავშეთზე, სოფ. ბეცაზე* და ლივანის შოსსეთი. ამ გზებში მხოლოდ ის გზაა ჩვენი ჯარისათვის გამოსადეგი. რომელიც ოზურგეთიდამ ციხის-ძირზე და ქობულეთზე მიდის. დანარჩენი გზებით ახალციხიდამ კი თითქმის ჯარისა და ზარბაზნების გადაყვანა შეუძლებელია, რადგან ვიწრო და კლდიანია.

მაგრამ ამ ციხის-ძირის გზასაც ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს – მტრის ჯარს შეუძლია ზღვიდამ ხომალდებიდამ დაუშინოს ჯარს ზარბაზნები და ამნაირად დააბრკოლოს იმის წინ წასვლა.

---

* უნდა იყოს ბაცაზე (რ.ს.)

შავშეთის გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება ომიანობის დროს; ამ გზას გადასჭრის ის გზა, რომელიც ბათუმიდან ყარსში მიდის და თუ სოფ. ბაცა დაიჭირეთ, მაშინ ოსმალებს ყარსის გზა შეკრული ექნებათ და ბათუმიდამ იქით ველარც ჯარისა და ველარც ზარბაზნებისა და სურსათის გამოგზავნას ველარ მოახერხებენ.

ყველა ეს დაბრკოლება თუ აიცილა თავიდამ რუსის ჯარმა, შეუძლია ბათუმი დაიჭიროს. მაგრამ რა გამოვიდა? დაჭერა ადვილია, — საქმე იმაშია, რომ ისევ მალე არ გამოგვაცალონ ხელიდამ. და ეს, უეჭველად, ასე მოხდება, რადგან ჩვენ სამხედრო ფლოტი არ გაგვაჩნიაო, ამბობს უფ. ყაზბეგი ორ-სამ სამხედრო ხომალდის ოსმალეთისა ადვილად შეუძლია ისეთნაირად შაგვაწუხოს ზარბაზნებით ზღვიდამ, რომ იძულებული გაგვხადოს ისევ მივატოვოთ ბათუმი და მტერსავე დაუბრუნოთო. მაშასადამე, ბათუმის დაჭერა ჩვენ არ გამოგვადგება; შეიძლება დროებით დავიჭიროთ ის, მხოლოთ იმისთვის, რომ ზღვიდამ აქ ჯარების გამოყვანა დაუშალოთ ოსმალეთს. და ესეც ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გავბედოთ, როცა როგორც ზემოთ ვთქვით, ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩვენი მხარე ეჭირება.

თუ ჩვენმა ჯარმა ვერ მოახერხა წინ წაწევა ბათუმისაკენ, მაშინ ჩვენი უმთავრესი ყურადღება რიონის მხარის გამაგრებაზე უნდა იყოს მიქცეული, რადგან უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში ოსმალოს ჯარი გამოვა ზღვაზე, დესანტს მოახდენს და შემოესევა სამეგრელო-გურიას და იმერეთს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ორი სახსარი გვრჩება ჩვენი თავის დასაცველად, პირველი ის, რომ თუ შესაძლებელია ოსმალეთის ჯარს შავი ზღვის ნაპირზე გამოსვლის საშუალება მოუსპოთ, გზები შეუკრათ, და მეორე ის, რომ, თუ გამოვიდნენ, ისეთი ძალა დავახვედროთ წინ, რომ მტრის შეჩერება მოახერხონ ზღვის ნაპირზედვე, რომ სურამამდინ არ ამოვიდნენ და არ დაიჭირონ მთელი დასავლეთ საქართველო.

პირველი ამ სახსართაგანის ხმარება, ე.ი. დაშლა, დაბრკოლება ოსმალეთის ჯარის დესანტისა, ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან

სამხედრო ფლოტი არ გაგვაჩნია. და ამნაირად, თუ ჩვენ თვითონ ვერ წავედით წინ და ბათუმი ვერ დავიჭირეთ, მაშინ, უეჭველია, თვითონ ოსმალოები გვეწვევიან, შემოველენ ჩვენს ქვეყანაში და რიონის მხარეს დაიჭერენ. და ამ შემთხვევაში ჩვენ მეორე სახსარს უნდა მივმართოთ: რიონის მხარის დაცვას.

რიონის მხარეს, უფ.ყაზბეგის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალს ომში. ამის დაცვაზედ იქნება დამოკიდებული მთელი ომის ბედის გადაწყვეტა.

უფ.ყაზბეგი ამბობს, რომ რუსეთის ჯარი, შუა გუბერნიებიდამ გამოყვანილი ჯარი აქ ვერას გაარიგებსო, რადგან ისეთი ალაგებია და ჰავა, რომ რუსის სალდათს აქ გაძლება არ შეუძლიანო.

ამის გამო, თუ საქმე იქამდინ მივიდა, რომ დასავლეთ საქართველო დასაცველად შეგვექნა, მთავრობამ ისევ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისევ გურიის, იმერეთის და სამეგრელოს მილიციას უნდა მიმართოსო. მხოლოთ ამათ შეუძლიანთ აქ პრძოლა ოსმალებთან და იმათი წინააღმდეგობა. მაგრამ დღემდინ რომ მილიცია იყო, ვერც ამისთანა მილიცია გაარიგებს საქმესო. საჭიროაო, რომ ისინი კარგათ დაიარაღებულნი და გაწვრთნილნი იყვნენ სამხედრო ხელოვნებაში.

ამნაირად, უფ. ყაზბეგს თავის წიგნში შემდეგი ხუთი დასკვნა გამოჰყავს:

1. ომის გამოცხადებისთანავე ოსმალები და იმის მომხრენი, უეჭველია, ბათუმს გამოვლენ, რომ აქედამ რიონის მხარე დაიჭირონ და ყარსისაკენ გზა გაიკვეთონ.

2. ოსმალოები აქეთკენ მაშინ იქნებიან გამარჯვებულნი, როცა სურამის ქედს დაიჭერენ; ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენ რიონის ატრიადი კარგათ დამზადებული გვყავდეს ანუ სადმე დავამარცხოთ ველზე.

3. ყველაზე უკეთესი საშუალება აქეთკენ, ოსმალების დამარცხებისათვის ბათუმის დაჭერაა იმ პირობით, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვენკენ იყვნენ.

4. თუ ბათუმი ვერ დავიჭირეთ, მაშინ დაიარაღებულის ადგილობრივის ხალხის იმედი უნდა გვქონდეს.

5. ბათუმის ატრიადის დასამარცხებლად ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ომიანობის დაწყებისთანავე სოფ. ბაცა, კინტრიშის მინდორი და ციხის-ძირი დავიჭიროთ.

ბრძოლის ახსნა – აქტოგრაფი, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ს.მესხის არქივი, საბ. №12). აქტოგრაფი უთარიღოა, მაგრამ იგი ნამდვილად 1877 წლისაა, რადგან წერილში ლაპარაკია გ.ყაზბეგის წიგნზე „სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული მიმოხილვა ლაზისტანის სანჯახისა“, რომლის შესახებაც ს.მესხი შენიშნავს, რომ „ეს წიგნი შარშან გამოიცაო“. ზემოხსენებული წიგნი გამოცემულია 1876 წელს თბილისში. ბოც. ტ. II, გვ. 313-317.

6. ერთი დღე მუხა-ესტატეში

(ტურისტის შენიშვნები)

მხოლოდ უბრალო ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, გასასეირნებლად წაველი; არც „პადრიადი“ მქონია (რომელსაც ასე გაცხარებით ეძებენ ახლა ჩვენი განათლებული და გაუნათლებელი „ახალგაზრდა მოხუცებულები“), არც სხვა რამ სამხედრო ანუ სამოქალაქო საქმე; მინდოდა მხოლოდ მენახა – თუ როგორ იბრძვიან ხალხნი ერთმანეთში, როგორ ღვრიან სისხლს, რაგვარად არიან მოწინააღმდეგე ჯარები ერთმანეთის პირ-და-პირ დაყენებულნი; მინდოდა მენახა და მეგრძნო – თუ რა „გემო და რა სუნი აქვს თოფის წამალს“ და სროლას ჩემისთანა არა მეომარ მშვიდობიან კაცზედ.

აი, ამიტომ ამ ჩემ წვრიმალ სურვილების დასაკმაყოფილებლად, ავებარგე მე ამ აგვისტოს 3-ს ქუთაისიდამ და გავწიე ოზურგეთისაკენ, რომ აქედამ მუხა-ესტატეს ბანაკში გადავსულიყავ.

ქუთაისიდამ ოზურგეთს მიმავალმა, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ რკინის გზით სამტრედიამდინ უნდა მივიდეს; მერე აქედამ ჩვენი დალოცვილი „ტროიკით“ ოთხი სტანცია უნდა გაიაროს და, ამ ნაირად, მიბრძანდება გურიის სატახტო ქალაქს ოზურგეთში.

მთელი ეს გზა ჩვენ (ოთხნი ვიყავით ერთად მიმავალნი) მშვიდობით, შეუშფოთებლად გავიარეთ; მხოლოთ უმოწყალოდ გვაწვიმდა ზევიდამ და ქვევიდამ საშინელი ტალახი სულს გვიწუხებდა.

ვისაც ამ ნახევარ წლის განმავლობაში არ უნახავს სამტრედიის სტანცია, ახლა რომ ნახოს, ვერ იცნობს: ისეთი მოძრაობაა, ისეთი ფაცა-ფუცია სხვა-და-სხვა წოდების და ხელობის ხალხისა; ყველა კი „ფულის მაძიებლები“ არიან, ყველა ესენი ისე დაჰყვებიან ატრიადს, როგორც ტარბი კალიას. აქ გამართულა სხვა-და-სხვა გვარი საქონლის, ჯარის სურსათისა და თივის და სხვა ამგვარების გადასატან-გადმოსატანი „კანტორები“; უანგარიშო ურმები, დიდ-ძალი ნაირ-ნაირი საქონელი ვაგონებზე და სხვ.

მთელს გზაზედ, სამტრედიიდამ მოყოლებული ოზურგეთამდინ, შეხვდებით ჯარის სურსათითა, საომარ მასალებითა და თივით დატვირთულ ურმებსა და ცხენებს.

მაგრამ ნუ შეუდგებით ამ მოგზაურობისა და მშვიდობიან ხალხის მოძრაობის აღწერას; ეს ხომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ იმერლებს ახლა ფულის მოგების დრო დაუდგათ და ვისაც ცოტა რამ „მოხერხება“ აქვს, კიდეც მოიგებს.

9-ს ნაშუადღევის 2 საათზე ჩვენ მიველით ოზურგეთს. ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ ეს მშვიდობიანი, მიყრუებული ქალაქი ახლა სამხედრო ქალაქად უნდა იყოს გადაქცეული, რადგან ორ ნაბიჯზე იქედამ „ბრძოლის ველი“ იწყება.

მართლაც, საითაც არ გაიხედავთ, ყველაფერი ომსა და მხედრობას მოგაგონებთ: ზედ ქალაქის თავში დაბანაკებულია რამდენიმე ბატარეია თავის ცხენებითა, აუარებელი აფიცრები, დიდ-ძალი რიცხვი მილიციონერებისა და კიდევ უფრო მომეტებული სალდათობა.

ოზურგეთშივე იმყოფება ამ ჟამად მთელი რიონის ატრიადის მთავარ-სარდალი ღენ.მაიორი აგლობჟიო,* შტაბი და ამ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კრაევიჩი, რომელნიც, ამ რამდენიმე დღის შემდეგ, ქუთაისში უნდა გადმოვიდნენ. ქობულეთის ატრიადის სარდალი, ღენ. მაიორი დენიბეგოვი** და ამ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ყაზბეგი, მთელი ჯარით, მუხა-ესტატეში არიან დაბანაკებულნი.

თუმცა სამტრედიიდამ ოზურგეთში მოსულები (სულ 55 ვერსი ითვლება) ისეთნაირად ვიყავით ტროიკისაგან გალახულები, ტროიკამ ისეთნაირად გვჟეჟა, რომ როგორც ერთმა ჩემმა თანამოგზაურმა სთქვა, სამტრედიას რომ რამე დაგვეღია, ოზურგეთამდინ მუცელში ჩინებული კარაქი გაგვიკეთდებოდაო, თუმცა წვიმისაგან ძვლამდინ გაწუწულები ვიყავით, მაგრამ ჩვენი სურვილი, რომ საჩქაროთ მუხა-ესტატე გვენახა, ისეთი ძლიერი იყო, რომ მზათ ვიყავით იმწამსვე წავსულიყავით ოზურგეთიდამ ბანაკში, სადამდინაც 15 ვერსია ცხენის სავალი გზა.

საუბედუროთ, ეს ჩვენი სურვილი ვერ შევასრულეთ, რადგან იმ დღეს მუხა-ესტატეში მიმავალი არავინ იყო და „უაკაზიოთ" არავის უშვებდნენ; თითქმის დღე არ გაივლის თურმე ისე, რომ ოზურგეთსა და მუხა-ესტატეს შუა არ დახვდნენ მარტოთ. უიარაღოთ მიმავალ ხალხს ქობულეთელები და რაც რამ საქონელი გააჩნიათ და ხან საკუთარი სიცოცხლეც არ წაართვან. ჩაუჯდებიან გზის ნაპირას, ტყეში უყარაულებენ მოგზაურებს და თუ ვინმე „უაბნად" დაინახეს, ან თავის საფარიდამ ესვრიან თოფს: ან, თავმოგზაური სულ უიარაღო, გამოვარდებიან, დაეცემიან, ხშირად თავს გააგდებინებენ, გასცარცვენ და მირბიან.

ამბობენ, ამგვარი შემთხვევა ხშირი იყოვო, მაგრამ ახლა დერვიშ-ფაშამ აღუკრძალა ქობულეთელებს ამგვარი „უმიზნო ნადირობა" და უფრო იშვიათად ხდება უბედურება ამ გზაზედაო, მაგრ-

---

* უნდა იყოს ოკლობჟიო (რ.ს.)

** უნდა იყოს დანიბეგოვი – დანიბეგაშვილი (რ.ს.)

ამ ჩვენი აქაური სამხედრო მთავრობა მაინც გაფრთხილებულია და თუ 6-10 ჩაფარს არ გაატანს (ამას ჰქვიან აქ „აკაზია“), ისე არავის გაუშვებს გზაზედ, ოზურგეთისა და მუხა-ესტატეს შუა. რადგან მუდამ დღეა ამგვარი „აკაზიები“, ამის გამო ოზურგეთსა და მუხა-ესტატეს შუა მოგზაურ ხალხს ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ ეძლევა. მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთები ამ განკარგულებას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას და ამ მხნეობისათვის ხშირად სულ ტყუილუბრალოთ თავის თავს სწირავენ.

ჩვენდა ბედად, ქობულეთის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ყაზბეგი, ჩვენ რომ ჩაველით, იმ დროს ოზურგეთს იყო მოსული რაღაც საქმის გამოისად და მეორე დღეს მუხა-ესტატეში დაბრუნებას აპირებდა.

ამაზე უკეთესს შემთხვევას ჩვენ ვერ ვიპოვნიდით, გადავსწყვიტეთ, რომ მეორე დღეს ყველას უნდა გვეშოვნა ცხენები და შტაბის უფროსთან ერთად უნდა წავსულიყავით.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ყველა, ვინც მუხაესტატეში წასვლას ვაპირებდით, ოზურგეთის მოედანზე ან პლაცზე შევიყარენით, სადაც ამაყად გამოჭიმულია თ.დ. გურიელის აჭრელებული, უცნობს არხიტექტურასა და გაუგებელს გემოვნებაზე აშენებული „სასახლე“.

აქ იყო: მაღალი და სქელი ნოტარიუსი, დაბალი და ჩარგვალებული გამომძიებელი სუდისა, გაგრძელებულ-გაწვრილებული გამომცემელი გაზეთისა და თქვენი მორჩილი მონა – ამ სტრიქონების დამწერი, არც მდაბალი – არც ერთობ მაღალი, არც სქელი და არც ერთობ გამხმარი.

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჩვენ შეუერთდით ქობულეთის ატრიადის შტაბის უფროსს პოლკოვნიკს ყაზბეგს, რომელმანც მარდათ შემოაჭენა ცხენი მაედანზე და თავის ამალით – 12 მილიციონერით და ყაზახი რუსით, გამოსწია ჩვენსკენ. ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე ახალგაზრდა ექსან-ხანი, რომელიც განთავისუფლებულიყო დაჭრილობისაგან და ახლა ისევ თავის პოლკში მიდიოდა.

თორმეტი საათის ნახევარზე, როგორც ყოველი რიგიანი მოგზაურის წესია, გადავიწერეთ პირს-ჯვარი და დავადექით გზას. მაგრამ რა გზას! მხოლოთ ახლა ვაფასებ ჩვენი საპიორებისა და სალდათების შრომას! ახლა ვაფასებ, როცა ოზურგეთიდამ მუხა-ესტატეში მიმავალი გზა ვნახე.

მთელი ეს გზა საშინელს, თითქმის გაუვალს ტყეში არის გაჭრილი; ალაგ-ალაგ ძირს ხევში ჩაეჭრათ. მერე როგორი გზა? ისეთი, რომ ზედ „მძიმე არტილერიას" გაევლო, ას-ას ფუთიან ზარბაზნებს და ოთხად შებმულ ურმებსა და პოვოზკებს, და მარტო მუხაესტატემდინ ხომ არაა ამისთანა გაჭრილი შარა გზა, ხუცუბანზე და სამებამდინ არის თურმე ჩვენი ჯარებისაგან გაჭრილი.

რამდენი წვეთი ოფლი, რამდენი შრომაა დახარჯული ამ გზის კეთებაში! და ვინ სარგებლობს ახლა ამ ოფლითა და შრომით? ჩვენი მტერი...

ამბობენ დერვიშ-ფაშამ, ბათუმის ჯარის უფროსმა, მადლობა შემოუთვალა გენერალ ოკლობჟიოს ამ გზის გაკეთებისთვისაო, მხოლოთ უკმაყოფილოდ დარჩაო, რომ ცოტა ვიწროთ გაგიკეთებიათო, თქვენი პატარა ზარბაზნების გადასატანგადმოსატანათ გამოგადგებათო, მაგრამ ჩვენ უფრო დიდი ზარბაზნები გვაქვს და ამისათვის ამ გზის გასაფართოებლად ცოტაოდენი შრომა მოგვეცაო! რომ კიდეც დაგვცინიან!...

ოზურგეთიდამ მუხა-ესტატემდინ 15 ვერსია და თითქმის ყოველ ორ-სამ ვერსზე ლოჟმენტებით გამაგრებულს მაღლობს ადგილებზე ჩვენი პიკეტები, ყარაული ჯარი დგას, თითო ალაგას ასი-ორასი კაცი, მომეტებული ნაწილი გურიის დრუჟინის მილიციონერები. ხელად, საჩქაროთ გაკეთებულს ბარაკებში, ფაცხებში დგანან. ქარი ყველგან ქრის ამ ფაცხებში, მზე ყველგან აცხუნებს და წვიმა ყველგან თავისუფლად ჩამოდის. ამ ზაფხულ-შემოდგომას კი არაფერია, სოფლად ნაჩვევი ხალხი, როგორც იქნება მოიჭირვებს, მაგრამ თუ ამავე ფაცხებში დაზამთრება მოუხდათ, მაშინ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ხალხში დაუავადმყ-

ოფებლად ხუთში ერთიც ვერ გადარჩეს აქეთკენ, საცა ზამთარი ისე სუსხიანია, ასე წვიმიანი და თოვლიანი.

ავათმყოფები ახლაც საკმაოთ არიან თურმე ჯარში მომეტებული ნაწილი მუცელათი და ციებით. ამას ამ ცუდ ამინდებს, წვიმებს აბრალებენ. რომელიც ამ ერთი თვის განმავლობაში ყოფილა აქეთკენ და აგრეთვე დაუმწიფარი ხილის ჭამას.

სიტყვამ მოიტანა და ერთი კითხვა ექიმებისათვის: რატომ არის, რომ სურამს გადმოღმა, იმერეთ-გურია-სამეგრელოში, ხალხს თითქმის სრულიად დაუმწიფარი, მწვანე, ცხარე, მჟავე ხილი უყვარს და სურამს გადაღმა, ქართლ-კახეთში კი, ერთობ გადამწიფებული, დარბილებული, დამჭლეული, მიმტკბარი და თითქმის დამპალი.

ოზურგეთიდამ მიმავალს მუდამ თვალ-წინ უდგა, მარცხნივ სხვა გარეშემო მთებზე, ერთი ორად მაღალი, შაქრის თავივით აყვანილი მთა – ჯიხანჯირი, რომელიც ხუთ-ექვს ვერსზე იქნება მუხა-ესტატედამ აქეთ, ოზურგეთისაკენ. ეს ის ჯიხანჯირია, რომლის თაობაზედაც ახლა აქაურ შტაბის აფიცრებში უთანხმოება არის ატეხილი: ზოგნი ამბობენ, რომ, რადგან მუხა-ესტატეში დიდხანს გამაგრება, არ შეგვიძლია, თუ ოსმალოს ჯარი მოგვაწვაო, ამის გამო აქ, ჯიხანჯირზე, უნდა გადმოვიტანოთ ჩვენი ბანაკიო; სხვები კი ამტკიცებენ, რომ ამ მთაზე ბევრი-ბევრი ორი ბატალიონი თუ დაეტევაო, სრულებით ცხენოსანი ჯარისათვის საბანაკო ალაგი არ არისო და, ამას გარდა, კიდევაც რომ ბლომათ მოთავსდნენ ის ჯარები, ისეთს მაღლობზედ იქნებიან დაბანაკებულნი, რომ, სანამ იქიდამ ჩვენი ჯარები ჩამოვიდოდნენ, მანამ მტერს თავისუფლად შეუძლია ოზურგეთში ამოჰყოს თავიო.

ჩვენი გზა გადაჭრის მდინარე ჩოლოყს. უფ. ყაზბეგმა გვიჩვენა ჩვენ ის ჩოლოყის* ველი, სადაც 1854 წელს თ.ა. ანდრონიკოვმა 16 ათასი კაცით დაამარცხა 80 ათასი თათრის ჯარი. თუმცა ჩვ-

---

* უნდა იყოს ჩოლოქის ველი (რ.ს)

ენმა გამოჩენილმა სარდალმა სტრატეგიის არა იცოდა-რა, მაგრამ, სჩანს, იმას ახლანდელ მეცნიერ სტრატეგიკოსებზე უარესად არ მოუხერხებია საბრძოლველი ადგილის ამორჩევა...

პირველი საათი რომ შესრულდა, ჩვენ დავადექით ერთს ფერდზე და იქიდამ დავინახეთ პირველად ჩვენი მუხა-ესტატეს ბანაკი. აქედამ არაფერი არა სჩანს მაინცა-და-მაინც შესამჩნევი და ყურადღების ღირსი; ზევით მუხა-ესტატეს სიმაღლის ქედი, საცა ჩვენ ვდგევართ – ისაც ქედი; შუაში პატარა მდინარე, რომლის იქით-აქეთ ნაპირებზე მიჭუჭკული არიან მერცხლის ბუდეებსავით ფაცხები ჯარებისათვის და ცხენები გარეთ, ცის ქვეშ დგანან.


ეს მთავარი ბანაკი არ არის ჩვენი; მთავარი ბანაკი ჩვენი ჯარისა, შტაბი და ბატარიები იმ ქედს იქით არის, რომელიც მდინარეს ზემოდამ იწყება.

აქედან ძირს, ჩვენ ფეხთ ქვეშ, გაცხარებული მოძრაობა მოჩანს მდინარის ნაპირზე: ზოგან სალდათები, ნაჯახებით ხელში, აკეთებენ თავის ფაცხებს, რომელნიც ერთობ შეუწუხებია გავლილ წვიმებს; ზოგან თითო-ოროლა გადარჩენილ ხეებს სჭრიან, ზოგან საჭმელს ხარშავენ; იქით გამწკრივებულია ორი-ოდე-ასი მილიციონერი და „ათამაშებენ". ჩვენ პირდაპირ, წყალს გაღმა, კარვათ ვხედავთ რამდენიმე აფიცერს, რომელნიც დურბინდით გაჰყურებენ მარჯვნივ, ზღვისაკენ.

ეს არის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „შესავალი" ჩვენი მუხა-ესტატეს ბანაკისა. თვითონ ბანაკზე შემდეგ.

ამ ქედიდამ ჩვენ დავეშვით ძირს, გადავიარეთ პატარა ხევი და რამდენიმე მინუტის შემდეგ ავედით მუხა-ესტატეს სიმაღლეზედ.

სამხედრო მეცნიერებაში განვითარებული არა ვარ, საუბედუროთ, თორემ იქნება უფრო დაწვრილებით და უფრო მომეტებული ტეხნიკური სიტყვების ხმარებით ამეწერა ეს ჩვენი სამხედრო ბანაკი, ომის პოზიციები, ჯარების განაწილება და დაყენება სხვა-და-სხვა ალაგებზე, ლოჟმენტები, ტრაშეები, რეტრანშამენტები და სხვ. და სხვ.



რუსეთის ჯარის პანაკი მუხა-ესტატეში

ამის გამო მე, როგორც უბრალო მომაკვდავ ტურისტს და დამკვირვებელს შეეფერება, ისეთის ენითა და კილოთი აგიწერთ მუხა-ესტატესა, და ეს აღწერა იქნება უფრო ადვილად გასაგები შეიქნეს ჩვენი მკითხველისათვის, ვინემ მეცნიერებითი ენითა და ტეხნიკური სიტყვებით შეზავებული აღწერა.


მუხა-ესტატეს, ხუც-უბანის, სამების და ციხის-ძირის სიმაღლეები არიან შტონი იმ მთისა, რომელსაც კარგათ ჰხედავთ სურამიდამ ფოთამდინ მოგზაურობის დროს და რომელსაც ჩვენ ხან ახალციხის მთებსა და ხან აჭარის მთებს ვეძახით. ამ მთის ნაწყვეტები რამდენიმე შტოთ ჩადის შავ ზღვამდინ; ამათ სიმაღლეებზე და ფერდობებზე ზღვის ნაპირას სახლობენ ოსმალოს ქართველები და თვითონ ოსმალოებს კი რუსების წინააღმდეგ გაკეთებული აქვთ აქ ციხეები და სიმაგრეები.

ამბობენ, რომ ომიანობის დაწყების დროს არც მუხა-ესტატეში, არც ხუც-უბანში და არც სამებაზე ოსმალოები სრულებით არ ყოფილან, რუსის ჯარს თითქმის თოფის გაუსროლელად შეეძლო

ციხის-ძირთან მისვლაო; ციხის-ძირი კი ცოტაოდენათ ყოფილა გამაგრებული ლოყმენტებითა და ზარბაზნებით, მაგრამ მაშინ არც ამ ციხის აღება დაუჯდებოდა ერთობ ძვირად რუსებსაო.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მაშინ ამ ადგილებზე გასვლა არ შეიძლებოდა და ჩვენი სახორები და სალდათები იძულებული იყვნენ დიდის გაჭირვებით გაეყვანათ ზარბაზნების გადასატანი და ცხენოსანი და თითქმის ქვეითა ჯარის გადასაყვანი გზა; ამასობაში ხანი გავიდა, ოსმალოებმა უკან დაიწიეს და მოასწრეს ციხის-ძირის გამაგრება და ისე გამაგრება, რომ ეს ციხე ახლა ჩვენებურებისათვის თითქმის საფრთხობელად და საარაკო ციხედ გადაქცეულა.

მე თვითონ ვნახე ჩემის თვალით, რომ ამას წინათ ერთს იმერეთის მიყრუებულს სოფელში გლეხის ორი პატარა ბიჭები წაეჩხუბნენ რაღაცაზე ერთმანეთს. ერთი ამათგანი მიუბრუნდა მეორეს და უთხრა: თუ კაი მაჩხუბარი ბიჭი ხარ! ციხის-ძირში წადი და იქ იჩხუბე! მალე აგიტირებენ დედასა!...



გენერალ დენისბეკოვის ყორღანი

ან თუ კისმეს დაცინება უნდათ, ასე ამბობენ: ძალიან მარჯვე ბიჭია: ციხის-ძირს აიღებს, აი!

ვისაც გინდათ მუხა-ესტატე წარმოიდგინოთ, წარმოიდგინეთ უბრალო ცხენის ნალი, ანუ კიდევ უკეთ: ცერი და საჩვენებელი თითი მოღუნეთ ისე, რომ ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მაგრამ ერთს მეორეზე კი ნუ მიადებთ.


ამ ორი თითის დაყოლება იქითკენ ლოჟმენტები (მოთხრილი ჩასასაფრებელი, სასროლი) ადვილებია გამართული.

აქეთკენ, თქვენ პირის-სახისაკენ გაკეთებულია ქვევითა და ცხენოსანი ჯარის სადგომი ფაცხები, პამბის კარვები და თოფის წამლის სარდაფები. საცა საჩვენებელი თითი მეორე სახსარში მოღუნულია, იქ ჩვენი პატარეები (ზარბაზნები) დგანან სწორეთ ოსმალოს ბანაკის ხუც-უბნის პირდაპირ, რომელიც ისე დასჩერებია მუხა-ესტატეს, როგორც ცხვირი ტუჩებს.

პატარეიების ვადაღმა, ძირს დაყენებულია ჩვენი პირველი ცეპი ანუ ყარაული ჯარი, რომელიც დურბინდით ათვალიერებს ხუც-უბნის ბანაკს და იმ წამსვე მოახსენებს შტაბის უფროსს, თუ ოსმალოს ჯარში რაიმე არა-ჩვეულებრივი მოძრაობა შენიშნა. თვითონ შტაბი და ქობულეთის ატრიადის უფროსი ღენერალი დენიბეგოვი დგანან იმ ადგილას, საცა თქვენი ცერის ბრჭხილია.

ამ ორ თით შუა, ანუ პატარეებისა და შტაბის სადგომ ალაგს შუა ჩაწეული, ხევი ალაგია და აქ დგას ორივე მხრით მომეტებული ნაწილი ჩვენი ჯარებისა, მხოლოდ ცხენოსანი ჯარი (ჩვენი დრუჟინები) კი კიდევ უფრო აქეთ დგანან მუხა-ესტატეს გადმოღმა მინდვრებზე.

მუხა-ესტატეზე რომ დადგეთ და პირი ხუც-უბნისაკენ გქონდეთ, მარცხნივ იქნება პატარა მთა, რომელზედ დგას ჩვენი პიკეთი; მარჯვნივ ზღვა, რომელიც 8 ვერსზე იქნება აქედამ და რომელზედაც მუხა-ესტატეს პირ-და-პირ მუდამ გაჩერებულია ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი; უკან დაგრჩებათ ჯიხანჯირის ამწვანებული მთა, რომელზედაც აგრეთვე ჩვენი პიკეთი (პლასტუნები) დგას.



სატელეფონო სადგური ხუცუბანში

ჩვენ პირ-და-პირ ხუც-უბნიდამ მარცხნივ, არის ტალახას მთა, რომელზედაც, სხვათა შორის, ამ პირველ აგვისტოს ჩვენსა და ოსმალოს ჯარებს შუა მცირეოდენი შეტაკება ყოფილა.

აი, ეს გახლავსთ ერთის თვალის გადავლება ჩვენი მუხა-ესტატეს ბანაკისა. ერთი თვალის გადავლება, სამხედრო საქმეში სრულიად გამოუცდელ თვალისაც, კმარა აგრეთვე იმაში დასარწმუნებლად, რომ ოსმალოს ჯარების პოზიცია (ხუც-უბანი) ბევრად უკეთესი, უფრო მარჯვე პოზიცია არის, ვინემ ჩვენი.

ხუც-უბანი, სამება და ციხის-ძირი ერთი მეორეზე უმაღლესი ადგილებია და ყველა ესენი უფრო მაღლებია, ვინემ მუხა-ესტატე, ასე რომ, ხუც-უბანი როგორც ხელის გულს ისე დაგვჩერებია ჩვენ და, მაშასადამე, იქიდამ ნასროლი ყუმბარები უფრო გვაზარალებენ ჩვენ, ვინემ ჩვენგან იმათ

ამას გარდა, შესანიშნავია, რომ ყველა ეს მთები, რომელზედაც ოსმალოები არიან გამაგრებულნი, იქით მხრით ბათუმისაკენ ძალიან ცოტათ არიან დაშვებულნი, მაშინ როდესაც ჩვენკენ, ოზურგეთისაკენ კი ისეთ ნაირად არიან დაფერადებულნი, რომ არა თუ მძიმე არტილერიის ატანა, ცხენოსან და თითქმის ქვეითა ჯარსაც

უჭირს ზედ ასვლა. აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ ჩვენ აქედამ, ამ დაშვებულ ფერდობით მისვლა და ჯარების მიყვანა გვიძნელდება და ოსმალოებს კი ჩვენკენ და ჩვენზედ მოსვლა კი მაგდენათ არა.

ამას მიუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ გარშემო მცხოვრებლები – ქობულეთელები საშინლად გადაგვემტერნენ ჩვენ და არა თუ წინ, უკან – ოზურგეთის გზისკენაც კი უშიშრად ვერ გაუვლია კაცსა.

ყველა ამ ჩვენთვის არა-სასარგებლო გარემოებამ აღძრა შტაბში ლაპარაკი იმაზე, რომ მუხა-ესტატეში ჩვენ დიდხანს გაჩერება არ შეგვიძლია და თუ ახალი ჯარები არ მოგვემატა და ისევ წინ არ წავიწიეთ, აუცილებლად საჭიროა, რომ უკან დავიწიოთ, ოზურგეთისაკენაო.

მართლაც, ამაში ეჭვი არ უნდა გექონდეს, რომ, თუ დერვიშ-ფაშამ ხუც-უბნიდამ ზარბაზნები დაგვიშინა, მუხა-ესტატეში გამაგრება არ შეგვიძლია და არ შეგვიძლია იმ ზემოთხსენებული მიზეზების გამო, რომ ჩვენ აქ არც საკმაო ძალა გვყავს, არც რიგიანათ ვართ გამაგრებული და არც მოხერხებული სამხედრო პოზიცია გვაქვს.

მაგრამ დერვიშ-ფაშა ჯერ თავის ჯარით გაჩერებულია და იმის წყალობით ჩვენც გაჩერებული ვართ.

11 და 12 ივლისის შემდეგ, როცა გვარიანი სროლა და სისხლისღვრა მოხდა კვირიკესთან, აქეთკენ თითქმის სრულიად არ გექონია მტერთან რაიმე შესამჩნევი შეტაკება. მხოლოთ დრო-გამოშვებით კინკლაობა ხდება ჩვენსა და იმათ ცეპებსა და ახოტნიკებს შუა, ესეთი კინწლაობა, რომელსაც სამხედრო კაცები „პარტიზანულ ომს“ ეძახიან.

ათი-ოცი, ხან მეტი, ხან ნაკლები, ქობულეთელები წამოვლენ იქიდამ, გადმოეპარებიან ჩვენ ყარაულ ჯარს, მიუახლოვდებიან რომელსამე ჯარის ნაწილს და უეცრად გააჩენენ სროლას; საქმე თავდება იმით, რომ თითეულის მხრით ოთხი-ხუთი კაცი იხოცება და იჭრება.

ამბობენ, ქობულეთელები ძალიან დიდის ხალისით ასრულებენ ამგვარ საქმესაო; მიდიან დერვიშ-ფაშასთან და სთხოვენ – გაგვიშვით გურულების დასახოცათო. მაგრამ, როგორც ნამდვილად მითხრეს, დერვიშ-ფაშამ ამ უკანასკნელ დროს ამ გვარი „ნადირობა" აღუკრძალა ყველას და ახლა მხოლოთ მალულად მოდიან ჩვენკენ ქობულეთელებიო.

არც ჩვენის მხრიდამ აკლებენ ხელს; ჩვენც გვყავს „ახოტნიკების კამანდა", რომლის წინამძღოლი შტაბის კაპიტანი კლეჩკოვსკია და რომელშიაც მომეტებული ნაწილი ჩვენი მილიციონერები არიან ჩაწერილნი და პლასტუნები (ქვეითა ყაზახი რუსები). ესენი ეცემიან ოსმალოს პიკეთებს, იტაცებენ, თუ სადმე უყარაულო ჯოგი დაინახეს, თუ სადმე გზა-დაბნეული ერთი ან ორი ქობულეთელი დაინახეს.

თუ სადამდინ მიაღწევს ამათი გაბედულობა, ამის დასამტკიცებლად შემდეგი მაგალითი მოგვყავს: ხუთი ახოტნიკი გადაპირულიყო ამას წინათ ღამით ოსმალოს ყარაულებს იქით, მისულიყვნენ ქობულეთს, შეპირულიყვნენ ალი-ფაშა (თავდგირიძის) ერთს ოთახში, დაესხათ პოლზე და სტოლზე ნავთი, ის იყო რომ სპირჩა უნდა წაეკიდათ, ამ დროს შეეტყოთ და ძლივს მოესწროთ გამოქცევა.

ამ ომის დაწყებამდინ, გურულებს და ქობულეთელებს შუა თუმცა ხშირად მოხდებოდა ხოლმე კინწლაობა, თუმცა ხშირად გადადი-ოდ-გადმოდიოდნენ ერთმანეთში ქურდობისა და საზოგადოთ ცუდკაცობის მიზნით და ერთმანეთს მაგდენათ არა ზოგავდნენ, მაგრამ ამ ორ მოსაზღვრე ხალხს ერთმანეთი თანამოძმეებად მიაჩნდათ და ყოველ გაჭირვებაში მზათ იყვნენ ერთმანეთისათვის, რითაც შეეძლოთ, ხელი მოემართათ. ჰქონდათ ერთმანეთში ხშირად მეგობრული მისვლა-მოსვლა, ნათესაობითი კავშირი და მეგობრობა. ახლა? ახლა ამ ომიანობის გამოცხადების შემდეგ ისეთი გაბრაზებული მტრობა ჩამოვარდა ამ ორ ხალხს შუა, რომ მზათ არიან ერთმანეთის სისხლი შესვან და ხორცი შესჭამონ. რასაკვირველია, არც რუსსა და ქართველ ანუ კახელ

მილიციონერს დაზოგავს ქობულეთელი, თუ სადმე შეხვდა; მაგრამ ისეთის „სიამოვნებით“ არავის არ მოსჭრის თავს, როგორც გურულს.

– მოიცადეთ! აგი თავ-ქოფიანები (ე.ი. თავ-კეპიანი სალდათები) მალე წავლენ აქედამ და თქვენ კი აქ დაგვრჩებით! – ასე ემუქრებიან თურმე ქობულეთელები გურულებს.

რისგან წარმოსდგა ამისთანა დაუძინებელი მტრობა ამ ორ, მოსაზღვრე და თანამოძმე ხალხს შუა? რა იყო ამის მიზეზი?

მიზეზს ათასს ამბობენ.

გურულები და სხვებიც მუხა-ესტატეში ამბობენ, რომ პირველად მშვიდობიან მცხოვრებლებმა დაგვიწყეს თავიანთ სახლებიდამ და ტყიდამ თოფების სროლაო და მერე აღარც ჩვენ დავზოგეთო.

თვითონ ქობულეთელები კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ სრულებით განზრახვა არ გვქონდა, რომ ჩვენი თანამოძმე ქართველებისათვის თოფი გვესროლა და საზოგადოთ იმათ მტრულად დავხვედროდითო! მაგრამ როცა ვნახეთ, რომ ჯარს ისინი მოუძღვიან წინ, რომ ისინი (გურულები) ასწავლიდნენ გზას, და მშვიდობიანი სოფლები აგვიკლეს, ცოლ-შვილი და მოხუცებულები ამოგვიწვეს სახლებში, რაღა თქმა უნდა, აღარც ჩვენ დავზოგეთ და არც შემდეგში დავზოგავთო; გურულები რომ არა, მარტო რუსები ჩვენ ვერას დაგვაკლებდნენო და სხვა.

ჩვენ არ ვიტყვით – რომელია ამათში მართალი და რომელი მტყუანი, მაგრამ ამას კი ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ჩვენის მხრით რომ ცოტა მომეტებული გამჭრიახობა, უანგარობა და ხერხი ყოფილიყო ხმარებული თავიდამვე, ეს მტრობა და განხეთქილება არ ჩამოვარდებოდა ჩვენსა და ქობულეთელებს შუაო.

საუბედუროთ, ეს ასე არ მოხდა და ზოგიერთი უთავო და უგულო პირების წყალობით ჩვენსა და ჩვენს თანამოძმე ოსმალოს ქართველებს შუა დღეს ძმა ძმის მკვლელი მტრობა ჩამოვარდა.

მთელი ეს დღე მუხა-ესტატეში ჩვენ, სტუმრებმა, ჩვენი და მტრის ბანაკის დათვალიერებაში გავატარეთ. ქობულეთის ატრიადის

შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ყაზბეგმა იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ მთელი დღე თითქმის ჩვენთან გაატარა და გვიჩვენა ყველაფერი, რის ნახვაც შეიძლებოდა და რაც ღირსი იყო ყურადღებისა.

როცა ჩვენ გავათავეთ დათვალიერება ჩვენი საკუთარი ბანაკისა, გადავდექით ერთ მაღლობ ადგილზე. საიდამაც უფრო კარგათ ჩნდა ხუც-უბანი, გავმართეთ დურბინდი და დავიწყეთ იქითკენ, მტრისაკენ ცქერა.

არავითარი მოძრაობა, არავითარი სიცოცხლე იქ არ სჩანდა; თითქო ყველაფერი მიძინებულია; მხოლოთ მოჩანს ახლად ნაჩიჩქნი მიწა (ლოჟმენტები), რამდენიმე ბამბის კარავი და ორი თუ სამი რაღაც შენობა, სხვა არაფერი. უეჭველია, რომ როგორც ჩვენი ჯარის სადგომები და კარვები ამ მუხა-ესტატეს მთას გადაღმა არის ხევში გამართული ისე, რომ მტრის ყუმბარამ იმათ ვერა აქნოს რა, ისე იმათ ხუც-უბნის იქით გვერდებზე ექნებათ. იქითაც უტრიალეთ დურბინდს, აქეთაც, მაგრამ ვერას ვხედავთ, თუმცა ეს დურბინდი ისე კარგათ აჩვენებს, რომ ადამიანსაც დავინახავთ მტრის ბანაკში (5-6 ვერსზედაა აქედამ ხუც-უბანი).

ხუც-უბანს იქით, ცოტა მარჯვნივ, უფრო ახლოს ზღვის ნაპირზედ, ჩვენ ვხედავთ რამდენსამე მაღალ მთას, რომელნიც ყარაულებივით დამწკრივებულან; ეს სამების მთებია, რომელზედაც ჩვენ ვიყავით და რომელზედაც ახლა აღარა ვართ.

სამებას იქით, კიდევ უფრო მარჯვნივ და, მაშასადამე, კიდევ უფრო ახლოს ზღვაზე, შავათ ამწვეთებულია ყველა ამ მთებზე უმაღლესი მთა, უძლიერესი ყარაული – ციხის-ძირი ანუ, როგორც ძველი ქართველები ეძახიან, ქაჯეთის ციხე, რომლის აღება ძალიან გვინდოდა, რადგან ეს არის ბათუმის კარი, მაგრამ რომელიც, საუბედუროთ, ვერ ავიღეთ.

აქედამ კიდევ უფრო მარჯვნივ ზღვა მოჩანს, რომელზედაც ციხის-ძირსა და მუხა-ესტატეს შუა მუდამ გაჩერებულია ოსმალოს დიდი ჯავშნიანი ხომალდი; მთელი დღე 10 აგვისტოს ეს ხომალდი

გაუნძრევლად იდგა თავის ალაგას; ნასადილევს ჩვენ კარგათ დავინახეთ, რომ ორი ამისთანავე ხომალდი, ცოტათი უფრო მოშორებით ზღვაში, წავიდა პირდაპირ სოხუმისაკენ.

აი, სულ ეს მოჩანს მუხა-ესტატედამ. როგორღაც ახირებული, ძნელად წარმოსადგენი გრძნობა შეიცავს კაცს, როცა მტრის ბანაკს ხედავს.

– ამსვა, დამსვა და ნეტავი იმათ შუა გულ ბანაკში დამსვაო! – ამბობენ გუნებაში მაგრამ ისე ჩუმათ რომ შენმა ყურებმაც ვერ გაიგონოს ეს შენი ნატვრა. – ნატავი, რა ამბავია ახლა იქ? რასა ჰფიქრობენ? რას აკეთებენ? რა განზრახვა აქვთ? და სხვა ამგვარი კითხვები უნებლიეთ მოგდისთ თავში...

– ჩვენ რამდენი ჯარი გვყავს მუხა-ესტატეში – ამას ხო არ მეუბნებით და ის მაინც მითხარით დევრიშ-ფაშას რამდენი ეყოლება? – ვკითხე მე უფ. ყაზბეგს.

– ეგ რო ვიცოდეთ, სხვა რაღა გვინდა! მტერმა რომ მტრის ძალა იცოდეს, ნახევარი გამარჯვება იმისკენ იქნება. არც ჩვენ ვიცით იმათი ნამდვილი ძალა და არც იმათ იციან ჩვენი ჯარის რიცხვი.

ნამდვილათ მხოლოთ ის იციან აქ, რომ 12 ივლისს შემდეგ, როგორც ჩვენ აქ დაბანაკებული ჯარის ერთი ნაწილი (ათი ბატალიონი) წავიყვანეთ აქედამ და ყარსისაკენ გავგზავნეთ, ავრეთვე დერვიშ-ფაშასაც გაუგზავნია ბათუმიდამ რამდენიმე ბატალიონი.

ამ ერთმანეთის ძალის უცოდნელობისაგან წარმოსდგება, რომ ორთავე მოწინააღმდეგე მხარეს ეშინიათ ერთმანეთის; ორივე იმას ფიქრობს: ვაი თუ მტერს უფრო მომეტებული ჯარი ჰყავდეს და რომ შევება, დამამარცხოსო! და არიან ასე, ჯერ-ჯერობით, ერთმანეთის პირ-და-პირ გაჩერებულნი, სანამ რომელიმე წვრიმალი შეტაკება არ შეახეთქებს იმათ და არ გააცნობს ერთმანეთის ნამდვილ ღონესა.

ამ გარემოებით აგვიხსნა უფ. ყაზბეგმა 11 ივლისის სისხლისღვრა. იმან სთქვა, რომ – რადგან ჯარის დაკლებას გვიპირებდნენ და მერე ჩვენ სულ აღარ შეგვეძლო ციხისძირზე მისვლა, ამის

გამო, სანამ ჯარს გავეზაუნიდით ყარსისაკენ, ვსცადეთ და დავეცით მტერს იმ განზრახვით, რომ შეგვეტყო, თუ რა ძალა არის ჩვენს წინააღმდეგ. ვსცადეთ და დავრწმუნდით, რომ დიდი ძალაც არის და უფრო უკეთესი სიმაგრეებიცა, და დავბრუნდით... მას აქეთ, როგორც ხედავთ, აქა ვართ გაჩერებულნი და კიდევაც ვიქნებით, სანამ ახალი ძალა არ შეგვემატება.

ამნაირად, უფ. ყაზბეგის სიტყვით, 11 ივლისის შეტაკება კვირიკესთან იყო უბრალო ცდა (опытъ). თითქმის რეკოგნოსტიროვკა და არა ნამდვილი ბრძოლა...

საუბედუროთ, ეს „ცდა" ერთობ ძვირად დაგვიჯდა ჩვენო! სთქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც მე ეს გარემოება ვუამბე.

შესანიშნავია, რომ თითქმის ყველგან ასე დაგვემართა ჩვენ – დუნაისაკენაც და ყარსისაკენაც. ყველგან ვსცადეთ, ყველგან ერთობ აჩქარებით წინ გავიწიეთ, ერთობ იმედი გვქონდა ჩვენი ძალისა, ერთობ ცუდი ჰაზრი გვქონდა მტრის ღონეზე და ძალაზე შედგენილი, ერთობ ბევრს გვიყვიროდნენ ჩვენ ზოგიერთი რუსის გაზეთები, რომ რუსეთი ერთის ამოსუნთქვით გადაყლაპავს ოსამალეთს, ერთის ფეხის განძრევით გასრესსო – და ბოლოს გამოვიდა, რომ ჩვენი მხნე და თავგანწირული ჯარი თითქმის ყველგან იძულებულ შეიქმნა უკან დაეწია, რადგან წინ დაუხვდა ოსმალოს ჯარი, რიცხვით და მხნეობით ჩვენზე არა ნაკლები და დაიარაღებითა და სიმაგრეებით ჩვენზე უკეთესი.

რასაკვირველია, ეს უკან-დაწევა ჩვენი ჯარებისა დროებითია და ჭკუის სასწავლებელი მაგალითია ჩვენთვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ამ მტრის ძალის დამცირებამ და ჩვენის ერთობ გაზვიადებამ, ცოტა არ იყოს, გვავნო ჩვენ.

ერთი დღე მუხა-ეხტატეში – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1877 წ., 18. VIII. №123, 19. VIII. №124, 21. VIII. №126 და 23. VIII. №127). ი.ბოცვაძე, ტ. II, გვ. 320-332.

7. ახლად შემძენილი საქართველო

ჯერ სანამ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მორიგების პირობები არ დამტკიცებულა და ოფიციალურად არ გამოცხადებულა, ჩვენ, რასაკვირველია, ნამდვილათა და დაბეჯითებით ვერ ვიტყვით – თუ რა და რა მაზრები და რა სამზღვრები დარჩება რუსეთს ამ მორიგების პირობის ძალით მცირე აზიაში.

მაგრამ უცხო ქვეყნის გაზეთები, რომელნიც ყოველ ამბავს, იმისთანასაც კი, რომელიც ყველაზე უფრო ჩვენ შეგვეხება და სხვებზე ადრე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს უცხო ქვეყნის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ რუსეთი ევროპაში შეიძენს მხოლოთ დობრუჯას (რუმინიას გაუცვლის ბესარაბიაში) და ჩვენკენ – მცირე აზიისაკენ კი ბაიაზეთს, ყარსს და ბათუმს თავის მაზრებით.

სამზღვრებსაც გვეუბნებიან: ახალი სამზღვარი რუსეთისა სამხრეთით ბაიაზეთიდამ დაიწყებაო, შემდეგ ალაშქერთან გაივლის დასავლეთით, სოღანლულის ქედით ოლთისამდინ, მერე მდინარე ჭოროხი და ამის მიყოლებით ბათუმამდინ.

თუ ეს საზღვრები დაახლოებით მაინც მართალია, რუსეთის სამზღვრებში დარჩება, სამხრეთიდამ რო დავიწყოთ, შემდეგი ქალაქები: ბაიაზეთი, ალაშქერთი, ყაღიზმანი, ყარსი, ოლთისი, არტაანი, არდანუჯი; შემდეგ მაზრები: ჩილდირი, შავშეთი, დიდი და პატარა აჭარა და ქობულეთი.

როგორც ხედავთ ლაზისტანი ამ საზღვრებში არ არის მოტნეული, ის ისევ ოსმალეთს დარჩებაო, ამბობენ. მაშასადამე, ეს უკანასკნელი მაზრები: ჩილდირი, შავშეთი, აჭარა და ქობულეთი, რომელნიც ერთ დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდნენ, ახლა ისევ ამ საქართველოსვე უბრუნდებიან. ისტორიკოსები და მოგზაურები ამბობენ, რომ ამას გარდა საქართველოს ეკუთვნოდაო და ქართველი ხალხით დასახლებული იყოვო მთელი ლაზისტანი ბაიბურთამდინ, მაგრამ ეს მაზრა ახლა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისევ ოსმალეთს დარჩა. [illegible], რუსის ქართველები, თი-

თქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლად ჩვენ უბეში დაბრუნებულ მოძმეებს. ვიცით მხოლოთ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეტებულ ნაწილს ამათგანს ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულებანი ჯერაც არ დავიწყებიათ და ასრულებენ, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო ქართული ენა ჯერაც არ დაკარგვიათ და სხვა არაფერი.

იმათ ქვეყანას, იმათ ახლად, ოსმალების ხელში შეძენილ ჩვეულებებსა და ხასიათებს, იმათ ოჯახობას, მეურნეობას, წარმოებას, იმათ პოლიტიკურ მიმართულებას, ზნეობას და შეხედულებებს სხვა და სხვა საგანზე, იმათ გონებით გახსნას, იმათ სახალხო პოეზიას და სხვა და სხვა, ჩვენ სრულებით ვერ ვიცნობთ.

ახლა ეს დიდი ხნით ჩვენგან მოშორებული მოძმეები ხელახლად შემოგვიერთდებიან, მაგრამ რა მოძმეები იქნებიან, რა შემოერთება იქნება, თუ ჩვენ იმათ ვერ ვიცნობთ და ისინი ჩვენ ვერ გვიცნობენ? რა მოძმეები იქნებიან, თუ იმათსას ჩვენ ათასში ერთს გავიგებთ და ისინი ჩვენსას? როგორი შეერთება იქნება, თუ ისინი ჩვენ ვერ გვიცნობენ და ჩვენ იმათ?

ამიტომაც ჩვენი სამღვთო მოვალეობაა, რომ კარგათ გავიცნოთ ეს ახლად შემოერთებული ჩვენი თანამოძმეები და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი. უამისოთ ჩვენ შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შვილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორი ერთის საქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთის ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება?

ვიმეორებთ: ჩვენს სამღვთო მოვალეობას შეადგენს, რომ ისინი გავიცნოთ და ჩვენი თავი იმათაც გავაცნოთ. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს გაცნობა – ამაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

ახლად შეძენილი საქართველო – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1878 წ., 10. III №50). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების I ტომში (გვ. 459-464). ი.ბოცვაძე, ტ.II, გვ. 367-369.

8. ეს დარჩება ბათუმი

მას აქეთ, რაც რუსეთსა და ოსმალეთს შუა სან-სტეფანოს მორიგება მოხდა, არცერთს ამ მორიგების მუხლზე არ ყოფილა იმდენი ლაპარაკი, რამდენიც ბათუმის თაობაზე იყო.

ოსმალეთმა მაშინ დაუთმო რუსეთს ბათუმი და, ზემოთხსენებულის პირობის ძალით, ჯარი უნდა გაეყვანა იქიდამ. მაგრამ შემდეგ, როდესაც ინგლისი და ავსტრია ჩაერიენენ საქმეში, როდესაც ინგლისმა მცირე აზიის შესახებ პირობებს მოსდო კლანჭი და ავსტრიამ ბოლგარიის შესახებ პირობებსა, მაშინ ოსმალეთმაც უარი სთქვა, სხვათა შორის, ბათუმის დათმობაზედაც და გამოაცხადა, რომ როგორც ევროპის სახელმწიფოებისაგან შემდგარი კონგრესი გადასწყვეტს, დავმორჩილდებიო.

ამ კონგრესსაც მოვესწარით. ევროპის ექსი უმთავრესი სახელმწიფოს წარმომადგენელნი არიან ამ ჟამად ბერლინში შეკრებილნი აღმოსავლეთის საქმეების გადასაწყვეტად. ხმა გავარდა, რომ ინგლისი ბათუმის შეძენაზედ არ ეწინააღმდეგება რუსეთსო; თუ ეს მართალია, თუ მართლა ინგლისი დათანხმდა, რომ რუსეთმა ბათუმი შეიძინოს, რაღა თქმა უნდა, რომ დანარჩენი სახელმწიფოებიც ამის წინააღმდეგს არაფერს იტყვიან.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახლა ოსმალები აცხადებენ, რომ თუნდაც გადაწყვიტოს კონგრესმა ბათუმის დათმობა, ჩვენ თანახმა არა ვართო, ძალად ვერ აიღებს იმას რუსეთი და ნებით არ დავანებებთო; ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ რუსეთი მარტო ბათუმისათვის ხელახლად ომს არ დაგვიწყებსო, და ამნაირად ბათუმი კიდევ ჩვენ დაგვრჩებაო. ამნაირს მდგომარეობაშია ახლა ბათუმის საქმე...

თუ სხვა რამ დაბრკოლება არ იქნა, აგრეთვე არავინ ჰკითხავს, რასაკვირველია, ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს — ჰსურთ იმათ რუსეთის ქვეშევრდომობა თუ არა; მაგრამ უბედურება ეს არის, ამ მხრით რუსეთს სხვა დაბრკოლებაცა აქვს.

გუშინდელს „ომის ამბებში", სხვათა შორის, მოყვანილია რუსეთსა და ინგლისს შუა „დათანხმებიდამ" ორიოდე მუხლი,

რომელშიაც ბათუმის თაობაზე ნათქვამია, რომ „ინგლისი არ ეწინააღმდეგება რუსეთს ბათუმის შეძენაზედაო, მაგრამ ამასთანავე არ შეუძლიან არ აღიაროს ისიცაო, რომ ეს გარემოება უკმაყოფილებასა და აღელვებას დასთესს აზიის ოსმალეთშიო". ამას დიპლომატური ენა ჰქვიან. ამბობენ, დიპლომატიური ოინიც მზათა აქვს ინგლისსაო; ამბობენ, რომ ინგლისი პირმოთნეობით თანხმდება ბათუმის დათმობაზედაო, ნამდვილად კი ოსმალეთს აქეზებს და ურჩევს, რომ არამც და არამც ბათუმი არ დაუთმოვო, გაჭირების დღეს დაგეხმარებითო და სხვა.

ამგვარად, თუ მართლა ოსმალეთი თავის სიტყვებზეც მტკიცედ დადგა, შესაძლებელია, რომ ინგლისმა და მთელმა ბერლინის კონგრესმა, მთელმა ევროპამაც მისცეს რუსეთს ბათუმის დასაკუთრების უფლება და მაინც უომოთ, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად მაინც ვერ დაეპატრონოს ამ დიდი ხნით სანატრელ შავი ზღვის საუკეთესო ნავსადგურსა.

ვის დარჩება ბათუმი? – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1878 წ., 17. VI. №118). ი.ბოცვაძე. ტ. II, გვ. 402-403.

9. მშვიდობიანობის ნიშნები

ბერლინიდამ მოსული ტელეგრამები გვაცნობებენ, რომ კონგრესს გაუთავებია მოლაპარაკება ბოლგარიის თაობაზედ.

მართალია, ეს საქმე, ბოლგარიის მომავალი ბედი და მდგომარეობა ისე ვერ გადაწყდა, როგორც რუსეთს ჰსურდა; მართალია, ბოლგარია მთლად ვერ განთავისუფლდა, იმის ნახევარი (სამხრეთი ბოლგარია) ისევ ოსმალეთის ხელში დარჩა, მაგრამ რადგან რუსეთს უეჭველად მშვიდობიანობის ჩამოგდება ჰსურდა, ამიტომ დაეთანხმა ინგლისის მოთხოვნილებას.

ამის გარდა, კონგრესმა გადაწყვიტა, რომ ბესარაბიის მომეტებული ნაწილი (გარდა დუნაის ნაპირებისა) ჩამოერთვას რუმინიას და მიეცეს რუსეთს. მაგიერათ ოსმალეთს დობრუჯას დაუთმობენ.

ეს ორი საგანი ყველაზე უმძიმესი საგანი ჰქონდა ბერლინის კონგრესს გარდასაწყვეტად. ეს ისეთი საგნები იყო, რომლის თაობაზედაც თუ თანხმობა არ მომხდარიყო, კონგრესი უნდა დაშლილიყო და მაშინ ომი ატყდებოდა. და რადგან ეს ორი, ყველაზე უმთავრესი, საგნები განიხილა და გადაწყვიტა კონგრესმა, ახლა, იმედია, რომ სხვა წვრილმანი საქმეების განხილვას არა დააბრკოლებს-რა და კიდეც რომ რაიმე უთანხმოება მოხდეს, ამისთვის სისხლს არ დაღვრიან, ომს არ ასტეხენ და როგორც იქნება მოთავსდებიან ერთმანეთშიო.

დღეგანდელს ჩვენს გაზეთში წაკითხვათ თ. ბისმარკისაგან ნათქვამ სიტყვას, რომ „მას შემდეგ, რაც ბოლგარიის საქმე გადაწყდა, მშვიდობიანობა დამყარდებაო".

იმ წვრიმალ მუხლებში, რომელნიც სან-სტეფანოს მორიგების პირობაში არის მოხსენებული, პირველი ადგილი უჭირავს ბათუმს და ოსმალეთისაგან კონტრიბუციის აღებას.

ბათუმის შესახებ, უეჭველია, ბევრი ლაპარაკი, ხანგრძლივი ბაასი ჩამოვარდება; ოსმალეთი და ინგლისი ეცდებიან, რომ ეს ჩინებული ნავსადგური ან ისევ ოსმალეთს დარჩეს და ანუ გაკეთდეს პორტო-ფრანკოდ, ე.ი. არცერთს სახელმწიფოს არ ეკუთვნოდეს და ყველას კი ჰქონდეს უფლება, რომ თავისუფლად შეიყვანონ იქ თავიანთი სავაჭრო ხომალდები და რამდენ ხანსაც უნდათ, დააყენონ. რუსეთი კი თავის მხრით ეცდება ბათუმი შეიძინოს. თუ მივიღებთ მხედველობაში ბერლინის კონგრესის წევრების ჰაზრს, მგონია, იმ დასკვნამდინ უნდა მივიდეთ, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ გახდება.

კონტრიბუციის (ომის ხარჯის) თაობაზეც რუსეთი, უეჭველია, ცოტას რამეს დაუთმობს ოსმალეთსა.

ამნაირად, ყველა ამ გარემოების წყალობით, ახლა შეუცდომლად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ მშვიდობიანად საქმის

გათავებისათვის უფრო მომეტებული იმედია, ვინემ კიდევ ხელახლად ომის ატეხისათვის.

მშვიდობიანობის ნიშნები – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში“ (1878 წ., 25. VI. №125). ი.ბოცვაძე. ტ. II, გვ. 405-406.

10. ერთი საღილი შერიფ-ბეგთან

წარსულს კვირაში ახალციხიდამ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში ახლად ჩვენკენ გადმოსული აჭარელი შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი.

მე ძალიან გულით მინდოდა იმის ნახვა; მინდოდა გამომეკითხნა რამე თვითონ იმის თავ-გადასავალზე და უფრო აჭარისა და საზოგადოთ ოსმალეთის საქართველოს ქართველებზედ. მინდოდა, მაგრამ: მართალი გითხრათ, პირდაპირ მისვლა იმასთან მე, როგორც უცნობ კაცს, როგორღაც მეთაკილებოდა; სასიამოვნო არ არის მარტო იმისთვის მიხვიდე კაცი უცნობ ვისმესთან, რომ მაიმუნივით გასინჯო, თითქო ჩვენება ჩამოართვა, რამდენსამე კითხვაზე პასუხი მიიღო და მერე წამოხვიდე.

ამ გვარს შემთხვევაში, ამისთანა დაუპატიჟებელ სტუმართან კაცი თავის დღეში გულ-ღიათ და დაურიდებლად არ გეტყვის არაფერს, რაც გულზედ აწევს და რასაც ჰფიქრობს. სულ სხვა არის, როდესაც ამისთანა „საინტერესო კაცს“ ვინმე ნაცნობთან თითქო შემთხვევით შეხვდები, გაეცნობი და დაუწყებ მასლაათს. მაშინ ის აღარ მოგერიდება, პირდაპირ იტყვის, რაისიც თქმა უნდა და რასაც ჰკითხავ, რადგან იცის, რომ საზოგადო „კეთილ“ ნაცნობებთან იმყოფება.

ამისთანა შეხვედრას ვეძებდი მე შერიფ-ბეგთან და მალე ამისრულდა ნატვრა. გასულ ორშაბათს, 19 ივნისს, ის და უფ. მიხეილ მეფისოვი უფ. სტ. მელიქიშვილთან იყვნენ სადილად მიწვეულნი. სხვათა შორის, მეც არ გაუშვი, რასაკვირველია,

შემთხვევა, რომ ამ სადილზე დავსწრებულიყავ და მენახა, გამეცნო შერიფ-ბეგი და აგრეთვე არტაანის მაზრის ახლანდელი მმართველი უფ. მიხეილ მეფისოვი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს აგრეთვე გამოჩენილ კაცად შეიქნა, რადგან შერიფ-ბეგის ჩვენკენ მომხრობა, უეჭველია, იმას მიეწერება.

როდესაც მესამე საათის ნახევარზედ მივედი ჩვენი მასპინძლისას, თითქმის ყველა სტუმრები მოგროვილიყვნენ. შერიფ-ბეგი მდივანზედ იჯდა; იმის გვერდით იჯდა მ.მეფისოვი.

მე გამაცნეს ერთთანაც და მეორესთანაც; სანამ აქ მყოფნი განაგრძნობდნენ ჩემს მისვლამდინ დაწყებულ მუსაიფს, მე მქონდა თავისუფალი დრო, რომ ეს ორი საინტერესო პირი კარგათ დამეთვალიერებია.



შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი

შერიფ-ბეგი, როგორც თვითონ სთქვა, 45 წლის კაცია. „დიდკაცობა" იმის პირველ შეხედვაზედვე ეტყობა: გარდაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თეთრი კანი, ნაზი ხელები, დინჯი, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი.

ზორბა ტანზედ ქართული კაბა აცვია და მხრებზე დაკერებული ახალი პაგონები ამტკიცებენ, რომ ის რუსის ღენერალია.

შერიფ-ბეგი წმინდა, ნამდვილ ქართულს ლაპარაკობს; მხოლოთ სიტყვების გამოთქმაში გურულად უქცევს, იმ განსხვავებით, რომ გურულებს, როცა ლაპარაკობენ, თითქო ცეცხლი ამოსდით პირიდამაო, ჩქარობენ, სხაპა-სხუპობენ, სიტყვებს ერთი მეორეზე მიაყრიან ისე, რომ ყური ვერ ასწრობს იმათი ლაპარაკის გაგონებას და ტვინი გაგებას. შერიფ-ბეგი კი უფრო წყნარად, უფრო აუჩქარებლად ლაპარაკობს და ისეთი ტკბილი „სიტყვა-პასუხი" და უბრალო ლაპარაკშიაც კი ისეთი თი-

თქო ორატორული საუბარი აქვს, რომ მგონი თავის დღეში არ მოგწყინდებათ იმას ყური უგდოთ. ერთი სიტყვით, როგორც ძველი დარბაისელი ქართველი თავადიშვილის ლაპარაკი გაგიგონიათ, ისე ლაპარაკობს.

ლაპარაკის დროს ძალიან ხშირად გადახედავდა ხოლმე მიხ. მეფისოვს, თითქო უნდოდა ამოეკითხნა იმის სახეზედ – მოსწონს მიხეილს რასაც მე ვამბობ, თუ არაო? საზოგადოთ ეტყობა, რომ შერიფ-ბეგს ძალიან უყვარს უფ. მეფისოვი და თანაც ამ უკანასკნელს იმაზე დიდი გავლენაც უნდა ჰქონდეს.

არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ არის. სიყვარული იმიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ორთავეს ერთის ძიძის რძე უწოვნიათ და ეს იმაოში ისეთ ნათესაობათ ითვლება, როგორც მკვიდრი ძმები არიან. უფ. მეფისოვს რომ შერიფ-ბეგზე გავლენა აქვს – ესეც ადვილად აიხსნება იმით, რომ მეფისოვი ჭკვიანი, ძალიან მოხერხებული და, როგორც ჩვენში ამბობენ, „გამოქნილი" კაცია.

საზოგადოება აჭარაზედ ლაპარაკობდა. – ქართული ხომ არ დაუვიწყნიათ იქითკენაო? – ჰკითხა ვილამაც შერიფ-ბეგს.

– რა ბრძანებაა, ბატონო, მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს? მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ.

– წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

– მაგაში კი სუსტობენ. ალაგ-ალაგ კიდევ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირად. მოგეხსენებათ მედრესები (შკოლები) აქვთ და იქ მოლები ოსმალურ წერა-კითხვას ასწავლიან. უფრო დედაკაცებმა იციან ქართული კითხვა.

– ამბობენ, ბათუმს არ იძლევიან ოსმალები და ივარგებს აჭარა უბათუმოთ? – ჰკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

– რატომ არაი, ბატონო. აჭარაი ორია, ბატონო, ერთით ზემო აჭარა; ქვეყანა მდიდარი, ყველაფერი უხვად მოდის; ხალხიც მდიდარი, მხნე, მამაცი და შრომის მოყვარე. ისეთი გლეხი ვიცი, ბატონო, რომ წელიწადში ორმოცდა ათი ფუთი ერბო გაუყიდია. მეორე აჭარაია ქვემო აჭარაი; ღარიბი ქვეყანა გახლავთ, მთა-კლდიანი

ადგილია სულ, არაფერი მოდის, ხალხიც ისეთი ამპარტავანი და თავ-მომწონეა, რომ დიდი მეფე როგორ იქნება ისე! ახლა, ბატონო, ამ ზემო აჭარის ხალხს ყველაფერი შეუძლიან მოიტანოს თფილისში, ან ქუთაისში, ახალციხეს, ოზურგეთს, რაც ეჭირვება, მიტკალი ვარო, თუ რკინეულობა, თუ სხვა რამ, ამ ქალაქებში იყიდის. ბათუმი მაინცა და მაინც არაფრად დააკლდება იმას. ქვემო აჭარაი მთის ხალხია, ის ბევრს არც არა რაის გაჰყიდის და არც იყიდის. აღებ-მიცემობაი არ იციან, ბატონო, იქ.

– მოისურვებს კი აჭარის ხალხი ჩვენსკენ გადმოსვლას-მეთქი? – ვკითხე მე.

შერიფ-ბეგი ცოტა არ იყოს შეჩერდა; მერე გარდახედა პ.ნ.ეფიმოვს და სთქვა:

– რატომ არა, ბატონო; თუ ბრძანება იქნება, იგინი როგორ გაბედავენ წინააღმდეგობას?!

- ამბობენ, თქვენი წამოსვლა ეწყინათო?

– ეწყინათ კი არა, მეტი ჰქნეს; როგორც შეიტყვეს ჩემი წამოსვლა, მეორე დღესვე მოსულან სხალტას* და ჩემი სახლი, კარი, ყველაფერი გარდაუწვავთ. შემიტყვეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზედ მიყურებდენ... ადრე ცხრა ბათალიონი მყამდა, დერვიშ-ფაშა ყოველ კვირაი მწერდა: გეიწი, გეიწი ახალციხისკენო! რას გაჩერებულხართ ერთ ადგილასაო!

ჯერ კი ვალორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავინძრევი აქედამ, მაგრამ, როცა რუსის ჯარი არდანუჯისაკენ გაუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დერვიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ქვემო და ზემო აჭარას შუა. წაუკიდე ისინი და ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლათ გავგზავნე; დამრჩა ხუთი ბათალიონი; კიდევ ორი სხვაგან გაუფანტე და დამრჩა სამი ბათალიონი. ახლა კი მივწერე დერვიშ-ფაშას, რომ ამ სამი ბათალიონით წინ ვერ გაეიწევი, ისევ აქ გავმაგრდები-თქვა და ვიყავი. მაგრამ

---

* უნდა იყოს სხალთას (რ.ს.)

ბოლოს, მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მიდიოდნენ, ჩამასმირეს: იმას რუსისაკენ უჭირავს თვალიო და მეტი არ შემეძლო, ცოლ-შვილი არტაანში გავგზავნე და მე ახალციხეს გამოვეპარე.

– ახლა სულ ახალციხეში უნდა იცხოვროთ, ბატონო ბეგო?

– მაგი ვინ იცის, ბატონო, საქმეზე ჰკიდია; საცა მეტყვიან, იქ უნდა წავიდე. ჩვენი სახლობა უბედურია: ამ სამოც წელიწადში სამჯერ აოხრებულია ჩვენი ოჯახი: ბაბუაჩემი სულთან მაჰმადმა მოიხმო სტამბოლში, მოჭრა თავი და რაც გააჩნდა, სუყველაფერი ფაშებმა წაიღეს. მამაჩემი იყო და ისიც აიკლეს; მე სულ ხელახლად დავდგი ოჯახი, გევიშენე სახლი, მაგრამ ხომ ჰხედავთ, მეც რა ბედი მჭონია: ყველაფერი მივატოვე, რაც გამაჩნდა, სახლი, კარი და წამოველი...

როდესაც თავის ბედზე დაიწყო ლაპარაკი, როგორღაც დალონდა და ჩაფიქრდა. ყველანი დაჩუმდნენ, მაგრამ მასპინძელმა გამოგვიხსნა ამ მძიმე მდგომარეობიდგან:

– მობრძანდით, ბატონებო, სადილი მიირთვით! ყველანი ავდექით, შერიფ-ბეგის წინამძღოლობით პურის საჭმელ ოთახში შევედით და სუფრაზედ დავსხედით. ჩვეულებრივად სადღეგრძელოები გიახელით. ყველა იქ მყოფი სტუმრისა და მასპინძლის სადღეგრძელო რომ დავლიეთ, მასპინძელმა აიღო სტაქანი ხელში და სთქვა:

– ესეც ჩვენი მოძმე აჭარლების სადღეგრძელო იყოს! – ამ სიტყვების გაგონებაზე მე შევატყვე, რომ შერიფ-ბეგს სახე გაუნათლდა, სიამოვნების ღიმილი მოერია:

– კაი იქნება, ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული. მაგრამ თუ აგი არ მოხდა, საცაი უნდა იყვნენ, ვინატროთ, ბედნიერად იყვნენ. განათლებაი ეჭირება, ბატონო, იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე ამდლურად დატოვოთ?!

ეს იყო შერიფ-ბეგის უკანასკნელი და კარგი სიტყვებიც. შემდეგ სუფრიდამ ავდექით, ყავა დავლიეთ ზალაში და კიდეც გამოვეთხოვეთ მასპინძელს.

აქედამ შერიფ-ბეგი შევიდა უფ. სტ. მელიქიშვილის სტამბაში და დაათვალიერა. სტამბიდამ ის წავიდა უფ.ჩარკვიანის ახლად გახსნილს ქართულ წიგნების მაღაზიაში, იყიდა იქ ოცი ეგზემპლიარი ქართული ანბანი, თითო ეგზემპლიარი ყველა ქართული წიგნებისა, რაც კი იპოვებოდა ამ მაღაზიაში და შემდეგ შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს შერიფ-ბეგი და მიხ.მეფისოვი ქუთაისში უნდა წასულიყვნენ, სადაც ამათ უცდიდა თ. გრ. გურიელი.

ერთი ხადილი შერიფ-ბეგთან – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში“ (1878 წ., 27. VI. №126). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების I ტომში (გვ. 477-484). ი.ბოცვაძე. ტ. II, გვ. 406-410.

11. ბათუმის დაიმრობა

გუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილმა ტელეგრამამ გვაცნობა რომ ბერლინის კონგრესს დაუთმია ბათუმი რუსეთისათვის, იმ პირობით, რომ ეს ქალაქი პორტო-ფრანკოთ ანუ თავისუფალ ნავსადგურად შეიქნესო და რუსეთს არ ექნეს იმის გამაგრების უფლებაო.

პორტო-ფრანკო ანუ თავისუფალი ნავსადგური იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოებს თავისუფლად შეეძლებათ ამ ნავსადგურში მიყენება მხოლოთ თავიანთ სავაჭრო, და არა სამხედრო, ხომალდებისა. მართალია, რუსეთის საკუთრება იქნება, მაგრამ იმას არ შეეძლება თავის სამხედრო ფლოტი გააჩეროს იქ ანუ ციხეებითა და სხვა სიმაგრეებით გაამაგროს ეს ქალაქი.

რაღა თქმა უნდა, რომ ბათუმის ამგვარ მდგომარეობით ყველაზე უფრო ინგლისელები ისარგებლებენ, რადგან აქვთ ყველაზე უფრო მდიდარი ფლოტი, იმათა აქვთ ყველაზე უფრო გაჩაღებული ვაჭრობა და, მაშასადამე, ბათუმში იქნება მხოლოთ რუსეთის

გამგეობა და სარგებლობა ბათუმისაგან, როგორც თავისუფალ პორტისაგან, როგორც ყოველგვარი საქონლის შესანახავ და გასაგზავნ-შესატან ადგილისაგან, ყველაზე უფრო მომეტებული ექნებათ ინგლისელებს.

თითქმის ყველა საგნების შესახებ ამგვარად იქცევა ბერლინის კონგრესი: ძირიანად საქმეს არა სწყვეტს, უნდა ორივე მხარე დააკმაყოფილოს; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ გვარი მოქმედებით არც ერთი მხარე არ რჩება კმაყოფილი.

მთლად განთავისუფლების მაგიერ, შუაზე გაჰყო ბოლგარია, ერთი ნახევარი თითქო გაანთავისუფლა და მეორე კი ისევ ოსმალეთის ხელში დასტოვა; ანტივარის ნავსადგურის ერთი მხარე ჩერნოგორიელებს დაუთმო, მეორე მხარე კი ისევ ოსმალეთს; ნახევარი ბესარაბია რუსეთს, მეორე ნახევარი ისევ რუმინიას დაუტოვა და სხვა და სხვა.

და ყველა ამ კონგრესის დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება სჩანს ინგლისის წარმომადგენლის – ლორდ ბიკონსფილდისა. ინგლისი კარგათ სარგებლობს იმ გარემოებით, რომ არავის არ უნდა ომის ატეხა, რომ ყველაზე უფრო მშვიდობიანობა ჰსურს და ეჭირება ამ ჟამად რუსეთსა, და ამისდაგვარად მოქმედებსო. ოსმალეთის დახმარებისათვის იმ კონგრესზე ინგლისმა ჩაიგდო ხელში დიდი, მდიდარი და სტრატეგიულის მხრით სასარგებლო კუნძული – კიპრი.*

ერთის სიტყვით, ბოლოს ის გამოდის, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა გავლილის ომიანობისაგან ყველაზე უფრო ინგლისმა ისარგებლა.

ბათუმის დათმობა – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1878 წ., 29. VI. №128). ი. ბოცვაძე, ტ. III, გვ. 410-411.

---

* კვიპროსი (რ.ს.)

12. მშვიდობიანობა

ახლა თითქმის შეუცთომლათ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ომიანობა ავიცილეთ თავიდამ და მშვიდობიანობა დამყარდა.

ბევრს, რომელთაც ომი ოქროს მადნად აღმოუჩნდათ, რომელთაც კარგათ მოითბეს ხელი და სქლად გაიტენეს ჯიბეები სხვა-და-სხვა „პოდრიათებითა" და „პავსტავკებითა", ეს გარემოება, – ეს ომიანობის მოსპობა, რაღა თქმა უნდა, არაფრად ეჭაშნიკებათ, არ ეჭაშნიკებათ იმიტომ, რომ ესენი ბოდბელის* სწავლის მიმდევარნი არიან; ესენი ამბობენ: „ოღონდ ჩვენ კარგათ ვიყვნეთ, ე.ი. ოღონდ ჩვენ გავივსოთ ჯიბეები და თუნდაც ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო!"

მაგრამ ხალხი, მდაბიო ხალხი, რომელსაც ყველაზე უწინ და ყველაზე უფრო დააწყდება ხოლმე კისერზე ყოველგვარი საზოგადო გაჭირება და უბედურება, – ეს ხალხი კი, უეჭველია, გახარებული უნდა იყოს მშვიდობიანობის ჩამოვარდნისათვის. იმას აღარ უნდა ეშინოდეს შემდეგში აღარც ომის საჭიროებისათვის ჯარში წასვლისა, აღარც ურმების გაყვანისა, აღარც ომიანობის დროს ერთობ გახშირებულის მატყუარა და მცარცავ მეიჯარადრეებისა, აღარც მუშაობაზე მოცდენისა და აღარც სხვა რასმესი, რომელიც ყოველ ომს მოსდევს ხოლმე, ამ მხრით მოისვენებს ხალხი.

ამ მშვიდობიანობის ნიშნებათ ჩაითვლება, სხვათა შორის, ის ორი ამბავი, რომელიც დღევანდელს ჩვენს გაზეთში არის მოყვანილი; ერთი ის, რომ ინგლისის სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინაო, რომ ფაბრიკებმა აღარ უნდა მოამზადონ ტყვია-წამალი, ზარბაზნები და სხვა საომარი მასალები; მეორეც

* სერგეი მესხს მხედველობაში პყავს ბოლბელი ეპისკოპოსი, რომლის საგადასახადო რეჟიმის წინააღმდეგ 1699-1716 წწ გლეხებმა აჯანყება მოაწყეს (რ.ხ.)

ის, რომ ჩვენი მთავრობა ოდესაში გემებს პჭირაობს სტამბოლისაკენ გაჩერებული ჯარების უკან დასაბრუნებლად.

გვკითხავენ: – მაშ ეს რაღა არისო, მილიციონრებს რომ აგროვებენ ჩვენშიო?

ეს ის არის, რომ დღემდინ იყო შიში ინგლისსა და რუსეთს შუა ომის ატეხისა და ამიტომ ორივე მოწინააღმდეგეები „ყოველ შემთხვევისათვის" საომრად ემზადებოდნენ.

ახლა კი, როგორც ზევით მოვახსენეთ, ეს შიში თითქმის აღარ არის, კონგრესსი დღეს-ხვალ მორჩება თავის საქმეს, შემდეგ „ბერლინის მორიგების პირობაზე" მოაწერენ ხელს ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლები და შემდეგ კონგრესსი დაიშლება.

ამ გვარად, როცა ჩვენ ამ სტრიქონებს ვწერთ, ჯერ მხოლოთ ნიშნებს ვხედავთ მშვიდობიანობისას. მაგრამ იმედია, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ პირ-და-პირ შეგვეძლება მკითხველისათვის თქმა, რომ „ამ ჯერობით სრული მშვიდობიანობა არის"-მეთქი.

„კარგ ომს ცუდი მშვიდობიანობა სჯობიანო", – ამბობენ რუსები; მაგრამ ჩვენთვის რომ ეკითხნათ, ჩვენ ამ სიტყვებს უკუღმა მოვაბრუნებდით და ასე ვიტყოდით: „ცუდ მშვიდობიანობას კარგი ომი სჯობიან!"

მშვიდობიანობა – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1878 წ., №130, 2. VII). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 5-6.

13. ბათუმის შეძენაგელ

ნამდვილათ ვიცით ახლა, რომ ბათუმი თავის ნავსადგურით რუსეთს რჩება. სანამ დაწვრილებით გარდაწყვეტილება ბერლინის კონგრესსისა, ე.ი. სანამ „ბერლინის პირობა" არ იქნება საქვეყნოთ

გამოცხადებული, მანამ არ გვეცოდინება ბათუმს გარდა იქითკენ რა მიწები, რა მაზრები დარჩება რუსეთს. მაგრამ, უეჭველია, რომ ცარიელ ბათუმს არ მოგვცემენ. აჭარაზე, ქობულეთზე, არტაანზე და ყარსზე კონგრესსში, როგორც ტელეგრამმებიდამ სჩანს, ლაპარაკიც არ ჩამოვარდნილა; მაშასადამე, ამ მხრით სანსტეფანოს მორიგების პირობა არ უნდა იყვეს შეცვლილი და ეს ადგილებიც რუსეთს დარჩა.

თუ ეს ასეა, რაღა თქმა უნდა, რომ ახალ შეძენილ მიწებს ახალი მმართველობა, ახალი გამგებელნი დასჭირდება. ჩვენ უფლება არა გვაქვს, რასაკვირველია, მთავრობას ურჩიოთ, რომ ამ ქვეყნების მმაროველად ესა-და-ეს პირები დანიშნეთ მეთქი. ვიტყვით მხოლოთ იმას, რომ მთავრობა, უეჭველია, მიიღებს მხედველობაში ამ ახალ შემოერთებულ ხალხთა ხასიათს, ჩვეულებას, სარწმუნოებას და სხვ. და ამის-და-ვვარად მოიქცევა ამ მძიმე საქმის გადაწყვეტის დროს.

ყარსის, ბაიაზეთის და არტაანის მხარეებზე არას ვამბობთ; იქ მომეტებული ნაწილი თათრები, ქურთები და სომხები სახლობენ; მაგრამ რაც შეეხება ბათუმის მხარეს, არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ აქ ამთავითვე მომეტებული სიფრთხილე და წინდახედვა გვმართებს. უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებდნენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბათუმისაკენ ინგლისისა და ოსმალეთის დანდობილნი პირნი დაიარებოდნენ და აქეზებდნენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგო, უქადაგებდნენ რუსეთის სიძულვილსაო.

რასაკვირველია, ბევრი აღმოჩნდება ბათუმის მაზრაში ისეთი, რომელსაც მართლა ყველა ეს სჯერა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ თავითვე იქ ერთობ დიდი სიფრთხილე, ერთობ წინდახედული მოქმედება და გამჭრიახობა გვმართებს. საჭიროა ისეთი კაცების დანიშვნა გამგებლებად, რომელთაც კარგათ იცოდნენ ადგილობრივი მდგომარეობა, ხალხის ზნე, ხასიათი, ენა, ჩვეულება და სხვა.

ამთავითვე საჭიროა კარვი მხრით გაცნობა რუსეთისა; საჭიროა ახალმა გამგებლებმა იცოდნენ, როგორ ხალხთან ექნებათ იმათ საქმე, ვისი გამგებლები არიან; საჭიროა, რომ ამათ, არათუ

ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, არამედ თვით ცრუმორწმუნოებაც კი მიიღონ მხედველობაში და შეიწყნარონ.

როგორც ცალკე კაცის ეული, ისე მთელის ხალხის, გონიერებით, ჭკუიანი და სამართლიანი მოქცევით და ლმობიერებით, კაცთ-მოყვარეობით უფრო მალე და ადვილად მოიგება, ვინემ სასტიკობით.

ბათუმის შეძენაზედ – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში" (1878 წ., №132, 5. VII, ი.პოცხაძე. ტ.III, გვ. 6-7

14. ბათუმის მსურებს

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ თფილისის სომხები ახლად შეძენილ ბათუმის მაზრაში მამულების შეძენას აპირებენო; იმათ უფიქრნიათო, რომ, უეჭველია, ზოგიერთი ოსმალოები გადავლენ იქიდამ ოსმალეთში, თავიანთ ადგილ-მამულს მიატოვებენ და ამ მიტოვებულ მამულებს იაფად ვიყიდითო.

სასაცილო კია ის გარემოება, რომ ჯერ რუსეთისათვის არც კი ჩაუბარებიათ ბათუმი და იმის მაზრა, ჯერ არც კი ვიცით ნამდვილად – გადასახლდებიან მართლა იქიდამ მცხოვრებლები და ადგილ-მამულები დარჩება გასასყიდელი თუ არა, ჯერ არ ვიცით, მთავრობა რა კანონს დასდებს, რა განკარგულებას მოახდენს ამ გვარ მამულების შესახებ და ახლავე ჩნდებიან ისეთი პირები, რომელთაც აქაც განუზრახავთ ხელის მოთბობა, სარგებლობა, მუქთად დაფლობა მამულებისა!

რადგანაც ამ საგანზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებასა და გამოვაცხადოთ ჩვენი ჰაზრი და სურვილი!

რასაკვირველია, სომხებს ფულები აქვთ და ყველგან შეუძლიანთ მამულების ყიდვა, მაგრამ კარგი იქნება ამ თავითვე იცოდნენ, რომ ბათუმის მხარისაკენ ამ შემთხვევაში საშიში და ყურადღებაში მისაღები მოწინააღმდეგეები (კონკურენტები) დახვდებიან; ეს კონკურენტები იქნებიან მეგრელები.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ ჟამად ბათუმში ერთი სომეხიც არ მოიპოვება, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა ჰქონდეს. მომეტებული ნაწილი იქაური მამულის პატრონები და ვაჭრები არიან ლაზები, რომელნიც ხასიათით, ზნით, მოხერხებულის და მახვილის ჭკუით და აგრეთვე ენითაც თითქმის წმინდა მეგრელები არიან.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში: ქერჩში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში და თითქმის ოდესაშიაც ბლომად არიან მეგრელები და ზოგნი ვაჭრობენ, ზოგნი ისე მუშაობენ და ერთის სიტყვით „საქმეები აქვთ". მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ მეგრელ ხალხს თითქმის ყველა ის თვისება აქვს, რაც საზოგადოთ ვაჭრობისათვის საჭიროა, ე.ი. ანგარიშის ცოდნა... მოხერხება, ფულის შენახვა, დაფასება და სხვა და ამის გარდა კიდევ ერთი ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვენებურს ვაჭრებში იშვიათად მოიპოვება: გამბედაობა ვაჭრობაში.

რაღა თქმა უნდა, რომ ბათუმის მხარე ამისთანა ხალხს უფრო ადვილად შეეთვისება, ამისთანა ხალხთან, რომელიც ამავე დროს თანამოძმე ხალხიცაა, უფრო სიამოვნებით, უფრო ადვილად დაიჭერს საქმეს, ვინემ სხვა გვარ ვაჭრებთან.

ყველა ამას მიუმატეთ კიდევ ისიც, რომ მეგრელი ვაჭარი თავის დღეში არ არის ისეთი შეუბრალებელი გულის, ისეთი ფულის მოყვარე, რომ ამ ფულისათვის თავის სინიდისი და სული გაჰყიდოს, გაჭირებული ხალხი შეავიწროოს.

ყველა ეს შეეხება ვაჭრებს და საზოგადოთ იმ პირთ, რომელნიც თვითონ ქალაქს ბათუმში მოინდომებენ მიწების შეძენას და ვაჭრობის დაწყებას.

სოფლის მამულების შეძენას თფილისელი სომხები, რასაკვირველია, არ გამოუდგებიან, რადგან მეურნეობა ამათთვის არ არის

გაჩენილი. თუ ამ მამულებს მთავრობამ გაყიდვა დაუწყო, უეჭველია, რომ ბევრი უცხო ტომის ხალხი აღმოჩნდება ყიდვის მსურველი.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით იმას, რომ უცხო ტომის ხალხი ამ ქვეყანაში ვერ გასძლებს ისე, როგორც ვერ გასძლო იმან აბხაზეთში და მეორეს მხით ისიც, რომ უცხო ხალხის ჩასახლება ამთავითვე, უეჭველია, ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივს ხალხზე – არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ ბევრად უფრო სასურველია, რომ ეს სოფლის ადგილები გურულებსა და მეგრელებს ჩაუვარდეთ ხელში და თუ მთავრობა გაჰყიდის ამ მამულებს, შემსუბუქებული პირობებით მიჰყიდოს ისევ ზემო ხსენებულებს.

იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს ნატვრას სხვა რამე ჰაზრით არ ჩამოგვართმევენ; ჩვენი სურვილი მხოლოთ ის არის, რომ ამ მხრით ახლად შეძენილს მხარეებში კეთილ-განწყობილება დამყარდეს.

ბათუმის მიწები – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1878 წ., №135, 8. VII). წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების პირველ ტომში (გვ. 484-486). ი. ბოცვაძე. ტ. III. გვ. 7-9.

15. ბერლინის ტრაქტატი

გათავდა ომი. არათუ ომი, ომის შიში, მოლოდინიც. ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთა, რომელნიც დაესწრნენ ბერლინის კონგრესსზე, მოაწერეს ხელი ამ კონგრესისაგან დადგენილს ტრაქტატზე ანუ მორიგების პირობაზე. ახლა მხოლოთ ამ წარმომადგენელთა მმართებლობისაგან მოელიან ტრაქტატის დამტკიცებას (რატიფიკაციას). უეჭველია, ამასაც მალე მოვესწრებით.

შესანიშნავია, რომ, თუმცა ყველა დათანხმდა, ყველა მოაწერს ხელს, მაგრამ არც ერთი სახელმწიფო, გარდა ინგლისისა და ავსტრიისა, არ არის კმაყოფილი ამ ტრაქტატისა; სრულად და საბოლოოთ კონგრესს არც ერთი საგანი არ გადაუწყვეტია; ყველა კითხვები ისეთ ნაირად არის გათავებული, რომ დღეს-ხვალ, უეჭველია, ახალ აყალ-მაყალს, ახალ არეულობას და ვინ იცის – იქნება ხელ-ახალ ომსაც უნდა მოველოდეთ.

მხოლოდ ინგლისი და ავსტრია არიან, როგორც ზევით მოგახსენეთ, კმაყოფილნი, რადგან ერთმა, ერთი წვეთი სისხლის დაუღვრელად, დაისაკუთრა ვრცელი და მდიდარი კუნძული კიპრი და ამის საშუალებით თითქმის მთელი მცირე აზიისა და ეგვიპტეს ბატონად გახდა, და მეორემ, აგრეთვე სისხლის დაუღვრელად და მუქთად, ჩაიგდო ხელში ორი პროვინცია ოსმალეთისა: ბოსნია და ჰერცოგოვინა.

რუსეთს, სერბიას, ჩერნოგორიას, რუმინიას იმის ნახევარიც არ მისცეს. რასაც თხოულობდნენ და რისიც იმედი ჰქონდათ.

ოსმალეთი, უეჭველია, ახლა უფრო დაკმაყოფილებულია, ვინემ სან-სტეფანოს მორიგების დროს იყო, რადგან კონგრესმა დაუბრუნა იმას ბევრი რამ, რაც რუსეთს მიჰქონდა. სტამბოლის გაზეთი „ვაკიტი" ამბობს: „მადლობა ღმერთს, როგორც იქნა გადავრჩით უცხო ქვეყნებისაგან ჩვენს შინაურს საქმეებში გარევას. დღეის შემდეგ ინგლისსა და ჩვენ (ოსმალეთს) ერთი და იგივე ინტერესები გვაქვს; ამ ქვეყნის მფარველობის ქვეშ ჩვენ შეგვეძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, ჩვენი მეურნეობა და ვაჭრობა; შეგვეძლება ვისარგებლოთ იმ უანგარიშო სიმდიდრით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა შეიცავს. ახლა ოსმალეთისათვის ბედნიერი დრო იწყება..."

თუმცა ამას იწერება ოსმალეთის მმართებლობის მომხრე (ოფიციალური) გაზეთი, მაგრამ ამ გაზეთს ოსმალეთში დიდი გავლენა აქვს და ეს გარემოება გვარწმუნებს, რომ საზოგადოთ ოსმალეთის ხალხი ბერლინის ტრაქტატით კმაყოფილი უნდა იყოს.

ყველაზე უფრო მომეტებული უკმაყოფილება საფრანგეთისა და საბერძნეთის მხრითაა. საფრანგეთი წყრება, რომ ინგლისმა ჩაიგდო ხელში კიპრი და ამას კი არა ერგო-რა. საბერძნეთი ჯავრობს, რად დაუჯერე ინგლისის რჩევას, რად არ გამოუცხადე ოსმალეთს ომიო, მაშინ მეც მერგებოდა რამე, ეპირსა, თესალიას და იქნება მაკედონიასაც შევიძენდიო და სხვ.

ამ ნაირად, მომეტებული ნაწილი ევროპის დიდი და წვრილი სახელმწიფოებისა უკმაყოფილოდ დარჩნენ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებით. და ამ გარემოებიდამ ჩვენ თამამად შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ყველა ეს უკმაყოფილო სახელმწიფოები, რომელნიც დღეს ომს ერიდებიან, როცა ცოტას მოისვენებენ, საომრად მოემზადებიან და ადრე თუ გვიან მონახავენ მიზეზს და განიზრახავენ იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ახლა ვერ შეისრულეს, მოინდომებენ კიდევ ევროპის კარტის გარდაკეთებას.

უეჭველია, რომ ეს მომავალი შეტაკება და ბრძოლა საშინელი შეტაკება იქნება, რადგან ოსმალეთსა და ინგლისს შუა შეკრულის პირობის ძალით, ინგლისი უეჭველად ვალდებული იქნება, რომ ამ შეტაკებაში მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს თავის მფარველობის ქვეშ მყოფს ოსმალეთსა. და თუ ინგლისი გაერევა ბრძოლაში, მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ ევროპის დანარჩენი უმთავრესი და უმცირესი სახელმწიფოები, თითქმის ყველა, ძალაუნებურად გაერევიან ბრძოლაში.

აი მაშინ, მხოლოდ მაშინ, ამ საერთო, საზოგადო თავ-პირის მტვრევის შემდეგ უნდა მოველოდეთ ჩვენ, რომ, ავად იქნება თუ კარგათ, გარდაწყდება ეს დაუბოლოებელი „აღმოსავლეთის კითხვა“.

ბერლინის ტრაქტატი – დაიბეჭდა ინიციალებით – ს.მ. „დროებაში“ (1878 წ., №144, 19. VII). ი.ბოცვაძე, ტ. III, გვ. 9-11.

ბათუმისა და აჭარის მხრის შემოერთება ჩვენს ქვეყანასთან დიდი და მძიმე მოვალეობას სდებს ჩვენს ეგრედწოდებულ განათლებულ საზოგადოებას. ეს მოვალეობა შემდეგის უბრალო სიტყვებით გამოხატა ახლად ჩვენსკენ გადმოსულმა აჭარის შერიფ-ბეგმა ხიმშიაშვილმა: „განათლებაი ეჭირვება, ბატონებო, იმათ (ოსმალეთის ქართველებს). ამდონი ახალგაზრდა კაცები ხართ განათლებულები, წადით, გაეცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. აბა, როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდლურად დასტოვთ?!*

ორი რომელიმე ხალხის შეერთების დროს, ყველაზე უფრო ძნელი საქმე ის არის, რომ ამ ორ ხალხს შუა ერთმანეთის ნდობა იყოს; თავიდამვე უნდა იყვნენ ესენი დარწმუნებულნი, რომ ერთი მეორის გასაცარცვავად და შესაჭმელად როდი შეერთებულან, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელი ხელში ჩაავლონ და ამნაირად უფრო ადვილად გაიარონ ცხოვრების მძიმე გზაზედ.

ეს დანდობა აქვსთ ჩვენს ახლად შემოერთებულ ოსმალეთის ქართველებს. იმათ იციან, რომ ჩვენ იმათი ძმები ვართ, რომ ორთავენი ერთს ტაფაში ვიქნებით, ორთავეს ბედი და უბედობა მოგველის და რომ ერთმანეთის ხელი-ხელში მიცემით ჩვენ შაგვეძლება ჩვენი უღლის გაწევა და მომავალი ცხოვრების გაუმჯობესება.

მაშასადამე, ამ მხრით ჩვენსა და ახლად შემოერთებულ ქართველებს შუა არავითარი დაბრკოლება და გაუგებლობა არ იქნება.

საქმე იმაშია – თუ როგორ ვისარგებლებთ ჩვენ იმათის დანდობით, როგორ დავიჭერთ იმათთან თავიდამვე საქმეს, როგორ ვეცდებით, რომ ეს დანდობა გავამართლოთ, არ გავამტყუნოთ და, მართლა, როგორ ძმობას აღმოვუჩენთ ჩვენ იმათ.

---

* იხ. ზემოთ წერილი (№10) „ერთი სადილი შერიფ-ბეგთან“ (რ.ხ.).

აი, ამ მხრით არის შიში; აი, ეს გარემოება გვაშინებს: იმედი არა გვაქვს, რომ ჩვენ ისე დავიჭიროთ საქმე ახალ ძმებთან, რომ იმათ სცნან და დაინახონ, რომ ჩვენ მართლა ნამდვილი, უანგარო და მოყვარული ძმები ვყოფილვართ.

და ამას ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ მაგალითი გვაქვს თვალწინ; მაგალითი იმისი, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი განათლებული ახალგაზრდები ჩვენსავე ქვეყანაში, რუსეთის საქართველოში.

რა გაგვიკეთებია ჩვენ, განათლებულებს, იმ ჩვენი ხალხისათვის, რომლის ოფლით ნაშოვნ პურით გამოვზრდილვართ? რაც ამ ხალხმა მოგვცა, მაგიერი მესამედი სარგებლობა დაგვიბრუნებია? რომელ საზოგადო საქმეს მოვკიდეთ ხელი და გავაკეთეთ? რომელი მხარე ხალხის ცხოვრებისა ერთ ნაბიჯზედ არის წინ წავწიეთ? ერთის სიტყვით, როდის, სად და რაში დაეტყო საქართველოს ხალხს, რომ იმას ათასობით თუ არა, ათობით და ასობით მაინც ჰყავს განათლებული, სწავლა მიღებული და ავ-კარგის გამომრჩევი შვილები?



აჭარელი გლეხები

საუბედუროთ, ვერც ერთს ამ კითხვაზე სანუგეშო პასუხს ვერ მივიღებთ. ასში ერთი თუ გამოსულა ჩვენთაგანი ისეთი, რომელსაც რაიმე საზოგადო ინტერესისათვის გული შესტკიოდეს, რომელსაც ამ საზოგადო სასარგებლობისათვის თავის კერძო, საკუთარი სარგებლობა მეათედიც არის მაინც შეეწირნოს; ასში ერთი თუ გამოსულა ისეთი, რომელსაც ახსოვდეს, რომ ის მოვალეა ხალხის წინაშე და ამ ვალს გარდახდა უნდა.

დანარჩენები? დანარჩენები ისეთები არიან, ისე ცხოვრობენ, ისე მოქმედებენ, როგორც „ყველანი". საზოგადო ინტერესი მჩვრად მიაჩნიათ, ხალხზე და იმის საჭიროებაზე იმდენათ ჰფიქრობენ, რამდენადაც მე და შენ, მკითხველო, შარშანდელ თოვლზე; „თავისთვის" ცხოვრობენ.

როდესაც ამისთანა განათლებული, ამისთანა მოწინავე საზოგადოება გყავს, დამეთანხმებით, რომ ბევრი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს განათლებულები რასმეს გააკეთებენ ახლადშემოერთებულს ქართველებში. ბევრი იმედი არა, მაგრამ ცოტა კიდევ დაგვჩენია; და შემდეგ სტატიაში მოვილაპარაკებთ ჩვენ იმაზე — თუ როგორია ეს იმედი, როგორ უნდა შესრულდეს ჩვენი მოვალეობა ოსმალოს ქართველების წინაშე და რა გზას, რა სახსარს უნდა მივმართოთ თავიდამვე, რომ ეს იმედი შეგვისრულდეს.

* * *

გუშინ დავპირდით ჩვენს მკითხველს იმ ღონის-ძიებებზე მოლაპარაკებას, რომლის შემწეობითაც შეიძლება ჩვენს და ახლადშემოერთებულ ოსმალოს ქართველებს შორის გაწყვეტილი ძმობის ხელ-ახლად დაარსება და საზოგადო საქართველოსთან მიმხრობა ბათუმისა და აჭარის გამაჰმადიანებულ ქართველებისა.

ამისათვის, რასაკვირველია,. ბევრი ღონის-ძიება არის გამოსადეგი, ბევრი საშუალება არის ორი ერთმანეთთან განშ-

ორებული ძმა-ხალხის დაახლოებისა და დაკავშირებისაათვის. ხშირი მისვლა-მოსვლა ერთმანერთთან, ვაჭრობა, აღებ-მიცემა და სხვა. მაგრამ ჩვენ გვინდა დღეს მოვილაპარაკოთ ერთს საშუალებაზე, რომელიც, ჩვენის აზრით, უმთავრეს და უპირველეს საშუალებად უნდა ჩაივალოს.

ეს საშუალება არის ქართული ენის და წერა-კითხვის გავრცელება მაჰმადიან ქართველებში.

ამისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ერთი გზა არის: სახალხო შკოლა. ამ გზას აცილება არ შეიძლება. ახლად შემოერვებულს ოსმალეთის საქართველოში რაც შეიძლება ბევრი და კარგი შკოლები უნდა გაიხსნას. და უნდა გაიხსნას უეჭველად ქართული შკოლები, ეი. ისეთები, რომლებშიაც ყველა საგნების სწავლა ქართულს ენაზედ იყოს, რადგან ეს ენა ყველა იმათთვის მშობლიურია. ყველასთვის გასაგები ენაა.

მაგრამ საქმე იმაშია — თუ რა საშუალებით უნდა გახსნან. ეს შკოლები? სად გვყვანან იმდენი მასწავლებელები, რომ აქაც დაგვრჩნენ და იქაც შეიძლებოდეს გაგზავნა? სად არის ქართული სახელმძღვანელო წიგნები?

აი, ამაზე გვმართებს ჩვენ ამჟამად ფიქრი; ამაზედ უნდა იზრუნოს და იფიქროს როგორც ჩვენმა მთავრობამ, აგრეთვე განათლებულმა ახალგაზრდობამაც

ეს ისეთი დაბრკოლება არ არის, რომ იმის მოსპობა არ შეიძლებოდეს. შკოლების გახსნისათვის ყველაზე მომეტებული ხარჯი, რასაკვირველია, თვითონ მმართებლობამ უნდა იკისროს იმ შემოსავლიდამ, რომელიც ამ ახლად-შეძენილ მაზრებიდან ექნება ხაზინას. ქართველი მასწავლებლების გამრავლება შეუძლიანთ ორ სამასწავლებლო ინსტიტუტებს: ალექსანდროვის; (თფილისისას) და გორისას;; ამ ინსტიტუტებმა უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება

---

* დაარსდა 1966 წ. თბილისის გარეუბანში სავთლუღში.

** გორის სამასწავლებლო სემინარია დაარსდა 1876 წ. აქ სწავლობდნენ: არისტო ქუთათელაძე. მიხეილ ყიფიანი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ვაჟა, ბაჩანა და სხვ. ჩვენი ვარაუდით აქ 1879-83 წწ სწავლობდა მეშედ-ბეგ აბაშიძე (რ.ს.)

მოშეტებული ქართველები მოიღონ და ეამოზარდონ მასწავლებლებად, იმათ უნდა მხარქონ მოშეტებული ყურადღება ქართულ ენას, რადგან იქიდამ გამოსულ მასწავლებლებმა, როგორც შეეძლოთ მოვიხსენეთ, პათუმისა და აჭარის მხრის შკოლებში უეჭველად ქართულს ენაზე უნდა შემოიღონ პირველ-დაწყებითი სწავლა ისე, როგორც უფ. სტრელეცკის სიტყვით, თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლებშია.

ამ ინსტიტუტებს ეარდა თფილისის სასულიერო სემხარია* და ეგრეთვე მომავალი სემინარია ქუთაისისა. საქმაო მასწავლებლებს მოგვცემენ ამ მხარეებისათვის.

მემედ-ბეგ აბაშიძე.

მთავრობის ეარდა, ამ შემთხვევაში ჩვენმა საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს რამე. მაგრამ ჩვენ შეორე მხრით მოველით ამ საქმეში სა-ზოგადოებისაგან დახმარებას.

შკოლებს სახელმძღვანელო წიგნები დასჭირდება, წერა-კითხვის მცოდნე ხალხს — საკითხავი წიგნები. აი, აქ იწყება უმთავრესი ზნეობითი მოვალეობა ჩვენი განათლებული საზოგადოებისა. ამ საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს საშუალება, უნდა ღონისძიება იხმაროს, რომ ერთხელვე გაანთავისუფლოს შკოლები უ-სახელმძღვანელოდ და უ-საკითხავ წიგნებად არ დარჩეს. ჩვენს ენაზედ არის რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი, არის ბლომათ ისეთი წიგნები, რომელნიც როგორც შკოლის მაგრდებისა, აგრეთვე ხალხის საკითხავად გამოდგებიან. მაგრამ ეს არ კმარა; საჭირო იქნება კიდევ ახალი წიგნების გამოცემა, საჭირო იქნება განსაკუთრებით ზოგიერთი

---

* გაიხსნა 1817 წლის 1 ოქტომბერს აელაბარში, დარიალის მონასტერში (რ.ს.).

სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა (შაგ-არითმეტიკის, საზოგადო და საქართველოს ბუნარია ისტორიისა და გეოგრაფიის და სხვ.), რომელნიც ჯერ ჩვენ სრულებით არა გვაქვს. საჭირო იქნება, რომ ეს წიგნები, სულ შუქთად თუ არა, ძალიან იაფ ფასად დაურიგდეს მკოლებსა და ხალხს.

და ყველა ეს ერთის რომელისამე პირს არ შეუძლიან, ამას მხოლოთ საზოგადოება მოახერხებს და შეიძლებს.

აი, რას მოველით ჩვენ ჩვენის განათლებულის საზოგადოებისაგან. და თუ ამ საზოგადოებამ ჭერც ეს შეასრულა, თუ თმან ამ ოცის წმინდა მოვალეობას ენერგიულად არ მოჰკიდა ხელი და ყველაფერი _ბედსა და განგებას მიანდო", მაშინ ჩვენ ნამდვილად დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოება არაფრისათვის გამოსადეგი არ ყოფილა.

სანამ ამ სტატიას გავათავებდე, ერთი შენიშვნა მაქვს კიდევ აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლად-შეძენილ ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ არა თუ ბალდატანებით, ქადაგებითაც, ტყბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ, განსაკუთრებით ამ თავით, მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ჩვენ თავდამშე შევაბულებთ იმათ ჩვენს თავს, თავიდამვე განზე დაგვიწყებენ ყურებას. სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთიც ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ შაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია. არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ, თავის თავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და თყვენ, დარჩინენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და თმათ ძმობას და ერთობას.

ახალი მოვალეობა — დაიბეჭდა ცნობილებით სამ. „ცნობებში" (1878 წ. №1-46, 21. VIII და №1-47, 22. VIII). ეს წერილი შეტანილია აგრეთვე სტეფწისალიანის მიერ გამოცემულ სამსახის ნაწერების პირველ ტომში (გვ. 486-492) თბილისში. ტ. III, გვ. 11-15.

17. როგორ უნდა ბათუმში შესვლა

ბათუმი და იმის მაზრა, ორივე აჭარები (ქვემო და ზემო) და ქობულეთი ჩვენ დაგვრჩა: ბერლინის კონგრესსმა მოგვანიჭა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველის მხრით მოგვდის უსიამოვნო ამბავი, რომ ხალხი წინააღმდეგობის გაწევას აპირებსო, ომალოს ჩინოვნიკებისა და ინგლისელების ჩაგონების წყალობით, ხალხმა გადაწყვიტაო, რომ რუსს არ შემოუშვებთ ჩვენს ქვეყანაშიო და თოფ-იარაღისათვის ხელი აქვს მოკიდებულიო.

შესაძლებელია, რომ ეს ხმები მართალი ხმები იყვეს, შესაძლებელია, ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს გარდაწყვეტილი ჰქონდესთ, რომ გზაზე დაუხვდნენ იმათ ქვეყანაში შემავალს რუსის ჯარს და ეცადნონ იმათი გაჩერება სამ'ხღვარზე.

მაგრამ კიდეც რომ ასე იყოს ეს, მოიპოვება სხვა-და-სხვა საშუალება იმისთვის, რომ წინააღმდეგობა, თავიდამვე მოსპობილი თუ არა, შემცირებული მაინც შეიქნეს.

უპირველესი და საუკეთესო საშუალება ამისათის ის არის, რომ ბათუმ'ში შემავალ რუსის ჯარებმა თავის მოქმედებით, თავის კეთილ-შობილურის ქცევით დაუმტკიცონ ხალხს, რომ ისინი (რუსობის წარმომადგენელნი) მართლა მტრებად, მართლა ქვეყნის ასაკლებად და ხალხის გასაჟლეტად კი არ მიდიან, როგორც მოლლები და სხვები უქადაგებდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, არამედ მოდიან როგორც თანამოძმენი, როგორც მეგობრები.

ეს საუკეთესო პოლიტიკა არის აღელვებული ხალხის დასამშვიდებლად. რაც უნდა გაბრაზებული და წინათვე საწინააღმდეგოთ მომზადებული იყვეს ხალხი, როცა ლმობიერად, კეთილშობილურად, პატიოსნად და ტკბილის სიტყვით, ტკბილის მაგალითით მოექცევი, დარწმუნებული იყავი, რომ ის გააგდებს ხელიდამ თქვენწე დამიზნებულ თოფს და თუმცა პირველად განზე და იჭვნეულად დაგიწყებს ყურებას, მაგრამ ბოლოს კი ბედს

როგორ უნდა ბათუმში შესვლა — დაიბეჭდა ინიციალებით სმ. "დროებაში" (1878 წ., №164, 13. VIII). იხ. ცაძე. ტ.III, გვ. 23-25.

დაემორჩილება და წინააღმდეგობას აღარ გაგიწევს.

მეორე საშუალება ის არის, რომ ქათუმში შემავალ ჩვენს ჯარს მიუძღვოდეს წინ ისეთი პირები, რომელთაც იქაური მცხოვრებლები კარგის მხით, კაი კაცებად იცნობენ. ამისთანა კაცები გვყვანან ჩვენ; ამას წინათ დავასახელეთ ესენი და ახლაც ვასახელებთ: ესენი არიან თავადი გრცურიელი და უმემუსოვი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ ჩვენ ჯარს თავადი გრგურიელი წაუძღვება წინ, ქობულეთელები და სამზოგადოთ ბათუმის ქართველები, რაც უნდა მოხდეს, თავის დღეში თოფს არ გაისვრიან.

მესამე საშუალებაც კიდე ის არის, რომ ჩვენმა მთავრობამ ადგილობრივს ენებზე (ქართულზე და თათრულზე) გამოსცეს პრაკლამაცია და გამოუცხადოს ხალხს, რომ ის მეგობრად და არა მტრად შედის ბათუმის მაზრაში. რომ ხალხის მიწა-წყალსა, სარწმუნოებას და სახლ-კარს ხელს არ ახლებს, რომ ის ეცდება შეუმსუბუქოს ტყვირთი და სხვ.

ყველა ეს საშუალება რომ ვიხმაროთ, უეჭველია, სისხლის ღვრას და ამთავითვე ჩვენსა და იმათ შუა მტრობას ავიცილებთ თავიდამ.

დიდი რამ არის ამ თავითვე, პირველ შეხვედრაზედვე კარგის მხრით ჩვენი გაცნობა და დანახვა იმათგან. თუ ამას მოვახერხებთ, მერე ყველაფერი იმ გამგეობაზე, წესდებულებაზე და გამგებლებზე იქნება დამყარებული, რომელთაც ამ ახლად-შეძენილს მაზრაში დაადგენენ.

18. ქუთაისი 20 აგვისტოს

მალობა ღმერთს, ამასაც მოვესწარით: ქუთაისში კონგრესი! — ქუთაისში კონგრესი! ეს ახარებს ამ ჟამად მთელს ჩვენს ქალაქს. ყველა ამაზედ ლაპარაკობს. ყველა იმას ჰკითხულობს: — როდის დაგვითმობენ ბათუმს? რო არა ეშველა-რა ამ ბათუმის ჩაბარებას!

ქალაქს. ყველა ამაზედ ლაპარაკობს. ყველა იმას ჰკითხულობს: – როდის დაგვითმობენ ბათუმს? რო არა ეშველა-რა ამ ბათუმის ჩაბარებას!

მოგეხსენებათ, რომ ეს თითქმის მეორე კვირა მიდის, რაც ჩვენს ქალაქში იმყოფებიან ოსმალოს დელეგატები (დანდობილი პირნი) იმ განზრახვით, რომ ბათუმის ნავსადგურისა, აჭარისა, ქობულეთისა და საზოგადოთ აქეთკენ ჩვენთვის დათმობილ ადგილების ჩაბარების თაობაზედ მოელაპარაკონ ჩვენს მთავრობას.



დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი

ჩვენის მხრით ამათთან მოსალაპარაკებლად დანიშნულია თავადი თ.სვიატოპოლ-მირსკი და ტრუბეცკოი.

ნამდვილ წყაროდამ შეიტყვეთ, რომ ყოველი მოლაპარაკება იმაზედ, თუ როგორ, რა წესით უნდა შევიდეს ჩვენი ჯარები ამ ახლად შემუნილს მიწებში, როგორ უნდა ჩაიბარონ ჩვენებმა იქაური საბელმწიფო ქონება და სხვა, ამ ჟამად სრულიად გათავებული არისო და დღეს, 20 აგვისტოს, ორივე მხარემ ხელი უნდა მოაწერონ შეკრულს პირობაზედ.

ხვალ, 21-ს თავადი სვიატოპოლ-მირსკი და აგრეთვე ოსმალეთის დელეგატები ერთად მიდიან ბათუმისაკენ. ფაშები პირ-დაპირ ბათუმს წავლენ და თ.მირსკი კი ჩვენ ჯარებს გაჰყვება უკან.

ამ ჟამად ჩვენებს უჭირავთ სამება და კვირიკე, რომელნიც ორი ვერსით აქეთ არიან ციხის-პირიდამ და აგრეთვე ჩურუქსუ.

ამ თვის 23-ს, ე.ი. სამშაბათს, ჩვენები დაიჭერენ თვითონ ციხის-პირს, რომლითაც ოსმალებს უკვე გადაჰყავდათ თავის ჯარები და გადაექცთ თოფ-იარაღი და სხვა სამხედრო ხარაჯი.

მეორე დღეს ჩაქვი უნდა ჩაიბარონ. 25-ს აგვისტოს კი უკანასკნელი ვადაა ბათუმის ჩაბარებისათვის.

დეპეშ-ფაშის მხრით, როგორც დარწმუნებით ამბობენ, არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა ამ ადგილების დათმობის შესახებ:

უმთავრესი დაბრკოლება ის იყო, რომ ხომალდები და გემები არ იყო ოსმალოს ჯარებისა და ქონების გადასატანათა, რადგან მომეტებული ნაწილი ამ გარემოებისა ამ ჟამად არიან დაბანდებულნი ვარნაში, სადამც ჯარები და მაჰმადიანი მცხოვრებლები გადაყავთ სტამბოლში; ბევრი გემები ოსმალებისა მოუნდა ავრუთვე იმათ ტყვეების უკან დაბრუნებას ოდესდამ და სევასტოპოლიდამ.

თ. გრიგოლ გურიელი ამ ჟამად ქობულეთში იმყოფება და იქ იბარებს ხალხს, ქვეყანას და ოსმალოს სახელმწიფო ქონებას (თოფ-იარაღს, არტილერიას და სხვ.). ამბობენ, რომ, საცა კი თ.გრ. გურიელი გამოჩნდა, იქ ხალხი სიტყვა აშოულებლად დამორჩილდა და ერთსაც არ განუზრახავს წინააღმდეგობა.

საზოგადოთ, იმედი აქვთ, რომ ამ ოსმალოს საქართველოს დაჭერის დროს ერთი თოფიც არ გავარდებაო. ეჭვი აქვთ ცოტა მბოლოდ ქუთაისა აჭარისა, მაგრამ აქაც შერიფ-ბეგის გაელენისაგან მოელიან დახმარებას. ოსმალებმა უნდა ჩაგვაბარონ ჩვენ, სხვათა შორის, დამზადებული ტელეგრაფი, რომელიც ბათუმიდამ ართვინზე მიდის. ბათუმიდამ მერე ჩვენმა მთავრობამ უნდა გამოიყვანონ შეკვეთილზე და ფონზე.

ამ თავით ჩვენთან შემოერთებულს ოსმალოს საქართველოში მმართველობის წესი და არც სხვა არაფერი არ იქნება ჩვენის მთავრობისაგან შეცვლილი: ისევ ძველი, ოსმალოს ჩინოვნიკები (ყაიმაკამები, შულღარები და სხვ.) დარჩებიან, დარჩება აგრეთვე ძველი წესი.

შემდეგ, როდესაც ხალხი ცოტათი მოშინაურდება, როდესაც შეგვეჩვევიან, მაშინ დაიწყებენ ცოტ-ცოტათი ახალი მმართველობის წესისა და სხვა ყველაფრის შემოღებას.

ამბობენ, ბათუმის ფრანგის მფლობელს მოხვლია ტრაპიზონიდამ ტელეგრამა ინგლისის კონსულისაგან ბარათი, რომელშიაც ეწერაო, რომ ჩვენგან ინგლისელებისაგან შეშფოთების იმედი ნუ გაქვთო, ბერლინის კონგრესსმა გადაწყვეტა და ძალა-უნებურად უნდა დაემორჩილოთ რუსეთისათ. ეს წეღან ხსენებული მფლობელს დერვიშ-ფაშისათვის გარდაეცა, რომელსაც თავის მხრით მოეგრიგებინა ქობულეთის და ბათუმის მაზრის მოთავე პირები და წაეკითხნა იმათთვის.

ამბობენ, ამ წიგნმა ყველაზე უფრო დააშოშმინა ხალხი და დაარწმუნა ის, რომ რუსების წინააღმდეგობა იმათის მხრით უგუნურება იქნება და უნაყოფოთ ჩაიცლისო.

ხვალ მე ბათუმისაკენ გავეცები ჩვენს ჯარს და გზიდამ და თვითონ ამ ქალაქიდამაც ვეცდები შევატყობინო "დროების" მკითხველებს ყველაფერი, რაც საინტერესო, ყურადღების ღირსი იქნება.

ბათუმისაკენ

ოზურგეთი, 22 აგვისტოს.

ეს არის ოზურგეთში მოველი. მაგრამ ვაი ამისთანა მოსვლას და უი ამისთანა მგზავრობას! ჩემს სხეულში არაფერი თავის ადგილზე აღარ უნდა იყოს, ისე საშინლად დამანტვრია, დამჟეჟა და დამამყლია საძაგელმა გზამ სამტრედიიდამ თითქმის სულ ოზურგეთამდინ.

საძაგელი გზა! ქვები, ორრო-ჩორროები, ტალახი. იარე ამისთანა გზაზე ჩვენებური ტროიკით! ნეტავი იმას ვინც ამ ბედნიერებას გადარჩენია!

გუშინ თ. სვიატოპოლ-მირსკიმ გამოიარა ამ გზაზედ და, ორგორც მითხრეს, დიდი რისხვა მიუღია იმისაგან საპიორებსა და სამხედრო გზების ინსპექტორს უფ. მახრამოვს. ახიც არიან მე და ჩემმა ღმერთმა..

ამ ჟამად საპიორებს გარდა თითქმის ნახევარი გურია ამ გზის გასაკეთებლად გამოსულა. დედაკაცები და 8-10 წლის ყმაწვილებიც კი გამოსულან და მდ.სუფსის და ჩოხატაურის ნაპირას აგროვებენ კალათებით ქვებს და მოაქვთ გზაზე თავიანთ ქმრებისა და მამებისათვის დასამტვრევად.

ბათუმისაკენ მისასვლელ გზას ვამზადებთ...

ქუთაისი 20 აგვისტოს – დაიბეჭდა ინიციალებით სმ. "დროებაში" (1978 წ., №171, 24. VIII). იხ.ცაგაძე. ტ. III, გვ. 25-27.

ბათუმი ვახსენე და არ შეიძლება, რომ ოზურგეთში მყოფმა კაცმა ამ ჟამად ბათუმი არ ახსენოს, რადგან ყველგან და ყველანი მუდამ იმაზედ ლაპარაკობენ.

ჩვენმა ჯარებმა გუშინ, 21 აგვისტოს, ჩაიბარეს ციხის-ძირი, გამოჩენილი, საშინელი, დამფეთებელი ციხის-ძირი, ანუ ქაჯეთის ციხე, რომელმაც ამდენი მსხვერპლი მოგვთხოვა ჩვენ შარშან 11-12 ივნისს და წელს 18 იანვარს და რომელიც ახლა ხმა ამოუღებლად, თოფის გაუსროლელად დაგვნებდა.

დღეს დილით წავიდა აქედამ ხუც-უბანში თ.მირსკი, აქედამ ციხის-ძირზე უნდა წავიდეს; რიონის მხრის ჯარების უფროსი ღენ. ოგლობჟიო და გურიის ატრიადის უფროსიც ღენ. ალხაზოვი იქ არიან.

მომეტებული ნაწილი ამტკიცებს, რომ ჩვენი ჯარები უეჭველად 25 ამ თვეს უნდა შევიდეს იქაო, ამ დროისათვის არტაანის ატრიადი უნდა მოვიდეს და ის შევა პირველად ბათუმშიო.

სხვები ამტკიცებენ, რომ 5 სექტემბრამდინ კიდევ დრო, ვადა ითხოვესო და ამ რიცხვამდინ ჩვენი ჯარები არ უნდა შევიდნენო. ჩუმ-ჩუმათ ამბობენ, ვითომც ქობულეთელები და ლაზები ეშმაკობენო, რომ წინააღმდეგობას გაუწევთ რუსებსაო, ტყუილს ამბობენო, თოფ-იარაღი მზათა აქვთ და როგორც ჩვენი ჯარები შევლენ, გზაზე გადაგვიდგებიანო.

უეჭველია, რომ ეს დაფრთხალი ტვინის მოგონილი ამბავი და უბრალო შიშია. ნამდვილად ამბობენ, რომ 10.000 კაცმა ლაზებმა და ქობულეთელებმა, საწინააღმდეგოდ მომზადებულმა დაჰყარეს თოფ-იარაღი და დამორჩილდნენ თავის ბედსაო.

ამ დამორჩილებაზედ და თოფ-იარაღის დაყრაზედ, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონდა თ. გრ.გურიელის გაგზავნას ქობულეთში. რომელიც იქაურ ხალხს ასე უყვარს და რომლისაც ყოველი სიტყვა სჯერათ.

სულ, ამბობენ, ჯერ-ჯერობით ორას ოჯახზე მეტი არ გადასახლებულაო. ბევრი აპირებდა კიდევ წასვლასაო, მაგრამ გრ. გურიელი რომ დაინახეს, შეჩერდნენო.

ოსმალეთიდამ მოსული მოლლები ვინც ყოფილან, თითქმის

ყველანი უკანვე დაბრუნებულან სტამბოლში. მე მიამბეს, რომ ამ დღეებში ასიოდ ოჯახი მოგროვილიყო პათუმში ზღვის ნაპირას და ხომალდზე დასხდომას აპირებდნენ, იმ დროს ვიღაც ქობულეთელი მოლლა მოვიდა და უთხრაო: – სად მიდიხართ, თქვე უბედურებო! არ იცით განა რა დაემართათ ჩერქეზებსა და აბხაზებს? თქვენც ის ბედი მოგელისთ!

ამ სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია ამ ხალხზე თურმე, რომ იმ წამსვე თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

იქაურს ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ რუსები სარწმუნოების საქმეში და ოჯახში შეგვავიწროვებენო, ამის ეშინიათ ამათ ყველაზე უფრო.

ახლად შესული რუსის მთავრობის მოვალეობა იქნება, დაუმტკიცოს ხალხს, რომ ეს ხმები მოჭორილი, უსაფუძვლო ხმებია.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი დრუჟინის ჯარებიც წაეყვანათ ბათუმში. რაც უნდა იყოს, ჩვენ, ქართველებს ისინი მაინც უფრო გვიცნობენ, უფრო თავის ძმებად მივაჩნივართ და ამიტომაც უფრო გვენდობიან. ჩვენებური ჯარების დანახვა იმათ უფრო დაარწმუნებდა, რომ რუსები მართლა იმათი ქვეყნის ასაკლებად და ასაოხრებლად, იმათი სარწმუნოების შესავიწროებლად არ მიდიან იმათთან.

საუბედუროთ, ეს გარემოება არ მიუღია მხედველობაში ჩვენს სამხედრო მთავრობას: არცერთი სოტნა ჩვენებური ჯარისა არ მიჰყავთ ახლად-შეძენილს ოსმალოს საქართველოში.

ერთი ახირებული ამბავი მითხრეს: ახლა, როდესაც ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ცხინს-ძირი და ჩვენმა სამხედრო კაცებმა დაათვალიერეს ეს საშინელი სიმაგრე, აღმოჩნდაო, რომ ერთის მხრით ისე სუსტად ყოფილა ის გამაგრებული და ისეთი მისადგომი მხარე ყოფილაო, რომ ამ მხრით ადვილად შეიძლებოდა იმის აღებაო! ჩვენ კი 11 ივნისსა და 18 იანვარს კედლებზე მივამტვრიეთ შუბლები და, რასაკვირველია, ვერა გავარიგეთ-რა...

მოგეხსენებათ, რომ გურიაში სულ ოთხი დრუჟინა იყო მოკრებილი: აქედამ ორი, რომელშიაც უფრო მომეტებული უწესობა ნახეს, ე.ი. თ. მამია გურიელისა და თ. დათა ერისთავ-



მაშია გურიელი

ის, დაითხოვეს, დანარჩენი ორი – თ. იასსე გურიელისა და დათა გუგუნავასი ჯერ-ჯერობით არ არიან დათხოვნილი.

ხვალ ვაპირებ გზას დავდგომას. გავივლი მუხა-ესტატეზე, ხუცუბანზე და ციხის-ძირზე; აქედამ, თუ არაფერი მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოჩნდა, ჩვენ ჯარებთან ერთად მინდა ბათუმში შესვლა.

20.

ბათუმი, 25 აგვისტოს.

დღეს რომ 25 აგვისტოა 1878 წელი, ბათუმი, ქობულეთი, ზემო და ქვემო აჭარა ჩვენია.

სწორეთ შუა დღეზე, ღენ. ადიუტ. თ. სვიატოპოლ-მირსკი და მასთან დიდი ამალა და სამი პოლკი რუსის და ჩვენებური ჯარი და თქვენი მორჩილი მონაც შეველით ბათუმში.

შეველით მშვიდობით, შეუშფოთებლათ, რასაკვირველია, რომ ერთი თოფიც არსად არ გავარდნილა.

მაგრამ სანამ ბათუმში შესვლასა და ბათომს აგიწერდეთ, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმაზე, რაც ბათუმამდინ ვნახე.

ოზურგეთიდამ დიდის გაჭირვებით დავახწიე თავი; უმთავრესი დაბრკოლება იყო უცხენობა. საცა კი გავგზავნე ბიჭი ან მე თითონ ვიკითხე, ყველგან ერთი-და-იგივე პასუხი: – არა გვყავს, ბატონო, ცხენი.

ორ ალაგას კი გვითხრეს. რომ ცხენი გახლავთ, მაგრამ დღეში სამ მანეთ ნაკლებ ვერ მოგაქირაებთო. თუ წარმოიდგენთ ერთის

მხრით ამ ჩვენი პატარა „დროების“ პატარა საშვალებას, მეორე მხრით იმას, რომ ცხენი მე უკანასკნელი ათი დღით, იქნება ორი კვირითაც დამჭირდებოდა და მესამე, რომ ამ ჯარითს გარდა ცხენს ჭამა და სხვა ხარჯი უნდოდა, ყველა ამას თუ წარმოიდგენთ, დამეთანხმებით, რომ ეს ფასი ცოტათი ძვირათ უნდა მჩვენებოდა.

ამ გაჭირვებისაგან გამომიხსნა ერთმა ჩემმა კეთილმა ნაცნობმა, რომელმანც ხუც-უბნამდის მათხოვა ცხენი.

გზას მარტო დავადექი ოზურგეთიდამ, თუმცა მეუბნებოდნენ, რომ გზაზე შიში არის, ქობულეთელები „ცელქობენო“, „უაკაზიოთ“ ნუ წახვალო, მაგრამ არავითარი შიში და შემთხვევა არ გამომიცდია გზაზე. ნასადილევის ორს საათზე გამოსულმა საღამოს ექვს საათზე წყნარის, ფეხ-აუჩქარებელის სიარულით მივაწიე მუხა-ესტატეს და აქედამ დაბინდებისას ხუც-უბანში.

დღევანდელი მუხა-ესტატე აღარ ჰგავს იმ მუხა-ესტატეს, რომელიც მე შარშან აგვისტოში ვნახე. აქ აღარ არის მაშინდლური სიცოცხლე და მოძრაობა, რადგან აღარ არის ჯარები.

ხუც-უბანშიც მხოლოთ-ღა ერთი ბატარეია (8 ზარბაზანი) დარჩენილა და რამდენიმე სოტნა გურულები (თ. დათა გუგუნავას) დრუჟინისა; დანარჩენი ყველა ჯარები წინ გაუწევიათ: ქობულეთის, ციხის და ბათუმისაკენ. აღარაფერი აღარ არის ახლა აქ საინტერესო. შეგიძლიათ მხოლოდ ნახოთ, თუ როგორ ოსტატურად და მოხერხებით გაუმაგრებიათ ყოველის მხრით ოსმალოებს ეს პოზიცია. მუხა-ესტატედამ შეგიძლიანთ დარწმუნდეთ იმაში, რომ თითქმის ამის აღებაც შეუძლებელი იყო, არა თუ ციხის-ძირისა.

აქედამ სჩანს სამება, რომელიც 18 იანვარს აიღეს ჩვენმა ჯარებმა, როდესაც ღენ. შელმატოვმა დალია სიცოცხლე; სჩანს აგრეთვე კვირიკე და სხვა მოწინავე სიმაგრეები ციხის-ძირისა.

ღამე აქ გავათიე, აქ შევიტყვე, რომ თ.მირსკი თავის ამალით და ყველა ჯარებით ბათუმისაკენ მიმავალნი ქობულეთში არიან მოგროვილი და აქედამ უნდა წავიდნენო, ამის გამო, რასაკვირველია, მეც იქითკენ გავსწიე.

ქობულეთი ხუც-უბნიდამ სულ 7-8 ვერსი იქნება. მთიდამ რომ ჩამოხვალ, მერე სულ სწორ გზას უნდა დაადგე მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირას. ქალაქი ზედ ზღვის ნაპირზედ არის აშენებული.

ქობულეთი ძალზე პატარა ქალაქია; ბევრი-ბევრი ორი ათასი სული თუ ცხოვრობს აქ; მაგრამ ახლა ესეც აღარ არის დარჩენილი. თვითონ ქალაქიდამ და საზოგადოთ ქობულეთის მაზრიდამ, როგორც დამარწმუნეს, ჯერ-ჯერობით უკანასკნელი 300 ოჯახი (1500 სულამდინ) გადაესახლნენო. ახლაც მიდიან, თუმცა ისე აღარ, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც შეიტყვეს, რომ იმათ უფროსად (სამოქალაქო მმართველად) დანიშნულია თ. გრიგოლ გურიელი.

გასაკვირველია, მართლა, ის რწმუნება, პატივის-ცემა და სიყვარული, რომელიც თ. გრიგოლს დაუმსახურებია ქობულეთში. ყოველი იმის სიტყვა სჯერათ, ყოველ საჭიროებისათვის იმას მიმართავენ რჩევისათვის.

მაგრამ აღმოჩნდნენ ბოროტი პირები, რომელნიც არწმუნებენ ხალხს, რომ რუსები შეგავიწროვებენო, ოჯახს შეგირცხვენენ, თქვენს სარწმუნოებას შეურაცხყოფას მიაყენებენ და გირჩევნიათ ოსმალეთში გადასახლდითო. ამასთანავე დერვიშ-ფაშა ყოველგვარს შემწეობას აძლევს და შემდეგშიაც ჰპირდება, ოღონდ კი გადმოსახლდითო.

ამას გარდა, როგორც აბხაზეთიდან, აქედამაც ბევრი ძალ-დატანებით გადაჰყავთ. ქობულეთში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდა ერთი პატარა 12-14 წლის ქობულეთელი ბიჭი, რომელმანც შესჩივლა თ.გრიგოლს: – ნიზამები შემოშპენ სახლში, პაწაი ძმაი, დაი და ბაბაი (მამა) წეიყვანეს. მეორემ სთქვა, რომ ჩვენ ყანაში ვიყავით სამუშაოთ და დედა-კაცები ძალათ წაათრიეს ბათუმსო.

უფრო ახალგაზრდა ლამაზ ქალებს ეტანებიან, რომელნიც ჰარემისათვის უნდათ, მაგრამ რადგან ესენი უკაცებოთ არ მიდიან, ამის გამო ამათი ძმებიცა და მამებიც მიჰყავთ. მომეტებული ნაწილი კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, თავის ნებით მიდის.

მე მითხრეს, რომ გადასახლებულებში ბევრი ქურდები და ავაზაკები ურევიანო, რომელთაც ეშინიანო, რომ რუსების ხელში

დაუსჯელად ველარ აასრულებენ თავიანთ ხელობას ან რომელთაც ძველი ცოდვების გამოაშკარავება აშინებთო.

მომეტებული ნაწილი ქობულეთის ბაზრის დუქნებისა ამ ჟამად დაკეტილია, აგრეთვე სახლებიც, აქაური ბაზარი ორ რიგად გაყოლებულ პატარ-პატარა ხის დუქნებს წარმოადგენს, რომელშიაც სხვა-და-სხვა საქონელი პირ-და-პირ ძირს აწყვია და გვერდით უზის მუხლ-მოკეცილი პატრონი დუქნისა.

სხვა-და-სხვა ფართალი, ჩითეულობა ბლომად იშოვება, საჭმელ-სასმელი კი სულ ჩვენს ჯარებს გაესაღებინათ, ბევრი ხილი „კაცის თავა მსხალი" და უშველებელი ვაშლები, ოყა (სამი გირვანქა) შაურად ისყიდება.

ხალხი მშვენიერი, საამო დასანახავია, კარგათ მოყვანილები, ცოცხალ თვალებიანი, თითქო ცეცხლი გამოდისთო, მსწრაფი, მარჯვე; ცხენზე ისე თამამად ზის, თითქო დედა-მიწაზედ დადისო.

ყველას თოფი მხარზე და ხანჯალი და დამბაჩა გურულად შემორტყმულს სარტყელში.

ენით, სიარულით, ტანისამოსით, მიხრა-მოხრით ვერას გზით ვერ გამოიცნობ ქობულეთელს გურულისაგან, თუ ძალიან დაახლოებით არ იცნობ ორივე ხალხს.

წინა დღეს, ე.ი. 23-ს, აქ მოსულიყო ბათუმიდამ დევრიშ-ფაშა, ენახა თ. სვიატოპოლ-მირსკი და გამოეცხადებინა იმისათვის, რომ ბათუმის ჩაბარებას არავითარი დაბრკოლება აღარ უდგას წინაო.

იმ დღეს აქ ყოფილიყვენ 50-დინ წარმომადგენელნი ქობულეთის სხვა-და-სხვა სოფლებისა, რომელთაც თავიანთი ქვეშევრდომითი გრძნობაა და მორჩილობა გამოეცხადებინათ რუსის მთავრობისათვის.

დილის ათი საათი იყო, როდესაც ჩვენ დავინძერით ქობულეთიდამ. იმ ღამეს სოფ. ჩაქვს უნდა გაგვეთია ღამე.

ბათუმში შესასვლელი ჯარები იყვნენ: ორი პოლკი (ზაქათალისა და ლენკორანის, რამდენიმე როტა სხვა პოლკებისა, იმერლების ცხენოსანი პოლკიდამ (პრინცის) ასი კაცი, ასი ყაზახი რუსი და ერთი მეექვსე ბატარეა მთის ზარბაზნებით.

გზა თითქმის სულ ზღვის ნაპირას მიდის. ქობულეთიდამ ციხისძირამდინ ათი ვერსი იქნება. დიდის წვალებით და ბევრი ოფლის ღვრით მივაწიეთ იმ მთებს, რომელთაც ციხის-ძირის, ანუ ქაჯეთის ციხის მთებს ეძახიან.

მიველით, მაგრამ რა ვნახეთ?! წარმოიდგინეთ ერთის მხრით გარდაუვალი აწოწოლებული მთები აჭარისა, მეორეს მხრით ზღვა; შუაში აჭარის მთიდამ მიყოლებული გორაკები, რომლის ზურგები აჭრელებულია მიჭრილ-მოჭრილ, მითხრილ-მოთხრილ მიწით, ორმოებით, ლოქმენტებით, ტრანშეებით და სხვ.

აქ ყოველი მთა თითქმის მიუვალ სიმაგრეთ არის გადაქცეული და ამისთანა მთა ზღვის პირიდამ მე დაეთვალე თხუთმეტი. ყოველ მთას შუა ხევი, ხევს იქით მთა, მთას იქით კიდევ ხევი.

ციხის-ძირი ერთი კი არ ყოფილა, თხუთმეტი ყოფილა! და ამისთანა სიმაგრის აღება განა იმნაირად შეიძლებოდა, როგორც ჩვენ გვინდოდა? ამ ციხი-ძირის მთებამდინ ხომ უკანასკნელი ხუთი ვერსია და შემდეგ აქ ხომ თხუთმეტი ამისთანა და უარესიც სამება და კვირიკე დახვდებოდა ჩვენს ჯარებს! და რა ძალით, როგორის მოხერხებით ვაპირებდით ჩვენ ყველა ამ დაბრკოლების მოსპობას!

ბუნება ამათ დახმარებია აქ, კაცს ყოველი ხელოვნება უხმარია და, აბა, ჩვენ რა შეგვეძლო? აკი მართლაც ვერა შევიძელით-რა...

მეჩქარება, ფოჩტა მოდის და ამიტომ ბათუმში შესვლის ამბავს ხვალ აგიწერთ.

21.

ბათუმი, 26 აგვისტოს.

გუშინ გაცნობეთ, რომ ჩვენ წყნარად, მშვიდობიანად შევედით ბათუმში. ნება მომეცით მოგახსენოთ ახლა – თუ როგორ მოხდა ეს ჩვენი აქ შემოსვლა:

წინა ღამეს, ე.ი. 24-ს ჩვენ გავათიეთ სოფელს ჩაქვში, იმ ჩაქვში, რომელიც ჩვენს ისტორიაში გამოჩენილია; იმერეთის მეფე



ხუსეინ-ბეჯ ბეჟანიძე

სოლომონი დაეცა აქ ოსმალოს ჯარს და, როგორც ისტორია მოგვითხრობს, თუმცა დიდი ზიანი ნახა, მაგრამ მტერი მაინც დაამარცხა. როგორც ეტყობა, მაშინ ოსმალებს ისე არ ჰქონდათ გამაგრებული ხუც-უბანი და ციხის-ძირი, როგორც ახლა აქვსთ.

ჩაქვში დაგვიხვდა ჩვენ ჩაქვის ბეგი ჰუსეინ-ბეგი ბეჟან-ოღლი, ანუ ბეჟანიშვილი, თავის ამალით და დეპუტაციით. ეს ჰუსეინ-ბეგი ძალიან გავლენიანი კაცია თავის ყაზაში. ყველა გვარ გაჭირვებაში მთელი აქაური ხალხი იმას დაეკითხება ხოლმე, იმას ჰკითხავს რჩევას და დარიგებას. იმის წყალობით ჩაქვის მაზრიდამ ძალიან ცოტა გადასახლდნენ ახლა; ხალხი ხედავდა, რომ იმათი აღა არსად მიდის და თვითონაც არ მოუცლიათ ფეხი.*

ჰუსეინ-ბეგი ჩინებულად ლაპარაკობს ქართულად და, როგორც თვითონ დამარწმუნა, იმის ოჯახში ყველამ იცის ქართული წერა-კითხვა. ამან მიამბო სხვათა შორის, რომ ამ ორი კვირის წინ, დერვიშ-ფაშის რჩევით, ჩვენ, ჩაქველებმა, ქობულეთელებმა, ბათუმელებმა და ლაზებმა მოვკიდეთ თოფ-იარაღს ხელი და არ გაჰპრებლით ჩვენს ქვეყანაში შემოშვებასო. სულ ათი ათასს კაცზე მეტი ვიყავით დაიარაღებული და საომრად გამზადებულიო.

დერვიშ-ფაშა ჯერ დაგეპირდაო, რომ იღონდ თქვენ მოემზადენით საომრად და მე ნიზამის ჯარებს მოგახმართო და

---

* ჩვენი აზრით ხუსეინ ბეჟანიძეა ის პიროვნება, რომელიც აკაკიმ ნიკო ნიკოლაძისადმი 1875-76 წწ გაგზავნილ წერილებში მოიხსენია და კონსპირაციის მიზნით „გიორგაძე“ უწოდა. (დაწვრ. იხ. ჩვენი „დაუვიწყარი სახეები“, ბათუმი. 1969. გვ. 9-14).

ციხისძირზე დავმაგრდეთო. მაგრამ როდესაც ჩვენ მოვემზადენით, დერვიშმა გამოგვიცხადაო, რომ ჯარს ვერ მოგახმართო, რადგან ხონთქარი ყველა ხელმწიფეების გადაწყვეტილებას ვერ აღუდგება წინაო და ხელმეორეთ ვერ გამოუცხადებს რუსეთს ომსაო. ამ დროსვე ამბავი მოგვივიდა, რომ ოსმალოს ჯარები ცლიან ციხისძირს და რუსები შედიან იქ.

ამის შემდეგ ჩვენი წინააღმდეგობის საქმე გათავებული იყო; ჩვენ მარტო რას ვიქდით? წავედი, გამოვეცხადე ღენ.ოგლო-აჟაოს და დაუკარი თავი. ასე ქნეს სხვებმაცაო, დაუმატა ჰუსეინ-ბეგმა.

ჩვენი ყაზი ანუ მაზრა მშვენიერი ადგილია. ერთის მხრით ზღვა, მეორეს ამაღლებული მთები, რომელზედაც, თითქო მერცხლები, მიჯგუფულან მცხოვრებლები. ზღვას და მთებს შუა ალაგ-ალაგ გაშლილია მშვენიერი, ფართო, ნაყოფიერი მინდვრები, რომელზედაც ხალხს ყანები აქვს, მომეტებული ნაწილი სიმინდი, ღომი და ბრინჯი. ჰუსეინ-ბეგი წელიწადში, სხვათა შორის, უკანასკნელ 3000 მანეთის მარტო ბრინჯს ჰყიდის. ჩაქვის ღვინო და ხილი მთელს ოსმალოს საქართველოში განთქმულია.

მოსახლეებს მთებზე გზიდამ თითქმის სრულიად ვერ ჰხედავ; შეატყობ, რომ აქ ვინმეს სახლიაო, მხოლოთ იმით, რომ ეზოში უეჭველია, რამდენიმე დიდი ხეა ამართული და იქ ვენახია.

მეორე დღეს, 25-ს, 10 საათზე ჩვენ გამოვემგზავრეთ ბათუმისაკენ; ჩაქვიდამ ბათუმამდინ ცხენით ერთი საათის სავალია, რადგან ექვი ვერსი ითვლება. მაგრამ ჩვენ კი ორ საათს მოუნდით: ქვევითა ჯარები მოგვდევდა უკან და ცხენოსნები წყნარის ნაბიჯით მივდიოდით.

შუა გზაზე დაგვიხვდა დერვიშ-ფაშის ადიუტანტი, რომელმანც გამოუცხადა თ.მირსკის, რომ მე თქვენს განკარგულების ქვეშ გამომგზავნა დერვიშ-ფაშამაო.

ცოტა კიდევ რომ გავიარეთ, დაგვიხვდა ბრიგადის ღენერალი მუსტაფა-ფაშა ერთის პოლკოვნიკით, ორი უბრალო აფიცრით და

30 ცხენოსნით. მუსტაფა-ფაშა ჯერ თითქმის სრულიად ახალგაზრდა კაცია, ძლიერ ლამაზი, მშვენიერს არაბულს ცხენზე ზის. შორიდამ სამხედრო სალამი მისცა იმან თ.მირსკის, მაგრამ როცა ამან გაუწია ხელი ჩამოსართმევად და მუსტაფა-ფაშამაც მოიწია ხელის მისაცემად, იმის ცხენმა უეცრად ერთი საშინლად დაიჭიხვინა, იტლინკა და უკან დაიწია. რამდენი ეცადა, რომ მოეწია ცხენი, მაგრამ არა ეშველა-რა; როგორც მიუახლოვდებოდა და ხელს გაიშვერდა, იმწამსვე ცხენი დაიწყებდა ტოკვას, ადგებოდა უკანა ფეხებზე და უკან დაიხევდა, თითქო არა სურდა, რომ იმის პატრონს რუსის ღენერლისათვის ხელი მიეცა.

ერთი ვერსი რომ დაგვრჩა ბათუმის კარებამდინ, თ.მირსკის მოეგება თვითონ დევრიშ-ფაშა. ჩვეულებრივი სამხედრო სალამის შემდეგ, ესენი მიუახლოვდნენ ერთმანეთს და მაგრად, მაგრად ჩამოართვეს ხელები.

დევრიშ-ფაშა უკანასკნელი სამოცი წლის კაცი იქნება. მაღალი ტანისა, წელში ცოტათი მოხრილი, გამხდარი, პატარა ჭაღარა წვერები, წამწვეთებული ცხვირი, წმინდა, სუფთა, მელასავით მოცინარი თვალები და ტუჩები. ერთს შეხედვაზე ეტყობა, რომ ჭკვიანი კაცი უნდა იყვეს. ამბობენ, დერვიშ-ფაშა შრომის მოყვარე, მხნე კაციაო, ყველა საქმეში თვითონ ერევა, თავის თვალით უყურებდა და თვალყურს ადევნებდა ყველა მუშაობაზე, სიმაგრეების გაკეთებაზე და სხვ. ამ სიტყვების სინამდვილეში დავრწმუნდი მე აქ ამ ორი დღის განმავლობაში, როდესაც ოსმალოს ჯარი თავის სამხედრო მასალებს, სურსათს, თოფ-იარაღს და ზარბაზნებს და სხვას ალაგებდა ხომალდებში ტრაპიზონში წასაღებად; თითქმის დილიდამ სალამომდინ ფეხმოუცვლელად იჯდა ის ზღვის ნაპირას, ბათუმის რეიდზე და ხან ერთს განკარგულებას აძლევდა, თუ სად და როგორ ჩაალაგონ ხომალდებში სხვა-და-სხვა საქონელი, ან როგორ უნდა ჩასვან ჯარები, და ხან მეორეს.

ზედ ბათუმის კარებში თ. მირსკის დაუხვდნენ ქალაქის დეპუტატები, ოსმალების მოლლები, სომხის ტერტერები და ბერძნების მღვდლები ხატებით და პურ-მარილი მიართვეს. თ. მი-

რსკი ჩამოხტა ცხენიდამ, მივიდა ოსმალების დეპუტაციასთან და მოკლე სიტყვა უთხრა იმათ, რომელშიაც ის ჰაზრი იყო გამოთქმული, რომ ეს ქვეყანა რუსეთის იმპერატორს დარჩაო, მაგრამ თქვენ ნურც თქვენი სარწმუნოების შევიწროებისა, ნურც თქვენი ოჯახის შეურაცხყოფისა და ნურც სხვა უსამართლოების მოყენების ნუ შეგეშინდებათო. იყავით, იცხოვრეთ მშვიდოლბიანათ, ემსახურეთ რუსეთის იმპერატორს ისე ერთგულად, როგორც დღემდინ ოსმალოს სულთანს მსახურობდითო და დარწმუნებული იყავითო, რომ არა მხრით თქვენ შეწუხება არ მოგელისთო. თქვენს სარწმუნოებას კაცი ხელს არ ახლებს, თქვენი ოჯახი დაცული იქნება, იშრომეთ და იყავითო...

ამ სიტყვას, როგორც ეტყობოდა, კარგი გავლენა ჰქონდა მაჰმადიანებზე. შემდეგ თ. მირსკი ემთხვია სომხებისა და ბერძნების ხატებს, შებრძანდა ცხენზე და ჩვენ ყველანი ბათუმში შეველით.

22.

ბათუმი, 27 აგვისტოს.

ეს მესამე დღეა რაც აქ ვარ და ერთი საათი კი მოსვენება არა მაქვს.

— რა საქმე გაქვსო? მკითხავთ. სრულიად არაფერი, მაგრამ ამ ჟამად აქ ისეთი გაცხარებული ფაცა-ფუცია, ისეთი დაუწყნარებელი მოძრაობა, ყვირილი, ყაყანი და დავი-დარაბა, რომ მოსვენება, თავისუფლად ერთის წამის გატარება არ შეგიძლიანთ.

ხალხის მოძრაობა, მოგეხსენებათ, გადამდებია: მეც ვმოძრაობ, დავრბივარ, ხან იქ მივვარდები, ხან აქ ვეცემი, ხან რეიდზე მივეჩქარები, ხან ყავახანაში მივიჩქარი, თითქო ყველგან ისეთი

საჩქარო და საჭირო საქმე მაქვს, რომ ერთი მინუტი მოცდა და დაყოვნება არ შეიძლება!

ჩემ-და-აუხსნელათაც მიხვდებით, თუ რა უნდა იყვეს მიზეზი ამ ხალხის უჩვეულებრივო მოძრაობისა: რუსები შემოვიდნენ, ოსმალები მიდიან, ერთს მოაქვს თავის ბარგი, მეორე ბარგს ალაგებს, ერთი ხმელეთით შემოდის, მეორე ხომალდებში ჯდება და ტრაპიზონისა და სტამბოლისაკენ ზღვით მიდის, ერთი სალამს აძლევს ამ ქვეყანას, მეორე სამუდამოთ ეთხოვება, – აი ეს არის უმთავრესი მიზეზი არეულობისა, მოძრაობისა.

მაგრამ ამას გარდა მეორე მიზეზიც არის: დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ გურიიდამ, სამეგრელოდამ, იმერეთიდამ და ტრაპიზონიდამ. სულ ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას. დარბიან, დაცმაცურობენ, ჰყვირიან, ჩურჩულობენ, დილიდამ საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ჰყიდულობენ, „საქმეს“ ეძებენ.

როგორც ეტყობა, რუსებისაგან ბათუმის დაჭერას არავინ მოელოდა, თვით ჭკვიან დერვიშ-ფაშასაც კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა.

ამას იმიტომ ვამბობ, ამ უკანასკნელ დრომდინ ყველა ოსმალოს ჯარები სულ აქ იყვნენ თავ-მოყრილნი და აქედამ ამათი წაყვანა მხოლოთ ამ ერთის კვირის წინათ დაუწყვიათ; კიდევ იმიტომ ვამბობ ამას, რომ ვაჭარი, „საქმის“ მაძებარი ხალხი მხოლოთ ახლა, რუსების შემოსვლისა-თანავე, მორბიან აქ და ეჩქარება რომელსამე საქმეს სტაცოს კუდში ხელი.

ადრევე რომ სცოდნოდათ, დღეს ხომ ასე აჩქარება და ფაცაფუცი არ დასჭირდებოდათ, მომზადებული იქნებოდნენ რუსების შემოსვლის დროს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მუდამ დღე საშინლად იწევს ახლა აქ ყველაფრის ფასი. მე მარწმუნეს, რომ ის მაღაზია, რომელიც რუსების შემოსვლამდინ წელიწადში 500 ყურუშათ იყო გაჭრავებული, ახლა 500 მანეთად გაჭირავდაო! (ერთი მანეთი 40 ყურუშამდინ არის). ადგილს, რომელიც ადრე 600-700 ყურუშად ისყიდებოდა, ახლა 800-1000 მანეთად იტაცებენ!

თითქმის ამ ნაირად გაძვირდა ყველაფერი. ასე რომ, საქართველოდამ შემოსული კაცი ბათუმის განთქმულს სიაფეს სრულიად ვერ ჰხედავს. ღვთის წინაშე, ევროპული სასმელები კი იაფად გვეჩვენება ახლაც, თუმცა, ამბობენ, ესეც ერთი ორად გააძვირესო. ეს სასმელების სიაფე ახლავე დაეტყო აქ შემოსულს ჯარს: სიარულის ნაცვლად ბარბაცი მეფობს და ფეხზე დგომის მაგიერად მტვერში და ტალახში წამოწოლა. სალდათები ისე მიირთმევენ ვერმუტს, კასისს, კონიაკს და სხვა ამგვარ ძვირფასს სასმელებს, ვითარცა წყალს.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყურადღების ღირსია, რომ არავითარი უწესოება არ მომხდარა ჯერ აქ. ოსმალები თავის საქმეს ადგანან: დილიდამ საღამომდინ ეზიდებიან ხომალდებში სახელმწიფო ქონებას: ზარბაზნებს, ტყვია-წამალს, ფქვილს და სხვას, მიჰყავთ ავათ მყოფები და ჯარები. ამას გარდა, როგორც მოგეხსენებათ, იმათ ამ ჟამად რამაზანი აქვთ და დღისით წყლის დალევაც არ შეუძლიანთ. ამიტომაც საქეიფოთ და სადავიდარაბოთ იმათ დრო არა აქვთ.

ოსმალოს ჯარი ამ ჟამად აქ კიდევ 4000 კაცამდინ იქნება დარჩენილი; ციხის-ძირზე, ჩურუქ-სუში (ქობულეთში) იმათი ერთი კაციც აღარ არის.

ჩვენ აქ ყოფნაში ოთხი დიდი ხომალდი წავიდა აქედამ ტრაპიზონში და სტამბოლში, თუ ჯარითა და თუ სხვა-და-სხვა სახაზინო ნივთებით დატვირთული. ამბობენ, ხვალიდან ჩვენი გემებიც მოეხმარებიან იმათ ხალხის გადასაყვანათაო.

დევრიშ-ფაშა ჯერ კიდევ აქ არის. ამბობენ, იმან სთქვაო, რომ სანამ უკანასკნელს სალდათს და სახაზინო ნივთს არ გავისტუმრებ, მანამ აქედამ არ წავალო. თუ ეს ასეა, ამ სამ-ოთხ დღეში, უეჭველია, არც ერთი ოსმალოს სალდათი აღარ დარჩება აქ და იმ დროისათვის დევრიშ-ფაშის გამოთხოვებასაც უნდა მოველოდეთ.

გუშინ წინ თ. მირსკი და სხვა რუსის ღენერლები დევრიშ-ფაშასთან იყვნენ სადილად მიპატიჟებულნი. გუშინ თ. მირსკიმ

გაუმართა დევრიშს და სხვა ყველა იქ მყოფ ფაშებს სადილი რუსის გემზე "Память меркурия"-ზე.

მე არ დავსწრებივარ ამ დიდებულთ პირთ ნადიმზე, მაგრამ ერთმა იქ მყოფმა მითხრა, რომ დევრიშ-ფაშა როგორღაც თითქო მხიარული იყოო და ამის გამო სადილზე ბევრი ტოსტები წარმოსთქვეს და კარვათაც იმხიარულესო.

დევრიშ-ფაშას ორჯერ წარმოუთქვამს სიტყვა. პირველს სიტყვაში ის ჰაზრი უამოუთქვამს, რომ ჩვენ დღემდინ მტრები ვიყავითო და ამ მტრობაში მტკიცედ, მარჯვედ, მხნედ ვიდექით ერთმანეთის წინააღმდეგო. ახლა მშვიდობიანობა დამყარდა და ვინატროთ, რომ ამ მშვიდობიანობის დროსაც ისე მტკიცედ, მხნედ და ენერგიულად დაკდგომოდეთ ყველა სამშვიდობო საქმეებს, როგორც მაშინ სამხედრო საქმეებს ვადექითო.

მეორედ უთქვამს, რომ ყოველო კაცს თავის გულში, უეჭველია, ერთი რამ კეთილშობილური გრძნობა, სიყვარული და წადილი აქვს ღრმად დანერგილი, რომელსაც ხშირად საქვეყნოდ არ გამოაშკარავებს ხოლმეო. ამ იდუმალი სიყვარულისა და გრძნობის სადღეგრძელო დავლიოთო!


ისე მშვენივრად და ტკბილად ლაპარაკობს თურმე დევრიშ-ფაშა. რომ ვისაც არ ესმის თათრული, იმასაც კი თავის დღეში არ მოსწყინდება იმის ყურის გდებაო.

23.

ბათუმი, 29 აგვისტს.

ბათუმი წმინდა აღმოსავლური, აზიური ქალაქია. ბაზარი, ქუჩების სიბინძურე. შენობების არქიტექტურა. ხალხის ცხოვრება, — ყველაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგაგონებსთ.

მხოლოთ რამდენიმე სახლია აქ, რომლებსაც ცოტა რამ აცხია ევროპისა; ეს სახლები არიან: ალი-ფაშა თავდგირიძის სახლი, ჩვ-



ბათუმი 1878 წელს



ენი კონსულის სახლი, დამოუნა და ერთი-ორიც სხვა, რომელნიც ყველა ზღვის ნაპირას არიან ჩამწკრივებულნი.

უეჭველია, ამ ოსმალოს ქალაქში სისუფთავე და ევროპული სიფაქიზე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მაინც გასული ომის წყალობით და იმ არევ-დარევის გამო, რომელიც ამ ჟამად ჰსუფევს ბათუმში, ქალაქი სულ მთლად ბოლო მოღებულია. თითქმის მთელი ქალაქი ჯარებით ყოფილა ვატენილი, აქვე საავათმყოფოები, სურსათის შესანახი ადგილები, სალდათების კარვები და სხვ. და ყველა ამის წყალობით ერთს სახლსაც ვერ ნახავთ ახლა აქ, რომ მთლად დარჩენილიყოს და კაცს დადგომა შეეძლოს: ფანჯრები და კარები ჩამტვრეული, იატაკი აღებული, შიგ გაბინძურებული, აყროლებული. ქუჩებში, მოედნებზე, ზღვის ნაპირს რეიდზე კოჭებამდინ ნაგაი, მტვერი, ყოველნაირი სიმყრალე.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულად მავნებელი ქალაქის მცხოვრებთათვის ოსმალოს სასაფლაო არის, რომელიც ზედ ქალაქს აკრავს დასავლეთის მხრით და რომელზედაც, როგორც ამბობენ, უკანასკნელი 30.000 კაცი არის დამარხულიო!

ერთს არშინზედ ღრმათ არ არის საფლავი გათხრილი; ოსმალები მიცვალებულს ფიცარს დაადებენ ზემოდან, და რადგან ეს ფიცრები დამპალან და ჩამტვრეულან, ამის გამო ბევრ ალაგას მიცვალებულები თითქმის გამოჩენილები არიან, და თქვენ წარმოიდგინეთ რა სიმყრალე უნდა იდგეს ამისაგან ქალაქში და რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ მცხოვრებლები! საქმე კი ექნებათ აქ სანიტარულ და ასსენიზაციურ ატრიადებს.

ჯერ-ჯერობით ჩვენი მთავრობა არავითარ საქმეებს არ შესდგომია; მხოლოთ ჩვენი ჩინოვნიკები ოსმალოს კომისიისაგან სახელმწიფო შენობებსა და საზოგადოდ უძრავ ქონებას იბარებენ (მოძრავი რაც აქვთ, მიაქვთ).

ძველი ოსმალოს სასამართლო (მეჯლისი) მოისპო, ახალი ჯერ არ დაუდგენიათ; შკოლები ოსმალებმა ჩვენი შემოსვლისა-თანავე დახურეს) აქ ყოფილა ერთი სახელმწიფო შკოლა გიმნაზიისათვის და 15-მდის სამრევლო შკოლა, მეჩეთებთან – მედრესე).

სამოქალაქო საქმეების გამგებელს წარმოადგენს თ. გრ.გურიელი, პოლიციისას უფ. სტ. მეფისაშვილი. მუდამ ღამ აბხოდებათ სამი რუსი და სამი ოსმალოს სალდათი დაიარებიან ქუჩებში და ერთად, ძმურად იცავენ მცხოვრებლების მშვიდობიანობას.

რაც რომ ჩვენ აქ ვართ, ერთი უბრალო ქურდობა და ავაზაკობა რა არის არ მომხდარა. რუსისა და ოსმალოს სალდათებს შუა ძალიან მეგობრული წყობილება ჰსუფევს; ხშირად ნახავთ, რომ მოგროვილან და ერთად შეექცევიან საზამთროს, სხალს, ყურძენს, გალეტებს (სუხრებს) და ან გაცხარებით მუსაიფობენ ერთმანეთში.

– გესმისთ ერთმანეთის, რო ლაპარაკობთ-მეთქი? – ვკითხე ერთ სალდათს.

– საშინელი ბრიყვი ხალხია, – მიპასუხა სალდათმა, – ერთი საათია ველაპარაკები და სრულიად ვერაფერი ვერ გავაგებინე. რაღაც ეშმაკურს ენაზე ლაპარაკობს, რას გავიგებ...

ძალიან ცხვირ-ჩამოშვებულები არიან ოსმალები. იმათი სალდათები აქედამ წასვლას ეჩქარებიან, ამიტომ მოვა თუ არა ტრაპიზონიდამ ხომალდი, იმ წამსვე მიცვივდებიან და ერთი მეორეს ასწრობენ ჩაჯდომას.

მაგრამ დერვიშ-ფაშამ ბევრი საქმე გაუჩინა ამათ და როგორც ჰსურთ, ისე ჩქარა ვერ მიდიან. გასაკვირველია, რამდენი სამხედრო მასალები, რამდენი სურსათი და ბარგი-ბარხანა ჰქონიათ აქ ოსმალებს. ამბობენ, 27 ივლისიდამ დაიწყეს აქედამ ზიდვა და თუმცა მუდამ დღე ოთხი-ხუთი ათასი კაცი ეზიდებოდაო, მაგრამ ჯერაც რემდენიმე დღის საზიდავი კიდევ აქვთ.

ეტყობათ კი, რომ არაფრის დატოვება არ უნდათ; დამპალი ფიცრები, დამტვრეული კრავოტი და ბამბის კარვები, ურმები, მამაკვდავი ცხენები, სიმინდი, ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლება – ეზიდებიან, მიაქვთ, არაფერს არ სტოვებენ.

ოსმალოს სალდათს, როგორც ეტყობა, ამ ომში საჭმელ-სასმელი ბლომათ ჰქონია აქეთკენ, მარჯვეთ იყურებიან, ჯანზედ არიან, კარგათ აცვიათ, მხოლოთ ზოგიერთ ბათალიონებს ჩექმები შემოსცვეთიათ და ქალამნები ჩაუცვამთ.

რამდენადაც აქ ვხედავთ, ოსმალოს სალდათი სრულიად ისე თავ-აშვებული და წესიერებას მიუჩვეველი არ არის, როგორც იწერებიან. არც ერთჯერ არ შემინიშნავს, რომ ის სამხედრო დისციპლინას გადასცდომოდეს და თავის აფიცრის ბრძანებას არ დამორჩილებოდეს. ამბობენ, რომ ეს სულ დევრიშ-ფაშას საქმე არ-ისო; იმან დაადგინა ჯარში წესიერება და რიგიო; სასტიკად სჯ-იდა ყოველ სალდათს, რომელიც სიტყვა ამოუღებლად არ ემორჩილებოდა თავის უფროსის ბრძანებასაო.

საზოგადოთ ოსმალოს ოფიცრები და სალდათები, ვისაც კი ვკითხე რამ დევრიშ-ფაშაზე, ისეთის კრძალვით და პატივისცემით ლაპარაკობენ იმაზე, რომ გაეიკვირდებათ. ამათის სიტყვით დერვ-იშ-ფაშისა და პლევნის გმირის ოსმან-ფაშისთანა ორი ღენერალი რომ ჰყოლოდა კიდევ ხონთქარს, ოსმალეთი არ შერცხვებოდა ისე ამ ომში და არ დაამარცხებდა რუსი, თავის სამზღვარს მაინც დაიცავდა. მაგრამ ჩვენი უბედურება ეს იყოვო, რომ თავიანთი კაცები, ხეირიანი ღენერლები არა გვყავდა და ვინც გვყავდა, ისინიც ერთი-ერთმანეთის მტერობაში, ჩხუბში და დავი-დარაბაში ატარებდნენ დროს და ამასობაში ხონთქარი და ჩვენი ქვეყანა შუაში გამოჭყლიტესო.

ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლის გარდა, რომელზედაც ამას წინათ მოგახსენეთ რამდენიმე სიტყვა, მე გავიცანი აქ ოსმან ფაშა თავ-დგირიძე, ჰასსან-ბეგი ბეჟან-ოღლი და ზოგიერთი სხვა აქაური წარჩინებული პირები. ამათზე შემდეგში მოგელაპარაკებით.

24.

ყველაზე გამოჩენილი და წარჩინებული გვარი ქობულეთში არ-ის თავდგირიძე და ჩაქვში და ბათუმში — ბეჟან-ოღლი.

პირველის ამ გვართაგანის წარმომადგენლად ახლა არიან ორი ძმანი ალი და ოსმან-ფაშები თავდგირიძეები; მეორესი ჰუსეინ-ბეგ

ბეჟან-ოღლი, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია, ერთი წარსულ ყირიმის ომში მოუკლავთ ნიგოითის ბრძოლის დროს და მეორე ახლაც ცოცხალია. ამ მოკლულ ძმას დარჩენია სამი ვაჟი. ერთს ამათგანს ხასან-ბეგს ბეჟან-ოღლის მე დაახლოებით გაველანი და ამაზედ მოვახსენებთ რამდენსამე სიტყვას ამ წერილში.

ადრე, ამ ორმოცი წლის წინათ, თავდგირიძეებსა და ბეჟანიშვილებს თავიანთ ქვეყანაში თითქმის სრული და განუკითხავი მეფის, ხელმწიფის უფლება ჰქონიათ ხონთქრისაგან მინიჭებული. ამათი ვვარის პირველი კაცები უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ მაზრის ფაშებად, გამგებლებად; უიმათოთ ხონთქარი ვერაფერს ბრძანებას და განკარგულებას ვერ გამოსცემდა ბათუმში და ქობულეთში; ომის დროს ჯარი ამათ უნდა გამოეყვანათ და მხედართ-მთავრობაც ამათ ეკუთვნოდათ.

ამ ორმოცი წლის წინეთ ხონთქარმა ვერ ბატონ-ყმობა მოსპო ამ ქვეყნებში და მერე და ცოტ-ცოტათი ჩამოართვა თავდგირიძეებსა და ბეჟანიშვილებს ის უფლებანი, რომელიც ამათ წინაპრებს ჰქონდათ მინიჭებული.

როგორც ამათ, აგრეთვე სხვა ბეგებსაც და აღებსაც ჩამოართვეს გლეხები და ნაცვლად თითოეულ ოჯახს, გლეხების შემოსავლის დაგვარად, დაუნიშნეს წლიური ჯამაგირი; ბევრსაც ხონთქარმა რაღაც მიზეზები მოუნახა და ზოგი მიწები ჩამოართვა; ხან-და-ხან ამათ ქვეყნის მმართველად სტამბოლიდამ გაგზავნილი ფაშები ინიშნებოდნენ და სხვ. მაგრამ ახლაც, ამ უკანასკნელ ომის დაწყების დროსაც, კიდევ საკმაო გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდათ ამათ ხალხზე. ამის გამო ომის გამოცხადებისთანავე ოსმალოს მთავრობამ ქობულეთის, ჩაქვის და ბათუმის მაზრებში მილიციონერების მოკრება და სარდლობა მათ მიანდო.



ალი-ფაშა თავდგირიძე

როგორც დამარწმუნეს, ყველა ამ მაზრებიდამ, ქაღალდზე, სულ ათი ათას კაცამდინ ყოფილა გამოყვანილი, მაგრამ ნამდვილად კი ხუთ-ექვს ათას კაცზე მეტი არ ყოფილა თოფ-ქვეშაო.

ყველა ამ ჯარების უფროსობა მინდობილი ჰქონდა ჯერ ალი-ფაშა თავდგირიძეს, მაგრამ მალე დევრიშ-ფაშამ, როგორც თვითონ ამბობს, ორგულობაა, რუსეთის მიმხრობაა შესწამა ამას, ჩამოართვა სარდლობა, დაიჭირა და ისე ეაგზაკნა ტრაპიზონში.

ალი-ფაშის შემდეგ ყველა მილიციონერების მთავარ-სარდლობის თანამდებობა იმის უმცროს ძმას ოსმან-ფაშას მისცეს. მაგრამ დევრიშ-ფაშამ ესეც იმავე მიზეზით დაიჭირა და აგრეთვე ტრაპიზონში ეაგზავნა.

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ მაშინ, ვითომც ალი და ოსმან-ფაშები იმიტომ გადააყენა დევრიშ-ფაშამო, რომ ოსმალოს ინტენდანტის ჩინოვნიკმა აღმოაჩინაო, რომ ესენი ჯარის ხარჯიდამ რჩებოდნენო, სრულს სურსათს და ჯამაგირს არ აძლევდნენ თავიანთი მილიციონერებსო. თვითონ ოსმან-ფაშა კი ზემოხსენებულ მიზეზს (რუსების მიმხრობას) ამბობს.

ახლა ორივე ძმანი თავისუფალნი არიან. ალი-ფაშა ამასწინათ ყოფილა ბათუმში და ახლა ტრაპიზონშია; ოსმან-ფაშა კი ახლაც ბათუმში დაეტოვე. ესენი აპირებენ სტამბოლში წასვლას და ხონთქრის წინაშე თავის გამართლებას.

– ისე ბრძოლა და შეტაკება არ ყოფილა აქეთკენ, რომ ჩვენ წინ არ ვყოფილიყავით და ბრძოლაში არ ვრეულიყავით; თორმეტი წლის ყმაწვილები გამოვიყვანე, რაც ღონე და შეძლება მქონდა, ყველაფერი ხონთქარს ვანაცვალე და ამის შემდეგ დერვიშ-ფაშა ჩვენი ხელიმწიფის ღალატსა და თქვენს მომხრობას გვწამებს!

ასე მითხრა ოსმან-ფაშა თავდგირიძემ. საზოგადოთ ის ძალიან ემდურის დერვიშ-ფაშას; ყველგან ჩვენ ვიყავით და ხონთქარს კი მოხსენებას უგზავნიდაო, რომ ნიზამები იმარჯვებენო, მაშინ როდესაც აქეთკენ იმათ სულ ორჯერ მიიღეს ბრძოლაში მონაწილეობა.

ოსმან-ფაშა ამბობს, რომ დერვიში, მართალია, ჭკვიანი, ფრთხილი და წინ დახედული კაცი არისო, მაგრამ იმის წინ დახედულება და სიფრთხილე ხშირად სიფრთხალემდინ მიაღწევსო.

– ახლა მე მეტი არა მინდა რაო, ამბობს ოსმან-ფაშა, რომ მხოლოთ ჩემ ხონთქართან პირ-ნათლად და შეურცხვენლად გამოვიდე. წავალ სტამბოლში, წარუდგენ ჩემს ერთგულ სამსახურს, ყველა დამტკიცებას და თუ გამამტყუნეს, რაც სასჯელი მერგება, მივიღებ და თუ გამართლებული შევიქენი, სინდისიერად დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში.

ეს სინდისი და თავიანთ ხელმწიფესთან პირ-ნათლად გამოსვლა და ერთგულება, რამდენადაც შეენიშნე, ყველა აქაურ ქართველებს ძლიერ მიაჩნიათ.

– სამჯერ იყო აქეთკენ ჩხუბი, სამივეჯერ ერთგულად ვემსახურეთ ჩვენს ხონთქარს, სამივეჯერ დამარცხებული გაგიშვით აქედამ, მაგრამ ბოლოს მაინც თქვენს ხელში დავრჩით! რა გაეწყობა! ალბად, ღვთის ნება ყოფილაო და უნდა დავმორჩილდეთო! და თუ შემთხვევა გვექნა, რუს ხელმწიფეს დაუმტკიცებთო, რომ იმისთვისაც ისე ერთგულად შეგვიძლია ბრძოლა და თავის შეწირვა, როგორც დღემდინ ხონთქრისათვის ვიბრძოლოთო!



მუფთი ხასან სურმანიძე

ამგვარი სიტყვები ბევრგან გავიგონე მე ქობულეთში და ბათუმში და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გულწრფელად ლაპარაკობდნენ. ერთგულება და თავ-დადება თავის ქვეყნისა და ხელმწიფისათვის იმათ სამხედრო მოვალეობად, პატივად მიაჩნიათ.

ოსმან-ფაშა 45-50 წლის კაცი იქნება. მკრთალ, ყვითელ ფერზედ, მოწყენილ, დაფიქრებულ პირი-

სახეზედ ატყვია, რომ იმას ბევრი დარდი და მწუხარება გამოუვლია. სხვებრ სახე: გადაშლილი შუბლი, შავი მრავალი თვალები, ცოტათი მსხვილი ცხვირი წმინდა ტუჩები, მოგრძო ნიკაპი და სხვ., ყველაფერი ნამდვილ ქართველს მოგავონებს. ქართულს ისე კარგათ და თავისუფლათ ლაპარაკობს, როგორც ყველა ქართველი.

შემდეგ წერილში გეტყვით რამდენსამე სიტყვას ახალგაზრდა ჰასან-ბეგ ბეყან-ოღლიზედ, რომელიც აქეთკენ ერთ ჭკვიან კაცთაგანად ითვლება და რომლის სიტყვებში და შეხედულებაში გამოიხატება აქაური გამაჰმადიანებული ქართველების შეხედულება თავიანთ ახლანდელ მდგომარეობაზედ.

ახლა კი ორიოდე აქაურ ამბავს მოგახსენებთ: 30 აგვისტოს ჩამოვიდა აქ ღენერალ-მაიორი კამაროვი თავის არტაანის ატრიადით, რომელმანც უგზოობის გამო დიდი გაჭირება და წვალება გამოიარა.

– თხებივით დაეპრტყავდით კლდეებზე, თან საპირები სჭრიდნენ გზას და თან მოვდიოდით, მეტს ვერაო, – ასე სთქვა თვითონ ღენ. კამაროვმა.



ნური-ბეგ ხიმშიაშვილი

ამ ატრიადს ჩამოჰყვა აქ რამდენიმე ბეგი და დეპუტატები ართვინიდამ, მაჭახელიდამ, შავშეთიდამ და აჭარიდამ, სხვათა შორის შერიფ-ბეგის ხიმშიაშვილის ძმის წული ნურიდ-ბეგი.*

მეორე დღეს თ.მირსკიმ დახედა არტაანის ატრიადს, მიულოცა ამათ მშვიდობიანობის დამყარება და მოსვენება.

იმას წარუდგინეს აგრეთვე ამ ატრიადთან მოსული ბეგები და დე-

* ს.მესხი ცდება. ნური-ბეგი შერიფ ხიმშიაშვილის ბიძაშვილია (რ.ს.).

ჯუტატები, რომელთაც იგივე სიტყვა უთხრა, რაც სხვა ამ გვარ დეპუტატებს ქობულეთიდამ და ბათუმიდამ. რომ დღეის შემდეგ თქვენ დიდი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომნი ხართ, რომელსაც იმედი აქვსო, რომ ისეთისავე ერთგულებით ემსახურებით. როგორც დღემდინ ოსმალეთის ხონთქარს ემსახურებოდითო; იცხოვრებთ მშვიდობით, წყნარად და მთავრობა თქვენის კეთილდღეობისათვის ეცდებაო; თქვენს სარწმუნოებას, ადგილ-მამულს და ცხოვრებას მთავრობა ხელს არ ახლებსო; ვისაც ნებავს დარჩება და ვინც არ მოისურვებს აქ დარჩენას ჩვენ არავის არ დავიჭერთ. სამი წელიწადი ვადა გაქვთ, შეგიძლიანთ წახვიდეთო და სხვ.

2 ენკენისთვეს მოვიდა ოდესიდამ აქ ადმირალის გემით შავი ზღვის ფლოტის უფროსი ადმირალი არკასი, რომლის განკარგულებითაც, როგორც ამბობენ, ზღვის აფიცრებმა უნდა გამოიკვლიონ ბათუმის ნავსადგური. იმის სიღრმე უნდა გაზომონო და სხვ.

25 აგვისტოდამ, ე.ი. მას აქეთ, რაც რუსები შემოვიდნენ, აქ ხან სამი და ხან ოთხი რუსის სამხედრო ხომალდი დგას მუდამ ნავსადგურში, ხომალდი „ბაბუშკა" კი ფოთსა და ბათუმს შუა დაიარება, ჯარები გადაჰყავ-გადმოჰყავს და სხვა სამხედრო საქმეებს ასრულებს.

ბათუმში ჯერ-ჯერობით ფოჩტა არ არის გამართული. ამბობენ, რომ ამ ქალაქს და ფოთს შუა „ბაბუშკა" ივლის მუდამ, კვირაში სამჯერაო. ძალიან კარგი იქნება, რომ ამ მხრითაც შემოგვიერთონ ბათუმი და თავის დროზე ფოჩტა გაიმართოს აქ.

1 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, წავიდა აქედან უკანასკნელი ჯარებითა და ბარგით დერვიშ-ფაშა. ახლა აქ მხოლოთ ერთი ბატალიონი და ნახევარი ოსმალოს ჯარია, რომელიც უყარაულებს ცოტაოდენ ოსმალოს ქონებას, რომელიც ჯერ კიდევ გადაუტანელი დარჩა. ამ ერთ კვირაში კი ოსმალეთს აქ არა დარჩება-რა.

„ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორად" დაინიშნა არტაანის ატრიადის უფროსი ღენ. მაიორი კამაროვი. მაზრის



აჭარის პირველი მეჯლისი 1880 წ. მარცხნიდან II რიგში მეოთხე გენ. გუბ. კომაროვი კ. ბ.
მეხუთე მუხთი სახან სურმანიძე III რიგში მეშვიდე გულო-აღა კაიკაცოშვილი
მარჯვნიდან III რიგში მეორე რამიზ-ბეგ სურმანიძე

უფროსად (окружной начальник), როგორც ადრეც მოგახსენეთ, ი. გურიელია, რომელსაც სამოქალაქო საქმეების გამგეობა აქვს მინდობილი. ბაიუმის პოლიცმეისტერად დანიშნულია მაიორი ჟურული.

ბაიუმის შეჯლიშმა (სასამართლომ) ხელ-ახლად დაიწყო თავის მოქმედება.

25.

ხასან-ბეგი ბეჟან-ოღლი, როგორც წინაზე მოგახსენეთ, ჩაქვის მებატონეა და ბათუმშიაც დიდი მამულები აქვს. ის არის 33 წლის ყმაწვილი კაცი, ლამაზი სიმპატიური სახის, პირზე წამოწითლებული, ჭკვიანი, ნამდვილი ქართველი კაცის შეხედულობისა, დაბალი, „ჩასკვნილი“ ტანისა.

ქართულს ისე კარგათ ლაპარაკობს, როგორც საზოგადოთ ყველა აქაური გამაჰმადიანებული ქართველები.

მაგრამ მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით კი ნამდვილი მაჰმადიანია, მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში.

ბევრი რამ ჩვენთვის საინტერესო და იმათი ხასიათისა და შეხედულობის, ჰაზრის გასაცნობად საჭირო რამეები მელაპარაკა სასან-ბეგმა და ვეცდებით შემოკლებით მაინც გიამბობთ იმის ნალაპარაკევი.

ხასან-ბეგს ბათუმის სახელმწიფო შკოლაში შეუსრულებია სწავლა, შემდეგ სტამბოლში ყოფილა სამხედრო სამსახურში. ამ ომის დროს ის იყო უზბაშად (ათის თავად)* და, როგორც თვითონ ამბობს, რამდენათაც შეეძლო, არ გვზოგავდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის ხონთქარს. „მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი კი არ გამოვიდა-რა!“ ამბობს ის.

იმას ევროპული ტანისამოსი აცვია, მხოლოთ პერანგზე ყელსახვევი არა აქვს და თავზე ფესი ახურავს. მაგრამ ხასან-ბეგი

* უნდა იყოს ასისთავად. რ.ს.

იმდენად მაგარი, ისეთი მტკიცე მაჰმადიანია, რომ თითქო ისიც სწყინს, რომ ევროპული ტანისამოსი აცვია.

– ახლა აქამდის (ყელზე მიიდვა ხელი) ვართ ჩვენ გაქრისტიანებულიო, სთქვა მან, და თქვენს ხელში თქვენებური განათლება შემოვა და ამის ზევითაც დავკარგავთ მაჰმადიანობასაცაო.

ეს გარემოება ყველაზე უფრო აწუხებს ხასან-ბეგს. – უნდა ვეცადოთ, რომ ამას ზევით (თავი) მაინც წმინდათ დავრჩეთო, სთქვა იმან, რა მიიდვა ხელი ნიკაპზე. ერთის სიტყვით, ხასან-ბეგს გარუსების ეშინიან.

– რასაკვირველია, რუს ხელმწიფე ჩვენი სარწმუნოების შეცვლას და ჩვენ გარუსებას არ მოინდომებს, სთქვა მან; მაგრამ ეს თავის-თავად მოხდებაო. ჩვენ მუდამ თქვენში დავიწყებთ ტრიალს, მუდამ თქვენს ცხოვრებას დაუწყებთ ყურებას, ძალაუნებურად გადმოვიღებთ თქვენგან ჯერ გარეგან შემკულობას და მერე ზნეს, ხასიათს და სარწმუნოებასაც.

ნაციონალობის ჰაზრი ხასან-ბეგს არა აქვს. თავის თავსა და ყველა იქაურ ქართველებს ის თათარს ეძახის. „საქართველო“ რომ უთხრა აქაურ კაცს, თითქმის გინებათ ჩამოგართმევს, რადგან „ქართველი“ (ხალხი) და „მართლმადიდებლობა“ (სარწმუნოება) ამათ ვერ გაურჩევიათ.

– თამარ-დედოფლობა რომ ყოფილა, მაშინ ჩვენ თქვენი ძმები ვყოფილვართ, ერთი მეფე გვყოლია და ერთად გვიცხოვრია, მაგრამ ოთხასი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენ თათარს შეუერთდით და ახლა სხვა ვართ. ჩვენ და ჩვენს ხელმწიფეს ერთი სარწმუნოება გვაქვს და ამიტომ იმასთან უფრო მოთავსებული ვიყავით, ამიტომ გვეძნელება თქვენთან ყოფნა. ამას გარდა ჩვენ ახლა ვიცით ჩვენი ხონთქრების კანონები, ვიცით, თუ რამ შემთხვევა გვექნა, სად და ვის უნდა მივმართოთ, ჩვენი გლეხი წელიწადში შვიდ შაურს აძლევდა ხონთქარს გადასახადს და სხვა არა იცოდა-რა. ჩვენც, ბეგები, აღები ვინცა ვართ, მართალია, ყმები ჩამოგვართვეს, მაგრამ მაგიერად მუდამ წელიწადს პენცია, ჯამ-

აგირი გვეძლევა... ახლა კი, ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი საქმე... ეს გვაშინებს...

ხალხში გავიგონე მე კიდევ შიში იმაზედ, რომ, რაკი ჩვენ სხვა სახელმწიფოს ხელში დავრჩებით, პარასკევის ლოცვის ნება-რთვა აღარ მოგვივა იმამისაგან და ჩვენი „ჯამე“ (მეჩეთი) მოგვესპობაო.

რამდენიც არ დაარწმუნოთ, რომ ყველა ეს ასე არ მოხდება. რომ, როგორც ჰგონიათ და როგორც იმათთვის ჩაუგონებიათ, ისე არ იქნება რუსების ხელში, მაინც ზოგიერთს არა სჯერათ, მაინც თავისას ამბობენ. და ყველაზე გასაკვირველი და საყურადღებო ის არის, რომ ამას ამბობენ არა თუ მარტო სოფლის მცხოვრებლები, არამედ თვით ისეთი განათლებული და ჭკვიანი კაცები, როგორიც უეჭველია, არის ზემოხსენებული ხასან-ბეგი ბეჟანიშვილი.

ეს ზემომოყვანილი გარემოებანი არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ განსაკუთრებით ქობულეთიდამ და აგრეთვე ჩაქვიდამ და ბათუმის ახლო-მახლო სოფლებიდან საკმაო ხალხი გადადის ოსმალეთში და შემდეგშიაც აპირებენ გადასვლას.

ზოგიერთები ამბობენ: სამი წელიწადი ვადა გვქონია, მოვიცდით, ვნახავთ და თუ არ მოგვეწონა რუსი, გადავალთო. მომეტებული ნაწილს კი არავითარი ქადაგება, რომ ისინი დაიღუპებიან ოსმალეთში, რომ იმათ ისეთივე ბედი მოელისთ, რა ბედიც თავის ქვეყნიდამ წასულ ჩერქეზებს და აბხაზებს მოუვიდათ, არ ესმით და სტოვებენ თავიანთ მამაპაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, მიწა-წყალს და მიდიან.

დიდათ, დიდათ სამწუხაროა ეს მოვლენა, სამწუხაროა მით უფრო, რომ წინათვე შეიძლება, მართლა, ნამდვილად სთქვას კაცმა, რომ მომეტებული ნაწილი იმათგანი შიმშილითა, ავათმყოფობით და სხვა ათასგვარ შეწუხებით ამოწყდება ოსმალეთში.

დერვიშ-ფაშა, როგორც ამბობენ, ძალიან უწყობდა თურმე ხელს ამ ხალხის გადასახლებას. მე დამარწმუნეს, რომ ქობულეთიდამ და ციხის-ძირიდამ დაბრუნებულმა ნიზამის ჯარმა, დერვიშის ბრძანებით, ბევრი ახალგაზრდა ქალი და ბიჭი ძალათ წა-

იყვანეს ბათუმში, რუსების შესვლამდინ ჩასვეს ხომალდებში და ტრაპიზონისაკენ გაისტუმრესო. ჩვენს ჩაქვში ყოფნის დროს თ. გრ. გურიელთან მოვარდა ატირებული ჩაქველი გლეხი, რომელმანც შესჩივლა, რომ გუშინ შემომიცვივდნენ სახლში ნიზამები, პაწია ქალი და ცოლი მომტაცეს და ბათომში წაიყვანესო. ამგვარი შემთხვევები ბევრი ყოფილა რუსის ჯარის მისვლამდინ.

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, მომეტებული ნაწილი კი თავის ნებით, ძალ-დაუტანებლად სტოვებს თავის სამშობლოს და მიდის.

წასულებს, ბევრ ნაწილს, სრულებით უპატრონოთ, ოხრათ დაუტოვებიათ თავიანთი ადგილ-მამული და სახლ-კარი; ზოგიერთებს კი სულ მცირე ფასად გაუყიდნიათ. ბათუმში მოვიდა ჩემთან ერთი იქაური ახლო სოფლის გლეხი და მითხრა, რომ მივდივარო და თუ გინდა ათასი არშინი მიწა მაქვს და ერთს რუსულ ასიანს (ას მანეთს) თუ მომცემ, მოგყიდიო.

მაგრამ სოფლის მამულებს იშვიათად ჰყიდულობენ. ბათუმში კი ერთ ადგილს ათასი მუშტარი უჩნდებოდა რუსების შესვლის პირველ დღეებში. როგორც მგლები მძოვრს, ისე დაესია იმერეთიდამ, გურიიდამ, სამეგრელოდამ და ტრაპიზონიდამ ჩამოსული ხალხი.

ზოგიერთ რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ, რომ, სხვათა შორის, ინგლისელები წავიდნენ ბათუმში და ბევრი მამულები იყიდესო. ეს სულ ტყუილი ამბავია: ჩემს იქ ყოფნის დროს მე არცერთი ინგლისელი არ მინახავს ბათუმში და სხვებმაც მითხრეს, რომ ბათუმში არც ერთი არშინი მიწა არ შეუძენიათ ჯერაო.

ამ ადგილების გაყიდვის დროს დიდი უკანონობა და უწესოება ხდებოდა მთელს ამ ახლად-შეძენილს მაზრაში და განსაკუთრებით ქალაქს ბათუმში. ხშირად ერთსა და იმავე მამულს, ადგილს ან სახლს, ორს სხვა-და-სხვა პირზე ჰყიდიან ხოლმე, ზოგმა სხვის კუთვნილი უძრავი მამულებიც კი გაჰყიდა. რადგან კადასტრის

დაეთრები (როგორც საზოგადოთ ყველა კანცელარიის და არხივის ქაღალდები) ოსმალოს სამოქალაქო მთავრობამ ბათუმიდამ წაიღო და ბათუმის მეჯლიშიც დაუქმებული იყო, ამის გამო ნამდვილი პატრონი უძრავ მამულებისა კაცმა არ იცოდა და მყიდველები ვინც გამოჩნდებოდა და იტყოდა, ეს ჩემი მამული არისო, იმას ევაჭრებოდნენ, იმისგან ჰყიდულობდნენ.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ბათუმის მაზრის ახლად დანიშნულმა სამხედრო ღუბერნატორმა ღენ. კამაროვმა და 3-ს ენკენისთვეს გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც, სანამ ტრაპიზონიდამ ბათუმის მაზრის მემამულეების კადასტრიდამ ამოწერილი ცნობები არ მოუვათ და სანამ მთავრობა ნამდვილად არ გაიგებს, თუ ვის, სად, რა სამზღვრებში ეკუთვნის უძრავი ქონება, მანამ ყოველი ყიდვა-გაყიდვა უძრავი ქონებისა უკანონოთ ჩაითვლება. ამ კანონის ძალა ბერლინის ტრაქტატის დამტკიცებიდამ დაიწყება.

თფილისი, 12 ენკენისთვეს.

ბათუმისაკენ – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში" (1878 წ., №174, 29. VIII, №175, 31. VIII, №176, 1. IX, №177, 2. IX, №178, 3.IX, №181, 7.IX და №184, 13. IX). ი.ბოცვაძე. ტ.III. გვ. 27-48.

26. ახლად-შემოერთებული ქართველები

იმ მოკლე შენიშვნებიდამ, რომელნიც „დროების" უკანასკნელ ნომრებში იბეჭდებოდნენ, ჩვენი მკითხველი ცოტათი მაინც გაიცნობდა ჩვენთან ახლად-შემოერთებულ ბათუმის და ქობულეთის მაზრის ქართველების ხასიათს და ცხოვრებას. მკითხველი დარწმუნდებოდა იმაში, რომ ამ ქართველებში, რომელნიც ორას

წელიწადზე მეტია მოშორებიან თავის მოძმეებს და ოსმალეთის ხელში გადასულან, ახლაც დაცულია ქართული ენა, ხასიათი, ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა და ჩვეულება.

„ბედის ბრუნვამ" ხელ-ახლად შემოგვიერთა ახლა ჩვენ ეს დიდი ხნით განშორებული ძმები. მაგრამ, როგორც იმავე შენიშვნებიდან შეიტყობდით, მომეტებული ნაწილი ქობულეთის, ჩაქვის და აგრეთვე ბათუმის მაზრის ქართველებისა გადადიან ოსმალეთში. ისეთნაირად გაფანატიკებულან მაჰმადის სარწმუნოებაში, რომ ეთაკილებათ, ერიდებიან მართმადიდებელ სახელმწიფოს ქვეშ ყოფნას. ერიდებათ აგრეთვე სხვა მიზეზებისა, რომელნიც გუშინდელს „ბათუმიდამ" წერილში იყვნენ მოყვანილნი.

ეს გარემოება, რომ ოსმალოს ქართველები გადადიან, გვშორდებიან, დიდათ სამწუხარო და დასაფიქრებელი გარემოებაა. სამწუხაროა ერთის მხრით იმიტომ, რომ, უეჭველია, ამათ ოსმალეთში იგივე სისაწყლე, შიმშილი, ამოჟლეტა და სხვა ყველა უბედურება მოელისთ, რაც მოუვიდათ ჩერქეზებსა და აბხაზებს, რომელნიც ახლა რუსეთის მართველობას ეხვეწებიან, უკან, ჩვენს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მოგვეცით.

ჩვენთვის, იმათ მოძმე ქართველებისათვის ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო უნდა იყოს, რომ ჩვენ ხელ-ახლად გვეკარგებიან, გვშორდებიან დიდი ხნის განშორების შემდეგ ახლად შეძენილი ძმები. კაცთმოყვარეობის გრძნობის გარდა ჩვენში ძმური, ნათესაობითი გრძნობა უნდა მუშაობდეს...

თვით რუსეთისათვის მავნებელია ამათი გადასვლა ოსმალეთში. პირველად იმიტომ, რომ ამათგან დატოვებული ადგილების დასახლება კოლონიზაცია, როგორც აბხაზეთისა, და, საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირების მაგალითმა არა ერთხელ დაგვიმტკიცა, შეუძლებელია, რადგან უცხო ხალხი ამ ადგილებში ვერა სძლებს. ესენი კი, უეჭველია, დღეის შემდეგ იქნებოდნენ საუკეთესო დამცველები შავის ზღვის ნაპირებისა; მეორეთ იმიტომ, რომ ცარიელი, უდაბნო ადგილები საზოგადოთ მთელს რუსეთში,

უიმისოდაც ბლომათაა და ამ მხრისაც კიდევ გაუდაბნოება, დაცლა ხალხისაგან, უეჭველია, საზარალო იქნება მთელის სახელმწიფოსათვის. რადგან ამ სახელმწიფოს მოაკლდება მუშა ხელი, მიწწყლის შემმუშავებლები და ჰატრონები.

ამის გამო ყველა ქართველების, ყველა იქ მყოფ კეთილ-სინდისიანის კაცისათვის საღმრთო მოვალეობას უნდა შეადგენდეს, ეცადნენ, რომ რჩევით, ჩაგონებით და სხვა ყველა შესაფერი საშუალებით დაუშალონ იქაურ ქართველებს ოსმალეთში გადასახლება. უნდა აუხსნათ, რომ სამი წელიწადი ვადა აქვთ, რომ თუ ამ სამი წლის განმავლობაში დარწმუნდებიან, რომ იმათ ჩვენთან ცხოვრება არ გამოადგებათ, მერე შეუძლიანთ გადასახლება; უნდა წარმოუდგინოთ იმათ თვალწინ გადასახლებულ ჩერქეზებისა და აბხაზების მაგალითი; უნდა აუხსნათ, თუ რამდენათ დამღუპველია ყველა ადამიანისათვის მამა-პაპისაგან შემუშავებული და გაკეთებული ოჯახის მიტოვება და რამდენათ ძნელია სხვაგან, უცნობ ქვეყანაში, უცხო ხალხში ახალი ოჯახობის დაწყება, მოთავსება; უნდა უთხრათ, რომ იმათ რჯულს, იმათ ცოლ-შვილს, იმათ სახლ-კარს და ქონებას კაცი არ შეეხება და სხვ. და სხვ.

ყველა ეს უნდა აუხსნათ, უნდა ჩააგონოთ და ამას, უეჭველია, იმათ გადაწყვეტილებაზედ დიდი გავლენა ექნება.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებული გავლენა ექნება პირველი შესული ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ჩინოვნიკების მოქმედებას და მაგალითს. ყველა ჩვენს ნაბიჯს, ჩვენს მოქმედებას ახლა ისინი გაცეცხლებულის თვალით, დაკვირვებით შესცქერიან; ამ პირველი ჩვენი კაცების მოქმედებით უნდათ შეიტყონ ამათ – თუ რა ხალხი ვართ ჩვენ, უნდა დარწმუნდნენ – მოახერხებენ ისინი ჩვენთან ერთად ცხოვრებას, გაძლებენ თუ არა.

გუშინდელს ნომერში მოყვანილი იყო სულ უბრალო შემთხვევა, რომელიც მომხდარიყო ამას წინეთ ბათუმში: ერთს ვიღაცა დამთვრალ მილიციონერს ძაღლი მოეკლა ქუჩაზე, და რადგან მაჰმადიანებს ძაღლი წმინდა არსებათ მიაჩნიათ, საშინლად გაჯავრებულ-

იყვნენ და ქუჩებში ერთი ყვირილი და ღრიალი შექნილიყო. ეს ხომ სულ უბრალო შემთხვევაა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამის მნახველი რამდენიმე ბათუმელი იტყოდა თავის გულში: „არა, ჩვენ ამისთანა ხალხთან გაძლება არ შეგვიძლიან, სჯობს წავიდეთო".

ამნაირად, პირველად მაინც განსაკუთრებით სიფრთხილე მართებს ყველას, ვისაც ამ ხალხთან რაიმე საქმე და კავშირი ექნება. თუ ჩვენ ჩვენის პატიოსნებით, ჩვენის საქმით, მაგალითით დაუმტკიცებთ იმათ, რომ ხალხის შესაწუხებლად არ მივსულვართ იმათ ქვეყანაში, რომ სამართლიანები ვართ, ავსა და კარგს გავარჩევთ, პატიოსნება გვიყვარს, თუ ჩვენ, ერთის სიტყვით, ისე მოვებყრობით იმას, როგორც ნამდვილ ძმას შეეფერება და არა ისე, როგორც ძალით აღებულს, დაპყრობილს ხალხს, დარწმუნებული იყავით, რომ დიდის სიამოვნებით დარჩებიან, აღარ გაივლებენ გულში ოსმალეთში გადასახლებას.

და ეს იმათი თავის ქვეყანაში დარჩენა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევრის მხრით სასარგებლო იქნება როგორც თვით მთავრობისათვის, ეგრეთვე ჩვენთვის, ქართველებისათვისაც.

ახლად-შემოერთებული ქართველები – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში" (1878 წ., №185. 14. IX), წერილი შეტანილია აგრეთვე ს.ფირცხალავას მიერ გამოცემულ ს.მესხის ნაწერების პირველ ტომში (გვ. 493-496). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 48-50.

27. სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის

რამდენთამე ქართველსა და მათ შორის ყველაზე პირველად უფ. დ.ი. ყიფიანს მოუვიდათ თავში ჩინებული ჰაზრი, რომ მოიპატიჟონ დეპუტაციათ ჩამოსული ოსმალოს საქართველოს ქართველები და, სხვით თუ არაფრით, ერთად, ძმურად პურის

ჭამით, საზოგადო სუფრაზე ამთავით მაინც დაუმტკიცონ მათ თავის თანაგრძნობა და სიყვარული.



იყანე მუხრან ბატონი

დიდის სიამოვნებით და სიხარულით მიიღეს თფილისის ყველა ქართველებმა ეს ამბავი და ამ ორშაბათს მართლაც ამ მიზნით გამართული იყო სადილი მუხრანსკის სახლებში, კლუბის დიდს ზალაში.

ორ საათზე საზოგადოებამ დაიწყო მოგროვება. სამზე ამ დიდს ზალაში მოგროვილი იყვნენ ყველანი, ვინც კი ამ ჩვენს დედა-ქალაქში წარჩინებული და გამოჩენილი არიან თავის ჭკუით, შთამომავლობით და ჩინებით. მასპინძელთა რიცხვში იყო სულ 90 კაცამდინ; ამათში ერივნენ: თ.გრ. ორბელიანი, კ.ქ.მამაცაშვილი, თ. ი.ა. ანდრონიკოვი, თ.დ.ჯორჯაძე, დ.პ ფურცელაძე, ღენერლები: გ.სუმბათოვი, ა.საგინოვი, თ.ი. თუმანოვი, კობიევი, ტერღუკასოვი და სხვ. ქართული ლიტერატურის წარმომადგენელნი თითქმის ყველანი იყვნენ გარდა ილ.ჭავჭავაძისა, რომელიც ამ ჟამად ქალაქში არ იმყოფება; იყვნენ: თ.აკაკი წერეთელი, გ.წერეთელი, ი.კერესელიძე, პ.უმიკაშვილი, ნ.ავალიშვილი, „დროების“ რედაქტორი და სხვ. და სხვ.

სტუმრები სულ ყველანი იყვნენ – 16 კაცი; საკუთრივ დეპუტაციის გარდა იყო აგრეთვე ღენერალ-მაიორი შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი.

სწორეთ სამ საათზე სანოვაგის მოთავემ უფ. **დ.ი.ყიფიანმა** მოიწვია საზოგადოება სუფრაზე, რომელიც სამის მხრით იყო გამართული. შუაში დაბრძანდა თ. გრ.დ.ორბელიანი. იმას მოუსხდნენ: მარცხნივ ჰუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, მარჯვნივ შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი; შემდეგ მარჯვნივ იჯდა ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, მარჯვნივ ჰუსსეინ-ბეგი აბაშიძე, ჰასსან-ბეგ ბეჟან-ოღლი, მუფთი-



ხუსეინ-ბეგ აბაშიძე

ეფენდი სურმანიძე, ართვინის დეპუტატები, მღვდლები და სხვ.

შუა ჭამაზე, როდესაც შამპანის ღვინო შემოიტანეს თ. გრ.დ.ორბელიანი საკსე სტაქნით ხელში წამოდგა და წარმოსთქვა შემდეგი ჩინებული, ვრძნობით სავსე სიტყვა:

თ.გრ. ორბელიანის სიტყვა: „ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდს ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულან, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულით.

ჩვენცა ევრეთვე საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენნი ძმები; თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვნატრობდით, როდეს აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა! (საზოგადოებაში მოისმის გახარებული ტაშის კვრა).

და აი, გვისმინა ღმერთმანცა და დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარულნი ვჰმადლობთ ღმერთსა და ვეუბნებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად!.. და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც ვიყუნეთ ჩვენ ერთად, ბატონებო, ვინ არის, ღვთის გარდა, მიზეზი ესრეთის ჩუენის გაბედნიერებისა? ყოვლად-მოწყალე დიდი იმპერატორი, აღმადგენელი და მფარველი ძველისა ივერიისა! და კურთხევაც ღვთისა მოუფინოს დიდებულსა გვირგვინოსანსა თავსა მისსა მრავალ და მრავალ-ჟამიერ, საბედნიეროდ დიდისა მის იმპერიისა.

ბატონებო! ღმერთმან გვიდღეგრძელოს ჩვენი დიდი იმპერატორი, „არავის არ შეგვანატროსა!“ ურრრაა!“

ამ სიტყვის შემდეგ ხანგრძლივი ურა დიდხანს არ შეწყვეტილა საზოგადოებაში. თ.გრ.ორბელიანის შემდეგ წარმოდგა უფროსი წევრი დეპუტაციისა **ჰუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი** და წმინდა ქართულის ენით, რამდენიმე სიტყვით წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა.

შემდეგ წარმოდგა **უფ.ალ.ზუბალოვი** და სთქვა: „მოწყალენო ხელმწიფენო! რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხსა, საზოგადოებასა, თუ ბოლოს ყოველივე კარგათ გათავდება, დიახ, კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა.

შემდგომ მრავალწლის ჩხუბისა, სისხლის ღვრისა და სიმძულვარისა ორთა ძმა ხალხთა შორის, რუსეთისა და ოსმალოს საქართველოისა, მიუხვდომელმა განგებამ ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტერებული ხალხი ერთად შეყრილი ვართ სუფრაზე და ვდღესასწუალობთ განხეთქილობის მოსპობას ჩვენ შორის, ჩვენს ძმურათ შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა“ – იმ კაის გულითა, რომელსაც, როგორც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიაც ვეგულებით.

ძველად, დიახ, მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონია საქართველოსა და ეხლა ერთი-ღა მაინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლულოდ, ესე იგი კაი გული, ის გული, რომელიც ყოველთვის ალიძვრის თავგანწირულობით ყოველ საზოგადო კეთილ საქმეზედა ძმურის სიყვარულისათვის.

ამ გვარ თვისებისა გამო ჩვენის გულისა უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ნებით თუ უნებურათ ხომ ჩვენი ხართ, და რა გავიცანით ერთმანეთი და რა კიდევ უფრო ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ, მაშინ, უეჭველია, სულ ჩვენი იქნებით, ერთნი ვიქმნებით და ერთად გავსწევთ უღელსა საზოგადო წარმატებისათვის!...

მაგრამ ვის ჰმართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის? ბატონებო, სტაქნები დაამზადეთ! ეს ქება და პატივი დიახ გვმართებს, რომ უძღვნათ ძლიერ რუსეთის ხალხსა!

და ეს სადღეგრძელო იყოს პატივისცემისათვის რუსეთის ხალხისა, ურაააა!“



დიმიტრი ყიფიანი

უფ. ა.ზუბალოვის შემდეგ ილაპარაკა უფ. **დ.ი.ყიფიანმა,** რომელმანც სთქვა შემდეგი სიტყვა: „დღევანდლისთანა დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის. ორიოდ სიტყვა მომახსენებინეთ ამისი განსამარტებელი.

ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზედ გვემოწმებიან ერთის მხრივ – გმირული საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლან, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე. მეორეს მხრით გვემოწმებიან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხე-სიმაგრეები და ტაძრები შიგნით და ტაძრები გარეთ, დიდის სიშორიდამ რომ მოგვითხრობენ ქართველების ქველობასა და ღვთისმოყვარებას, ათონის მთიდამ, მაგალითად, იერუსალიმიდამ.

ბუნების გამომეძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის-რა და არც ჩვენი ერთობა და სიმაგრე მდგარა უძრავად. დროთა ბრუნვაში სხვა-დასხვა შეტაკება მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარტომობითი კავშირი, და – ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გესმენია რა, – ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ, ჩვენ იმათთვის. ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით-რა, იმათ ჩვენი.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში ჩვენ, რომ დიდებული რუსთ ხელმწიფისათვის არ მიგვენდო თავი. იმის მღვთიურმა ხალხისათვის ზრუნვამ მოგვმადლა ეს შეერთება

ამდენის ხნის დაშორებულებსა. როგორც კნიაზმა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოსთქვა, მისი დიდებულების უქვეშევრდომილესს მადლობას განუზომელათა ვზრდით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა სამას-წლეული ნატვრა, ვისურვოთ, კნ.გრიგოლის სიტყვისამებრ სიმტკიცე ამ ახალი აღდგენილის კავშირისა უკუნისამდე, – და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალითა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევხარით. შევსვათ სადღეგრძელო იმათი!"

ეს ჩინეული სიტყვაც დიდის აღტაცებით მოისმინა საზოგადოებამ. მაგრამ ყველაზე მომეტებული შთაბეჭდილება მოახდინა და ყველაზე მომეტებული აღტაცება გამოიხმო თ. **აკაკი წერეთელის** შემდეგმა სიტყვამ.



აკაკი წერეთელი

„ბატონებო! ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირათ დავსწრებივართ ქართულ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულ-გახსნილობა ყოფილა. მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავი, რომ ხან-დახან იმ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაკვრია, თითქოს იმათ იმ დროს რაღაც წყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ისაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე!

დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვა გვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითოეული თქვენგანიც კარგათა გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ-ახლათ ჩვენთან შემოერთება და ძმურად შეკავშირება.

დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?

აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი... ეს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავთ ჩვენ ნეტარ-სახსენებელ მამა-პაპებს.

პირველი, ე.ი. ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა-თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში დაშორებულები გვყვანდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროთ.

მეორე, ე.ი. ერობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთ გვარად აუბეჭდავთ როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესაც ქართველი ერის შეხედვისა-თანავე იცნობა. ისევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლად შორს ნუღარ წავალთ, – საკმაოა, რომ აქვე, ამ სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი!

დიახ, დღემდი თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივსცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთს გზას და მივმართავთ ერთ მიზანს.

აქ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენ სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრის და მოყვრის პასუხის გება! ვისგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.

ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადებს, და ვინც აგვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დავუმტკიცოთ სიყვარული...

თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალ-დახუჭული...

მზათ ვიყოთ, რომ ბედს, საიდამაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, – და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!

ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა.

მაგრამ, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას და შემდეგ მათ ენერგიასა და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირ-შავათ არ დავრჩეთ!"

ხანგრძლივი ბრაეოს და ურას ძახილითა და ყვირილით დააჯილდოვა ჩვენი ჩინებული, ნიჭიერი პოეტი საზოგადოებამ ამ სიტყვის თქმისათვის, რომელშიაც იმან ასე მარტივად და ამავე დროს ასე ღრმა გრძნობით გამოხატა ის, რაც თითოეულს ჰქონდა გულში. ყველანი მიდიოდნენ თ. აკაკი წერეთელთან და ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის წარმოთქმისათვის და თან მადლობას სწირავდნენ.

სადილი ამით გათავდა. ყველანი წამოდგნენ სუფრიდამ, მაგრამ სანოვაგე კი ჯერ არ გათავებულა. ნასადილევს დიდხანს იყო კიდევ ლეკურისა და დავლურის თამაში, თვითონ დელეგატებმაც კი ითამაშეს თავიანთებური ფერხული, რომელიც, უეჭველია, ჩინებული გრაციოზული თამაში უნდა იყოს. სუფრაზე და სუფრის შემდეგაც იყო ქართული სიმღერა მრავალ-ჟამიერ და სხვ.

ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა საზოგადოება და ლაპარაკობდნენ, სჯიდნენ; ყველასათვის სალაპარაკო საგანი იყო ახლად-შემოერთებული ქართველები; ყველას ყურადღება აქ მყოფ წარმომადგენლებზე იყო მიქცეული. ერთ გროვაში მოიგონეს ის პირნი, რომელთაც პირველად დაიწყეს ამ ოსმალოს საქართველოს გაცნობა და დალიეს სადღეგრძელო ჩვენი ლიტერატურის პატივცემული მოღვაწისა უფ. დ.ზ.ბაქრაძისა, აგრეთვე თ. აკ. წერეთლისა, თ. გრ. გურიელისა, რომელიც, საუბედუროთ, ამ იმისთვის სასიამოვნო დღეს არ დასწრებია აქ, უფ. გ.ნ. ყაზბეგისა და სხვ.

მეშვიდე საათზე საზოგადოებამ დაიწყო დაშლა.

ერთი აქ დამსწრე პირთაგანი ვერ ვნახეთ ჩვენ, რომ სიამოვნება და კმაყოფილება არ ჰქონოდეს სახეზე გამოხატული.

როგორც ჩინებულად ამბობს აკაკი „ჭმუნვის ღრუბელი აქ არავის ჰქონდა სახეზე გადაკრული". ყველას თითქო რაღაც ეპრვნოს, თითქო რაღაც შეეძინოს, ისე იყვნენ გახარებულნი და პირნათელნი.

და მართლაც ესე იყო; ჩვენ ვიპრვნეთ ჩვენი დაკარგული ძმები; ჩვენ ახლად შევიძინეთ ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც შავ ბედის ბრუნვისაგან თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გვყავდნენ მოშორებულნი, გაცალკეებულნი, ჩვენ ისინი შევიძინეთ, იმათ ჩვენ შეგვიძინეს.

ამ დღეს საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდით.

ეს იყო ჩვენი მხიარულებისა და ნეტარების უმთავრესი მიზეზი.

ამით აქვს ამ დღეს – 1878 წლის 20 ნოემბერს ისტორიული მნიშვნელობა.

სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში" (1878 წ., №239, 23. XI). ი.ბოცვაძე. ტ. III გვ. 74-80.

28. ახალი წესები ბათუმის მაგრაში

იმ საქართველოს ნაწილში, რომელსაც ადრე ოსმალოს საქართველოს ეძახდნენ და რომელიც ახლა ჩვენ შემოგვიერთდა, როგორც მოგეხსენებათ, დაწესდა ისეთივე გამგეობა, როგორიც საზოგადოთ კავკასიის მთიულ ხალხების გამგეობა.

მთელი ამ მხრისაგან შესდგება ერთი სამხედრო ოლქი – ბათუმისა, რომელიც მაზრებად და უჩასტკებად არის დაყოფილი. ოლქის უფროსად ითვლება ბათუმის ოლქის სამხედრო ღუბერნატორი, თითოეულ მაზრასა და უჩასტკას თავისი საკუთარი უფროსი ჰყავს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჯერ საბოლოოთ გამოკვლეული და შედგენილი არ არის ყველა ის კანონები და წესდებანი რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ ბათუმის ოლქის გამგებლობის დროს. ვიცით მხოლოთ ეს, რომ იქაურმა მთავრობამ რუსის კანონებთან ადგილობრივი კანონები და ადათებიც უნდა მიიღონ მხედველობაში.

მაგრამ ამისთანა ქვეყანაში გამოკვლეულ და კარგ კანონებზე უფრო მომეტებული გავლენა ხალხის ბედზე აქვთ გამგებელ პირთ, იმ პირთ, რომელთაც ამ კანონებისა და ადათების შესრულება აქვთ მინდობილი.

კარგი გამგებელი, პატიოსანი ადმინისტრატორი და მოსამართლე თვით სასტიკ კანონსაც მსუბუქად გაატარებს და ცუდი კი, რაც უნდა სამართლიანი და ლმობიერი კანონები იყოს, ხალხს ხეირს ვერ დააყრის, კანონის სიკეთეს ვერავის აგრძნობინებს.

ამიტომაც, ჩვენის ჰაზრით, უპირველესი ადგილი ამ ახლად-შემოერთებულ მხრის გამგეობაში კარგი კაცების, პატიოსანი მოხელეეების დანიშვნას ეკუთვნის და არა მაინცა-და მაინც კარგათ შედგენილ კანონების გამოცემას. საჭიროა ისეთი მოხელენი, ისეთი ჩინოვნიკები და გამგენი, რომელთაც იცოდნენ ხალხის ენა, ხასიათი, ჩვეულებანი და რომელნიც ამასთანავე იმდენათ პატიოსანნი და კეთილგონიერნი იყვნენ, რომ თავის ლმობიერი მოქმედებით და ყოველი საქმის სამართლიანი გარდაწყვეტილებით ხალხს შეაყვარონ ახალი მმართებლობა, ახალი წესები.

მადლობა ღმერთს, ბათუმის ოლქში დაყენებულ ჩინოვნიკებზე საზოგადოთ ცუდი და გასაკიცხი ჯერ მაგდენი არა გვესმის-რა; თითო-ოროლა წვრიმალ მოხელეებზე გეწერენ მხოლოთ, რომ აქაც დაუწყიათ თავიანთებური ხელობა, ქრთამი, მიდგომა და სხვა ამგვარები. რასაკვირველია, უმისობა ძნელია, მაგრამ კარგი იქნება, რომ ამისთანა ჩინოვნიკებს ავარიდებდეთ ამ თავით მაინც ბათუმის ოლქსა.

ავარიდებდეთ იმიტომ, რომ ახლა იქ რაც შეიძლება მომეტებული სიფრთხილე და წინდახედულობა გვეჭირება: ჯერ ხეი-

რიანად არ გვიცნობენ, ერთს უბრალო რასმე მოქმედებას სრულიად სხვანაირად ახსნიან. და ამისთანა ხმებს, ამგვარ შემთხვევას ჩვენ უნდა ვერიდებოდეთ, თუ გვინდა მართლა, რომ ასე მოულოდნელად შეძენილი ჩვენი ძმები მოულოდნელადვე და უეცრად არ დავკარგოთ ისევ, თუ გვინდა, ერთის სიტყვით, რომ ისინი თაყვანით ქვეყნიდამ ოსმალეთში არ გადაიხვეწონ და ეს მშვენიერი, ყოვლის ბუნების სიუხვით შემკობილი მხარე უბედურ და გავერანებულ მხარედ არ გარდაგვექცეს.

რადგან მთავრობა ცდილობს, რომ, კეთილად მოპყრობითა და სამართლიანის წესების დამყარებით, არ აფიქრებინოს ამ ხალხს ოსმალეთში გადასახლება, რადგან რუსეთს, რომელსაც ღვთის წყალობით ცარიელი და დაუსახლებელი ადგილები უიმისოდაც საკმაოდ აქვს, ჰსურს, რომ ეს ბათუმის მაზრაც არ დარჩეს უდაბნოთ, ჩვენ, ქართველებს, უფრო არ უნდა გვსურდეს ეს, იმ ქართველებს, რომელთა ბევრნი რამ, ძალიან ბევრი რამ დაგვაკლდება ამათ გადასახლებით.

ამ სიტყვებს მივმართავ მე იმ ქართველ ჩინოვნიკებისადმი, რომელნიც ამ ჟამად მსახურობენ ბათუმის ოლქში. პატიოსნად სამსახურის შესრულებით ისინი არა თუ მარტო თავის სინდისს დააკმაყოფილებენ, არამედ საზოგადო, სამშობლოს თანაგრძნობასაც და მადლობას დაიმსახურებენ.

შემდეგ ნომერში ჩვენ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმაზე – თუ როგორ უნდა წავიდეს ბათუმის ოლქში ადგილ-მამულისა და სხვა-და-სხვა წოდებათა კანონისაგან ალიარების საქმე.*

ახალი წესები ბათუმის მაზრაში – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1878 წ., №253, 10. XII). ი.ბოცვაძე. ტ. III გვ. 85-87.

---

* მომდევნო ნომრებში ამ საკითხზე ს.მესხის წერილები აღარ გუხვდება. ი.ბოცვაძე ამის მიზეზად ცენზურას თვლის (რ.ს.).

29. ერთი წინადადება

კვირა არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდამ სამდურავი და საყვედური არ მოგვივიდეს იქაურს წვრილ ჩინოვნიკობაზედ.

ამ ჩინოვნიკებს, რომელთაგან, როგორც ამბობენ, მომეტებული ნაწილი, სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობას მიიღებდნენ, სამსახურიდამ დათხოვნილი და გამოგდებული ყოფილან სხვა და სხვა უკანონო მოქმედებისათვის ან უნიჭოებისათვის, შეუტანიათ აქ თავიანთი ძველი სამსახურის წესები: უსამართლობა, კერძო სარგებლობის მეძიებლობა და სხვ. და სხვ.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ხალხის წყალობით უფუჭდება იქ სახელი მთელ რუსის მმართებლობას, ახალ წესებს და ახალ გამგეობას. გაგიგონიათ ერთი გასვრილი პირუტყვის ანდაზა...

ამ გარემოებამ გვაიძულა ჩვენ მივსცეთ ჩვენს ახალგაზრდა, განათლებულ ყმაწვილ-კაცობას შემდეგი წინადადება:

გარემოება თხოულობს, რომ ახლად შეძენილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახე, მამულის მოყვარე ჩინოვნიკები. ამის გამო ჩვენ მივმართავთ ქართველ ახალგაზრდა ნასწავლ-განათლებულებს და ვეტყვით იმათ:

წადით ბათუმში, იმსახურეთ იქ, დაიჭირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ კი ხალხთან თქვენ იქონიეთ საქმე და არა იმ პირებმა, რომელთაც ყველგან თავიანთი ბოროტი სული და ბოროტი საქმე დააქვთ. იქონიეთ ხალხთან საქმე, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით, გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალით შეგვხედავენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებსა და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას. ჯერ თქვენ ცხოვრებას არ გაუფუჭებიხართ, არა თუ აღება, თქვენი ახალგაზრდული, პატიოსანი, აღტაცებული გული და რწმენა არ მოგსცემთ ნებას, რომ ძმას, თუმცა გაუნათლებელს, თუმცა ფანატიკოსს და გაუვრანებულს, შეხედოთ ისე, როგორც მხეცსა და კაცურად არ

მოეპყრათ იმათ, თქვენ განათლებულები ხართ, ეული არა გაქვთ დაჟანგული და იცით, რომ ყველა კაცს თავის ხასიათი აქვს, თავის ჩვეულება და ზნე, – მაშასადამე, ბევრი რამ ეპატიება, ბევრი რამ მიეტევება ისეთი, რომელიც ჩვენში იქნება სათაკილოდ ჩაითვალოს. თქვენ კარგათ გესმისთ, რომ კეთილის, გონიერის, ტკბილის სიტყვით ამისთანა ხალხში ათას წილად უფრო მომეტებულის გარიგება შეიძლება, ვინემ ძალდატანებით. კარგათ უნდა გესმოდესთ. რომ ამათთან ლმობიერება უფრო გავა, ვინემ მკაცრობა და სასტიკი კანონები.

ყველა ეს თქვენ უფრო გესმისთ და თქვენ უფრო ადვილათაც შეგიძლიანთ ამის ასრულება, ამნაირად იქაურ ხალხთან საქმის დაჭერა.

და ამგვარი სამსახური ჩვენ შეგვინახავს ჩვენს მოძმეებს, რომელნიც, ამბობენ, უკვე აპირებენ ოსმალეთში გადასახლებასაო.

ამგვარი სამსახური, ვიმეორებთ ამას წინათ ნათქვამს სიტყვას, ყოველ საქართველოს შვილს მამულის ძვირფას სამსახურად ჩაეთვლება და შთამომავლობა დააჯილდოებს იმათ.

იმსახურეთ ბათუმის მაზრაში!

ერთი წინადადება – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1879 წ., №14. 19. I). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 122-124.

30 ძმა ძმისთვისაო – ამ ღღისთვისაო

ჩვენი ბათუმელი კორრესპონდენტი ხშირად გვწერდა ჩვენ ბათუმის, აჭარისა და ქობულეთის მაზრების გაჭირვებულ მდგომარეობას. გასული ომიანობის წყალობით, ხალხს არ უთესნია, არ უხნავს, მთელი ეს მხარე ჯარებითა და ამათი ცხენებით არის გადაჯირგვალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მწიერ-მწყურვალე დარჩაო.

ქვემოთ წაიკითხავთ ბათუმის სამაზრო გამგეობის განცხადებას,* (რომელიც ოფიციალურ „კავკაზშიაც" იყო აგრეთვე დაბეჭდილი); ამ განცხადებიდამ შეიტყობთ, რომ ოფიციალურად მტკიცდება ახალი ყველა ის გაჭირება და უკიდურესი მდგომარეობა ხსენებული მაზრებისა, რომელსაც ჩვენი კორრესპონდენტები იწერებოდნენ.

ეს განცხადება გვაცნობებს, რომ კინტრიშის მაზრის ხალხი თითქმის ათას სულამდინ, შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიანო, მთავრობამ ცოტაოდენი შემწეობა აღმოუჩინაო, მაგრამ ეს არ ეყოფა ამოდენა ხალხსაო და ამიტომ ხსენებული გამგეობა მიმართავს ყველას, ვისაც რა შეუძლიან, შესწირონ ამ გაჭირვებულებს.

ამის გამო ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას: „ძმა ძმისთვისაო — ამ დღისთვისაო!" რითაც შეგვეძლება, დავეხმაროთ ჩვენს ახლად-შემოერთებულ მოძმეებს, გაჭირებას სულგრძელობა უნდა. ნუ დავიზოგავთ თითო-ოროლ მანეთს, თითო-ოროლ თუმანს, ძველ ტანისამოსს, ხორაგს, ერთის სიტყვით, ვისაც რა გვემარჯვება და რაც შეგვიძლიან. დავეხმაროთ მშიერ-ტიტველ ხალხს!

ჩვენს დახმარებას კაცთ-მოყვარეობითი გრძნობის გარდა სხვა მნიშვნელობაც ექნება. კარგია, როცა შეიტყობენ, როცა თავით საქმით იგრძნობენ და დაინახავენ, რომ იმათ კეთილი, გაჭირების დროს დამხმარებელი ძმები ჰყოლიათ რუსეთის საქართველოში.

სრული იმედი გვაქვს, რომ კეთილ საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ჩვენი გულ-კეთილი საზოგადოება. არასოდეს არ დავიწყნია ამ საზოგადოებას თავის დიდი პოეტის მშვენიერი სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია". ეს სიტყვები, რომელთაც ამ შემთხვევაში განსაკურთბული მნიშვნელობა აქვთ.

---

* დაიბეჭდა „დროების" 1879 წლის 13 თებერვლის №32-ში, რომელიც გაზ. „კავკაზსაც" გადაუბეჭდავს (რ.ს.)

იმედი გვაქვს, რომ, სხვათა შორის, აქაური და ქუთათური ქართული სცენის მოყვარულნიც მიიღებენ მონაწილეობას ამ ქველ საქმეში მით, რომ თითო წარმოდგენის შემოსავალს მაინც შესწირავენ დამშეულ ბათუმის ქართველებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ კერძო პირებიც, არა თუ თვითონ შესწირავენ შეძლებისადა-გვარად, არამედ ეცდებიან და თავის ნაცნობებში და მეგობრებში მოაგროვებენ ხელის-მოწერითა და ან სხვა რაიმე საშუალებით ფულებს იმავე მიზნით.

1873 წელს, როდესაც სიღნაღის მაზრაში შიმშილი იყო, ჩვენ ამგვარადვე მივმართეთ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენი მაშინდელი მოწოდება უნაყოფოდ არ დარჩენილა; ყოველის მხრიდამ მოგვდიოდა შესაწირავი და, ცოტათ თუ ბევრად, ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა შეუმსუბუქეთ.

ამ გვარივე თანაგრძნობის იმედი, თუ არ მომეტებულისა, გვაქვს ახლაც. „თუ არ მომეტებულისა“ იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ახლადშემოერთებულ ხალხს ახლა ჩვენ პირველად უნდა დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ჭირშიაც და ლხინშიაც მართლაც ძმები ვართ იმათი; იმიტომ კიდევ, რომ, თუ ჩვენთან მეზობლობით, ჩვენი ძმობით, ამ ხალხმა თავიდამვე გაჭირებაში არავითარი შემწეობა არ მიიღო ჩვენგან, უეჭველია, გადასახლდებიან, გადავლენ ოსმალეთში, და ეს ჩვენთვის სასურველი არ უნდა იყოს.

თუ ჩვენმა საზოგადოებამ ისეთი სიუხვე გამოიჩინა გრიბოედოვის იუბილეს დროს,* რაღა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში ის უფრო მომეტებულ გულ-უხვობას და თანაგრძნობას გამოიჩენს.

ყოველი შემწირველი დარწმუნებული იყოს, რომ არც ერთი კაპიკი იმის შესაწირავიდამ თავის მიზანს არ გადასცილდება, ყოველი კაპიკი თავის დანიშნულებისა-და-გვარად იქნება მოხმარებული. ჩვენ გვყავს იმისთანა კაცები (არა ჩინოვნიკები), რომელნიც ყოველსავე შეწირულს კაპიკს პირ-და-პირ გაჭირებულ ხალხს მიაწოდებენ.

---

* 1879 წ. 30 იანვარს ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი პატივისცემით აღნიშნა ა.ს.გრიბოედოვის დაღუპვის 50 წლისთავი. ს.მესხი აჭარლების მიმართ თანამემამულეებისაგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს (რ.ს.).



გასტრალი გრიგოლ გურიელი

შესაწირავის გამოგზავნა. შეიძლება ამ ადრესით: в Тбилиси, в редакцию "Дроэба", ანუ პირდაპირ ბათუმში: в Батуми, в окружное управление, სადაც შესაწირავს მიიღებს ბათუმის მაზრის ვამგებელი თ. გრ. გურიელი, რომელმანც კარგათ იცის ადგილობრივი ხალხის მდგომარეობა და პატიოსნად მიაწვდენს შეწირულ ფულს გაჭირებულებსა.

ძმა ძმისთვისაო – ამ დღისთვისაო! – დაიბეჭდა ინიციალებით ს.ძ. „დროებაში“ (1879 წ., №32, 13. II). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 129-131.

31. მასლაათი

დიდ-მარხვაა – ვილოცოთ! დამშეულ ქობულეთელთათვის. ქართული სამუდამო სცენა. „წაბიძგება“ უფ. მაიორის იოსელიანისა. ახალი ქართველი პოეტი. განათლება და გრძნობა. ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგები. რა ეჭირება ნამდვილ პოეტს?

დადგა დიდ-მარხვა, დრო ლოცვისა, შენანებისა, ერთმანეთის ცოდვების შეწყნარებისა და შენდობისა. დრო, როდესაც ყოველი ქრისტიანი ვალდებულია, ცოტა ხნით მაინც დაივიწყოს ხორცი და შეუდგეს სულს, დაივიწყოს მატერიალური და შეუდგეთ ზნეობითს.

ვილოცოთ! ბევრი ცოდვები გვაქვს! ცოდვები კერძო და ცოდვები საზოგადო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, საერო ცოდვები! ძველი ცოდვები, ახალი ცოდვები და მომავალი ცოდვები!

მომავალ ცოდვებში ჩასათვლელი იქნება, სხვათა შორის, ჩვენი დამოკიდებულება ბათუმის მაზრის ქართველებთან.

წარმოიდგინეთ მდგომარეობა: ხალხი სამი წელიწადია დაიარაღებული ფეხზე დგას. ამ ხნის განმავლობაში იმას არც უხნავს, არც უთესნია და, მაშასადამე, არც არა მოუმკია. ოჯახობა, სახლ-კარი, ყანა-მინდორი აკლებული გარეშე და შინაგან მტრისაგან, მთელი სოფლები გადამწვარი ისე, რომ ქვა ქვაზედ და ფიცარი ფიცარზედ აღარ დარჩენილა! ხალხი მშიერი, მწყურვალე, ტიტველი...

და ეს ხალხი რომელიმე ვიგინდარა, უცხო ხალხი კი არ არის, – ეს არის ჩვენი ძმა ხალხი, ესენი არიან ქართველები, რომელთ შემოერთებას, რომელთანაც ძმობის განახლებას ჩვენ ისე მოუთმენლად მოველოდით, ასე ვნატრობდით.

ამასაც მოვესწარით, ესეც გვეღირსა: შემოგვიერთეს ისინი. მაგრამ რა მდგომარეობაში დაგვიხვდნენ? და ვცდილობთ ჩვენ, რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქოთ ეს მდგომარეობა? ვფიქრობთ, რომ გაჭირებულებს, უსახლს-კაროს ხელი გაუწვდინოთ ძმურად და დაცემული ავაყენოთ? ვფიქრობთ, რომ ეს დახმარება ჩვენი ზნეობითი მოვალეობა არის?

საუბედუროთ, ათასჯერ საუბედუროთ, ჩვენ ჯერ ამის ნიშნებს ვერა ვხედავთ; ვერ ვხედავთ, რომ ჩვენი საზოგადოება ბევრს რასმე ჰფიქრობდეს, ცდილობდეს და ზრუნავდეს თავის მოძმე ხალხისათვის.

და ეს იქნება უპირველესი და მამაკვდინებელი ცოდვა, რომელსაც ჩვენ ჩავიდენთ ჩვენსა და ჩვენი შთამომავლობის წინაშე, თუ ამევარი გულ-გრილობა გაგრძელდა ჩვენში. ეს გვარწმუნებს ჩვენ, რომ ჩვენს შეძლებულ საზოგადოებაში არ ყოფილა არათუ პოლიტიკური საჭიროების გაგება, არამედ თვით კაცთ-მოყვარეობის გრძნობა და თავის თავის სარგებლობის ცნობა.

დავანებოთ თავი ამ სამწუხარო ამბავს... დღეს ჩვენ ორ სასიამოვნო და უფრო სანუგეშო საგანზედ გვინდა მკითხველთან მასლაათი.

პირველი ამ საგანთაგანი არის – ჩვენი ქართული სცენა. ახლა კი ვატყობთ, რომ ჩვენი დიდი ხნის ნატვრა და სურვილი აგე-

ისრულდება. თეატრის საქმე ისე მიდის, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს წელს ქართული თეატრი გვექნება.

რომელიმე მძიმე საქმის გაკეთებისათვის ხშირად ერთი ხელის კვრა, ერთი „წაბიძგება", როგორც გურულები იტყვიან, არის საჭირო, ჩვენს თეატრს სწორეთ ამისთანა საქმე მოუვიდა: ბევრს ეწერდით, ბევრს ეყაყანებდით, ეყვიროდით, ეღაღადებდით, რომ თეატრი გვინდა, ქართველი საზოგადოება თხოულობს ქართულ თეატრსაო, მოჰკიდეთ ამ საქმეს ხელი, ითავეთ და სხვ. მაგრამ არა გამოვიდა რა, კაცი ყურს არ იბერტყავდა.

ბოლოს ერთმა პირმა, ამ ომიანობამდინ უცნობმა, მაიორმა უფ.იოსელიანმა (ყარა-მაიორმა) სამასი თუმანი* შესწირა ქართული თეატრის სასარგებლოდ და იმწამსვე თეატრის საქმე თითქმის სანახევროდ გაჩაღდა: შეიქნენ კრებები, დაუწყეს ძებნა კიდევ ფულებს, ეძებენ ანტრეპრენიორს, აქტიორებსა და აქტრისებს და სხვ; და ამ მოკლე ხანში, იმედია, ჩვენ ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ ქალაქს თფილისში გაიმართება სამუდამო ქართული თეატრი.

ამნაირად ერთი ხელის-კვრა, ერთი „წაბიძგება" უფ. იოსელიანისაგან საკმაო იყო, რომ თეატრის საქმე ასე კარგად, ასე მარჯვედ დაწყებულიყო ჩვენში.

მეორე გარემოება, რომელიც ჩვენ თეატრის დაარსებასავით გვახარებს, არის ის, რომ ჩვენ ამ წელს დაგვებადა ახალი პოეტი!

---

* ჩვენ შეცდომით მოგახსენეთ გასულ ნომერში, რომ უფ.იოსელიანმა ორასი თუმანი შესწირაო; ორასი კი არა, სამასი შეუწირავს (ს. მესხის შენიშვნა).

ამ პიროვნების სახელია იასონი. მას საკუთარი სიცოცხლის რისკით მონაწილეობა მიუღია გადასახადების წინააღმდეგ ამბოხებული აჭარლების დაშოშმინებაში 1878 წ. (მის ქველმოქმედებაზე იხ. აბდულ მიქელაძე. წერილები აჭარიდან. თბილისი 1991. გვ. 82-83). რ.ს.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში, ამ „მასლაათის“ ზემოდამ, უეჭველია, მკითხველი ნახავდა პატარა ლექსს,* რომლის წაკითხვა დაარწმუნებდა იმას, რომ მე მართალს ვამბობ, რომ ჩვენ მართლა და ნიჭიერი პოეტი დაგვებადა. მკითხველს ეხსომება მეორე პატარა ლექსი „ელეგია“ უფ. უმწიფარიძისა, რომელიც წლევანდელ „დროების“ მეორე ნომერში იყო დაბეჭდილი.

მარტო ამ ორი ლექსის წაკითხვა საკმაოა, რომ ვსთქვათ, რომ ამათ დამწერს უეჭველი პოეტური ნიჭი აქვს.

უფ. უმწიფარიძე (პსევდონიმი), როგორც შევიტყეთ, ჯერ სულ ახალგაზრდა ყმაწვილია, სტუდენტი ოდესის უნივერსიტეტისა.



გრიგოლ ჭოლსკი ოჯახის წევრებთან; მარცხნიდან დგანან: და – ლეონიდა, და პარპალე, გრიგოლი, ძმა – ვლადიმერი; სხედან: დედინაცვალი – გამზრდელი კეკერაძე და იოანე მესხი. სურათი გადაღებული უნდა იყოს 188– წელს.

---

* იგულისხმება გრიგოლ ჭოლსკის ლექსი „მოტყუებულს“, რომელიც ავტორმა 1878 წ. დაწერა (რ.ს.).

ყველაზე საინტერესო და ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს ყმაწვილი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და ამ ორი-სამი წლის წინათ, როგორც დაგვარწმუნეს, ამ გიმნაზიის მთავრობამ უნიჭოებისათვის გამოაგდო ის თურმე გიმნაზიიდამ.

როგორ კარგათ გვიმტკიცებს ეს ფაქტი ჩვენი პედაგოგების მახვილ-გონიერებას, იმათ ცოდნას ყმაწვილის ბუნებისა და ტვინის ძალისას!

მოულოცავთ ჩვენს ახალგაზრდა პოეტს ასე ჩინებულად, ასე ხიჭიერად გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე და ვინატრით, ორი შემდეგი ნაბიჯებიც ისეთივე მარჯვე, ისეთი ბრწყინვალე ყოფილიყოს იმისი, როგორც ეს პირველია; არ დაჩარგულიყოს და არ დამჭკნარიყოს, როგორც დაჭკნა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნიჭი, მაგალითად, გ.ჭალადიდელისა (ქორჩაკიძის) და სხვ.

ამისთვის საჭიროა შემუშავება ამ ნიჭისა, ღმერთს ნიადაგი მოუცია, კაცი ვალდებულია დახნას, დასთესოს, ამ ნიადაგზე და მხოლოთ მერე უნდა მოელოდეს კარგ მოსავალს. ეს დახნა და დათესა არის განათლება, გონების გახსნა, ტვინის შემუშავება; ეს პოეტისათვისაც ისე საჭიროა, თუ არ უფრო მომეტებულად, როგორც საზოგადოთ ყოველი კაცისათვის, კარგი გრძნობა და კარგათ შემუშავებული ტვინი აი, აუცილებელი თვისება პოეტისა. განსაკუთრებით გრძნობა, გრძნობა, რომელიც ძალ-დაუტანებლად, თავის ნებით გმოითქმის, რომელიც გულისაგან გაჩენილა და არა მარტო ტვინით არის შეთხზული. მხოლოთ იმისთანა პოეტურ თხზულებას აქვს ადამიანზე გავლენა, მხოლოთ ის პოეზია არის ნამდვილი პოეზია, რომელიც მარტივია და არა ნაკეთები, გულიდგან წარმომდგარა და არა მხოლოდ ტვინში შემუშავებულა.

ამ ორი სასიამოვნო ამბის ცნობით, ამ ორი კარგი შთაბეჭდილებით ვტოვებ მე დღეს ჩემს მკითხველს.

მახლაათი – დაიბეჭდა სოლოლაკელის ხელმოწერით „დროებაში“ (1879 წ., №37, 18. II). ი.ბოცვაძე. ტ. III გვ. 132-135.

32. ბათუმის მაზრის მღვდლობა

(ნაამბობი ბათუმელისა)

ქვემო-მოყვანილი სტრიქონები დაწერილია ერთის ბათუმელის მცხოვრებელის სიტყვით, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ქალაქში და რომელმაც კარგათ იცის აჭარის, შავშეთის, ქობულეთის და საზოგადოთ მთელი ბათუმის მაზრის გარემოება.

– არ მოველოდით თქვენგან ასე განზე გადგომას და უწესობის მოხდენას! – უთხარი მე ამ კაცს, როდესაც აჭარის უკანაკსნელს არეულობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

რა იყო, ბატონო? არაფერი არ იყო! ოსმალოს ჩინოვნიკებმა იცოდნენ, პატარა რამ ხალხის ლაპარაკს გაბერავდნენ, გააზვიადებდნენ, ვითომ რაო და ამისთანა დიდი საქმე იყო და ჩვენ დავაშოშმინეთ ხალხიო, ჯილდო გვერგებაო. ამისთანა ხასიათი, როგორც ვხედავთ, თქვენ წვრილ ჩინოვნიკებსაც ჰქონიათ, თორემ რა მოხდა აჭარაში მაგისთანა?! ორი სოფელი ერთმანეთს წაეჩხუბა და ერთმანეთშივე მორიგდნენ...

– გულო-აღა რომ მოჰკლეს?

– გაბრაზებული ხალხი ბევრ გონჯაი საქმეს იზამს, ბატონო. გულო-აღა თავის შეწუხების მიზეზად მიაჩნდათ და იმისთვის მოკლეს.

– რითი იყვნენ შეწუხებული?

– აჭარა, ბატონო, უიმისოთაც ძალიან ღარიბი ქვეყანაა. ამ ომიანობამ სულ დააძაბუნა ხალხი. ახლა როგორ შეუძლიანთ მათ გადასახადის შეტანა ხაზინაში? დიდი კნიაზისთვის რომ მოეხსენებინათ, დიდი კნიაზი კი აპატიებდა ამათ ხუთ-ექვს წელიწადს გადასახადს. კაცს სახლი არ აქვს, კერია დაუქრეს, პური არა აქვს და მიდიხართ, ეუბნებით: ორი წლის ხარჯი უნდა გადახადოვო! არტაანის ნაჩალნიკმა სთქვაო, რომ ხალხი განაზდება, განებივრდება, თუ ახლავე ხარჯი არ დავაწეროთ. აგი როგორ იქნება? ჩემმა მტერმა სთქვა, მშიერ-ტიტველ კაცს რა გაანაზებს?!

– აჭარის ხალხი ისეთი ხალხია, – განაგრძო იმან შემდეგ, – რომ რაც გინდა იმას აქნევინებ, თუ კარვათ, ტკბილათ მოეკიდე; ვინდა ყმათ გაგიხდება, შენთვის თავს მოიკლავს, მაგრამ თუ გული აუცრუე, მაშინ კი ძმაც რომ იყო, არ დაგზოგავს, გადმოიღებს თავის მაჭახელას და, თუ გესროლა, იცოდე, არ დაგაცდენს.

– თვითონ ბათუმისაკენ როგორღა მიდის საქმე?

– კაი კაცები ცოტა გვყავს დაბალ ჩინოვნიკობაში და ესაა უბედურება. ნიკო ერისთავი კი, ღვთის წინაშე, ძალიან კაი კაცია; ყველაფერს მოგისმენს, რა დროსაც გაქვს საქმე, მიგიღებს და აგისრულებს; კაი გულის კაცია, ჩვენი ხასიათი, ადათი იცის. ამისთანა კაცი უნდა ახლა ჩვენ ხალხს. გრიგოლ ბატონიშვილიც (გურიელიც) ძალიან პატიოსანი კაცია... მაგრამ ორი და სამი რას გაარიგებს, საცა პატარა ჩინოვნიკები ურიგო კაცები არიან! ერთობ ამაყურად ექცევიან, ბატონივით ესენი ხალხს და უნდა გითხრა, ბატონო, რომ ამისთანა მოქცევას ჩვენი ხალხი არ არის შეჩვეული. იმისთანა კუთხეებია აჭარისაკენ და მაჭახელაში, საცა ოსმალოს ჯარს და არც ჩინოვნიკს თავის დღეში ფეხი არ შეუდგამს. თავის დაჩაგვრად მიაჩნიათ ამათ, როცა ჯარს ჩაუყენებენ სოფელში... სულ სხვანაირი ხალხი ვართ, ბატონო, ჩვენ, სხვანაირად გვეჭირება მოპყრობა და გამგეობა.

– ერთი ესეც მითხარით: მართლა ისე შეწუხებულია ხალხი დამოუნისაგან, როგორც ამბობენ?

– დიაღ, ბატონო, დიაღ! ნახევარ ალაბი საახალოზე ჩითი და სატრანგე მიტკალი ვერ უყიდნია გლეხს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე, სადაც ბეჭედი უნდა დააკრან. ადრე მოდიოდა ბათუმში გლეხი, ჰყიდულობდა ოსმალოს და ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყარაულები წინ არ დაუხვდებიან და არ წაართმევენ ნავაჭრს. ახლა კი ამ პორტო-ფრანკოს შემოღებამ ეს გვიყო, ამას წინათ ერთ ჩაქველ გლეხს ვიღაც მოკვდომოდა; ბათუმში მოსულიყო, ეყიდნა მიცვალებულისათვის სასუდრეთ რამდენიმე ალაბი მიტკალი და რადგან ეგონა, რომ მიცვალებულისათვის მიმაქვსო, ბაჟს არ მთხოვენო, არ შეევლო

დამოყნაში ბეჭდის დასაკრავად. მაგრამ გზაზე ყარაულები დახვედროდნენ და ეს მიტკალი სულ წაერთმიათ. ერთი დღე და ნახევარი დაეხეტებოდა ეს საწყალი კაცი ბათუმის ბაზარში ტირილითა და ოხვრა-ხვნეშით. მეტი ფული არ ჰქონოდა, ვერ ეყიდნა სუდარი და თან ისიც აწუხებდა, რომ მიცვალებული დაუმარხავი მრჩებაო. ბოლოს მოუგროვეთ ხუთი მანეთი, უყიდეთ რუსის საქონელი და გავისტუმრეთ. რუსის საქონელზე ბაჟი არ არის: მაგრამ ჩვენი ხალხი ოსმალოს და ფრანგის საქონელს არის მიჩვეული. რუსის საქონელი უფრო ძვირიცაა. ახლა ბათუმის ვაჭრებმა დაიწყეს თბილისიდამ მოტანა საქონელისა; მაგრამ ხელს არ აძლევს. მოსკოვში და ნიჟნში ახირებენ კომისიონერის გაგზავნას.

– რატომ მთავრობას არა სთხოვთ, რომ დროებით მაინც, სანამ ხალხი ასე გაჭირებულ მდგომარეობაშია, მოსპოს ეს ბაჟი?

– ვითხოვეთ, ბატონო, ყველამ ერთად, ვაჭრებმაც და ხალხმაც მისცა თხოვნა ღენ.კამაროვს; მაგრამ ჯერ არაფერი ამბავი არ მოსულა.

ქობულეთისა და კინტრიშის ხეობის ხალხის გაჭირებაზე ბევრი რამ ილაპარაკა ჩემმა მესაუბრემ. თქვა, რომ, თუ გადაესახლებიან, უფრო იმიტომაო, რომ მშიერ-შიშველ ხალხს გონიაო, რომ ოსმალოში წავალო, იქნება იქ კერია მაინც გავიჩინო და ლუკმა-პური ვიშოვნოვო.

საზოგადოთ, მთელი ამის ლაპარაკიდამ მე ის ჰაზრი გამოვიყვანე, რომ ამ ახლად-შემოერთებულის ოსმალოს მაზრების ხალხს ძალიან ეძნელება თავის ქვეყნის მიტოვება და ოსმალოში გადასახლება. ეძნელება, მაგრამ ამ თავითვე იმათი ცხოვრების ჩარხი ისე ცუდათ დატრიალდა, ომიანობამ იმდენი ზარალი მისცა ამათ და ჩვენის მხრით ამ გაჭირებაში ისე ცოტა ნუგეშსა და დახმარებას ჰხედავენ და წვრილი ჩინოვნიკებისა და დამოყნისაგან ისე შეეიწროებული არიან, რომ, თუ შემდეგშიაც ასე წავიდა საქმე, ეს ხალხი იძულებული იქნება, რომ გადასახლდეს ოსმალეთში.

ბათუმის მაზრის მდგომარეობა – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1879 წ., №40, 23. II). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 135-137.



ალექსანდრე სარაჯიშვილი

ამ თვის დადგომამდე გაჭირებულ ქობულეთლებისათვის ჩვენს რედაქციაში სხვა-და-სხვა პირთა შემოიტანეს 1538 მანეთი. ბევრმა შემწირველმა გამოგვიცხადა ჩვენ ნატვრა, რომ ეს ფული მიაღწევდეს იმათ, ვინც მართლა ღარიბნი და გაჭირებულნი არიან და სამართლიანათ გაიყოფოდეს მათ შორის. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი სურვილიც ეგ იყო და ამან გვაიძულა ჩვენ წავსულიყავით ქობულთს და ჩვენის ხელით დაგვერიგებინა საზოგადოებისაგან მონდობილი ფული.*

რადგან ვიცოდით, რომ გაჭირებულ ქობულეთელთა რიცხვი ოთხი ათასს სულს გადააჭარბებს, ცხადი იყო, რომ იმ ფულით, რომელიც ჩვენ ხელში იყო, არ შეიძლებოდა ყველა ღარიბის შეწევნა. ჩვენ ვირჩიეთ ისევ რამდენიმე უარეს გაჭირებულთათვის მიგვეცა ნამდვილი და საკმაო შეწევნა, ვინემც ყველასთვის ცოტ-ცოტათ დაგვერიგებინა. ამავე აზრისა იყვნენ ბათუმის ღუბერნატორი ღენ.კამაროვი, თავ. ნ.ერისთავი, თავ. გრ. გურიელი და მრავალნი სასპტიო პირნი, რომელთაც ჩვენ დავეკითხეთ ამ საგანზე.


ქობულეთის უჩასტკის უფროსის ბრძანებით რვა სოფლის მამასახლისმა: აჭყვის-თავისამ, ალამბარისა, ლელვის, ხუც-უბანისა, კვირიკისა, ქობულეთისა, სამებისა და ქაქუთისამ წარმოგვიდგინეს

---

* ფულის დასარიგებლად ს.შესხს აჭარაში ახლდა ალექსანდრე სარაჯიშვილი (რ.ს.).

ჩვენ თავიანთ სოფლის გაჭირვებულების (უფრო ობლებისა) სია და რადგანაც ეს სია კიდევაც დიდი იყო, ჩვენ მოვიწვიეთ კინტრიშის უჩასტკის მეჯლისი და მისი დახმარებით და ჩვენებით სიიდამ ამოვრიცხეთ ზოგიერთი სახლობა. ამის შემდეგ ჩვენ მოვიხმეთ სოფლებიდამ მამასახლისნი და თვით გაჭირვებულნიცა და მეჯლისის დასწრობით დაურიგეთ ყველას ხვედრი ფული.

ყველა გაჭირვებული არ მოვიდა ფულის მისაღებლათ: ზოგი შინ არ იყო და მამასახლისმა ვერ შეატყობინა, ზოგი ობოლი ისე პატარა იყო, რომ ვერ წამოვიდოდა და დედაკაცები ჩვეულებისამებრ ვერ გვეჩვენებოდნენ; ამათ ხვედრი ფული ჩვენ ჩავაბარეთ მამასახლისებს თავიანთ სოფლის კაცის თან დასწრებით, მივეცით სია ამ ობლებისა, რომელთაც ეს ფული ერგებოდათ და ჩამოვართვით ხელწერილი ფულის მიღებისა. ხელწერილები გადავეცით მეჯლისს და მივანდეთ მას თვალ-ყური ეჭიროს, რომ ფული დანიშნულებისამებრ გაწილადებულიყოს ობლებს შორის.



ობელისკი ძმათა სასაფლაოზე სუცუბანში. აშენდა 1903 წ. ინჟინერ მიროტაძის ინიციატივით.

ამგვარათ ჩვენ დაურიგეთ 1538 მანეთი 191 სახლობას, – სულ 6415 სული – თითქმის ყველა ობოლნი და ქვრივნი. თითო სულს ერგო ორ-ორი მანეთი და უფრო ღარიბსა სამ-სამი, ასე რომ ბევრს სახლობას ერგო თორმეტი, თხუთმეტი, თვრამეტი და ოცი მანეთი.

ვერ დავიკვეხებთ, რომ ჩვენ სრულიად სამართლიანათ დაგვარიგეთ ფული; საუბედუროთ, ამ შემთხვევაშიაც პირ-მოთნეობას და ჩათესაობას ჰქონდა თავის ადგილი და შეგვაცდინა, თუმცა ყოველი ღონის-ძიება ვიხმარეთ თავიდამ აგვეცილებინა ეს სამართლის დამრღვევი მოვლენანი. ყოველს შემთხვევაში თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამაზედ უკეთესად, ამაზედ უფრო სამართლიანად შეწირული ფულის დარიგება ძნელად მოხერხდებოდა.

შემწეობის დარიგება – დაიბეჭდა „დროებაში" (1879 წ., № 88, 27. IV). წერილს ხელს აწერენ სერგეი მესხი და ალექსანდრე სარაჯიშვილი. ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 160-161.

34. აჭარლებისს გადასახლება

სომხურს გაზეთს „მშაკში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა პირველ ივნისს მიღებული ახალციხიდამ:

„ფოცხოვის მაზრიდამ დაწყებული მთელი ზემო და ქვემო აჭარის მაჰმადიანის ქართველები სომხეთში გადადიან, სულ სამოცათას ოჯახამდინ (?) აპირებენ გადასახლებას. ოსმალოს მთავრობამ ერზრუმის, დიარბექირისა და ვანის ვილაიეტებში დაუნიშნა ამათ მიწები; იქ უნდა წავიდნენ ისინი და კამისიის განკარგულებას უნდა უცადონ. ბევრი ოჯახი კიდეც წავიდა".

ამ საგნის შესახებ ჩვენ ჯერ არავითარი ცნობა არ მიგვიღია; დღეს, როცა ეს ამბავი წავიკითხეთ, ტელეგრამები გავგზავნეთ

სანდო პირებთან და როგორც ნამდვილ ამბავს მივიღებთ, ვაცნობებთ, ჩვენს მკითხველებს.

მხოლოდ ბათუმიდამ მოგვივიდა გუშინ წიენი, რომელშიაც გვწერენ, რომ „ამ ორი კვირის განმავლობაში, აქაური (?) მცხოვრებლები ორის ხომალდით წავიდნენო, თავიანთი ცხენები, ძროხები, ხარები. ცხვრები და სხვა ყველაფერი თან წაიყვანესო, არაფერს არ ჰყიდიანო"

რასაკვირველია, რომ „მშაკში" დაბეჭდილი ამბავი სრულიად დასაჯერებელი არ არის: 60 000 ოჯახი პირებს გადასახლებასაო; რამდენათაც ჩვენ ვიცით, 60 000 ოჯახი, არა თუ მარტო აჭარაში, მთელს ახლად-შემოერთებულს მაჰმადიან საქართველოშიაც არ ითვლება. მაგრამ „მშაკიც" და ჩვენი კორრესპონდენტიც ერთხმად ამბობენ, რომ ხალხი მიდის და გადასახლებას პირებსო.

რომელი ახალი მიზეზი აღმოჩნდა ახლა ისეთი, რომელმანც ხალხი აიძულა მიეტოვებინა თავის სამშობლო ქვეყანა, თავის მამა-პაპის მიწა-წყალი, სახლ-კარი და უცხოეთში გადასახლებულიყო? აკი ამ ორი თვის წინათ მოვიდა ბათუმში აჭარის დეპუტაცია და მთავრობას გამოუცხადეს, რომ აღარ გვსურს გადასახლებაო? აკი იწერებოდნენ, რომ ვინც ქობულეთიდამ წავიდნენ, ისინიც ბრუნდებიან და ახლა აღარავინ პირებს წასვლასაო?

ჩვენ არ ვიცით არავითარი ახალი მიზეზი ამ ხალხის უკმაყოფილებისა და გადასახლებისა. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ იქ ისევ ძველი მიზეზები და უკმაყოფილება მოქმედებს ხალხში.

ეს მიზეზები არიან: 1) აჭარაში ისეთი კაცების დანიშვნა მაზრის უფროსებად, რომელთაც ხალხის ზნე, ხასიათი და ჩვეულება არ იციან, 2) ამ თავითვე გადასახადის გაწერა აოხრებულ ქვეყანაზე და ომისაგან დამშეულ-დაღატაკებულს ხალხზედ, 3) მოლლები, რომლებიც გადასახლებას უქადაგებენ ხალხს და სხვ.

ყველა ამ მიზეზების მოსპობა ძალიან ადვილია, თუ კი სურვილი იქნება: ხაზინას არ გააკეთებს რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც აჭარლების გადასახადისაგან შემოუვა; ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში რომ გადასახადი ეპატიებინათ, ხალხს დიდი შეღავათი მიეცემოდა და კმაყოფილი დარჩებოდნენ. რიგიანი უფროსობის მონახვა და დანიშვნა აჭარაში სრულებით ისე ძნელი არ არის, როგორც საფიქრებელია. ჩვენ შეგვიძლიან მიუთითოთ ერთ პირზე, რომელსაც იქნება სხვა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, მაგრამ რომელსაც აქვს ერთი დაუფასებელი ღირსება: აჭარის ხალხის ცოდნა, იმათი ენის, ხასიათისა და ზნისა და შესანიშნავი ადმინისტრატიული ნიჭი; ეს პირი არის უფ. მიხეილ მეფისოვი. გაშინჯონ, ერთი-ორი წლით დანიშნონ უფ. მეფისოვი აჭარაში და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმის ხელ-ქვეშით ხალხი არც გადასახლებას იფიქრებს და არც აჯანყდება; რამდენიმე წლის შემდეგ ეს ხალხი, უფ.მეფისოვის ხელში, შეიქნება ცხვარსავით მორჩილი და მთავრობისთვისაც გამოსადეგი.

აჭარლების გადახახლება – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში" (1879 წ., №118, 7. VI). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 182-183.

რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ზოგიერთი იმ მაჰმადიან ქართველთაგანნი, რომელნიც სხვა-და-სხვა საშინაარო მიზეზების გამო გადადიან ოსმალეთში, ისევ უკან ბრუნდებიანო; ხედვენო, რომ ისინი მოუტყუებით ოსმალოს მქადაგებლებს, რომლებიც ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ, ოღონდ ოსმალეთში გადმოსახლდითო; რწმუნდებიანო, რომ იმათ იქ შიმშილისა, უსახლ-კარობისა და უმიწა-წყლობის მეტი არა ერგოთ რაო. ნახესო, რომ, რაც უნდა იყოს, ისევ თავის ქვეყანაში ცხოვრება და სიკვდილი სჯობიანო და უკანვე მოდიანო.

გაზეთს „კავკაზში" იყო ამას წინათ დაბეჭდილი პატარა შენიშვნა დიღორიდამ (ფოცხოვის მაზრიდამ), რომლის ავტორი იწერებოდა, რომ რამდენიმე მოსახლე მაჰმადიანი ქართველები, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებული იყვნენ, ამ დღეებში უკანვე დაბრუნდნენო, მაგრამ ფოცხოვის მაზრის უფროსმა არ იცის რა ჰქნასო: შემოუშვას ისინი და დაუბრუნოს თავიანთი დატოვებული ადგილი თუ არაო.

ეს უკანასკნელი საგანი ყურადღების ღირსი საგანია; მართლა უნდა შემოუშვას ჩვენმა მთავრობამ უკან დაბრუნებული მაჰმადიანი ქართველები და უნდა დაუბრუნოს იმათ ისევ თავიანთი ადგილ-მამული, მიწა-წყალი, სახლი და კარი, თუ არა?

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ რაკი ერთხელვე წავიდნენ და გადასახლდნენ, რაკი ერთხელვე ოსმალეთში გადასასვლელი ბილეთი მიიღეს, მერე ამათი უკან დაბრუნება აღარ შეიძლებაო.

სხვები კი ამბობენ, რომ იმ დღიდამ (1878 წლის 25 აგვისტოდამ), რა დღესაც რუსებმა დაიჭირეს ბათუმის მხარე, სამი წლის განმავლობაში ხალხს უფლება აქვსო, თუნდა გადასახლდება და თუნდა დარჩებაო. ბერლინის ტრაქტატის ძალის მიმართ სამი წელიწადი ვადა აქვთო.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვეთანხმებით. ჩვენ გვგონია, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი

სარგებლობა მოითხოვს, რომ უკან დაბრუნებულები აღტაცებითა და სიამოვნებით მივიღოთ და, თუ თვითონვე არ გაუყიდნიათ თავიანთი ადგილ-მამული, უკანვე დაუბრუნოთ. სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ჩინებული მიწა-წყალი უპატრონოთ და დაუმუშავებლად არ დარჩეს და არ გავერანდეს; სახელმწიფო და ადგილობრივი სარგებლობა მოითხოვს, რომ გადასახლებულებში გაგდებულ ხალხში ჩვენ არ შევიძინოთ ჩერქესებისებური ახალი მტერი.

ამას გარდა ბევრი სხვა მოსაზრებაც უნდა აიძულებდეს ჩვენს მთავრობას – ოსმალეთიდამ უკან დაბრუნებული ქართველები მიიღოს.

გადასახლებულები ხომ ემიგრანტები არ არიან; იმათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩვენი მმართებლობისა და ხალხისათვის, რომ უკან დაბრუნება აღკრძალული ჰქონდესთ; მომეტებული ნაწილი იმათგანი გამოსაცდელად მიდიან, თავიანთ ადგილ-მამულს ვაუყიდველად სტოვებენ, და როცა ოსმალეთში ცხოვრება არ ეჭაშნიკებათ, უკანვე ბრუნდებიან. რა უფლებით, რომელი კანონით შეგვიძლია ჩვენ აუკრძალოთ იმათ თავის ქვეყანაში დაბრუნება და თავის ადგილ-მამულშივე დასახლება?

ესეც რომ არ იყოს, სამუდამოთ გადასახლების ბილეთიც რომ ჰქონდეს იმათ, ყველა ამ საბუთებსა და მოსაზრებას გარდა, თვით კაცთ-მოყვარეობაც მოითხოვს, რომ სასიკვდილოთ არ დავსაჯოთ, არ გავიმეტოთ შემცდარი ხალხი, არ მოუსპოთ იმათ, დაბრუნებულებს, ყოველი წყარო და საშუალება ცხოვრებისა მხოლოთ იმიტომ, რომ უბედურებმა, უმეცარებმა გაუგონეს მატყუარა, ცბიერ აგენტებს ოსმალოს მთავრობისას და, იმათის რჩევით, გადავიდნენ ოსმალეთში. კაცთ-მოყვარეობა მოითხოვს-მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ მართლა ქვის გული უნდა ჰქონდეს და უგრძნობარი უნდა იყვეს ის კაცი., რომელიც ნახავს ამ ოსმალეთიდამ დაბრუნებულ ხალხის გაჭირვებას, ამათ გაყვითლებულ პირისახეს, გამხდრებს, ჩამოძონძილებს, – და ეტყვის იმათ: „წადით, დაბრუნდით ისევ ოსმალეთში! აქ თქვენთვის ადგილი აღარ არისო!“

ამას გარდა არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც უნდა გვაიძულებდეს ჩვენ, რომ უკან დაბრუნებული ქართველები გულგაშლილად და სიამოვნებით მიეიღოთ. ეს მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ ეს დაბრუნებულები საუკეთესო მქადაგებლები იქნებიან იმათთვის, რომელნიც ჯერ კიდევ აქ დარჩენილან, მაგრამ გადასახლებას აპირებენ. ერთი ამისთანა დაბრუნებული, რომელმანც ოსმალეთში ათასი წვალება და ტანჯვა ეამოიარა, რომელსაც იქ არც ადგილი მისცეს, არც თავ-შესაფარი სახლი, არც ლუკმა-პური. ერთი ამისთანა კაცი ჩაასახლეთ სოფელში და, რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ამ სოფლიდამ მერე არც ერთი კაცი აღარ გაივლებს ტყინში გადასახლებას. ჩვენ არა გვყავს ისეთი დახელოვნებული, ფანატიკური მქადაგებლები, როგორიც ოსმალებს; ეს დაბრუნებულნი უნებური მქადაგებლები იქმნებიან ჩვენდა და თავის მოძმეთა სასარგებლოდ, და ნუთუ გონიერება მოითხოვს, რომ ეს გზაც ჩვენისავე ხელით მოვისპოთ?!

ვიმეორებთ, არც სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესი, არც ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილება, არც რუსეთის კანონი და არც კეთილ-გონიერება და კაცთ-მოყვარეობა მოითხოვს ჩვენგან, რომ ოსმალეთიდამ უკან დაბრუნებულ ქართველებს გზა შეუკრათ, აღარ შემოუშვათ ისინი თავიანთ ქვეყანაში. პირიქით. ყოველგვარი მოსაზრება, გრძნობა და გონიერება გვეუბნება, გვირჩევს ჩვენ, რომ, თუ ღმერთმა ჰქნა და დაბრუნდნენ, ხელ-გაშლილად, ძმურად და სიყვარულით მივიღოთ.

გადახლებულ ქართველებზე – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1879 წ., №189, 13. IX) ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 211-213.

36. შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაგე

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ გაზეთის „კავკაზიდამ“ გადმობეჭდილს არტაანიდამ მიღებულს ტელეგრამმას, რომელიც

გვაცნობებს, რომ არტაანის მაზრის უფროსს უფ. რაზდერიშინს დაუჭერია ერთი ამ ქალაქის მეორე გილდიის ვაჭართაგანი უფ. სურინოვი, ჯერ გაუროზგავს ის ხალხში, მოწმეებთან და მერე სატუსაღოში ჩაუგდია. უფ.სურინოვი აცხადებს, რომ ავათ ვიყავი, ექიმი მოვითხოვე, როცა სატუსაღოში ჩამსვეს და უფ. რაზდერიშინმა ისიც არ მომაკარაო; მთავრობას და სასამართლოს ვსთხოვ ჩემ შებრალებასა და დაცვასაო და სხვ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, უფ. სურინოვი თითქმის პირველი და ყველაზე უმდიდრესი ვაჭარია მთელს არტაანში. მაშასადამე, ის პატარა კაცი არ ყოფილა.

თუ ამისთანა კაცს მოეპყრო ასე უფ. რაზდერიშინი, სხვები, უფრო პატარა, უფრო წვრილი კაცები რაღას უნდა მოელოდნენ იმისაგან? რას უნდა მოელოდეს აგრეთვე ადგილობრივი უბრალო, სოფლის ყრუ ხალხი, რომელსაც არც გაზეთებში ტელეგრამების გამოგზავნა შეუძლია და ვერც ჩივილს გაბედავს „ნაჩალნიკზე?!“

ამ უფ. რაზდერიშინზე შარშანაც რამდენიმე ცუდი ამბები ეწერა ჩვენს გაზეთში. ერთი იქაური ჩვენი კორრესპონდენტი იწერებოდა, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი თითქმის მუდამ ბახუსის თაყვანის-ცემაში არისო, არც ერთ მომჩივანს არ მოუსმენს რიგიანად საჩივარსა და დავასაო, არაფერს არ აკეთებსო. ორორ კვირაობით აცდევინებს საბრალო მომჩივან ხალხს, შორ ადგილებიდამ მოსულებსაო და სხვ. და სხვ. ამ კორრესპონდენციებს მაშინ, საუბედუროთ, ჯერ-ოვ-ი ყურადღება არ მიაქციეს იმათ, ვისიც ვალი იყო ეს; დღეს როდ[illegible]აც ამისთანა საძაგელი ამბავი უფ. რაზდერიშინზედ თვითონ ოფიციალურს მმართველობის გაზეთში „კავკაზში“ იბეჭდება, იმედია, ახლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას და სასტიკად გამოიძიებენ ამ საქმესა და საზოგადოთ უფ. რაზდერიშინის გამგეობას.

აი, ამისთანა კაცები უფუჭებენ სახელს რუსეთის მმართებლობას ჩვენს ახლად-შემოერთებულს მაზრებში! მართალია, უფ. რაზდერიშინისთანა მაზრის უფროსი მეორე არ ვიცით ჩვენ არც ყარსისა და არც ბათუმის გუბერნიაში, მაგრამ იმდენიც არ

ეჭირება ახლად-შემოერთებულ და შესათვისებელ ხალხს; არაერთხელ გვითქვამს ჩვენ, რომ ახლად-შემოერთებულ ხალხის ვულის მოვება როზვითა, საპყრობილითა და ხიშტებით როდი შეიძლება, არამედ მხოლოთ ლმობიერებითა, პატიოსნებითა და კეთილ-გონიერებითა; რომ იქაური გამგებლები უნდა იყვნენ ხალხის ენის, ხასიათის, ზნის, ჩვეულების და მდგომარეობის მცოდნენი.

თუ ამ ჭეშმარიტებას დამტკიცება ეჭირებოდა, ამ ერთის წლის მავალითებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით. საცა მაზრის გამგებელი იყო პატიოსანი, გონიერი და ადგილობრივი ხალხის მცოდნე კაცი, იქ ყველაფერი თავის წესსზე და რიგზე მიდის, იმ მაზრებიდამ ერთიც არავინ გადასახლებულა ოსმალეთში; პირ-იქით, საცა მაზრის უფროსები ამ პირობებს ვერ ასრულებდნენ, საცა ხალხს ისე ეპყრობოდნენ, როგორც რომელსამე მხეცს, დაბალ სულდგმულს და ყმას, იქ ვერც წესიერებას ვხედავთ და ვერც კმაყოფილებას, იქიდამ ხალხი გადადის, გვეკარგება, როგორც, მაგალითად, უფ. რაზდერიშინის მაზრიდამ – არტაანიდამ, საიდამაც ძალიან ბევრი გადავიდა და უფრო მეტიც გადავა, თუ დროზე არ მოხედეს იქაურ ადმინისტრაციას.

უფ. რაზდერიშინისებური მაზრის უფროსები აფუჭებენ რუსის სახელს ხალხში; ისინი არიან რუსეთის მმართებლობის წარმომადგენელნი და ყოველ იმათ მოქმედებას თვით რუსეთის მთავრობის მოქმედებად თვლიან. ეს ხალხი, რომელიც ჯერ ჩვენ კარგათ ვერ გვიცნობს, რომელმანც არ იცის და არც ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, თვალით სჯის და არა გონებით; თუ ის ხედავს, რომ იმაში გაგზავნილი რუსის ჩინოვნიკები კარგი, პატიოსანი და მცოდნე კაცები არიან, მაშინ იმის თვალში თვით რუსიც კარგი ყოფილა და რუსი მთავრობაც; თუ წინააღმდეგ ამისა ის ხედავს, რომ რუსის ჩინოვნიკი ერთი ბარბაროსი, შეუბრალებელი, უპატიოსნო ვინმეა, მაშინ იმას ჰგონია, რომ თვითონ რუსის მმართებლობაც არ ყოფილა კარგი და

ჩვენთვის გამოსადეგიო.

ჩვენ გვგონია, რომ ამ მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენი უმაღლესი მმართებლობა, როდესაც ამ ახლად-შემოერთებულ ქვეყნებში თავის აგენტებსა ანუ ჩინოვნიკებს ნიშნავს.

შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაზე – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში“ (1879 წ., №197, 23. IX). ი.ბოცვაძე. ტ. III გვ.225-226.

37. მაჰმადიან ქართველთა ბედი

თან-და-თან სულ უარესი და უარესი ამბები ისმის და მოგვდის ახლად-შემოერთებული ბათუმის მაზრის ქართველებზედ. ქვემოაჭარა ხომ თითქმის შარშან გადაესახლა სულაო, წელს ზემოაჭარა, ქობულეთი, არტაანი, ფოცხოვი და სხვა მხარეები აპირებენ დაძვრას და ყველა ოსმალეთისაკენ შვრებაო პირსაო; ახლავე ჰყიდიან, რაც გააჩნიათ, ყველაფერს ფულად აქცევენო და არზრუმისაკენ მიეშურებიანო.

ათასჯერ გვითქვამს ჩვენ, რომ ამ ხალხისაგან თავის სამშობლო ქვეყნის, მამა-პაპეული კერიის დატოვებისა და ოსმალეთში გადასახლების მიზეზები არის, ერთის მხრით, ის, რომ ჩვენ ამ თავითვე ვერ მოვთავსდით ამ ხალხთან, ვერ მოვიგეთ ამ ხალხის გული, ვერც გაჭირვებაში დროზე დახმარებით და ვერც სხვა ვერაფრით; მეორეს მხრით, მიზეზი კიდევ ის არის, რომ ოსმალოები ჩვენზე უფრო დახელოვნებული მქადაგებელნი გამოჩნდნენ.

ჩვენ გვაცნობებენ, სხვათა შორის, რომ ამას წინათ ართვინის მაზრაში დაუჭერიათ ერთი ბროშურა, რომელიც სტამბოლში ყოფილა დაბეჭდილი და თითქმის მთელი ბათუმის ხალხში, ყოველ ოჯახში მოუფენიათ. უმთავრესი აზრი ამ ბროშურისა, არის, რომ ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსის ხელმწიფისა და კანონების მფარველობაში დარჩება, სულით და ხორცით დაღუპული და

წაწყმედილი იქნებაო; რაც უნდა მტკიცე აღმასრულებელი იყვეს ის მაჰმადის რჯულისა, ედემს მაინც ვერასოდეს ვერ ელირსებაო. ამის გამო ყველანი უნდა გადმოსახლდეთ აქ ოსმალეთში, უჯ ჭველია, ბევრ შიმშილს, სიცივეს და სხვა უბედურებას გამოსცდითო, მაგრამ ეს ტანჯვა ხორციელი ტანჯვა იქნება და სულის კი მაცხონებელიო და სხვ. და სხვ. ამგვარები.

და გაფანატიკებულს მაჰმადიან ხალხს, რასაკვირველია, სწამს ყველა ეს და ამგვარ ბროშურებისა და აგენტების ქადაგების-დაგვარად იქცევა: სტოვებს აქაურობას, სახლ-კარს, მიწა-წყალს, ყველაფერს თითქმის მუქთად ჰყიდის და მიდის, ესახლება ოსმალეთში.

მაგრამ იქაურ გარემოებათა და ხალხის კარგად მცოდნე პირები გვარწმუნებენ, რომ ამგვარი ბროშურები და სტამბოლის აგენტები ვერ შეაცდენდნენ, ვერ დააჯერებდნენ ხალხს გადასასახლებლად, თუ კი ჩვენ ამ ხალხისათვის მომეტებული ყურადღება მიგვექცია, თუ კი გვეჩვენებინა იმათთვის, რომ ჩვენ ვაფასებთ, არამედ ვაგდებთ იმათა, რომ ჩვენთვის უმჯობესი არის იმათი აქ დარჩენა, ვინემ გადასახლება.

საუბედუროთ, ჩვენ თითქოს განგებ სულ ამის წინააღმდეგ ვიქცეოდით; ომიანობისაგან დაჩაგრულ-გაღატაკებულ ხალხს იმდენი შემსუბუქება ვერ მოუპოვეთ, რომ რამდენიმე წლით მაინც ხარჯი გვეპატიებინა; მართალია, ქობულეთის მაზრაში შარშან მთავრობამ რამდენიმე ათი ათასი ფუთი სიმინდი და ჰური დაარიგა, მაგრამ ეს რას უზამდა ხალხს, რომელსაც სამის წლის განმავლობაში, ომიანობის გამო, არც არა უთესია და ვერც ვერას მოიმკიდა. ამის გარდა, გაზეთებში, თვით ოფიციალურს „კავკაზშიაც“ კი იყო საჩივარი ზოგიერთ იქაურ მაზრის უფროსების ბოროტმოქმედებასა და ხალხის ცუდათ მოპყრობაზედ. აი, ახლა, საშინელი ზამთრის შემდეგ, არა თუ უიმისოთაც დაზარალებული და დავარდნილი ბათუმის მაზრა, თვით საუკეთესო მოსავლიანი და მდიდარი კუთხეებიც ჩვენი ქვეყნისა დაიმშა და დიდ გაჭირებაშია. ადგილობრივ ადმინისტრაციის ვალი იყო ეცნობებინა უმაღლესის

მთავრობისათვის ხალხის გაჭირვება და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მთავრობა უყურადღებოდ არ დააგდებდა ადმინისტრაციის ენერგიულ შუამდგომლობას, მაგალითად, იმაზე, რომ გაჭირებულ ხალხისათვის რამდენიმე წლით მაინც სახელმწიფო ხარჯი ეპატიებიათ, ან თუნდა ახლა, ამ ზამთრის შემდეგ, ცოტა ფქვილი, ან სხვა რამ შემწეობა ალმოეჩინათ.

არაფერი ეს ჩვენ არ ჩავიდინეთ, ვერაფრით ვერ მოვიგეთ ხალხის გული. ჩვენ, ქართველები, მარტო ცარიელი სიტყვით „ჩვენი დაკარგული ძმები შემოგვიერთდა! ვიშ, რა კარგია, რა გვიხარიანო!“ მარტო ამით დავკმაყოფილდით მაშინ, როდესაც ამ ხალხს „არსობითი ჰური“ და მკვიდრი ცხოვრება, მშვიდობიან მომავლის იმედი ეჭირებოდა. და, აი, ახლა ვხედავთ ამგვარ უგულო, უაზრო მოქმედების, ანუ უკეთ ვთქვათ, უმოქმედობის ნაყოფს; ეს ჩვენი სანატრელი მოძმეები ახლა კი საუკუნოთ მიდიან, სამუდამოთ გვეცლებიან ხელიდამ.

მაჰმადიან ქართველთა ბედი – ხელმოუწერლად დაიბეჭდა „დროებაში“ (1880 წ., №100, 13. V). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 286-288.

38. ხალხის გადასახლება ბათუმიდამ

გაზაფხულდა და ხელახლა მოგვდის წერილები და ცნობები, რომ ბათუმის მაზრიდამ ხალხი მიდისო. ჩვენს გაზეთში იყო ამ დღეებში დაბეჭდილი, რომ მაჭახელიდამ 200 მოსახლე გადასახლებულა,* მიდიან აგრეთვე ქობულეთიდამ და ზემო-აჭარიდამაო (ქვემო-აჭარა ხომ შარშან დაცარიელდა). თითქმის ხალხი ტოვებს მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ყველაფერს, რაც

* მაჭახელიის გადასახლებაზე ეს ცნობა გამოქვეყნებულია 1880 წლის 1 ივნისს „დროების“ №116-ში (რ.ს.).

გააჩნია, არ დასდევს იმას, თუ რა მოელის შემდეგში, ებარგება და გადადის ჩვენს საზღვარზე.

რამდენჯერ თქმულა ჩვენ გაზეთში, თუ რა ცუდი, მავნებელი გავლენა ექნება ამ ჩინებულ ქვეყნისათვის ხალხისაგან დაცარიელებას, რა მავნებელი გავლენა ექნება ბათუმის მაზრის გაუდაბნოებას თვით ჩვენს სახელმწიფოსათვის, რამდენის ზარალის მოტანა შეუძლიან თავისი ქვეყნიდამ წასულს და ჩვენს საზღვარზედ დასახლებულ მაჰმადიან ქართველებს და სხვ.

ეს უჩვენოთაც ყველასათვის ცხადი და ადვილად მისახვედრი უნდა ყოფილიყო. საუბედუროდ, როგორც ისმის, ახლანდელი ბათუმის მაზრის გამგეობაში არიან თურმე იმისთანა პირნი, რომელთაც ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ და გულდამშვიდებით ეუბნებიან თავის სამწყსო ხალხს: – წადით, გადასახლდით, ჩვენთვის თქვენ კი არა ხართ საჭირო, თქვენს მაგიერად აქ ჩვენებურ ხალხს დავასახლებთ!..

ერთის მხრით ამისთანა ჩვენებური მქადაგებლები უდგია გვერდით ხალხს და მეორე გვერდით სტამბოლიდამ მოსული მოლლები და საზოგადოთ ოსმალთა მქადაგებლები, რომელნიც ეუბნებიან: – წავიდეთ ოსმალეთში! აქ თქვენ დასადგომი პირი არა გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გასძლებთ. გიაური მართლმსაჯული მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის – ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, ედემს ვერ ელირსება, წაწყმედილია!

ორი ამისთანა ძალა მოქმედობს ფანატიკოსს მაჰმადიანზე და, რაღა თქმა უნდა, რომ ის აღერს თავს და უკან მოუხედავათ მიდის. კაცი არა ჰყავთ აუხსნას, რომ რუსის სამფლობელოში სხვა მაჰმადიანებიც ბევრი ცხოვრობენ, მაგრამ ძალდატანებით არავისთვის რჯული არ გამოუცვლევინებიათ, რომ მაჰმადის კანონი სრულიად არ უბრძანებს მართლმსაჯულს, იმის მეზობელი უჭველად მაჰმადიანივე იყოს, რომ იქ, ოსმალეთში, იმათ შიმშილი, წყურვილი, სიტიტვლე მოელისთ, რომ ფადი-შაჰს უიმათოდაც ბევრი თავ-სახეთქი საქმე აქვს, უიმათოდაც ხალხი შიმშილით

ეხოცება და სხვა; კაცი არა ჰყავთ აუხსნას და გააგებინოს, რომ იმათი ბედის ჩვენ რუსის ქართველების ბედთან შეერთება ახლა საბოლოოთაც კარგი და სასარგებლო იქნება; რომ ჩვენ შეგვიძლიან ერთად, ძმურად ცხოვრება, რომ ერთმანეთის განშორება და დაკარგვა ორივესათვის, ჩვენთვის და იმათთვისაც მავნებელია და სხვ.

პირ-იქით, ყველა ამის წინააღმდეგ უქადაგებს, თითქმის ყველაფერი არწმუნებს, რომ იმაფსა და ჩვენს შორის საერთო აღარა დარჩენილა-რა, რომ იმათთვის ათასჯერ უმჯობესია ამ ქვეყნიდამ გადასვლა, თავის თანამოძმეების მოშორება...

დიდმა მთავარმა კავკასიის მთავარმართებელმა ბათუმისა და ყარსის მაზრაში მოგზაურობის დროს, არტაანში უთხრა იქაურ ბეგებსა და საზოგადოთ ხალხს: ნუ გეშინიათ, რუსის მთავრობა თქვენს რჯულს, თქვენს ოჯახს, თქვენს ადათს არ შეეხებაო. იცხოვრეთ მშვიდობიანად, იმუშავეთ და თუ არაფერს დააშავებთ, დარწმუნებულნი იყავით, კაცი ხელს არ გახლებთ და უკეთესს კეთილდღეობაში იქნებით, ვინემ ოსმალოს დროს იყავითო.

ამგვარივე ბრძნული და ხალხის დამამშვიდებელი სიტყვა წარმოსთქვა თ. სვიატოპოლკ-მირსკიმ შარშანწინ, როდესაც ის პირველად შევიდა რუსის ჯარით ბათუმში.

უმაღლესის რუსის მთავრობის აზრი, უეჭველია, ეს არის, უმაღლეს მთავრობას კარგათ ესმის, რომ სახელმწიფოსათვის მავნებელია ამ ქვეყნის დაცარიელება და ხალხის გადასვლა ოსმალეთში.

წვრიმალ მოხელეებს, ბათუმის მთავრობის ახლანდელ წარმომადგენლებს, საუბედუროთ, ეს არ ესმით, იქნება ესმით, მაგრამ სხვა რაიმე ანგარიშით ისე ეპყრობიან ხალხს, თითქო რუსის მმართველობას სურდეს ამათი განდევნა და გარდასახლება. სამწუხარო, დიდად სამწუხარო მოვლენაა ეს, მაგრამ ამაზე უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ჩვენთაგან, ქართველთაგან არავინ ჩნდება, რომ ჩვენი უმაღლესის მთავრობის განზრახვა და აზრი აცნობოს ბათუმის მაზრის ხალხს. ამგვარად დაეხმაროს

ამ მაღალ მთავრობას და, რითაც შეიძლება, ეცადოს წინდაუხედავად მიმავალის ხალხის შეჩერება.

ხალხის გადასახლება ბათუმიდამ – დაიბეჭდა ინიციალებით ს.მ. „დროებაში" (1880 წ., №118, 5. VI). ი. ბოცვაძე. ტ.III. გვ. 295-297.

39. ბათუმის მაცხრის დაცარიელება

ჩვენს დღევანდელს გაზეთში იბეჭდება ბათუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც, სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ ოთხასამდინ მოსახლე ჩამოვიდნენ და მიდიან ქობულეთიდამ ბათუმში და აქედამ ოსმალეთში გადასახლებას ემზადებიანო.

პირველი და მეორე არ არის, რომ ამისთანა ნამდვილად სამწუხარო ამბავს გვწერენ ჩვენ ბათუმის მაზრიდამ. მას აქეთ, რაც რუსეთმა ეს მაზრა დაიპყრო, მუდამ ზაფხულზე და შემოდგომაზე ვხედავთ, რომ ეს ახლად-დაპყრობილი ხალხი ასობით და ათასობით ჩამოდის აბარგებული ბათუმში, რამდენიმე დღე დარჩება აქ მშიერ-მწყურვალე, შიშველ-ტიტველი, ძუძუ-მწოვარ ბავშვებით, უძლურ დედა-და-მამაკაცებით და ბოლოს, როგორც არის, მოდის ოსმალოს ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის გემი და მიჰყავს ეს ხალხი ოსმალეთში.

საშინელ სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება: მნახველთ უამბნიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედა-მიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულ-დამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო. ბევრი, ძალიან ბევრი გზაზე იხოცება შიშილისაგანო და ვინც კი ადგილამდინ მიაღწევს, სიკეთე არც იმას ეყრებაო: იქაც უკეთესი ბედი არ მოელის, იქაც შიმშილი ხვდება, უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც ჰპირდებოდნენ, მოტყუებული რჩებიან და ამნაირად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალის

და წვალების შემდეგ, ზოგიერთები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებიანო. მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცება.

ერთი საშინელი ამბავი გამოაშკარავდა შარშან ამ გარდასახლების თაობაზე: ერთს ბერძნის გემს რამდენიმე ასი აჭარელი და მაჭახელი წაეყვანა ბათუმიდამ; ოსმალეთის ნაპირზე რომ მიეყენებინათ გემი, იქაურ ადგილობრივ მთავრობას ნება-რთვა არ მიეცა გემიდამ ხალხის გადმოსვლისა, რადგან უმაღლესი მავრობისაგან არავითარი ბრძანება არ მიეგვიღია ამის თაობაზედაო. კაპიტანმა უკან დააბრუნა გემი. მავრამ ახლა აქ, ბათუმში აღარ შემოუშვეს და არ მისცეს ნება ხალხის ნაპირზე გამოშვებისა. დარჩა წყალში. ამ დროს გაჩნდა გემში მჯდომ ხალხში ავათმყოფობა, შიმშილი და თითქმის სანახევროდ, ვინც იყვნენ, დაიხოცა. გემის პატრონმა, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა, მიიყვანა გემი ერთს უდაბურ ადგილს და გამორეკა ხალხი. ეს ადგილი, როგორც იწერებოდნენ, ისეთი იყოვო, რომ აქედამ მხოლოთ ერთი გზა ჰქონდათ – ზღვაში გადავარდნილიყვნენ, ხმელეთისაკენ წასვლა არ შეეძლოთ! ბოლოს ჩვენმა ბათუმის მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი, გაგზავნა გემი და დაიხსნეს ცოცხალ-მკვდარი ხალხი.

ბევრი ამისთანა საქმე მოხდა ამ გარდასახლების დროს. ბევრი ხალხი იმსხვერპლა ამ გარემოებამ.

ჩვენ არ მოვყვებით აქ იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომელიც ამ ხალხს აიძულებს გარდასახლებას. საკმაოდ ყოფილან ჩვენს გაზეთში ეს მიზეზები გამოაშკარებულნი და არა ერთხელ ჩამოთვლილნი.


გვითქვამს და ვამბობთ, რომ, როგორიც უნდა იყვნენ ეს მიზეზები, ამათ მოსპობა ჩვენს ხელთ არის და უმაღლესმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მძიმე და საყოველთაო ყურადღების ღირსს ამბავს.

ბათუმის მაზრის დაცარიელება – ხელმოუწერლად დაიბეჭდა მოწინავე წერილის სახით „დროებაში“ (1881 წ., №40, 24. II). ი.ბოცვაძე. ტIII. გვ. 349-351.

40. ბათუმის სკოლის მოგონებები

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩვენ და შორეულ ბათუმის ქართველების ხელ-ახლად დაძმობილებისათვის ერთი საუკეთესო საშუალება არის, უეჭველია, სკოლა.

ეს ჭეშმარიტება კარგად გაიგო ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ" და ბათუმის მხრის რუსეთთან შემოერთებისთანავე გახსნა იქ სკოლა.



ბათუმის ქართული სკოლა

საუბედუროდ, ამ სკოლის საქმე იმ თავით როგორღაც რიგიანად და სასურველად არ მიდიოდა. მაჰმადიან ქართველებმა თითქო ეჭვით და განზე დაუწყეს ამ სკოლას ყურება. თავიანთ შვილებს არ აბარებდნენ იქ გასაზრდელად. სკოლა გაივსო დროებით იქ მისულ იმერლებ-გურულებ-მეგრელების შვილებით და ამ ნაირად სკოლა თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებდა.

მაგრამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მაინცა-და-მაინც იმედი არ ეკარგებოდა, რომ ჩვენი მოძმე მაჰმადიანი ქართველები ადრე თუ გვიან გაიგებდნენ ქართულ შკოლის საჭიროებას და სარგებლობას, დაინახავდნენ, რომ შკოლას მხოლოდ ერთი განზრახვა აქვს – სწავლა და ყმაწვილების აღზრდა და გულ-ღიად მიანდობს იმას თავის შვილებს.



გაკვეთილი ბათუმის ქართულ სკოლაში

გავლილ მაისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიურ კრების დროს, ზოგიერთი პირები აღმოჩნდნენ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ბათუმის შკოლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, შინ რომ მიცვალებული გყავდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო (თითქო ბათუმის ქართველები იგივე ქართველები არ არიან, როგორც ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სხვ.), უმჯობესიაო სადმე ჩვენში გაგხსნათ შკოლა და იქ დაგხუროთო და სხვა და სხვა...

საზოგადო კრება არ დათანხმდა მაშინ ამ წინადადებაზე და არა თუ ბათუმის შკოლის დახურვა გადაწყვიტა, თუ შეძლება გვექნება, კარგი იქნებაო – ერთი შკოლა შავშეთში ან სხვაგან სადმე ბათუმის მაზრაში გავხსნათო.

დღევანდელს ნომერში დაბეჭდილი განაჩენი ბათუმის ბეგებისა* გვიმტკიცებს, რომ ის ზოგიერთი პირები, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ ბათუმის შკოლისა, სტყუოდნენ და საზოგადო კრება კი გონიერად მოიქცა.

ჩვენი მკითხველი, უეჭველია, წაიკითხავდა ამას წინად ჩვენს გაზეთში (№238) დაბეჭდილ ბათუმის კორრესპონდეციას იმავე საგნის შესახებ, რაზედაც ქვემო-მოყვანილი განაჩენია დაწერილი.** გაიგებდა, რომ ბათუმის ბეგებს, ჩვენს მოძმე მაჰმადიან ქართველებს, გარდაუწყვეტიათ, პირობა დაუდვიათ და ამ გარდაწყვეტილებას აცნობებენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომ თქვენს შკოლაში მივცემთ შვილებსაო და ნივთიერადაც დავეხმარებით ამ შკოლის რიგიანად გასამართავადაო.

ჩვენ შევიტყობთ, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ერთ თავის წევრს გზავნის ამ დღეებში ბათუმში ამ საქმის რიგიანად მოსათავსებლად.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სასიამოვნოა, ჩვენგან დაშორებულ ძმებმა ისევ ჩვენთან ძმობის სურვილი რომ გამოაცხადეს და საქმითაც ამტკიცებენ ამას, არა მარტო სიტყვით. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ეს საქმე კეთილად და ყველა ქართველისათვის სასურველის წარმატებით შესრულებულიყოს.

ბათუმის შკოლის თაობაზედ – ხელმოუწერლად დაიბეჭდა „დროებაში“ (1882 წ., №242, 20. XI). ი.ბოცვაძე. ტ.III. გვ. 389-390.

---

* 1882 წლის 30 ოქტომბერს ბათუმში ჩატარდა მაჰმადიან ქართველთა კრებაა, სადაც გადაწყდა შვილები მიებარებინათ ქართულ სკოლაში. განაჩენს ხელს აწერს 25 კაცი (იხ. შესავალი ამ წიგნისა). რ.ს.


** იგულისხმება დ.ჭ-ის წერილი „ბათუმის ქართული სკოლა“. „დროება“, №238, 1882 წ. ნოემბერი, (რ.ს.).

41. ბათუმი და ბათუმელები

ამ სტიქონების დამწერმა რამდენიმე დღე დავყავი ამ უკანასკნელს დროს ბათუმში და მსურს ჩემი შთაბეჭდილება, რაც ვნახე და რაც გავიგონე, მკითხველს ვაცნობო. იმედი მაქვს, ეს ნახული და გაგონილი საინტერესო იქნება ჩვენებურ მკითხველისათვისაც.

პირველად მე ვნახე ბათუმი იმ დღეს, რა დღესაც ის რუსებმა დაიჭირეს (26 მარიამობის თვეს 1878 წ.) ეს იყო ის დღე, როდესაც ოსმალოს მთავრობა და ჯარი თავის დევრიშ-ფაშათი სტოვებდნენ ამ ქვეყანას და მაგივრად შიგ რუსის ჯარი და რუსის მთავრობა შედიოდა.

მთელი ქალაქი, მთელი ეს მხარე არეული იყო მაშინ; არ იცოდნენ – როგორ მიგებებოდნენ, როგორ დახვედროდნენ რუსებს; არ იცოდნენ დღეს რა იქნებოდა და ხვალ რა მოელოდათ რუსების ხელში. ამიტომაც ბევრმა მაშინვე გადაწყვიტა თავის მამაპაპეული მიწა-წყლის და ადგილ-მამულის მიტოვება და მიატოვა კიდეც, გაჰყვა მიმავალ ოსმალოს ჯარს. მომეტებული ნაწილი კი, რასაკვირველია, დარჩა; მაგრამ ეს დარჩენილებიც იმ მოსაზრებით დარჩნენ, რომ ჯერ სამი წელიწადი კიდევ ვადა გვაქვსო, ვნახავთ, შევიტყობთ და თუ ვერ მოვთავსდებით რუსობასთან, მერეც შეგვიძლია წასვლაო.



ბათუმი 1882 წ.

მაშინდელი ბათუმი ახლანდელ გორზე უფრო პატარა და უშნო ქალაქი იყო. ორ-სამ რიგიან სახლს ვენ ნახავდით; ტალახიანი, ორო-ჩორროიანი, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და სხვა, როგორც საზოგადოდ აღმოსავლეთის პატარა ქალაქს შეეფერის. ერთი წლის შემდეგ კიდევ მომეცა შემთხვევა ბათუმის ნახვისა. რუსის მთავრობა დამკვიდრებული იყო. ხალხში აქა-იქ თავის ბედზე უკმაყოფილება და გაჭირებულ მდგომარეობაზე ჩივილი ისმოდა, – ომიანობამ თავის ნაყოფი მოიტანა. ზოგიერთ მაზრებში ხალხი შიმშილით სწყდებოდა. მაგიერად თვითონ ქ.ბათუმში ჩვეულებრივი მოძრაობა ჩანდა: გაჩენილიყვნენ უანგარიშო პირნი, უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რომელნიც ამ ახლად დაპყრობილ ქვეყანაში ხელის-მოთბობას, ვაჭრის გავსებას ჰლამობდნენ და მეძებარ ძაღლებივით იშვერდნენ ხან იქით და ხან აქეთ ცხვირს – საიდამ მოდის ფულის სუნიო.

ერთი გაუწყნარებელი, გახურებული ძებნა და ტაცება იყო მაშინ ბათუმში თავისუფალ ადგილებისა; ვინც არ გინდა მამულს იძენდა, სახლების აშენებას ჰფიქრობდა.

ადგილობრივი ხალხი ყველა ამას ჰხედავდა და ჰფიქრობდა, ამას ყველა უჩვენოდაც ადვილად მიხვდება.

დღეს მესამედ ვიყავი ბათუმში. პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ის „გავსილა, გაზრდილა“, როგორც გ.ერისთავის იმერელი ამბობს. მართლაც, გარეგანის შეხედულობით დიდი განსხვავებაა მაშინდელ და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხ ეტაჟიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილ ევროპული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც, მგონი, ჩიტის რძესაც კი იშოვის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათუმელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა. ქუჩები ახლაც, მართალია, სანატრელს მდგომარეობაში არ არის, მაგრამ აქა-იქ ღამით ფარნები მაინც ანთია. საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ.

მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართვენ, ქალაქი „გაპლანულია", ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინის გზა გაჰყავთ და სხვა და სხვა...

ეს გარეგანი შეხედულობით, ერთის თვალის გადავლებით. ამ მხრით, ვისაც ადრე, ოსმალოს ხელში უნახავს ბათუმი და ახლაც ჰხედავს, ყველა დარწმუნებით იტყვის, რომ ამ ქალაქს დიდი მომავალი აქვს, კარგი ბედი მოელისო.

საუბედუროთ, სურათი იცვლება, როცა ცოტათი მაინც დავაკვირდებით აქაურ ხალხს, აქაურ ცხოვრებას და გარეგან შეხედულობიდამ ხალხის ცხოვრების, იმის მდგომარეობის განხილვაზე გადავალთ.

დიდი დაკვირვება აქაურ ხალხის ცხოვრებისა და გამჭრიახე გონება არ არის საჭირო, რომ ერთი დასკვნა გამოვიყვანოთ: ბათუმის ხალხი — მე ვამბობ ადგილობრივ ხალხზე და არა მოსულებზე — არ არის კმაყოფილი თავის ახლანდელ მდგომარეობისა.

ამ უკმაყოფილებას არც მალავენ. პირ-და-პირ ამბობენ: — რასაც მოველოდით, არ აგვისრულდაო. ახლანდელი ბათუმის სამხედრო გუბერნატორი ბ.სმეკალოვი რომ ჩამოსულიყო პირველად ბათუმში, ბეგები და საზოგადოთ ადგილობრივი გავლენიანი პირები მოეპატიჟნა და ეკითხნა იმათთვის: კმაყოფილნი არიან ისინი ახლანდელ თავის მდგომარეობისა თუ არა?

— რატომ არა, კმაყოფილნი ვართო, — ეპასუხა ერთ ბეგს, — ჯერ-ჯერობით ღვთით სული გვიდგია კიდევ და ერთი კარგი რამ ვისწავლეთ თქვენგან.

— რა ისწავლეთო? — ჰკითხა ბ.სმეკალოვმა.

— „ზავთრა" ვისწავლეთო, — უპასუხა ბეგმა.

ბ.სმეკალოვს სიცილი დაეწყო ამ გვარ ბეგის მახვილობაზე და ეთქვა: — ვეცდებიო, რომ ეგ სიტყვა დაგავიწყოთო.

— ალლახმა ინებოს, რომ „პრსლე ზავთრა" არ გვესწავლოს თქვენს ხელშიო! — უპასუხა თურმე იმავე ბეგმა.

მაგრამ ეს იმათი საქმეების დაგვიანება და საზოგადოდ ბიუროკრატიული წესების შემოღება ამ ქვეყნის გამგეობაში როდია მარტო ერთი მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა.

მართლაც, სადაც არ გაიხედავთ ბათუმში, ყველგან ჩინოვნიკების სახლებს და ადგილებს დაინახავთ. ვერ გაგიგია — საიდამ და როგორ შეიძინა ამდენი ფული რომელმამე წვრილ ჩინოვნიკმა, რომელსაც წელიწადში ექვსას-შვიდასი ან ათასი მანეთი ჯამაგირი ეძლევა, რომ ამ ფულით თვითონაც ცხოვრობს, ცოლ-შვილსაც არჩენს და კიდევ ადგილ-მამულს იძენს და ორ სართულიან სახლებსაც კი იშენებს!

საინტერესო იქნებოდა, რომ ვისმე შეეგროვებინა ცნობები — რამდენი სახლი ეკუთვნის ბათუმში იქაურ ჩინოვნიკებს, რამდენი ღირს თითო ამ სახლთაგანი და რამდენი ჯამაგირი აქვთ წელიწადში ამ სახლის მეპატრონეებს...

რას უნდა ჰფიქრობდნენ ამაზე ადგილობრივი მცხოვრებნი? რა სიკეთეს უნდა შეყროდა ამ გვარ პირებისაგან ხალხი, რომლის ბედსაც ისინი განაგებდნენ, რომელთანაც პირ-და-პირ კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდათ?

— რაც გონჯი ხალხი იყო, ის გამოგვიგზავნეთო, — მითხრა ერთმა პატივცემულმა პირმა, როდესაც ადგილობრივ მოხელეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

საუბედუროდ, ამ „გონჯაი“ მოხელეებში ზოგიერთი ქართველებიც ერივნენ და, მე მგონია, ამათის წყალობით არის, რომ ისინი ასე დაუნდობლად, ასე განზე გვიყურებდნენ, რომ იმათ ჩვენი არ სჯეროდათ და ჩვენს ძმობაზე თითქმის უარს ამბობდნენ. დიდი სიამოვნებით შევნიშნე, რომ დღეს ეს დაუნდობლობა თან-და-თან ისპობა და დღე-დღეზე რწმუნდებიან იქაურები, რომ აქაურ ქართველ ჩინოვნიკებს გარდა, უკეთესი ქართველები კიდევ მოიპოვებიან და მათთან ძმობა და ერთობა ორივე მხრისთვის საჭირო და სასარგებლოა.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ აქაურ ქართველ მოხელეებში რამდენიმე ისეთი კეთილ-სინდისიანი და გონიერი პი-

რებიც ურევიან, რომელნიც რიგიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ადამიანურის თვალით და არა ისე, როგორც მეწველ ძროხას, უყურებენ ადგილობრივ ხალხს.

განსაკუთრებით უჩივის ხალხი ადგილ-მამულის საქმეების დახლართვას და არევ-დარევას. მართლაც, თითქმის მომეტებული ნაწილი ბათუმისა და იმის მაზრის მამულებისა სადაოდ გადაქცეულა. ყველას დავიდარაბა აქვს, ყველას ედავებიან, ყველას სასამართლოებში გაუჩნდა საქმე. და რადგან ახალ წესებს, რუსის სამართალს არ არიან გაცნობილნი, ბევრი სამართლიან საქმეს აგებს. საადგილ-მამულო კამისია იყო იქ დაწესებული და თითქმის ორი წელიწადი მუშაობდა ამ საგნის გასარკვევად, მაგრამ ამ კამისიას იმდენი დარკოლება დახვდა წინ, რომ, რაც უფრო არ არია საქმეები, არა გაურკვევიათ-რა. ახლაც მუშაობს რაღაც კამისია, რომელმანც ჯერ-ჯერობით იმით იჩინა თავი, რომ რაც ადრინდელმა კამისიამ ადგილ-მამულები დაარიგა და დაუსაკუთრა, ის იმან ჩამოართვა და საქალაქოდ ჩარიცხა. აქაურ მომრიგებელ მოსამართლეზე თითქმის ყველაი კმაყოფილნი არიან, მაგრამ აქაც იმას ჩივიან, რაც თითქმის ყველგან ჩვენს მხარეში: მოსამართლეს (რუსია) ჩვენი არა ესმის-რა და ჩვენ იმისო.

„მუხაჯირების“ (გადასახლებულების) თაობაზე დიდის სიამოვნებით შევიტყვე, რომ ამ ჟამად ოსმალეთში გადასახლებას თითქმის აღარავინ აღარ ჰფიქრობს; და არა თუ დარჩენილები აღარ ჰფიქრობენ გადასვლას, არამედ ვინც გადასულან, იმათაც ისე გაჭირვებიათ იქ საქმე, ისე შეწუხებულები არიან თურმე, რომ შეძლება რო ჰქონდეთ, დიდის კმაყოფილებით დაბრუნდებიან ისევ თავიანთ მამა-პაპის ქვეყანაში.

ორიოდე სიტყვა აქაურ ხალხის ხასიათზედაც.

ბათუმის მაზრის ადგილობრივი ხალხი თითქმის არაფრით არ განირჩევა ნამდვილ ქართველებისაგან. იგივე გულ-უხვობა და გულ-ღიობა, იგივე მხნეობა და სიმარჯვე, იგივე პურ-მარილიანობა და სტუმართ-მოყვარეობა, საუბედუროდ, იგივე მცონარეობა და ხანდისხან სიზარმაცეც განსაკუთრებით კეთილშობილებში.

ზოგიერთები თითქმის მთელ დღეებს ყავა-ხანებში აღამებენ და ვისაც იმათი ნახვა უნდა, ან საქმე აქვს რამე, იქ უნდა მივიდეს. შინ კი მხოლოდ სალოცავად მიდიან და პურის საჭმელად. აქ, ამ ყავა-ხანებში სწყვეტენ ისინი ყველა საზოგადო და კერძო საქმეებს, აქ ხშირად გაცხარებული ბაასი ტყდება ქვეყნის საქმეებზე, აქ მასლაათობენ, ზღაპრებს ამბობენ, ქაღალდს თამაშობენ და სხვა და სხვა...

მტკიცედ დაცვა მაჰმადის რჯულისა, ქალების ჩაკეტვა და ეს ყავა-ხანური ცხოვრების სიყვარული – ეს სამი ცვლილება შევნიშნე მე ამათში, სამი ცვლილება, რომელიც ოსმალოს მფლობელობას მოუხდენია. ყველა დანარჩენის მხრით ესენი ახლაც ისეთი ნამდვილი ქართველები, გულით და სულით ივერნი დარჩენილან, როდესაც ოსმალომ დაიპყრა იმათი ქვეყანა და ძმა ძმას მოაშორა.

ჩვენდა სასიამოვნოდ და სანუგეშოდ ახლა ისინი იგონებენ და თან-დათან აღვიარებენ ამ დაკარგულ ძმობას. ჩვენი, იქაურ ქართველების სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს ძმური სიყვარულის გრძნობა ნამდვილად, მტკიცედ გაღვიძებულიყოს ჩვენს შორის და მტკიცედვე დამკვიდრებულიყოს.

ბათუმი და ბათუმელები – სელმოუწერლად დაიბეჭდა „დროებაში“ (1882 წ., №257, 9.XII, №258, 10. XII). ი.ბოცვაძე. ტ. III გვ. 390-394.

42. წერა-კითხვის გამავრცელებელ საგზაღლეების მმართველობას

გავლილ ნოემბრის დამდეგს „წერა-კითხვის გამავრცელებლ საზოგადოების“ მმართველობას ბათუმის სკოლის მასწავლებლის ბ.ნათაძისაგან მოუვიდა ცნობა, აქაურ ბეგებმა და საზოგადოთ მაჰმადიან-ქართველებმა სურვილი გამოაცხადესო, რომ თავიანთი

შვილები ჩვენს შკოლაში შემოიყვანონ, ადგილი მოგვცენ ამ შკოლისათვის და ამას გარდა თვითონ შენობის აგებაზედაც დაგვეხმარონო.

ამ საამო ამბების დაწვრილებით გასაგებად, შკოლის გარემოებისა და ვითარების ადგილობრივ შესატყობად გამგზავნა მე მმართველობამ ქ. ბათუმში.* მოგახსენებთ ახლა, როგორ შევასრულე მე ეს მონდობილობა მმართველობისა.

ბათუმში ჩასვლისა-თანავე ბ.ნათაძის საშუალებით მე გავიცანი ყველა ის პირები, რომელთაც ბათუმში და საზოგადოთ ბათუმის მხარეში გავლენა აქვთ და ყველაზე პირველად ამათთან მქონდა ლაპარაკი და სჯა, როგორც საზოგადო ჩვენსა და იმათ საქმეებზე, ეგრეთვე კერძოთ იმათ დაპირების შესახებ – რომ შკოლისათვის ადგილს მივსცემთ „წერა-კითხვის საზოგადოებას", თვითონ შკოლასაც აუშენებთო და ჩვენ შვილებსაც მოგაბარებთო. სასიამოვნო შედეგი ამ ლაპარაკისა იყო ის, რომ მე დავრწმუნდი იმათ გულწრფელ მოქმედებაში, რომ იმათ მართლა ჰსურთ ჩვენს „საზოგადოებასთან" იქონიონ საქმე, შკოლისათვის ადგილიც მოგვცენ და სასკოლო შენობის აგებაშიაც დაგვეხმარონ.

როდესაც ეს რწმენა მივიღე, ახლა ფორმალურად საქმის სისრულეში მოყვანას შეუდექი და აქაც დავინახე, სიამოვნებით, რომ ესენი, მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მზათ იყვნენ აესრულებინათ თავიანთი სიტყვა და დაპირება.

ადრე, რუსის ჩასვლამდინ ბათუმში, მაჰმადიანებს ჰქონდათ იქ თავიანთი საკუთარი სასწავლებელი, რომელსაც ორას ოთხ-კუთხ საჟენზე საუკეთესო ადგილი ეჭირა ზღვის ნაპირას. ეს ადგილი რუსის მთავრობამ წაიღო დამოჟნისათვის და იქ რომ მაჰმადიანთ შკოლა იყო, ის კი დაანგრია.

---

* ეს თხოვნა გაფორმებულია წერილობით, რომელსაც ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ყიფშიძე. იხ. ს.მესხი. თხზულებანი ტ. III. თბ. 1964. გვ. 453 (რ.ს.).

ახლა ბათუმის ბეგები და საერთოდ ყველა მაჰმადიანები თხოულობდნენ, რომ ან იმ ადგილის ფასი მოგვეცესო და ან ამის საფასური ადგილი ბათუმის რომელსამე სხვა უბანშიო. – ეცადეთ, ამოიგეთ ეს ადგილიო, ან იმის სამაგიერო სხვა ადგილი გამოართვით მთავრობასაო, ჩვენ ეს ადგილი დაგვითმია „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“, და ჩაიბარეთო. ზემოხსენებული ადგილი უკანასკნელი ათას თუმნად ღირს. მაგრამ, რადგან მთავრობა ფულის მოცემას გააჭიანურებს, როგორც დამარწმუნეს იქაურ ზოგიერთ ადმინისტრაციის პირებმა, რომელთანაც ამ საგანზე მე ლაპარაკი მქონდა, ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ ადგილის მაგიერ ადგილისავე თხოვნა. აქვე წარმოვადგენ პირს იმ თხოვნისას, რომელიც ამ საგნის შესახებ მიეცა ბ. ბათუმის სამხედრო ღუბერნატორს. თხოვნაზე, როგორც დაინახავთ, 47 ბათუმის გავლენიან და საპატიო პირთ აქვთ ხელი მოწერილი. ყველა ამათ ერთხმად გამოაცხადეს სურვილი, რომ ის ადგილი ჩვენ დაგვითმონ ჩვენი და იმათი სკოლისათვის.

მართალია, უკეთესი იქნებოდა, რომ ამგვარი ქაღალდი ნოტარიუსის წესით ჩამომერთმია მე ამათთვის, ამაზე ისინი დიდის კმაყოფილებით თანხმობას აცხადებდნენ, მაგრამ ეს ერთობ საძნელოდ შეიქმნა, რადგან თითოეული ამ პირთაგანი უნდა გამოცხადებულიყო ნოტარიუსთან, თითოეულს ცალკე ხელი უნდა მოეწერა და ამას ხარჯიც მეტი მოსდევდა. ყველა ამას გარდა მე დავეკითხე ბ. ვიცე-ღუბერნატორს ბათუმისას თ. ნ.ერისთავს და სხვებსაც, ვის ხელშიაც ამგვარი საქმეები ტრიალებენ და ყველამ მითხრა, რომ ამგვარი ქაღალდი და ვექილობა სრულებით საკმაოაო, ადმინისტრაცია ვალდებულია ადგილი მისცეს და უეჭველად მისცემს კიდეცო.

საუბედუროთ, ადგილის ჩაბარება და მიღება მე ვერ მოვახერხე, ერთი იმიტომ, რომ ერთობ ცოტა დრო დავყავი ბათუმში და მეორე, უმთავრესად, იმიტომ, რომ თვითონ ბ. ბათუმის ღუბერნატონი იმ დროს პეტერბურღში იყო და ვიცე-ღუბერნატ-

ორმა კი ვერ იკისრა თავის თავზე ამ საქმის დაბოლოებით გარდაწყვეტა. მაგრამ მე სრულიად საიმედოთ და თითქმის გათავებულად მიმაჩნია ეს სასკოლო ადგილის საქმე, უეჭველია, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ იქ საკუთარი ადგილი გვექნება სკოლისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ ბ.სმეკალოვის ჩამოსვლისა-თანავე ერთი წევრთაგანი ჩვენის „საზოგადოებისა“ წავიდეს ბათუმში, ბეგებისა და სხვა გავლენიან პირების დაკითხვით სამაგიერო ადგილი ამოარჩიოს და კანონიერად ჩაიბაროს.

საკუთარი სკოლის აშენება ამ ადგილზედ არის დაკავშირებული, აი, როგორ: ზემოთ მოგახსენეთ, რომ ძველი ადგილი მაჰმადიან სასწავლებლისა უკანასკნელ ათას თუმნად ღირს-მეთქი ახლანდელის ფასით. ამ ადგილის საფასურ ადგილის მიღებას მოველით ჩვენ ადმინისტრაციისაგან. მაგრამ ათასი თუმნის მაგიერ ხუთას თუმნიანი ადგილი რომ მივიღოთ, ჩვენთვის ესეც დიდია. ქალაქს აქვს ახალი თავისუფალი ადგილები წურის* უბანში, სადაც ახალი მოსახლეობა იწყება და სადაც თითქმის მარტო რუსის ჩინოვნიკობა დგას. უეჭველია, ჩვენ აქ მოგვცემენ ადგილს. აქ ოთხ-კუთხი საჟენი ხუთ-ექვს მანეთზე ზევით არ ფასობს. მაშასადამე, 700-800 საჟენს მოგვცემენ აქ. ეს ადგილი უეჭველად უნდა გაიყიდოს, რადგან მაჰმადიან ქართველების უბნიდამ შორს არის და, ტბების სიახლოვის გამო, უფრო ნოტიოცაა, – ამის გამო სკოლის აშენება აქ არ მოხერხდება.

ბეგებმა დამარწმუნეს, რომ ხუთას თუმნიანი ალაგი თუ მიიღეთო, ორას თუმნად ძალიან კარგ ალაგს (არა ნაკლებ 400 ოთხ-კუთხი საჟენისა) გიყიდით ჩვენს უბანთან („ახმედი“)** მახლობლად და დანარჩენის სამასი თუმნით სახლის აშენებას შეუდგეთო. ამას

---

* უნდა იყოს ნურიის უბანში (რ.ს.)

** უნდა იყოს ახმედიე (რ.ს.)

დაუმატეს, რომ რაც ხე-ტყე დაგჭირდებათ შკოლისათვის, ჩვენ შემოგწირავთო და ოღონდ შკოლა კარგათ გაგვიმართეთ, სხვა შემწეობასაც, რაც შეგვეძლება, არ მოგაკლებთო.

ამ ნაირად, თუ ჩვენი მმართველობა ენერგიულად მოიქცევა, უეჭველია, ამ ერთ-ორ თვეში სასკოლო ადგილს მოიპოვებს და მომავალ ენკენისთვისათვის თავის საკუთარ შენობასაც ააგებს სკოლისათვის. ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციაში, აგრეთვე მცხოვრებლებშიაც თანამგრძნობნი და დამხმარებელნი ჰყავს ჩვენს „საზოგადოებას".

რაიც შეეხება ჩვენს იქაურ შკოლას, ათის დღის განმავლობაში, მე თითქმის მუდამ დღეს დავიარებოდი ბ.ნათაძის გაკვეთილებზე და საზოგადოთ ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოვიტანე. ბ. ნათაძე, როგორც ეტყობა, გამოცდილი მასწავლებელია, ამასთანავე ძლიერ მუყაითი და ენერგიულია ის თავის საქმისა და უყვარს კიდეც ეს საქმე. შაგირდები დიდის ხალისით დადიან შკოლაში, გაკვეთილების დროს ყურადღებით უსმენენ თავიანთ ოსტატს და ცოცხლად, თამამად უგებენ ყოველს კითხვაზე პასუხს. ერთის სიტყვით, ბ.ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის შკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიც ისე კეთილსინდისიერად წაიყვანა საქმე, როგორც დღემდინ მიჰყავს.

ერთი საკეთილო თვისებაც შევნიშნე კიდევ ბ. ნათაძეს: იმას კეთილი განწყობილობა გაუმართავს, შეთვისებია და დაახლოებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს, და ეს დიდ ღირსებად ჩაითვლება ბათუმის შკოლის მასწავლებლისათვის.

სხვათა შორის, მმართველობამ მომანდო მე კიდევ: „თუ შესაძლოთ დაინახოთ შავშეთშიაც ახვიდეთ და შკოლის გახსნის თაობაზედ შეკრიბოთ საჭირო ცნობებიო". საუბედუროთ, ბათუმში ერთობ დიდ ხანს მომიხდა დარჩენა (10 დღე) და დრო აღარ მქონდა შავშეთშიაც წავსულიყავ, ამის გამო ეს მონდობილობა მმართველობისა მე ვერ შევასრულე.

ბათუმში მყოფობის დროს, სხვათა შორის, მე გავიცანი ერთი დეპუტატთაგანი ქალაქისა, რომელსაც ვკითხე: იქნება ქალაქმა მოინდომოს და რაიმე შემწეობა მოგვცეს ჩვენი იქაურ შკოლისთვის-მეთქი? ეს დეპუტატი დაეკითხა დანარჩენ თავის ოთხ ამხანაგს და, როგორც გადმომცა, ამათ ეთქვათ, საზოგადოებამ ქაღალდი შემოიტანოს და, იმედია, 1000 მან. თუ არა 500 მანეთს მაინც შეეძლებათ მუდამ წელიწადს შემწეობა მივცეთ ბათუმის შკოლასაო. ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ ბათუმის ქალაქის დეპუტატებს გაუგზავნოთ ქაღალდი და ვთხოვოთ ჩვენი შკოლისათვის სუბსიდია. ამის კეთილად შესრულების იმედი მით უფრო მაქვს, რომ ქ.ბათუმს დიდი შემოსავალი აქვს, 1500 მან. აძლევს ის მუდამ წლიურ სუბსიდიას იქაურ ნორმალურ შკოლას და ჩვენი შემწეობაც არ გაუჭირდება და ადმინისტრაციაც არ დააბრკოლებს ამგვარ საქმეში.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მმართველობას – აქტოგრაფი დაცულია, ცსსა, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 26, ფურც. 175-176. ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 394-397.

ჩემს მკითხველს

თოთხმეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყემსავდი მე გაზეთს „დროებას", თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითო ჯერ, მერე სამ ჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შევხვდებოდით ერთმანეთს და სხვა-და-სხვა ათასგვარ საგნებზე, ჩვენს ჭირსა და ლხინზე გვქონდა ლაპარაკი და მასლაათი.

ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში; ბევრი დარკოლება გვიხვდებოდა წინ; ბევრი განსაცდელი ვნახეთ; ახლანდელს დროში ყოველ გაზეთსა და ჟურნალს, განსაკუთრებით ჩვენში, ბევრი დაბრკოლება ხვდება.

ამგვარ დაბრკოლების წინააღმდეგ მწერალს არაფერი არ შეუძლიან. მაგრამ სწორედ ისეთის მხრიდან დაგვხდომია დაბრკოლება, რომლიდამაც სრულიადაც არ იყო მოსალოდნელი.

ავად თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადავრჩით და, როგორც იყო, დღეგანდლამდინ მოვიტანეთ.

და დღეს ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ ულაქო შეუმწიკნელს, პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას.

ჩემი დამსახურება აქ ბევრი არაფერია: მე ვხედავდი, რომ ჩვენ გაჭირვების დროს ვცხოვრობდით. ისეთს დროს, როდესაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას კეთილ-წარმატება ეჭირებოდა – და მე, რამდენადაც სუსტი ღონე და ათასგვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა გამეკელია და, ერთის სიტყვით, რამდენათაც შემეძლო კეთილი სამსახური და ერთგულება არ მომეკლო ჩვენის ქვეყნისათვის.

ჩემი საქმე არ არის განვსაჯო – თუ რამდენათ შევასრულე მე ეს ჩემი განზრახვა; რამდენათ სასარგებლოდ დარჩა ქართველ საზოგადოებისათვის გაზეთისაგან კეთილი გზების ჩვენება, თუ რა ნაყოფი მოიტანა ჩემმა ერთგულმა სამსახურმა და სხვა. ამის თქმა და გარდაწყვეტა თვითონ საზოგადოების საქმეა.

შეიძლება, რომ 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა გაზეთმა, იქნება მრუდე გზაზედაც გარდაუხვია, იქნება ჯეროვანად ვერ შეასრულა ის, რაც უნდა შეესრულებინა, რაც იმის მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ ორი რაიმეს თქმა კი თამამად შემიძლიან და ამის თქმას მე, თავმდაბალ კაცს, კვეხნად ვერავინ ვერ ჩამომართმევს.

პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდი საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტ-განზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გარდამიხვევია იმ გზიდამ, რომელიც

მე, ჩემის სინიდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა.

ეს არის ჩემი აღსარება. არასოდეს არ მიყვარდა ჩემს თავზე, ჩემს პიროვნებაზე ლაპარაკი, მაგრამ ღღეს, როდესაც უკანასკნელად ცელაპარაკები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქენი – ეს ორიოდე სიტყვა კერძოდ ჩემზედ, ჩემს პიროვნებაზედაც მეთქვა.



პეტრე უმიკაშვილი



ალექსანდრე ყაზბეგი



რაფიელ ერისთავი



ილია ჭავჭავაძე

მაგრამ, როდესაც გაზეთს „დროებაზედ“ არის ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირებიც, რომელთაც ჩემზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სამსახური არ გაუწევიათ გაზეთისათვის, რომელთ უსასყიდლო, უანგარო შრომის

წყალობით გაზეთს და იმის რედაქციასაც სული ედგა. ამ თანამშრომლებში მე დავასახელებ აქ მხოლოდ უმთავრესთ: თ. აკ.წერეთელი, ა.უმიკაშვილი, ალ.ყაზბეგი, თ. რაფ. ერისთავი, ი. მეუნარგია და ბევრი სხვანი.

უამათოდ მე და ჩემს „დროებას“ ცხოვრება არ შეგვეძლო; მე ვიყავი ლალა ჩვენის ახალგაზრდა გაზეთისა; ყოველთვის გაჭირების დროს ესენი, ჩემ გვერდით მდგომნი, მამხნევებდნენ, ხელს მიწვდიდნენ და ამ ნაირად ერთად, ძმურად ვასრულებდით ჩვენს სასიამოვნოს, თუმცა მძიმე, ხშირად უმადურს და ათას გვარს დაბრკოლებით აღჭურვილ მოვალეობას.

ამათ რომ ჩემგან მადლობა ეჭირებოდეს, დარწმუნებული რო არ ვიყო, რომ ესენი მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესით მუშაობდნენ გაზეთში, – რასაკვირველია, აქ, ამ გაზეთში, ჩემს უკანასკნელ სიტყვაში პირველი სიტყვა იქნებოდა ამათი გულითადი მადლობის გადახდა, მაგრამ ვიცი, ამათთვის თავის ამხანაგისაგან მადლობა და სიყვარულის გამოცხადება არ არის საჭირო, – ამათი ხელმძღვანელი საზოგადო სარგებლობის მოტანაა, და აქ კერძო პირის მადლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამათთვის ისიც კმარა, როდესაც ყოველის მხრით ხედვენ და ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ, რომ ამათ შრომას, ამათ ლიტერატურულ მოღვაწეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენს საზოგადოებაში, ამათი შემწეობით ბევრი რიგიანი აზრი დათესა გაზეთმა ჩვენს ხალხში და ეს დათესილი აზრები ერთს დროს თავის ნაყოფს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას.

დღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს – თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის

ძალღონე – ჩემი ჭკუა-გონება და ერთის სიტყვით ჩემი არსება შეეწირე...

ერთი რამ მანუგეშებს, ისეთი სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი,* რომელნიც, იმედია, ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთესს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და, მაშასადამე, უფრო გაუადვილდებათ იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა.

ჩემს მკითხველს – დაიბეჭდა ავტორის სრული ხელმოწერით „დროებაში“ (1883 წ., №85, 8. V). ი.ბოცვაძე. ტ. III. გვ. 413-415.

---

* იგულისხმება ვანო მაჩაბელი, რომელიც გაზეთ „დროებას“ რედაქტორობდა მის დახურვამდე, 1885 წლამდე (რ.ხ.).

სერგეი მესხის თხზულებათა გამომცემლები

სამსონ ფირცხალავა



სამსონ ფირცხალავა

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, დაიბადა 1872 წელს ხონის რაიონის სოფ. მათხოჯში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მსახურობდა ქუთაისსა და ჭიათურაში. სამწერლო ასპარეზზე 1893 წლიდან გამოვიდა. მუშაობდა გაზეთ „ივერიის" რედაქციაში, ამავე პერიოდში ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაშიც. იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელი წევრი, ლიდერი. მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ს.ფირცხალავამ განიზრახა სერგეი მესხის თხზულებების ორტომეულის გამოცემა. 1903 წელს პირველი ტომი გამოვიდა, მაგრამ მეორე ტომის გამოცემა არ მოხერხდა.

1906 წ. ს.ფირცხალავამ დაარსა გაზეთი „გლეხი", იყო მისი ფაქტობრივი რედაქტორი. მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, როგორც მისი მდივანი და საქმეთა მმართველი. 1910 წ.

გადასახლების სუსხიც იწვნია. დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა გაზეთ „სახალხო საქმეს“.

1917 წლიდან ს.ფირცხალავა საქართველოს ეროვნული კრების წევრია, შემდეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, შედიოდა სოციალ-ფედერაციული ფრაქციის შემადგენლობაში.

ს.ფირცხალავას კალამს ეკუთვნის ისტორიული თხზულებები ი.ჭავჭავაძეზე, თამარ მეფეზე, მესხეთზე. ავტორია დიდი მოცულობის ნაშრომისა „ერი და ეროვნება“. 1907 წ. იყო თანაავტორი კრებულისა „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. ბოლშევიკების შემოსვლისას ემიგრაციაში წავიდა. II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. მუშაობაც დაიწყო, მაგრამ დაატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც 1952 წელს გარდაიცვალა.



იოსებ ბოცვაძე

ქართველი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა 1914 წელს თბილისში პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთა – ნინო და ლუარსაბ ბოცვაძეების ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტები. მუშაობდა პედაგოგად სკოლაში, შემდეგ კითხულობდა ლექციებს თბილისის, ქუთაისის და სოხუმის პედაგოგიურ ინტიტუტებში, ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე განაგებდა ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრას.

ი.ბოცვაძის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ქართული ლიტერატურის კრიტიკის, ჟურნალისტიკის აქტუალურ საკითხებზე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პედაგოგიური აზრის შესწავლაში. შეკრიბა და გამოსცა გ.თავზიშვილის რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ასევე დიდი შრომა გასწია მამის ლუარსაბ ბოცვაძის თხზულებების ოთხტომეულის გამოსაცემად მომზადებაში (გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ).

ი. ბოცვაძემ შეკრიბა სერგეი მესხის წერილები, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო და 1962-1964 წლებში გამოსცა სამტომეული, რომელიც დიდი მოღვაწისა და ჟურნალისტის ერთ-ერთ სრულყოფილ და მაღალკვალიფიციურ გამოცემათა რიგს მიეკუთვნება. მანვე ცალკე მონოგრაფად გამოსცა ს. მესხის ცხოვრება-მოღვაწეობაზე მიძღვნილი ნარკვევი.

იოსებ ბოცვაძე გარდაიცვალა 1981 წელს თბილისში.

ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, დაიბადა 1933 წელს აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა სოფლის ექიმად, რაიონის და საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, აჭარის კურორტთა მართვის საბჭოს თავმჯდომარედ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად, კითხულობდა ლექციებს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.



რამაზ სურმანიძე

რ. სურმანიძე არის საქართველოს მწერალთა კავშირის და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. მის კალამს ეკუთვნის წერილები, მედიცინის, სოციოლოგიის, ლიტერატურული კრიტიკის, საქართველოს ისტორიის, ცნობილ მოღვაწეთა ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხებზე. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის მედიცინის ისტორიის კვლევაში. გამოაელინა და გამოსცა არაერთი ძველი ხელნაწერი. შეკრიბა, გამოიკვლია, კომენტარებით, შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსცა გიორგი ყაზბეგის, აბდულ მიქელაძის, ივანე ჯაიანის ნაშრომები და წერილები: თარგმნა ანტონ ჩეხოვის, ივანე კიჩაკოვის მოთხრობები და გიორგი ყაზბეგის თხზულება „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. გამოსაცემად მოამზადა ვრცელი

ვრცელი მონოგრაფიები „ქართველი მწერლები და აჭარის აღდგენა-დაწინაურება“, „სამხრეთ საქართველოს მედიცინის ისტორიის ნარკვევები“, „ქართული გვარების იტორია“ და სხვა. არის 30-მდე წიგნის, მათ შორის მოთხრობების ექვსი კრებულისა და ორი რომანის ავტორი.

რ.სურმანიძე ამჟამად არის უცხოელ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს ცენტრის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე და ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი.

იოსებ ხიმშიაშვილი

საძიებლები:

ა) გეოგრაფიულ სახელთა

აბასთუმანი 10
აბხაზეთი 91, 109, 133
ადიგენი 19
აკლამბარი 98
ავსტრია13, 48, 76, 92
აზია 26, 77, 118
ათონის მთა 140
ალამბარი 34, 159
ალაშქერთი 74
ანტიკარი 84
არტანუჯი 74, 82
არზრუმი 17, 161, 169
ართვინი 28, 103, 126, 169
არტაანი 16, 18, 20, 28, 35, 53, 74, 88, 105, 126, 127, 156, 166-169, 173
აჭარა 6, 12, 17-21, 28, 30, 37, 42, 43, 45, 64, 74, 79, 81, 82, 88, 94, 96, 98, 102, 111, 148, 156, 157, 162, 163, 197
აჭყვისთავი 34, 159
ახალციხე 19, 54, 64, 79, 82, 83, 161
ახმეტიე 187
ბათუმი 7, 14, 16, 17, 21-28, 31-34, 36-41, 52-57, 61, 67, 71, 74, 76-78, 81, 82, 84, 85, 87-90, 95, 100-107, 109-111, 113-120, 123-125, 127, 129, 131, 132, 133, 139, 147, 150, 151, 157, 158, 162, 163, 167, 169-171, 173-182, 184-189, 197
ბათუმის მაზრა 32, 41, 76, 88, 89, 100, 101, 103, 123, 133, 134, 144, 146-149, 152, 156, 169, 170, 172-174, 178, 183
ბათუმის მხარე 88, 90-94, 98, 164, 176, 185
ბათუმის ოლქი 16, 33, 144-146
ბაიაზეთი 74, 88
ბაიბურთი 74
ბალკანეთი 1, 16
ბაცა სოფ. 53-55, 57
ბერლინი 23, 76-78, 84, 85, 87, 91-93, 100, 103
ბესარაბია 74, 78, 85
ბოლგარია 76-78, 85
ბოსნია 12, 45, 46, 92
გერმანია 48, 49
გორგაძეები 25
გორი 21, 97, 180
გურია 14, 26, 51, 54-57, 61, 62, 104, 106, 116, 132
დასავლეთი საქართველო 55, 56
დიარბექირის ვილაიეთი 161
დიღორი 164
დობრუჯუ 74, 78
დუნაი 51, 73, 78
ეგვიპტე 92
ევროპა 9, 13, 16, 48, 74, 76, 93, 120
ეპირი 93

ერზრუმის ვილაიეთი (იხ. არზრუმი)
ვარნა 103
ვენგრია 48
ზაქათალა 110
ზემო აჭარა 81, 82, 100, 107, 161, 169, 171
თფილისი 17, 18, 20, 26, 52, 82, 97, 98, 131, 137, 153, 196, 197
თუხალია 99
იერუსალიმი 140
იველია 138
იმერეთი 8, 14, 26, 55, 56, 62, 65, 116, 132, 177
ინგლისი 13, 22, 48, 49, 53, 76, 78, 85-87,92, 93, 100, 103
იტალია 48
კავკასია 14, 26, 54, 144
კახეთი 62, 177
კვირიკე 34, 68, 73, 102, 111, 159
კინტრიში 14, 54, 57
კინტრიშის მაზრა 32, 149, 160
კინტრიშის ხეობა 109, 158
კიპრი 85, 92, 93
კონსტანტინეპოლი 17
ლაზისტანი (ლაზეთი) 43-45, 74
ლენქორანი 110
ლელვა 34, 152
ლიეანი 54
მათხოჯი 194
მაკედონია 93
მაჭახელი 16, 28, 126, 157, 171
მოსკოვი 50
მცირე აზია 74, 76, 92
მუხა-ესტატე 15, 24, 57, 59-64, 66-68, 70-72, 107
ნაოთლული 97
ნიგოითი 123
ნურიის უბანი 187
ოდესა 87, 90, 103, 127
ოზურგეთი 15, 23, 53, 54, 57-62, 67, 68, 82, 104, 105, 107, 108
ოლთისი 74
ოსმალეთი 12, 15, 17, 18, 21, 22, 26, 27, 32, 33, 48, 50, 53, 55, 73, 74, 76-78, 85, 88, 92-94, 106, 109, 115, 120, 122, 127, 131, 133-135, 146, 148, 150, 157, 158, 164-166, 168-170, 172, 174, 175, 181, 183, 184
ოსმალოს საქართველო 11, 25, 43-45, 51, 52, 79, 97, 103, 106, 113, 139, 144
პეტერბურგი 8, 39, 186, 194
პლევნა 122
რიონი სოფ. 8, 10, 52, 53, 55, 56, 59, 105,
რუმინია 74, 78, 85, 92
რუსეთი 9, 13, 14, 16-18, 21-23, 25, 27, 29, 34, 47-50, 56, 64, 73-78, 84, 85, 87, 88, 92, 95, 100, 103, 113, 115, 127, 133, 139, 140, 146, 158, 166, 167, 173
საბერძნეთი 93
სამება 34, 61, 64, 67, 71, 102, 108, 111, 159
სამეგრელო 14, 26, 55, 56, 62, 116, 132
სამტრედია 58, 59, 104
სამუსლიმანო საქართველო 12, 14, 17, 30, 34, 35, 162
სან-სტეფანო 88, 92
საფრანგეთი 9, 48, 49, 93, 157
საქართველო 9, 20, 21, 28, 32, 43, 44, 74, 75, 95, 99, 117, 130, 138, 140, 144, 147-149, 195, 196
სევასტოპოლი 90, 103

სერბია 48, 49, 92
სომხეთი 161
სოღანლული 74
სოხუმი 72, 196
სტამბოლი 50, 83, 87, 92, 103, 106, 116, 117, 123-125, 129, 169, 170, 172
სურამი 53, 55, 56, 62, 64
სუფსა 104
ხალითა 17, 20, 82
ტალახას მთა 67
ტრაპ'ზონი 23, 26-28, 103, 114, 116, 117, 124, 132, 180
უნგრეთი 13
ფეოდოსია 90
ფოთი 64
ფოცხოვი 169
ფოცხოვის მაზრა 161, 164
ქართლი 62, 177
ქაქუთი 34, 159
ქაჯეთის ციხე 71, 105, 111
ქერჩი 90
ქვემო აჭარა 81, 82, 100, 103, 107, 161, 169, 171
ქობულეთი 12, 15, 23, 24, 32, 34, 44, 54, 66, 69, 70, 74, 88, 100, 102, 103, 105, 107-111, 117, 123, 125, 127, 131, 133, 134, 148, 151, 156, 158, 159, 163, 169-171, 174
ქუთაისი 8, 58, 82, 98, 101, 150, 155, 194, 196
ქაქუთი
ყარსი 14, 16, 51, 53-55, 72-74 88, 167, 173
ყირიმი 200
შავი ზღვა 54, 55, 64, 111, 127, 133
შავშეთი 28, 37, 38, 40, 43, 55, 74, 126, 156, 178, 188
შეკვეთილი
შუა აზია 195
შუახევი 197
ჩაქვი 23-25, 102, 110, 112, 113, 123, 129, 131, 132, 134, 157
ჩერნოგორია 48, 85, 92
ჩილდირი 74
ჩოლოქი 62
ჩოხატაური 104
ჩურუქ-სუ (იხ. ქობულეთი)
ციხის ძირი 14, 15, 23, 24, 53, 54, 57, 64-67, 71, 72, 102, 105-107, 111, 112, 117, 131
წყალტუბო 8
ჭალა 197
ჭანეთი 17
ჭიათურა 194
ჭოროხი 74
ხონი 194
ხუცუბანი 15, 23, 24, 34, 61, 64, 66-68, 71, 105, 107-109, 112, 113, 159, 160
ჯიხანჯირი 62, 66
პერცოგოვინა 12, 45, 47, 92

ბ) პიროვნებათა:

აბაშიძე ღურხუნ 37

აბაშიძე იბრაიმ, ბათუმის მხარის სანჯაყ-ბეგი 7, 39

აბაშიძე მემედ-ბეგ (1873-1937), მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე 97

აბაშიძე მოლა-ხუხეინ 37, 39

აბაშიძე ხუხეინ, ბათუმის მხარის სანჯაყ-ბეგი 7, 30, 137

აგლობჟო (იხ. ოკლობჟიო)

აეალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე (1844-1929), მსახიობი, თეატრის მოღვაწე, ჟურნალისტი 137

ალხაზიშვილი იაკობ ქაიხოსროს ძე (1826-1896), ინჟინერიის გენერალი, გურიის რაზმის უფროსი 15, 105

ანდრონიკაშვილი იახე, (1814-1892), იურისტი, თბილისის სასაქართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე 30, 137

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1798-1868), რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი. 1854 წ. ჩოლოქთან 10-ათასიანი რაზმით გაანადგურა ოსმალეთის გენერლის სალიმ-ფაშას 30-ათასიანი კორპუსი. 62

არკახი, აღმირალი, შავი ზღვის ფლოტის უფროსი 127

აღმაშენებელი დავით (1073-1125), დიდი ქართველი მეფე 140

ახვლედიანი ხარიტონ ახმედის ძე (1904-1992), ისტორიკოსი 30

ბაკურიძე ხახან 37

ბაკურიძე ხუხეინ 37

ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე (1827-1890), ისტორიკოსი, არქეოლოგი 6, 31, 143

ბაჩანა-რაზიკაშვილი ნიკო პაკლეს ძე (1866-1928), პოეტი ეაკა-ფშაველას ძმა 97.

ბეჟანიშვილი ჰახან-ბეგ (იხ. ბეჟანიძე ხახან-ბეგ)

ბეჟანიძე ხახან-ბეგ (1845- ?) ჩაქელი ბეგი, ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის ძმისშვილი 27, 30, 122, 123, 126, 129-131, 137

ბეჟანიძე ხუხეინ-ბეგ (დაახ. 1822-1883), ჩაქელი ბეგი. 23-25, 27, 30, 112, 113, 122, 123, 137, 139

ბეჟანოლლი ჰუხეინ-ბეგ (იხ. ბეჟანიძე ხუხეინ-ბეგ)

ბიბინ-ზადე ღურხუნ 37

ბიკონსფილდი-დიზრაელი (1804-1881). ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლორდი, მწერალი 85

ბისმარკ ოტო (1815-1898), გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე 78

ბოდბელი მსხვერპლობაშია ბოდბელი კათედრალური ტაძარი, რომელშიც გლეხების ძმაძე საგალახახადო რეფორმა დაუწყია, რასაც 1699-1716 წწ აჯანყებები მოჰყვა.

ბოლქვაძე შაინ, ხულოელი 37, 39

ბოცვაძე იოსებ ლუარსაბის ძე (1914-1981), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი 5, 196

გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული (1851-1938), მწერალი, პროზაიკოსი 36

გორგაძე პუხეინ (იხ. ბეჟანიძე ხუხეინ)

გორგასალი ვახტანგ (V ს. 40-იანი წლები – 502) ქართველი მეფე, თბილისის დამაარსებელი 140

გორჩაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1798-1883) რუსი დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო კანცლერი 50

გრიბოედოვი ალექსანდრე სერგეის ძე (1795-1829), რუსი დიპლომატი და მწერალი. 150

გუგუნავა დათა ხიმონის ძე (? -1885), გურიის მოხალისეთა მეოთხე რაზმის უფროსი 1877 წ. 60, 107, 108

გულო-ალა, ზემო აჭარელი. რუსეთის მმართველობის ძირი გაღახახალების შემოღებასთან დაკავშირებით ამბოხებულებმა მოკლეს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი. 156.

გურიელი გრიგოლ დავითის ძე (1818-1891), გენერალი, ბათუმის მაზრის უფროსი, ქველმოქმედი. 14, 15, 23, 28, 31, 84, 101, 103, 105, 109, 121, 129, 132, 143, 151, 157, 159

გურიელი იეზე, გურიის მოხალისეთა მესამე რაზმის უფროსი (1877 წ.) ომის შემდეგ ცხოვრობდა ბათუმში. მისი სახლი ქაროულ მოღვაწეთა შეკრების ადგილი იყო. 107

გურიელი მამია დავითის ძე (1836-1891), პოეტი, გურიის მოხალისეთა პირველი რაზმის უფროსი (1877 წ.) 107

დანიბეგაშვილი ალექსანდრე იაკობის ძე, ქობულეთის რაზმის უფროსი, გენერალი 15, 16, 59

დევრიშ-ფაშა (დაახლ. 1818 – ?), ოსმალეთის ჯარების ხარდალი ბათუმში 1877 წ. 1 იანვრიდან 23, 27, 59, 61, 68, 69, 71, 82, 102, 103, 109, 110, 112-114, 117, 118, 121, 122, 124, 125, 127, 131, 179

დენიბეგოვი (იხ.დანიბეგაშვილი)

დოდე ალფონს (1840-1897), ფრანგი მწერალი 10

დ.ჭ. – „დროების" უცნობი კორესპონდენტი 178

ესინ-უყენდი მუფთი-ზადე, არქანუჯელი 30

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864), დრამატურგი, თეატრ. მოღვაწე, პოეტი 9, 180

ერისთავი დათა გიორგის ძე გერიის მოხალისეთა მკორე რაზმის უფროსი (1877 წ.) 107

ერისთავი ნიკო, ბიძინას ძე, ბათუმის ციც-გუბერნატორი 39, 157, 159, 186

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901), პოეტი 9, 191, 192

ექსან ხანი

ვაჟა-ფშაველა (1861-1915) დიდი ქართველი პოეტი 97

ვარშანიძე მამია ომერის ძე (1916-1998) პოეტი 30

ვოლსკაია ბარბალე იოსების ასული (1863-?) გრიგოლის და 154

ვოლსკაია ლეონიდა იოსების ასული (1854-?) გრიგოლის და 154

ვოლსკი გრიგოლ იოსების ძე (1859-1909) ექიმი, პოეტი, მუნიციპალური და საზოგადო მოღვაწე 10, 154

ვოლსკი ელადიმერ იოსების ძე (1860-?) გრიგოლის ძმა 154

ზუბალაშვილი ალექსანდრე ქველმოქმედი მრეწველი 30, 139, 140

თაედგირიძე ალი-ფაშა ქობულეთის ბეგი 27, 69, 120, 123, 124

თაედგირიძეები. ძველი თაედური გვარი გურიასა და აჭარაში. 7, 122, 123

თაედგირიძე ოსმან-ფაშა (დაახლ. 1830-?) ქობულეთის ბეგი

თაზიშვილი გიორგი იასონის ძე (1902-1963) პედაგოგი, პროფესორი 198

თამაზაშვილი ისმაილ ქობულეთელი 12

თამარ დედოფალი (1156-1213), საქართველოს ძლევამოსილი მეფე 43, 130, 140, 195

თუმანიშვილი ი. (1831-1897), ინფანტერიის გენერალი 30, 137

იოსელიანი იასონ, მაიორი (ყარა-მაიორი) 151, 153

ირემაძე მუხამედ, ღორჯომელი 12

კაიკაციშვილი ახმედ (?-1888), პუბლიცისტი. გაზეთ „დროების" კორესპოდენტი (?) 12, 19

კაიკაციშვილი გულო-ალა (1840-1923), პუბლიცისტი.საზოგადო მოღვაწე. „დროების" ერთ-ერთი პირველი კორესპოდენტი აჭარიდან 12, 162

კეკერაძე, გრიგოლ ვოლსკის გამზრდელი დედინაცვალი (?). შესაძლოა ეს არის გრიგოლის დედა მაგდალინა ბოდოკია, რომელიც მეუღლის, იოსებ ვოლსკის გარდაცვალების შემდეგ (1865 წ.) კეკერაძეს მითხოვდა.

კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1829-1893), პუბლიცისტი, მწერალი, დრამატურგი 6, 137

კიპიანი ივანე სპირიდონის ძე (1920-1971), რუსი მწერალი 197

ქლდიაშვილი დავით სამსონის ძე (1862-1931), მწერალი 6
ქლეკოვსკი ალ.ალ., შტაბის კაპიტანი 69
ქობიაშვილი ნიკ. გრიგ. გენერალი 30, 137
ქოიაროვი ალექსანდრე ბესარიონის ძე (1830-?), ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი, ქობულეთის რაზმის უფროსი (1878 წ.), არქეოლოგიური ნივთების შემკრები 16
კოშაროვი კონსტანტინე ბესარიონის ძე, გენერალ-მაიორი, არტაანის რაზმის უფროსი, ბათუმის პირველი გენერალ-გუბერნატორი 15, 16, 28, 126, 127, 158, 159, 162
კოშახიძე თეიმურაზ დავითის ძე, პუბლიცისტი 30
კრაეცინი პეტრე დიმიტრის ძე, პოდპოლკოვნიკი, რიონის რაზმის შტაბის უფროსი 59
ლომოური ნიკო იოსების ძე (1852-1915), მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი 97
მაკრიალელი ოსმან-აღა 30
მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე (1818-1900), მწერალი საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენ ლეინტენანტი 30. 137
მამულაძე ოსმან, ზემო აჭარელი 12
მარშანია მერჯან-აღა, ზუნდაგელი 37, 39
მარჯანიშვილი მაგდალინა, სერგეი მესხის დედა 8
მაჩაბელი იუანე გიორგის ძე (1854-1898). მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 193.
მაჭახელელი (წულუკიძე) სული-ბეგი 30
მახრამოვი, სამხედრო გზების ინსპექტორი
მაჰმედი, ოსმალეთის სულთანი
მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (1851-1925), მწერალი, ხალხოსანი. 97.
მელიქ-აღა (იხ. მელიქიშვილი სტეფანე)
მელიქიშვილი ეკატერინე გრიგოლის ასული, კეკე (1854-1928), მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი. სერგეი მესხის მეუღლე 9, 10, 18, 36
მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1850-1927), მეცნიერი ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი 19
მელიქიშვილი სტეფანე გრიგოლის ძე (1840-1887), გაზეთ „დროების" ერთ-ერთი დამაარსებელი და გამომცემელი, ს. მესხის ცოლის ძმა 15, 18, 19, 79, 84
მესხი გიორგი, ს.მესხის ძმა 8

მეხხი ანა, ს.მეხხის და 8

მეხხი დავით (1860-1943), მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, სერგეი მეხხის ძმა 8, 10

მეხხი ეფემია (1862-1941), მსახიობი, სერგეი მეხხის და 8

მეხხი იოანე (1849-1931), პუბლიცისტი, მუზიციპალური მოღვაწე, სერგეი მეხხის ძმა 8, 154

მეხხი კოტე (1857-1914), მსახიობი, სერგეი მეხხის ძმა 8

მეხხი ნინო, სერგეი მეხხის და 8

მეხხი ნესტორი, სერგეი მეხხის ძმა, ქიმარეხლა გაზეთის გამოშვებაში 8

მეხხი სერგეი ხიმონის ძე (1845-1883), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

მეხხი ხიმონ, სერგეი მეხხის მამა 8

მეხხიძე ახლან ქობულეთელი 12

მეუნარგია ირინა (1852-1919), მწერალი, პუბლიცისტი 191, 192

მეფისაშვილი მიხეილ პეტრეს ძე (1829-1902), არჩაანის (შემდეგ არიჯინის) მაზრის მმართველი 18, 20, 23, 31, 34, 79-81, 83, 101, 163

მეფისაშვილი ხტეფანე, ბათუმის პოლიციის გამგებელი 121

მირონაძე, ინჟინერი, ხუცუბანში 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში დაღუპულ ოფიცერია და ჯარისკაცია სასაფლაო-მემორიალის მშენებლობის ინიციატორი 160

მირზკი (იხ.სვიატოპოლკ-მირსკი)

მაქელაძე აბდულ ხასანის ძე (1853-1919), პუბლიცისტი, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი აჭარიდან, საზოგადო მოღვაწე. 158,197.

მუხტაფ-ფაშა, ოსმალეთის ბრიგადის გენერალი 113, 114

მუფთი ეფენდი-ზადე 30

მუხრან-ბატონი კონსტანტინე იოანეს ძე (1838-1903), თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი 30, 137

ნათაძე მოსე (1851-1890), ბათუმის სკოლის გამგე 37, 39, 184, 185, 188

ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843-1928), პუბლიცისტი, კრიტიკოსი, დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე 112

ოკლობჟიო იოანე დიმიტრის ძე, რიონის მხარის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი 15, 59, 61, 105, 112

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის ძე (1804-1883), გენერალი, პოეტი 30, 137, 138, 141

ოსმან-ფაშა, იგივე ლაზი ოსმან-ფაშა თავდგირიძე (1832-1900), ოსმალეთის გენერალი, პლევნის გმირი 122

პუნინიანი ტერ-გრიგორ, სომეხ კათოლიკეთა მღვდელი 30
ჟორდანია ყაღირ-ალა, ლაზეთიდან 12
ჟურული დურმიშხან (?-1901), ბათუმის პოლიციმეისტერი 28, 31, 129
რაზდერიშინი არტაანის მაზრის უფროსი 35, 167, 168
საგინაშეილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1897), გენერალ-ლეიტენანტი, ილია ჭავჭავაძის დის ქმარი 30, 137
სარაჯიშეილი ალექსანდრე ივანეს ძე (1851-1914), მწერალი, მკვლევარი, „იკერიის" რედაქტორი 159
სახოკია თეოდორე ტიმოთეს ძე (1868-1956), მწერალი, პუბლიცისტი, ლინგვისტი 6
სერგი ბეგი – სერგეი მესხი
სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე (1825-1899), ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე 15, 24, 25, 102, 104, 105, 107, 108, 110, 113-115, 117, 126, 173
სმეკალოვი ალექსანდრე მიხეილის ძე, გენერალ-მაიორი, ბათუმის ოლქის უფროსი 39, 181, 187
სოლომონ პირველი – დიდი (1735-1784), იმერეთის მეფე 112
სტრელეცკი სერგეი ნიკოლოზის ძე, თბილისის გუბერნიის სახალხო სასოლების დირექტორი 98
სულიემან ეფენდი მეჰმედ-ზადე, მაჭახლელი, ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელი 37
შუმბათაშვილი გიორგი ლუარსაბის ძე გენერალი 30, 137
შუნდუკიანი გაბრიელ მარტიროსის ძე (1825-1912), სომეხი მწერალი, დრამატურგი 10
სურინოვი, მეორე გილდიის ვაჭარი 35, 167
ხურმანიძე მუფთი-ეფენდი, ხახან, აჭარის მუფთი 7, 30, 125, 137, 162
ხურმანიძე რამაზ დურსუნის ძე, მწერალი, პუბლიცისტი, ექიმი, რედაქტორ-გამომცემელი 42, 197, 198
ხურმანიძე რამიზ-ბეგ გულახ ძე (1861-1888), რუსული მმართველობის დროს ადგილობრივი მმართველობის მოხელე, აჭარის პირველი მეკვლისის წერი 1880 წლიდან 162
ტერ-გუკასოვი არზახ არტემის ძე (?-1902) გენერალი, 38-ე ფეხოსანთა დივიზიის უფროსი 30, 137
ტრუბეცკოი ნ.ა. (?-1903), თავადი, რუსეთისა და ოხმალეთის ხანგრძლივი კომისიის წევრი, რომელმაც სანრულეში მოიწვია ბერლინის კონგრესის დადგენილება და აჭარა რუსეთს გადასცა 102

უშიკაშვილი პეტრე იოსების ძე (1838-1904), პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი

უშუფარიძე (იხ.ვოლსკი) 137, 191, 192

ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე (1872-1952), იურისტი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი 5, 194, 195

ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე (1839-1913), პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი 9

ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე (1825-1891), მეცნიერი, ისტორიკოსი 30, 137

ქიქავა სასან ბათუმელი 37

ქუთათელაძე არისტო ვასილის ძე ცნობილი პედაგოგი და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. 97.

ყაზბეგი ალექსანდრე მისეილის ძე (1848-1893), მწერალი, მსახიობი, დრამატურგი 191, 192

ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე (1839-1921), ინფანტერიის გენერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე 6, 11, 14, 15, 31, 52, 53, 55, 56, 59, 60, 62, 71-73, 143, 137

ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე, თბილისის ნოტარიუსი, ახლდა ს.მესხს ქობულეთში 15

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887), მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე 30, 31, 136, 137, 140

ყიფიანი ელენე დიმიტრის ასული (1852-1890). მთარგმნელი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, 36.

ყიფიანი მისეილ ქაიხოსროს ძე (1846-1916). ხალხოსნური მოძრაობის მეთაური, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. 97.

ყიფშიძე გრიგოლ თევდორეს ძე (1858-1921), მწერალი პუბლიცისტი 37, 185

შავიშვილი მემედ, ქობულეთელი. 12.

შარაძე გურამ სეფერიანის ძე, მწერალი, პუბლიცისტი ლიტერატორი, მეცნიერი 30

შაშიკ-ზადე (შაშიკაშვილი) რეჯებ (1855-1922), მუნიციპალური მოღვაწე 37

შელემეტიევი ნიკოლოზ ვასილის ძე (?-1878), ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი 15

ჩარკეთანი გრიგოლ (1852-1922), გამომცემელი, წიგნების მაღაზიის მეპატრონე 84

ცეცხლაძე ნოდარ მემედის ძე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი 30

ჩეხოვი ანტონ პავლეს ძე (1860-1904) დიდი რუსი მწერალი 197
წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840-1915), დიდი ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე 9, 25, 31, 112, 137, 141, 143, 144, 192
წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842-1900) მწერალი, პუბლიცისტი 16, 24, 137
წერეთელი დავით როსტომის ძე (სხვიტორელი) (1832-1902), პუბლიცისტი, აკაკის ძმა 1879-1882 წ.წ. იყო მაჭახლის უბნის უფროსი 16
ჭაჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907), დიდი ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე 6, 31, 37, 137, 187, 195
ჭალადიდელი (ქოჩაკიძე) გიორგი მაქსიმეს ძე (1847-1898), პოეტი, პუბლიცისტი 155
ჭიჭინაძე ზაქარია ეგნატეს ძე (1854-1931), პუბლიცისტი, მწიგნობარი, გამომცემელი 6
ხალვაში ახმედ, მარადიდელი 30
ხარლამპოვი პეტრე, ბერძნების მღვდელი 30
ხიმშიაშვილი იოსებ რიზას ძე ფილოლოგი, გამომცემელი 198
ხიმშიაშვილი მურთაზ შერიფის ძე (1848-1876), ხულოს მუდირი 17
ხიმშიაშვილი ნური აბდის ძე (1835-1907) შავშეთის მმართველი, რუსეთის პოდპოლკოვნიკი 7, 28, 30, 31, 37, 126, 137
ხიმშიაშვილი შერიფ ახმედის ძე (1829-1892) აჭარის მმართველი, რუსეთის გენერალ მაიორი 7, 17-20, 28, 30, 79-84, 94, 103, 126, 137
ჯაიანი იუანე ხარიტონის ძე (1863-1936) პუბლიცისტი, სამხედრო მოხელე, „იეერიის“ კორესპოდენტი ართვინის ოლქიდან 197
ჯორჯაძე დიმიტრი (1821-1883), გენერალი, კავკასიის ომების ვეტერანი 30, 137
ჰიუგო ვიქტორ (1802-1885), დიდი ფრანგი მწერალი 10

სარჩევი

წინათქმა 5
მოყვარე მოყვრისათვის 11
სერგეი მესხის წერილები
1. ოსმალოს საქართველო 43
2. ჩვენი მოვალეობა 45
3. იქნება ომი თუ არა? 47
4. ომის მოლოდინი 50
5. ბრძოლის ასპარეზი 51
6. ერთი დღე მუხა-ესტატეში 57
7. ახლად შეძენილი საქართველო 74
8. ვის დარჩება ბათუმი 76
9. მშვიდობიანობის ნიშნები 77
10. ერთი სადილი შერიფ-ბეგთან 79
11. ბათუმის დათმობა 84
12. მშვიდობიანობა 86
13. ბათუმის შეძენაზედ 87
14. ბათუმის მიწები 89
15. ბერლინის ტრაქტატი 91
16. ახალი მოვალეობა 94
17. როგორ უნდა ბათუმში შესელა 100
18. ქუთაისი 20 აგვისტოს 101
19. ბათუმისაკენ 104
20. ბათუმი, 25 აგვისტოს 107
21. ბათუმი, 26 აგვისტოს 111
22. ბათუმი, 27 აგვისტოს 115
23. ბათუმი, 29 აგვისტოს 118
24. * * * 122
25. * * * 129

26. ახლად-შემოერთებული ქართველები 133
27. სადილი ახლად-შემოერთებული ქართველებისათვის 136
28. ახალი წესები ბათუმის მაზრაში 144
29. ერთი წინადადება 147
30. ძმა ძმისთვისაო – ამ დღისთვისაო 148
31. მასლაათი 151
32. ბათუმის მაზრის მდგომარეობა 156
33. შემწეობის დარიგება 159
34. აჭარლების გადასახლება 161
35. გადასახლებულ ქართველებზე 164
36. შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაზე 166
37. მაჰმადიან ქართველთა ბედი 169
38. ხალხის გადასახლება ბათუმიდამ 171
39. ბათუმის მაზრის დაცარიელება 174
40. ბათუმის შკოლის თაობაზედ 176
41. ბათუმი და ბათუმელები 179
42. წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოების მმართველობას 184
43. ჩემს მკითხველს 189

სერგეი მესხის თხზულებათა გამომცემლები 189

სამსონ ფირცხალავა 194
იოსებ ბოცვაძე 196
რამაზ სურმანიძე 197

საძიებლები:

გეოგრაფიულ სახელთა 199
პიროვნებათა 202

გამომცემლობის რედაქტორი *ომარ მეგრელიშვილი*

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა *გენადი კომახიძე*

კორექტორი *იზოლდა ცეცხლაძე*

წიგნში გამოყენებულია დავით ერმაკოვის ფოტოები, ზაალ შენგელიასა და ზურაბ სურმანიძის ფოტორეპროდუქციები

ხელმოწერილია დასაბეჭდად 02. 12. 2000.

ქაღალდის ზომა 60X84 1/16.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.25.

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14.

შეკვეთის № 166. ტირაჟი 1000.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ალიონი" ბათუმი, მარჯანიშვილის 2

წიგნი დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება „სტამბა"-ში ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. № 16